



პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ-სამართლებრივი
გარანტიები

ავტორი: კახაბერ გოშაძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ბეგიაშვილი

თბილისი

2017

მიმოხილვა

მოცემული დისერტაცია ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს. მის დანიშნულებას წარმოადგენს ამ უფლების განხილვა იმ მიზნით, რათა დავასაბუთოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ცალკე მოწესრიგების მიზანშეწონილობა სახელმწიფოს უზენაესი კანონით.

როგორც ცნობილია, ინდივიდის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, ანალიზის შედეგად, ექცევა პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში. ამდენად, ნაშრომში განხილულია პირადი ცხოვრების უფლება, მისი სამართლებრივი მოწესრიგება და ფარგლები. მათი განხილვა გვეხმარება დავადგინოთ თუ რა ადგილი უკავია პერსონალურ მონაცემებს ადამიანის პირად ცხოვრებაში, რის შემდეგაც, მეტად მკაფიოდ იკვეთება თავად პერსონალური მონაცემის ცნება, დანიშნულება და ადგილი პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში.

ამ მიზნების დასახვას წინ ახლავს ისეთი გამოწვევები, როგორცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი გამოყენება და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობათა სიმრავლე, როგორც სამართლებრივ, ისე ტექნიკურ დონეზე.

ნაშრომის მიზანია დაასაბუთოს თუ რამდენად არის შესაძლებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას მივანიჭოთ დამოუკიდებლობის ხარისხი, თანაც იმგვარად, რომ კონსტიტუციურად, უფლებათა დეკლარირების ნაწილში გამოვყოთ პირადი ცხოვრების უფლებისგან და დავუქვემდებაროთ დამოუკიდებელ სამართლებრივ მოწესრიგებას.

აღნიშნული ამოცანების მიღწევა არ შემოიფარგლება უფლების მხოლოდ ფორმალური დეკლარირების პირობით. საყურადღებოა ის პრაქტიკული შედეგები, რომელიც თან სდევს აღნიშნულ პირობას. პერსონალური ინფორმაციის გამოყენების სიხშირიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციამ ინდივიდისთვის საკმაო მნიშვნელობა შეიძინა. უფლების კონსტიტუციური დეკლარირებით, თავიდან შევძლებთ ავიცილოთ სხვა ისეთი კანონმდებლობის მოქმედება, რომელიც იქნება წინააღმდეგობრივი ნორმების შემცველი და გამორიცხავს ფორმალურ, ასევე, შინაარსობრივ შესაბამისობას მასთან.

ნაშრომში დასახული მიზნების მისაღწევად გამოყენებულია სამეცნიერო პუბლიკაციები, საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები, ასევე, საქართველოსა და აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომში მოცემული არგუმენტები, ასევე, ეფუძნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ავტორიტეტული ორგანიზაციების რეკომენდაციებს ეფუძნება.

აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრედ წოდებული

CJEU – Court of Justice of the European Union (მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლო)

ECtHR –European Court of Human Rights (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო)

GDPR – General Data Protection Regulation (მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია)

IP – Internet Protocol (ინტერნეტ პროტოკოლი)

IT – Informational Technologies (ინფორმაციული ტექნოლოგიები)

TEU – Treaty on European Union (შეთანხმება ევროპული კავშირის შესახებ)

TFEU – Treaty on the Functioning of the European Union (შეთანხმება ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ)

სარჩევი	
შესავალი.....	6
საკითხის აქტუალობა.....	6
სადისერტაციო თემის მიზანი და ამოცანები.....	12
ნაშრომის სიახლე.....	13
ლიტერატურის მიმოხილვა.....	15
საერთაშორისო აქტების მიმოხილვა.....	29
სასამართლო გადაწყვეტილებები.....	33
ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია.....	38
თავი I. პირადი ცხოვრების ძირითადი უფლების კონცეპტუალური საფუძვლები.....	41
1.1. პირადი ცხოვრების უფლების არსი.....	41
1.2. პირადი ცხოვრების უფლების შესახებ არსებული კონცეფციები და თეორიები.....	46
1.2.1. რედუქციონიზმი და ანტირედუქციონიზმი.....	46
1.2.2. პირადი ცხოვრების უფლების შესახებ არსებული თეორიები.....	52
თავი II. პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სფეროს სამართლებრივი ფარგლები.....	58
2.1. პირადი ცხოვრების უფლების სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოში.....	59
2.2. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა პირადი ცხოვრების უფლების დაცული სფეროს შესახებ.....	62
2.3. პირადი ცხოვრების უფლების დაცული სფერო ამერიკული პრეცედენტული სამართლის მიხედვით.....	68
2.4. პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ევროპული სტანდარტი.....	76
2.4.1. პირადი ცხოვრების დაცული სფერო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიხედვით.....	81
2.4.2. მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს მიერ პირადი ცხოვრების უფლების ირგვლივ ჩამოყალიბებული პრაქტიკა.....	89
თავი III. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება (ცნება, სამართლებრივი რეგულირება და უფლების სპეციფიკური ხასიათი).....	93
3.1. უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე და არსებული სამართლებრივი გარანტიები.....	93
3.1.1. პერსონალურ მონაცემთა დამცავი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ინსტრუმენტები.....	93
3.1.2. პერსონალური მონაცემის ცნება და დანიშნულება საზოგადოებრივ ურთიერთობებში.....	99
3.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც ცალკე ფუნდამენტური უფლება.....	107
3.2.1. საერთაშორისო სასამართლოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასთან მიმართებით ჩამოყალიბებული პრაქტიკა.....	108

3.2.2. საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მონაცემთა დაცვის უფლებასთან მიმართებით ჩამოყალიბებული პრაქტიკა..... 122

3.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციით დამოუკიდებლად მოწესრიგების მიზანშეწონილობა 125

დასკვნა..... 153

გამოყენებული ლიტერატურა 157

შესავალი

საკითხის აქტუალობა

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის უფლებების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, სამართლებრივ სახელმწიფოში, ინდივიდის უფლებები უზენაეს ღირებულებით კატეგორიაში არის აყვანილი. შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფა.

ამჟამად, პირადი ცხოვრების დაცვის საკითხი თავისი აქტუალობის მწვერვალზეა. ამის დასადასტურებლად საკმარისია იმ ტექნოლოგიური მიღწევების გააზრება, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს მარტივად ისარგებლონ სხვადასხვა მომსახურებებით, აქტიურად იყვნენ ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და მეტად აითვისონ ტექნოლოგიები უკეთესი ცხოვრებისეული და სოციალური პირობების შექმნის მიზნით. გარდა ამისა, სოციალური ურთიერთობების გამძაფრებული სიხშირე დიდ როლს თამაშობს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების წინ წამოწევასა და იმ გამოწვევების ფორმირებაში, რაც დღეს სახეზეა როგორც თითოეული ინდივიდის, ისე სახელმწიფოს წინაშე.

არსებული რეალობა და პირადი ცხოვრების, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვის წინაშე არსებული გამოწვევები სრულიად განსხვავებულია იმ ტენდენციებისგან, რაც არსებობდა, მაგალითად, მე-19 საუკუნის 90-იანი წლების აშშ-ში, როდესაც ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია პირადი ცხოვრების შესახებ. ავტორები უთითებდნენ, რომ სისტემატური ფოტოგადაღებებით შესაძლებელი იყო პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებელ ტერიტორიაზე შეჭრა (Warren & Brandeis/უორენი & ბრანდისი, 1890, გვ. 195) „მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო პუბლიკაციაში წამოწეული საკითხები, სამართლებრივი კუთხით, კვლავაც აქტუალურია, ავტორთა მთავარი მიზანი, უმეტესწილად, არა სამართლებრივ წიაღსვლებში წვდომა იყო, არამედ ტექნოლოგიური საშუალებებისგან გამოწვეული გავლენის წარმოჩენა, რაც აისახებოდა სოციალურ ცხოვრებასა და მორალურ-პოლიტიკურ რეალობაზე. იმ დროისათვის ტექნოლოგიური წინსვლა ვლინდებოდა ფოტოგადაღებაში, ბეჭდური საშუალებების გამოყენებაში, რომელიც იაფი, მარტივი გამოქვეყნებისა და გავრცელების საშუალებებს უზრუნველყოფდა“ (Nissenbaum/ნისენბაუმი, 2010, გვ. 19)

ამჟამად, ამ უფლების წინაშე არსებული გამოწვევები მეტად მრავალფეროვანი და კომპლექსურია, რაც მისი დაცვის აუცილებლობას მეტ მნიშვნელობას სძენს. აღნიშნული

მრავალფეროვნება გამომდინარეობს ინტერნეტისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, მაგალითად, ე.წ. ღრუბლოვანი სისტემის (Cloud Computing) ფუნქციონირებიდან, რაც აუქმებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ტერიტორიულ ფარგლებს.

ზოგადად, ინფორმაციის გადაცემა და ურთიერთგაცვლა, სადაც პერსონალური მონაცემებიც ფიგურირებს, ყველაზე ხშირი ინტენსივობით დღეს ხორციელდება. აღნიშნული პრაქტიკა წინ წამოწევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობას, რისი უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს შესაბამისი უფლებადაცვითი ნორმების შემუშავებითა და არსებული რეგულაციების დახვეწით. როდესაც საუბარია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, როგორც ძირითად უფლებაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ უფლების ჩამოყალიბების პროცესი თანამედროვეობის შედეგია, ხოლო მისი დაცვის მნიშვნელობა დღის წესრიგში რამოდენიმე ათწლეულის წინ დადგა. მოცემული უფლების ევოლუციის წინაპირობები და მიმართულებები სადისერტაციო ნაშრომში განსახილველ საკითხთაგან ერთ-ერთია, რაზეც მსჯელობა მის ძირითად ნაწილში იქნება მოცემული.

პირადი ცხოვრების უფლების დაცვასა და იმ თანმდევ გამოწვევებზე საუბრისას, რაც მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოში არსებობს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ადამიანი, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებით სარგებლობის დროს, საზოგადოებაში საკუთარი თავის ინტეგრირებას პერსონალურ მონაცემთა გაცემის გზით ახდენს. შესაბამისად, რაც უფრო მეტად ინტეგრირებულია ინდივიდი საზოგადოებაში, მით მეტად არის მისი პირადი ცხოვრების დაცვის დონე დაქვეითებული. ამდენად, პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვით, რომ პერსონალური მონაცემები არა მხოლოდ ინფორმაციული კატეგორიის ფარგლებში ექცევა, არამედ იგი, ასევე, კომერციული ღირებულების მატარებელ საგნადაც გვევლინება. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს სამეწარმეო საქმიანობისას, მაგალითად, სატელეფონო მონაცემთა ბაზების ფორმირებისა და მათი გასხვისებისთვის. არაერთი მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლება გავრცელდეს საკუთრების უფლებით აღიარებული პრივილეგიები პერსონალურ მონაცემებზე და არის თუ არა მიზანშეწონილი მონაცემთა სუბიექტებს (ფიზიკურ პირებს) მივანიჭოთ ამგვარი უფლებები (Holland/ჰოლანდი, 2010; Schwartz/შვარცი, 2004). როგორც აშშ-ის, ისე ევროპის მასშტაბით პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი კონცეფციები, დამდგარი ზიანის გასაჩივრებისას მომხმარებლებისთვის შეზღუდულ შესაძლებლობებს

ადგენს იმ შემთხვევაში თუ პირადი ცხოვრების დაცვის დონე დაქვეითებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების გზით. ვალდებულებითი სამართლიდან გამომდინარე დაცვა ეფუძნება დელიქტურ ან სახელშეკრულებო სამართალს (აშშ-ში), შესაბამის საკანონმდებლო აქტებს (ასევე აშშ-ში) ან პირადი ცხოვრების დამცავ უნიფიცირებულ კანონმდებლობას (ევროპაში). მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პერსონალურ მონაცემთა ხელშეუხებლობა დაცულია ვალდებულებითი სამართლის ნორმებით, კორპორაციები, რომლებიც მასობრივად ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს, იყენებენ მათ როგორც სავაჭრო ბრუნვის ობიექტს. ისინი აგროვებენ ამ ინფორმაციას მომხმარებლებისგან (ხშირად, როგორც საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ), ახდენენ მათ კომპილაციას და ასხვისებენ სხვა კორპორაციებზე. ამასთან, აშშ-ის სასამართლოები, ზოგჯერ, პერსონალურ მონაცემებს აღიარებენ როგორც საკუთრების ნაირსახეობას, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის კორპორაციის მიერ მოიპოვება (Victor/ვიქტორი, 2013, გვ. 516-517). გარდა ამისა, რამდენადაც ინდივიდებს, ძირითადად, აქვთ უფლება არ დაუშვან სხვა პირთა წვდომა საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე, მათ შესაძლოა ჰქონდეთ განცდა, თითქოს ამ მონაცემებზე გააჩნიათ საკუთრების უფლება, მაშინაც კი, როდესაც პირის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემები არის სხვის ხელთ (ბანკები, სამედიცინო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები), ინდივიდებს შესაძლოა კვლავ გააჩნდეთ ამ ინფორმაციის დაცვის მოთხოვნა. იქიდან გამომდინარე, რომ სამართალი იცავს ამ და სხვა სახის მონაცემებს არასანქცირებული გამოყენებისა და გამჟღავნებისგან, ეს შესაძლოა იწვევდეს საკუთრების შეგრძნებას პერსონალურ მონაცემებზე (Samuelson/სამუელსონი, 2000, გვ. 1130).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პერსონალური მონაცემების გამოყენება, შესაბამისად, პიროვნების პირად სივრცეში შეჭრა, ხორციელდება, როგორც პირის ნებით, ისე მის გარეშე, მესამე პირების მიერ, რომლებიც შეიძლება იყვნენ სახელმწიფო უწყებები ან საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი ორგანოები, ასევე, კერძო დაწესებულებები. საჯარო უწყებების მიერ პერსონალურ მონაცემთა გამოყენების პირობები, გარდა კანონისა, დამატებით, კანონქვემდებარე აქტებითაც არის გაწერილი, ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში დამუშავების დეტალური წესები კონფიდენციალურობის პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის განსაზღვრა საჯარო დაწესებულებებისთვისაც მიზანშეწონილია. გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში კერძო და საჯარო სექტორის

წარმომადგენელი დამმუშავებლები მაინც ექვემდებარებიან შესაბამის კანონს, რომელიც დამმუშავების წესებს განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტს მხოლოდ ფორმალური დანიშნულება არ გააჩნია - მონაცემთა დაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი წესების კატალოგი სახელმძღვანელო ფუნქციას ატარებს და აყალიბებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდაუწყებრივ ხარისხს.

პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით არსებობს თანამედროვე მიდგომებიც, რომლებიც ამ მონაცემებს განიხილავენ კატეგორიად, რომელზეც უფლებები შეიძლება გააჩნდეს არა მხოლოდ იმ პირს, ვის პერსონალურ მონაცემებზეც არის საუბარი, არამედ მის შთამომავლებსაც, რა საკითხიც, მაგალითად, თავს იჩენს გენეტიკური მონაცემების ჭრილში (Gertz/გერტცი, 2004).

ზოგადი მსჯელობის საფუძველზე, უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე შესაძლოა უკავშირდებოდეს ადამიანის სხვა უფლებებსაც. ამდენად, თემატიკის აქტუალობას განაპირობებს ის რეალობა, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის და ამ ინფორმაციის გამოყენების მიმართ არსებობს საზოგადოებაში. ეს მოიცავს ადამიანის უფლებათა ბალანსს იმ პირთა უფლებებთან, რომლებთანაც ინდივიდი იმყოფება ინტერაქციაში. ურთიერთბალანსის დროს, მაგალითად, ერთმანეთს შესაძლოა დაუპირისპირდეს ორი მიდგომა, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ინტერესთა შეპირისპირებისას, კერძოდ, ბაზარზე ორიენტირებული და ადამიანის უფლებებზე მორგებული მიდგომები, ასევე, საჯარო ინტერესისა და ინდივიდის უფლების დაცვის საკითხი (Reidenberg/რაიდენბერგი, 2000). თითოეული მიდგომა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევა. არსებობს მოსაზრება, რომ სასურველი ინტერესთა ბალანსი შესაძლოა გადაწყვეტილ იქნეს ნოვატორული მიდგომით, როგორცაა Privacy by Design კონცეფცია. იგი პერსონალური მონაცემების და, შესაბამისად, პირადი ცხოვრების დაცვის პრაგმატულ მიდგომას წარმოადგენს და გამოსადეგია ინფორმაციის მსხვილი დამმუშავებლებისთვის.

ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვით, რომ ის თავსებურებები, რაც ახლავს პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და დამმუშავებას შესაძლოა იწვევდეს მის ცალკე ფუნდამენტურ უფლებად აღიარების აუცილებლობას სახელმწიფოს ძირითადი კანონით. უფლებათა სეპარატიზაციის საკითხი თანამედროვეობის დამახასიათებელი ტენდენციაა, რომელიც პირველად ევროპული კავშირის ფარგლებში აისახა - „ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია არამარტო უზრუნველყოფს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას (მე-7 მუხლი),

არამედ ადგენს უფლებას მონაცემთა დაცვაზე (მე-8 მუხლი), განსაკუთრებით ამაღლებს მისი დაცვის დონეს და განსაზღვრავს ძირითად უფლებად ევროპული კავშირის სამართალში“ (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო & ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 28).

დებულებები ამ უფლებათა გამოყოფაზე არაერთი დისკუსიის საგანს წარმოადგენს. არსებობს მოსაზრება, რომ მონაცემთა სუბიექტები არ ფლობენ საკუთარ პერსონალურ მონაცემებს და, შესაბამისად, არ შეუძლიათ უზრუნველყონ დამუშავების პრევენცია, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნამდვილი დანიშნულება კი, არის ინდივიდების დაცვა არამართლზომიერი შეგროვების, შენახვის, გამოყენებისა და გავრცელებისგან (Hert & Gutwirth/ჰერტი & გუთვირთი, 2009, გვ. 1). მეტიც, პერსონალურ მონაცემთა დაცვა განსაკუთრებით აქცენტირებულია იმ ღირებულებებზე, რაც არ გვევლინება პრივატულობის ფუძეში, როგორცაა სამართლიანი დამუშავების მოთხოვნა, თანხმობის საკითხი, ლეგიტიმურობა და დისკრიმინაციისგან თავის არიდება (იქვე, გვ. 5). აღსანიშნავია, რომ ძირითადი უფლებების ევროპული კავშირის ქარტიამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ცალკე არის გაწერილი, თუმცა ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფმა (Article 29 Data Protection Working Party) გამოიყენა ტექნიკური მიდგომა, რათა პერსონალურ მონაცემთა დაცვა ცალკე მდგომ ძირითად უფლებად ჩამოეყალიბებინა ქარტიამ (იქვე, გვ. 7). ეს ფაქტი წინგადადგმული ნაბიჯია ამ უფლების განვითარებისთვის, რაც საჭიროებს შემდგომ ანალიზს სეპარატიზაციის მართებულობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, ეს საკითხი არაერთი სახელმწიფოს შიდასამართლებრივ დონეზე, კონსტიტუციურად, სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი.

გლობალური კონტექსტის გარდა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ძირითად უფლებად ცნობის საკითხს ქართული სამართლებრივი რეალობისთვისაც გააჩნია პრაქტიკული შედეგები. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი, რომელიც ახდენს პირადი ცხოვრების უფლების დეკლარირებას, არ შეიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის გათვალისწინებულ მკაფიო საფუძვლებს. დასადგენია თუ რამდენადაა შესაძლებელი, რომ ამ უფლებაში ჩარევის პირობა - „[...] აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლო გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. [...]“ - მოვიაზროთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის (შეზღუდვისთვის) გამოსადეგ საფუძვლად მისი სამართლებრივი ფორმულირების გათვალისწინებით.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე მოცემულობა შესაძლოა შედეგად იწვევდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ცალკე უფლებად გაწერის აუცილებლობას. ამგვარად აღიარების საფუძველს ინდივიდისთვის ქმნის პერსონალურ მონაცემთა ის მნიშვნელობა, რაც მას გააჩნია საზოგადოებაში პირის ინტეგრაციისთვის. დამუშავების ყოველდღიური სიხშირე და მრავალფეროვანი გამოყენება საჭიროს ხდის მის ცალკე დაცვას სახელმწიფოს უზენაესი კანონით.

ამ უფლების ცალკე განმტკიცებას და ძირითადად ცნობას სხვა პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. როგორც ცნობილია, პერსონალურ მონაცემთა დანიშნულებიდან გამომდინარე, მისი დაცვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს. შესაბამისად, კონსტიტუციურად მისი ცალკე განმტკიცების შემთხვევაში, აუცილებელია იმ პირობების ჩამოთვლა, როდესაც ამ უფლებაში ჩარევა არის დასაშვები. ჩარევის პირობები პრინციპების დონეზე განმტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით, რომელიც ადგენს მონაცემთა დამუშავების ხუთ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპს:

1. სამართლიანობა, კანონიერება, ღირსების შეულახაობა;
2. მიზნობრიობა;
3. პროპორციულობა;
4. სიზუსტე და ნამდვილობა;
5. შესაბამისი ვადით დამუშავება.

მოცემული პრინციპების კონსტიტუციურმა განმტკიცებამ, როგორც ამ უფლებაში ჩარევის საფუძველმა, შესაძლოა პოზიტიური შედეგები გამოიღოს სხვა ქვემდგომი კანონების მიხედვით პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის, ვინაიდან გასათვალისწინებელი იქნება, როგორც ფორმალური, ისე დამუშავების მატერიალური საფუძველების (ზოგადი თანაზომიერება) შესაბამისობის საკითხიც.

დასკვნისას, შეიძლება ითქვას, რომ პერსონალური მონაცემების თავისებური ნიშან-თვისებები შესაძლოა მყარი წინაპირობა აღმოჩნდეს ამ უფლების მიერ განსაკუთრებული ადგილის მოპოვებისთვის პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში; ან მეტიც, ეს თავისებურება იმდენად ცხადი გახდეს, რომ უმჯობესი იყოს ამ ორი უფლების სეპარატიზაცია და მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციურად ცალკე გაწერა. ამ მიზნით, სასურველია განისაზღვროს თუ რამდენადაა მიზანშეწონილი მისი ცალკე ძირითად უფლებად გამოყოფა, არის თუ არა ეს პროცესი მხოლოდ სამართლებრივი ტექნიკის ნაწილი, თუ მას შინაარსობრივი დატვირთვაც გააჩნია.

სადისერტაციო თემის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის, როგორც უფლების ფუნდამენტური კვლევა. ნაშრომის მიზანია განსაზღვროს არის თუ არა შესაძლებელი პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებების განხილვა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თანაც იმგვარად, რომ მონაცემთა დაცვა ცალკე ძირითად უფლებად განვამტკიცოთ. შესაბამისად, დასადგენია ხდება თუ არა ყოველთვის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა მაშინ, როდესაც ხდება ჩარევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით დადგენილ სფეროში და პირიქით. ამ საკითხის კვლევისთვის, მიზნობრივი დანიშნულება გააჩნია პირადი ცხოვრების სხვადასხვა კონცეფციების განხილვას, მაგალითად, როგორცაა ნეიტრალური, ნორმატიული, რედუქციონისტული და ანტირედუქციონისტული მიდგომები. იგი წარმოადგენს შეგვიქმნის პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებზე.

ყურადღების მორიგი საგანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონსტიტუციური ასპექტების აღწერა და დახასიათება. დამუშავების კონსტიტუციური ასპექტი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წინაპირობათა კონსტიტუციური საფუძვლების დადგენა. როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის კონსტიტუციები, უმეტესწილად, არ შეიცავენ კონკრეტულ დებულებებს ამ საკითხებთან მიმართებით. შესაბამისად, ნაშრომის ერთ-ერთ დანიშნულებას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად არსებობს საჭიროება, რომ კონსტიტუციით განისაზღვროს მათი დამუშავების უზოგადესი საფუძვლები. გარდა ამისა, მოცემული საკითხი მჭიდრო კავშირშია პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებათა სეპარატიზაციის მიზანშეწონილობასთან.

რამდენადაც ნაშრომის ძირითადი დანიშნულებაა მონაცემთა დაცვის უფლების არსობრივი კვლევა, მის ფარგლებში აუცილებლად იქნება განხილული პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის დებულებები, რომელიც უშუალო კავშირშია დამუშავების კონსტიტუციურ საფუძვლებთან (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან მიმართებით).

უფლების კონსტიტუციით გარანტირება, ასევე, გულისხმობს უფლების დაცვის განმტკიცებას არამართო მისი რეალურ რეჟიმში დაცვის მხრივ, არამედ, ახალი გამოწვევების წინაშე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირების კუთხითაც. ამ მიზნით, ნაშრომში გაანალიზდება თუ რამდენად არის ქართული საკანონმდებლო ბაზა მზადყოფნაში იმ გამოწვევებზე საპასუხოდ, რაც სახეზეა განვითარებული

ტექნოლოგიების ფუნქციონირებიდან გამომდინარე, დამუშავების ის მოქმედებები, რაც ხორციელდება ინტერნეტის, ღრუბლოვანი სისტემებისა და მრავალფეროვანი ავტომატიზებული დამუშავების საშუალებათა მიერ არის ზემოხსენებულ გამოწვევათა ნათელი მაგალითი.

აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოკლედ ჩამოყალიბდეს ის საკითხები, რომელიც მოცემული სადისერტაციო ნაშრომისთვის წარმოადგენს ცენტრალურს, კერძოდ:

1. როგორ ხასიათდება პირადი ცხოვრების უფლების შესახებ ევროპული და ამერიკული კონცეფციები;
2. რა ადგილი უკავია პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში;
3. მიზანშეწონილია და გამართლებულია თუ არა ამ ორი უფლების განცალკევება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ცალკე ძირითად უფლებად აღიარება;
4. რომელი უფლება არის უფრო დაცული და რომელი მათგანი ექვემდებარება მეტ ჩარევას სხვადასხვა ღირსი ინტერესიდან გამომდინარე;
5. რა ღონისძიებების გატარება არის აუცილებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ფაქტობრივი უზრუნველყოფისთვის.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე საკითხების განხილვა არ ემსახურება მხოლოდ ლოკალურ ფარგლებში (საქართველოში) არსებული თემატიკისა და პრობლემების კვლევას, მისი დანიშნულებაა ზოგადად პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ანალიზი, შესაბამისად, კვლევის შემდგომ მოცემული შედეგების გამოყენება მიზანშეწონილია ექსტრა-ტერიტორიალურ კონსტექსტშიც.

ნაშრომის სიახლე

ადამიანის უფლებები სამართლის ის სფეროა, რომელიც არ გამოირჩევა მკაცრად სტატიკური შეხედულებებით. ამა თუ იმ უფლების ფარგლები, ინტერპრეტაციის გზები და ჩარჩოები დროისა და სოციალური გარემოს გათვალისწინებით, ყოველთვის ცვალებადია. ამის ნათელი მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკა, რის მიხედვითაც სასამართლოს კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს გააჩნია ერთგვარი შეფასების თავისუფლება (Margin

of Appreciation), რაც მიიჩნევა სასამართლოს ხელთ არსებულ ანალიტიკური მექანიზმად (Spielmann/შპილმანი, 2014), გვ. 1), რის დანიშნულებასაც წარმოადგენს კონკრეტული სპეციფიკური მოცემულობიდან გამომდინარე ამა თუ იმ უფლებათა ურთიერთდაბალანსება (Frantziou/ფრანციუ, 2014, გვ. 1-2). ინდივიდის უფლებები მუდმივ წონასწორობაში უნდა იმყოფებოდეს საზოგადოების სხვა წევრების უფლებებთან, რაც მიზნად ისახავს ადამიანთა საერთო თანაცხოვრებისას სამართლიანი ბალანსის მოძიებას. საქართველოს კონსტიტუციაში გაწერილი უზოგადესი პრინციპის თანახმად: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“ (მუხლი 44, პუნქტი 2).

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ერთ-ერთი იმ უფლებათაგანია, რომელზეც ყურადღება გამახვილდა სოციალური ურთიერთობებისა და საამისო საშუალებათა განვითარების პარალელურად. დებატებმა ევროპაში, ამ უფლების ფარგლების, დაცვის გზებისა და საშუალებების ირგვლივ, დაახლოებით 50 წლის წინ იჩინა თავი (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 20), ხოლო საქართველოში მის უზრუნველსაყოფად ქმედითი ნაბიჯები 2012-2013 წლებში გადაიდგა (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიღებითა და დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შექმნით). ქართული სამართლებრივი რეალობისთვის, ამ სფეროსთან დაკავშირებული მრავალი საკითხი შეუსწავლელია. ნაშრომის სიახლე გამომდინარეობს იმ ფაქტორიდანაც, რომ იგი მიზნად ისახავს განიხილოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არა როგორც სამართლის რომელიმე დარგთან ურთიერთკავშირში (მაგ. სისხლის ან სამოქალაქო სამართალი), არამედ ჩამოაყალიბოს უშუალოდ უფლების სამართლებრივი ხასიათი და ბუნება კონსტიტუციურ-სამართლებრივ (ადამიანის უფლებათა) ქრლიში.

გარდა ქართული რეალობისა, ნაშრომის მეცნიერული ღირებულება საერთაშორისო ფარგლებშიც თვალსაჩინოა: ის მცდელობები, რომელიც აქცენტს აკეთებს ზემოაღნიშნული ორი უფლების სეპარატიზაციაზე მრავალფეროვანია და განსხვავებულია მეცნიერთა ხედვებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასურველია მოიძებნოს ოპტიმალური არგუმენტები ამ უფლებათა განცალკევების დასასაბუთებლად.

ლიტერატურის მიმოხილვა

პირადი ცხოვრების უფლებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი ლიტერატურა უხვი და მრავალფეროვანია. ზოგადად, ამ თემატიკის ირგვლივ შესრულებული ნაშრომები და პუბლიკაციები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს, პირველი, რომელიც აქცენტს აკეთებს მოცემული უფლების ანალიზის ამერიკულ მიდგომებზე, ხოლო მეორე – უფლების დაცვის ევროპულ მოდელზე. მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები ორივე კონტინენტზე პოპულარობით სარგებლობს, ის ხედვები, რაც უკავშირდება ამ უფლების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნდამენტურ და მეცნიერულ კვლევას – განსხვავებულია. ეს სხვაობა ისტორიულ-კულტურული და სამართლებრივი თავისებურებებით არის გამოწვეული და ორივე შემთხვევაში საინტერესო არგუმენტებს შეიცავს.

რამდენადაც პირადი ცხოვრების უფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართ არსებული თანამედროვე მიდგომები, ძირითადად, ევროპელი და ამერიკელი მეცნიერების პუბლიკაციებს ემყარება, სადისერტაციო ნაშრომში, ძირითადად, მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურაა გამოყენებული. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანამედროვე მიდგომების ანალიზი წარმოუდგენელია მონაცემთა დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და პუბლიკაციებისგან დამოუკიდებლად, რაზეც ქვემოთ დეტალურად გამახვილდება ყურადღება.

სადისერტაციო ნაშრომი ითვალისწინებს პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების მიმოხილვას, შესაბამისად, მასში აუცილებლად იქნება გამოყენებული სტატია A Right to Privacy (Warren & Brandeis/უორენი & ბრანდისი, 1890). მიუხედავად იმისა, რომ მოცემული სტატია ჯერ კიდევ 1890 წელს გამოქვეყნდა, იგი არ კარგავს აქტუალობას მრავალი მიზეზის გამო, კერძოდ:

1. აყალიბებს უფლებას „იყო დავიწყებული“ (კონკრეტული პირის უფლება მოითხოვოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის განადგურება/წაშლა), რაც დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით არ არის მარტივად მისაღწევი;
2. ეს არის ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია, სადაც საუბარია ტექნოლოგიური მიღწევების ზეგავლენის შესახებ ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის უფლების მიმართ;

3. ავტორები, მორალურ ზიანს, რომელიც შეიძლება პიროვნებას მიადგეს პირადი სივრცის დარღვევისას, აღიარებენ მეტად საგრძნობად, ვიდრე მიყენებულ ფიზიკურ ტკივილს;

4. აღსანიშნავია, რომ სტატიაში, პირადი ცხოვრების სფეროდან გამომდინარე უფლება - პირმა თავად აირჩიოს და თანხმობის საფუძველზე გამოიხატოს საზოგადოებისთვის - პირის პრეროგატივად არის მიჩნეული.

ზოგადად, მოცემული სტატია განიხილავს თუ რა ადგილი უკავია პირად ავტონომიას სხვა უფლებებთან მიმართებით და რა კავშირები აქვს მათთან. პუბლიკაცია საინტერესოა იმიტომაც, რომ მან სათავე დაუდო დისკუსიას ამერიკელ მეცნიერთა შორის რედუქციონიზმისა და ანტირედუქციონიზმის თაობაზე.

პრივატულობის კონცეფციის მორიგ განმარტებას გვთავაზობს მეცნიერი რუთ გევისონი, რომელიც ცდილობს ახსნას პირადი ცხოვრების ნეიტრალური და ნორმატიული ფარგლები. თავის ნაშრომში *Privacy and the Limits of Law* (Gavison/გევისონი, 1980), იგი ავითარებს მოსაზრებას, რის მიხედვითაც აუცილებელია პირადი ცხოვრება განვიხილოთ ნეიტრალურ, ნორმატიულ და სამართლებრივ კონტექსტში, რათა შეგვექმნას მის შესახებ შეძლებისდაგვარად სრულყოფილი წარმოდგენა (იქვე, გვ. 423). ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნებისმიერი პირი ვინც ცდილობს გაერკვეს პირადი ცხოვრების დაცვის სამართლებრივ მოწესრიგებაში, შესაძლოა გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს. არსებობს საყოველთაო მოთხოვნა პირადი ცხოვრების უკეთესი დაცვის მიმართ, რაც გამოწვეულია ახალი საფრთხეებით და პირადი ცხოვრების უფლების სხვა უფლებებთან ურთიერთობის ხასიათის დადგენიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამგვარი ვითარება ქმნის სხვადასხვა სამართლებრივი მოწესრიგების ვერსიებს, რაც განხილვის საგანია ავტორის პუბლიკაციაში. (იქვე, გვ. 420-421). შესაბამისად, ავტორი ცდილობს განმარტოს პირადი ცხოვრების ფარგლები, როგორც დოქტრინული, ისე სასამართლო პრეცედენტების საფუძველზე. ამავდროულად ნაშრომი საყურადღებოა იმიტომაც, რომ მიმოიხილავს რედუქციონისტულ და ანტირედუქციონისტულ მიდგომებსაც, რაც პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელოვან კონცეფციებს წარმოადგენს.

თემატურად, ზემოხსენებულ პუბლიკაციებთან ერთად, სადისერტაციო თემაში მიზანშეწონილია გამოვიყენოთ დენიელ სოლოვის მონოგრაფია *Conceptualizing Privacy* (Solove/სოლოვი, 2002), რომელიც პირადი ცხოვრების უფლების კონცეპტუალიზაციის მეთოდებს მიმოიხილავს. მოცემულ პუბლიკაციაში ავტორი ავითარებს ახალ მიდგომას

პირადი სივრცის კონცეფციისთვის. პუბლიკაცია იწყება არსებული მიდგომების განხილვით, რა მიზნითაც გამოყენებულია იურისტების, სამართლის მეცნიერების, ფილოსოფოსების, ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების შეხედულებები. ავტორის აზრით, მათი თეორიები რიგ შემთხვევაში გვევლინებიან ძალზედ ვიწროდ ან ძალზედ ფართოდ. საყურადღებოა, რომ პუბლიკაცია მიზნად ისახავს მოახდინოს პრივატულობის ცნების ფორმულირება არა მკაცრად ერთი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებული მსგავსი მახასიათებელი ნიშნების მიხედვით შექმნას წარმოდგენა ამ სფეროს შესახებ. დენიელ სოლოვის აზრით, როდესაც საკითხი ეხება პირად სივრცეს, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მისი მნიშვნელობა, რაშიც გვეხმარება პირად სივრცესთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ არსებული კონტექსტუალური მიდგომა (იქვე, გვ. 1088). ამასთან, ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს თუ როგორ იცვლება პრივატულობის ცნება ისტორიულად და განმარტავს მის ღირებულებით მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისეული მსჯელობა ეყრდნობა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრეცედენტებს, ნაშრომში განვითარებული მოსაზრებები არ გამოირჩევა განსხვავებულობით იმ იდეებისგან, რაც არსებობს კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მიმდევარ სახელმწიფოებსა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკაში. მონოგრაფია ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ ავტორი გვთავაზობს პირადი ცხოვრების უფლების განმარტების ექვს სხვადასხვა მიდგომას და ახდენს მათ კრიტიკულ ანალიზს. გამომდინარე იქედან, რომ სადისერტაციო ნაშრომი, პერსონალურ მონაცემთა დაცვასან დაკავშირებული საკითხების განხილვამდე ახდენს პრივატულობის ანალიზს, მიზანშეწონილია მოცემული მონოგრაფიის გამოყენებაც.

პირადი ცხოვრების უფლებისა და მასში შემავალი ასპექტების განხილვის შემდეგ, სასურველია ყურადღება გამახვილდეს უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა ბუნებასა და იმ შესალებლობებზე, რასაც იძლევა თანამედროვეობა მათი გამოყენების მხრივ. სადისერტაციო ნაშრომში საუბარია დამუშავების კონსტიტუციურ ასპექტებზე, ანუ იმ შედეგებზე, რაც მოჰყვება დამუშავების პროცესს, მაგალითად, მონაცემთა დაცვის მიმართ არსებობს თანამედროვე მიდგომა, როგორცაა მასზე საკუთრების უფლების გავრცელება და მათი სავაჭრო ბრუნვის საგნად ქცევა. ამ კუთხით საინტერესოა პოლ შვარცის პუბლიკაცია Property, Privacy and Personal Data (Schwartz/შვარცი, 2004), სადაც ავტორი განიხილავს პერსონალურ მონაცემებს, როგორც სავაჭრო კატეგორიის საგანს და აანალიზებს იმ რისკებს, რაც სახეზეა პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით თუ მათზე

გავავრცელებთ საკუთრების უფლებას. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები და ინტერნეტი საშუალებას იძლევა მოხდეს მონაცემების უხვი რაოდენობით შეგროვება, გამოყენება და გაზიარება; აღნიშნულმა რეალობამ გამოიწვია პერსონალური ინფორმაციით ვაჭრობის მომეტებული სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გვევლინება კაპიტალის დაგროვების ახლებურ გზად, იგი ქმნის სირთულეებს ინდივიდის პირადი სფეროს დაცვის მიმართ. მომხმარებლებს და მოქალაქეებს, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ უნარი სათანადოდ აღიქვან მეთოდები, რომლის მიხედვით გროვდება მათ შესახებ არსებული ინფორმაცია. ავტორისეული პუბლიკაცია ავითარებს მიდგომას საკუთრების ობიექტად ქცეული პერსონალური ინფორმაციის მიმართ. სტატია იწყება იმ ტექნოლოგიების ანალიზითა და აღწერით, რომელიც საშუალებას გვაძლევს პერსონალური მონაცემები განვიხილოთ, როგორც სავაჭრო საქონელი. სტატია გვთავაზობს ხუთ აუცილებელ ელემენტს, რომელიც გამოიყენება საკუთრების ობიექტად ქცეული პერსონალური მონაცემების მიმართ და მიზნად ისახავს შექმნას ისეთი საბაზრო პირობები, სადაც ინდივიდის პირადი ცხოვრება და, ზოგადად, დემოკრატიული წესრიგი არის შენარჩუნებული. ეს ხუთი ელემენტი მოიცავს შემდეგს:

1. ინდივიდებისთვის პერსონალური მონაცემების გასხვისების უფლების შეზღუდვა;
2. წესები, რომელიც სავალდებულოს ხდის სავაჭრო პირობების გასაჯაროვებას;
3. საბაზრო აქტორებისთვის ბაზრიდან „გასვლის“ უფლება;
4. ზიანის ანაზღაურების დაწესება საბაზრო პირობების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით;
5. შესაბამისი ინსტიტუციების მიერ პერსონალურ მონაცემთა ბაზრის შემოწმება და პირადი სივრცის დარღვევათა სანქცირება.

ამავდროულად, სტატია ეხება ტექნოლოგიებს, რომელიც უკვე დანერგილია მონაცემთა ვაჭრობის კონტექსტში და განიხილავს შედეგებს, რაც შესაძლოა მივიღოთ შემოთავაზებული მოდელის ამოქმედების შემთხვევაში (იქვე, გვ. 2056). სტატია საინტერესოა, რამდენადაც მასში განხილულია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობა და მონაცემთა სუბიექტებისგან დამოუკიდებლად მათი კომერციალიზაცია, თავად ამ პირთა ინფორმირებულობის გარეშე.

მორიგი პუბლიკაცია, რომელიც მიმოიხილავს მონაცემთა კომერციალიზაციის საკითხს არის Privacy Paradox 2.0 (Holland/ჰოლანდი, 2010), სადაც ავტორი განიხილავს

პერსონალურ მონაცემთა „ბაზარს,“ როგორც თანამედროვეობის ღირებულებას და აქცენტს აკეთებს მონაცემთა დამმუშავებლის შესაძლო ქმედებებსა და პრაქტიკაზე პერსონალური ინფორმაციის გამოყენების კუთხით. ავტორის აზრით, ინდივიდები გამუდმებით გამოხატავენ უკმაყოფილებას პირადი ცხოვრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით, როდესაც მათ მიერ ხდება სამომხმარებლო, სოციალური და კომერციული ურთიერთობის დამყარება მესამე მხარეებთან, ასევე, იმ შედეგების თაობაზე, რაც თან ახლავს პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავის შეკავებას. აღნიშნულს, უმეტესწილად, ადგილი აქვს ონლაინ სივრცეში. პრაქტიკაში, ინდივიდი ყოველთვის ეხება საკუთარი პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ რისკებს, თუმცა მისი მონაცემი სათანადოდ არ არის ღირებული. ეს მოვლენა, ხშირ შემთხვევაში იწოდება, როგორც პრივატულობის პარადოქსი, რაც იწვევს ინდივიდების სურვილებისა და მოლოდინების შეუთავსებლობას ფაქტობრივ შედეგებთან მიმართებით. ამავდროულად, სოციალური ქსელების მოქმედება უფრო მეტად ახდენს ამ პარადოქსის გამძაფრებას. შესაბამისად, იზრდება მონაცემთა გაცემის ოდენობა და ხარისხი. აღნიშნული აქვეითებს შესაბამისი პოლიტიკის წესების ეფექტურობას, რის მიხედვითაც უნდა მოქმედებდეს ნებისმიერი კომპანია მათი გამოყენებისას. ავტორის მიზანია აღწეროს პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით არსებული საბაზრო პირობები და ზემოაღნიშნული პარადოქსული ვითარება. სტატიაში მოცემულია პირობები, რომელიც გავლენას ახდენს მოცემულ რეალობაზე, მათგან პირველია ინდივიდების სოციალურ ქსელში ინტეგრირება, რაც იწვევს მათი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას დამმუშავებლის (სოციალური ქსელის) მიმართ. მეორე მხრივ კი, გასათვალისწინებელია ინფორმაციის გაცვლის ის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია შეთანხმებაზე, რის თანახმადაც სოციალური ქსელები ხდებიან პერსონალური ინფორმაციით მოსარგებლეები (ბენეფიციარები). აქედან გამომდინარე, ავტორი ყურადღებას ამახვილებს შესაბამისი დოკუმენტის არსებობის აუცილებლობაზე ორგანიზაციის შიგნით, რომელიც რიგ შემთხვევაში იწოდება, როგორც კონფიდენციალურობის პოლიტიკა, თუმცა, მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას. მათი მთავარი დანიშნულება მდგომარეობს მონაცემთა შეგროვების, შენახვის, გამოყენებისა და გადაცემის მოწესრიგებაში. მიუხედავად ამისა, ავტორი მიიჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში, მსგავსი დებულებები არასწორადაა გაგებული, რამდენადაც სათანადოდ ვერ პასუხობს და ვერ ახდენს პერსონალური ინფორმაციის დამმუშავების თანხმობის საფუძველზე განხორციელებას, ან მეორე შემთხვევაში იცავს მას გადამეტებულად, რაც იწვევს

სოციალურად ღირებული კომუნიკაციების საშუალებათა ფუნქციის დაქვეითებას. ამ ანალიზის შესაბამისად, ავტორი გვთავაზობს მეტად გამოსადეგ გამოსავალს ვიდრე არსებული შეტყობინება-არჩევანის სისტემა პირადი სივრცის დაცვისას. მისი აზრით, სასურველია აუცილებელი მინიმალური შეზღუდვების დაწესება პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, შენახვის, გამოყენებისა და გადაცემის ნაწილში, რომელიც დაიცავს ბალანსს მონაცემთა სუბიექტის ინტერესებსა და დამმუშავებლის ინტერესებს შორის. სტატია იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ინფორმაციის გამოყენების მაგალითები აგებულია თანამედროვე სოციალური ქსელების მიერ დანერგილ პრაქტიკასა და მათ მიდგომებზე. სტატიის მთავარი აქცენტია საკითხი, თუ რამდენად ხდება პერსონალურ მონაცემთა უნებართვო გასაჯაროება კომერციული კომპანიების მიერ მოგების მიღების მიზნით და რა რეგულაციებს შეიძლება დაეჭვემდებაროს იგი.

სოციალური ქსელების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხს ეხება სტატია Privacy in Social Software (Berg, Pöttsch, Leenes, Borcea-Pfitzmann & Beato/ბერგი, პოცში, ლინსი, ბორეკა-ფიცმანი, ბეატო, 2011). ავტორთა აზრით, სოციალური ქსელებით სარგებლობისას და საზოგადოების წევრებთან კომუნიკაციის პერიოდში, მომხმარებლები თავიანთი თავის შესახებ ბევრ ინფორმაციას აზიარებენ. ამ მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანია მათ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც მათ აქვთ ლეგიტიმური ინტერესი იცოდნენ თუ ვის გადაეცა ეს ინფორმაცია. მოცემულ სტატიაში გაანალიზებულია ეს პრობლემატიკა, რის შესაბამისადაც ავტორები გვთავაზობენ გადაჭრის შესაბამის გზებს ორი სახის კომუნიკაციის საშუალებისთვის - სოციალური ქსელები და ვებ-ფორუმები (იქვე, გვ. 33).

მორიგი პუბლიკაცია - Privacy in Context (Nissenbaum/ნისენბაუმი, 2010), განიხილავს პირად ცხოვრებასთან, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ და პიროვნების სოციალურ გარემოში ინტეგრირების კონტექსტუალურ საკითხებს. ამ მხრივ, ავტორი განიხილავს პრივატულობის თეორიულ საკითხებს და, ასევე, ახდენს პიროვნების უფლების დაცვის პრაქტიკული რეალიზაციის ანალიზსაც. ავტორის აზრით, საზოგადოებას ყველაზე მეტად სურს არა ის, რომ უბრალოდ შეიზღუდოს ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, არამედ მოხდეს მათი მიზნობრივი გამოყენება. მისი აზრით, მნიშვნელოვანია საზოგადოებას გავაცნოთ და საშუალება მივცეთ აღიქვან ახალი ტექნოლოგიები, რაც შემდგომ აყალიბებს ანგარიშვალდებულების პრინციპს და უფლების დაცვის ნაწილში სამართლებრივი მოთხოვნების წარდგენის შესაძლებლობას დამმუშავებლების მიმართ (იქვე, გვ. 2). პუბლიკაციაში თავს იყრის ისეთი საკითხები,

როგორცაა ტექნოლოგიებისა და თანამედროვე მიღწევების მოკლე ანალიზი, ასევე, საკითხები, რომელიც საფრთხეს უქმნის პრივატულ სფეროს, კერძოდ: მიკვლევადობა და მონიტორინგი, მონაცემთა აკუმულირება და ანალიზი, გავრცელება და გამოქვეყნება (იქვე, გვ. 11). აღსანიშნავია, რომ მოცემული პუბლიკაცია არ არის უპირატესად მოწოდებული მოგვევლინოს, როგორც პირადი სივრცის კონცეფციის ერთგვარი განმმარტებელი, შესაბამისად, იგი არ ცდილობს განსაზღვროს თუ რას წარმოადგენს პირადი სივრცის ცნება. ამის საპირისპიროდ, სახელმძღვანელო ორიენტირებულია პირადი სივრცის დაცვაზე იმ ნაწილში, რაც გულისხმობს ტექნოლოგიური სისტემებისა და შესაბამისი საშუალებების გამოყენებით წარმოშობილ სირთულეებსა და წინააღმდეგობრივ შედეგებზე დაცვის ადეკვატური მეთოდის მოძიებას (იქვე, გვ. 3). მათი განხილვა სასურველია იმ საკითხებთან პარალელის გასავლებლად, რაც მოცემულია უორენისა და ბრანდისის ერთობლივ სტატიაში. საყურადღებოა, რომ ავტორი საზოგადოებაში ინტეგრაციის უპირველეს საშუალებად პერსონალურ მონაცემებს განიხილავს, ამავდროულად, უთითებს, რომ ამგვარი ინტეგრაცია განსხვავდება სოციალურ-კულტურული რეალობიდან გამომდინარე (იქვე, გვ. 15). ავტორი საკვანძო საკითხებს არ განიხილავს მხოლოდ აშშ-ის სამართლებრივი კონტექსტიდან გამომდინარე და პარალელს ავლებს მონაცემთა დაცვის ევროპულ დირექტივასთან, კანადურ პრეცედენტებთან და გაერთიანებულ სამეფოში არსებულ გამოცდილებასთან ვიდეოთვალთვალის განხორციელების სტანდარტების მიხედვით.

საინტერესოა რამდენად ხასიათდება ცნება „პირადი ცხოვრება“ ცვალებადი ხასიათით დროისა და კულტურულ-სოციალური რეალობის გათვალისწინებით. ამ საკითხს ყურადღება ეთმობა სტატიაში *The Evolution (or Devolution) of Privacy* (Kasper/კასპერი, 2005). ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ინდივიდთა მიერ პრივატულობის აღქმა დროისა და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ცვალებადი ხდება. ინდივიდების მიერ პირადი ცხოვრების აღქმა იცვლება სოციოლოგიური და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, ამიტომ მოცემული სფეროს ამომწურავი განსაზღვრვა სულ უფრო მეტად რთული ხდება. საინტერესოა ავტორისეული პოზიცია იმითაც, რომ იგი პრივატულობას განიხილავს არამხოლოდ როგორც მოცემულობას, არამედ ამ უფლების დაცვის საწყის წერტილად მიიჩნევს მასში ჩარევის, ანუ უფლების სამართლებრივი და ფაქტობრივი შეზღუდვის მომენტს (იქვე, გვ. 69). გარდა ამისა, პუბლიკაციაში ყურადღება გამახვილებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თანამედროვე და კლასიკურ

თეორიებზე. ზოგადად, სტატია მიზნად ისახავს მოიძიოს ოპტიმალური ბალანსი პირადი ცხოვრების მრავალი კონცეფციის განხილვის მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების უფლება, როგორც აშშ-ში, ისე ევროპის ფარგლებშიც აქტუალობით გამოირჩევა და პრივატულობის თეორიებიც არაერთხელ არის განხილული, უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვა პირადი ცხოვრების ის ნაწილია, რომელიც მეტადაა განვითარებული ევროპის კონტინენტზე მთელი რიგი სამართლებრივი აქტების მოქმედების გამო. პერსონალური მონაცემების შესახებ არაერთი კვლევა და რეკომენდაციაა გამოცემული და მიიჩნევა, რომ მონაცემთა დაცვის, როგორც უფლების, მიმართ ევროპელები მეტ ყურადღებას იჩენენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს პუბლიკაცია *Is it 'Me' or 'We'? Genetic Regulations and the Meaning of 'Personal Data' under the Data Protection Directive* (Gertz/გერტცი, 2004), სადაც ავტორი მიმოიხილავს პერსონალური მონაცემების ცნებისა და განმარტების პრობლემატიკას და, ასევე, აღწერს საკითხს გენეტიკური მონაცემებისა და სისხლით ნათესაობის შემთხვევაში შთამომავლის უფლების საკითხს, წინაპრის გენეტიკურ მონაცემებთან მიმართებით. ეს სტატია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ავტორი ახდენს შედარებით ანალიზს პერსონალურ მონაცემთა დეფინიციის მხრივ ევროპული კავშირის კანონმდებლობისა და ევროპული კავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებულ კანონმდებლობებს შორის.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში საინტერესოა იმის განხილვაც თუ როგორ აღიქმება პირადი ცხოვრების უფლება ევროპის მასშტაბით. ამ მხრივ, საყურადღებოა პუბლიკაცია *Personal Freedom through Human Rights Law?* (Marshall/მარშალი, 2009), სადაც ავტორი განიხილავს პირადი ცხოვრების უფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე დაყრდნობით. ავტორის მითითებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთხელ მოიხსენიებს პირად ცხოვრებას, როგორც ფართო განმარტების საგანს. იგი მოიცავს ასპექტებს ინდივიდის სოციალური და ფიზიკური მონაცემების შესახებ, მათ შორის, ზოგადად პიროვნული ავტონომიის პრინციპს, პიროვნულ განვითარებას, რომლის თანახმად სუბიექტს შეუძლია დაამყაროს კონტაქტი სხვა ინდივიდებთან და, ზოგადად, გარესამყაროსთან. ეს უფლება უზრუნველყოფს პირის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ინტეგრაციას, რაც აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას - ყველა ინდივიდს შეუქმნას ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა (იქვე, გვ. 1). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ავტორი ცდილობს დაადგინოს თუ რამდენადაა შესაძლებელი პირადი ცხოვრების უფლება დავიყვანოთ

მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვამდე ან პირისათვის ავტონომიის მინიჭებამდე. ამ მიზნით ავტორი განსახილველი საკითხების ანალიზს ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყველა იმ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, რაც პირად ცხოვრებასთან მიმართებით არსებობს. აქცენტი კეთდება იმ განმარტებებზე, რომელიც მოცემულია მეცნიერებისა და სტრასბურგის საერთაშორისო დაწესებულებათა მიერ, სადაც გასათვალისწინებელია უფლების განმარტების ქრონოლოგიური ცვალებადობის საკითხიც პირადი ავტონომიის ინტერპრეტირებისას. გარდა ამისა, ავტორი განიხილავს პიროვნული იდენტიფიცირების, პირადი თავისუფლებისა და თვითგამორკვევის საკითხებს წარმომავლობის გარკვევის უფლების ჭრილში, როგორც სამართლებრივი, ისე ფილოსოფიური კუთხითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით (იქვე, გვ. 5).

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების უფლებებს შორის კორელაციას ეხება სტატია *Private Law Solutions in European Data Protection: Relationship to Privacy, and Waiver of Data Protection Rights* (Purtova/პურტოვა, 2010), სადაც ავტორი საუბრობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ინტერპრეტაციის ფარგლების შესახებ. უფრო კონკრეტულად, ავტორი განიხილავს იმის შესაძლებლობას თუ რამდენადაა დასაშვები კონვენციის მე-8 მუხლის განმარტების მიღმა დარჩეს მონაცემთა დაცვის უფლების საკითხი, როდესაც საუბარია სპეციფიკური, საჯარო სამართლისთვის არადამახასიათებელ ურთიერთობებზე. ამავდროულად, ავტორი მიზნად ისახავს განსაზღვროს თუ რამდენადაა შესაძლებელი კერძოსამართლებრივი მიდგომების გავრცელება მონაცემთა დაცვაზე. მისი აზრით ევროპული სამართლებრივი წესრიგი მკაფიოდ არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელშეკრულებო და საკუთრების უფლებიდან წარმოშობილი უფლებები გავრცელდეს პერსონალურ მონაცემებზე, რამდენადაც მსგავსი შეზღუდვა უპირატესად ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება. ავტორის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სისტემა იცავს პერსონალურ მონაცემებს და განიხილავს მას კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა) ფარგლებში, რომელიც ფართო ნორმად გვევლინება. შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლი წარმოადგენს ბაზისს, რათა სახელშეკრულებო თავისუფლება ამ სფეროში შეიზღუდოს (იქვე, გვ. 1). პუბლიკაცია აანალიზებს იმ შედეგებსაც, რაც შეიძლება მოჰყვეს პირადი ცხოვრების უფლებისგან მონაცემთა დაცვის უფლების გამიჯვნას.

ერთ-ერთი თანამედროვე პრობლემატიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით ეხება ელექტრონულ იდენტიფიცირებას და, ზოგადად, უსაფრთხოებას. ამ საკითხებს განიხილავს სტატია Identity Management of e-ID, Privacy and Security in Europe. A Human Rights View (Hert/ჰერტი, 2008). პირადი სივრცის დაცვის მხრივ, იდენტიფიცირების გამაძლიერებელ საშუალებათა მართვით, საბოლოო მომხმარებლებს ეძლევათ უკეთესი საშუალება მოახდინონ იდენტიფიცირება. ავტორის აზრით, იდენტიფიცირების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა აძლიერებს პირადი სივრცის დაცვას, რაც შესაძლოა წარმოადგენდეს ევროპული კავშირის დირექტივის მოთხოვნას. ამ პროცესის მიმდინარეობისას შესამჩნევია ხელისუფლების ინტერესიც, რამდენადაც სახელისუფლო სტრუქტურები მონაცემთა დამუშავების ინტენსიურობით გამოირჩევიან, თავის მხრივ, იგი ინტერესის საგანს წარმოადგენს კანონმდებლებისა და წესების დამდგენთათვის. მორიგი გამოწვევა ეხება კერძო სექტორს, როდესაც აუცილებელია შესაბამისი ბალანსის მოძიება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფასა და პირადი სივრცის დამცავი გაძლიერებული ტექნოლოგიების დანერგვას შორის. ამ გამოწვევათა მოკლე ანალიზის შემდეგ, ავტორი განიხილავს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხს ციფრული იდენტურობის განსაზღვრისა და შემდგომი მართვის კრილში, სადაც იყენებს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც აღიარებს ვინაობის ციფრული დაცვისა და უსაფრთხოების პირობას (იქვე, გვ. 71).

მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ თანამედროვე მეთოდებს ეთმობა სტატია Who Controls the Cloud? (Leenes/ლინსი, 2010). პერსონალურ მონაცემთა დაცვის წინაშე მდგარ ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ე.წ. ღრუბლოვანი სისტემის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. მოცემული სტატია ეხება სწორედ აღნიშნულ საკითხებს, კონკრეტულად კი ევროდირექტივის მოქმედების ფარგლებს პერსონალური მონაცემების ღრუბლოვანი სისტემის მეშვეობით დამუშავების დროს. მეტიც, ავტორი იხილავს მონაცემთა დამუშავებლის, უფლებამოსილი პირისა და მონაცემთა სუბიექტის ცნებების გამოსადეგობას მოცემულ სივრცეში მონაცემთა დამუშავებისას. ავტორის აზრით, ამ სისტემის თავისებურებები უნდა იქნეს განხილული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენადაც ევროდირექტივა არ იძლევა უფლების დაცვის საკმარის საფუძველს.

საინტერესო მსჯელობაა მოცემული პუბლიკაციაში Data Protection in the Case Law of Strasbourg and Luxemburg: Constitutionalisation in Action (Hert & Gutwirth/ჰერტი და გუთვირტი, 2009), სადაც ავტორები უთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის ინტერპრეტაციის საკითხზე და მის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ადგილზე. ასევე, ყურადღება გამახვილებულია მონაცემთა დაცვისა და პრივატულობის უფლებათა გამიჯვნასა და მათთვის ცალკე, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მინიჭებაზე. ავტორთა აზრით, ამ ორი უფლების სეპარატიზაციის საკითხი არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის დავალებას და მას მეტად გლობალური დანიშნულება გააჩნია. ამ მიზნით, ისინი განიხილავენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, სადაც აქცენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებაზეა გაკეთებული. საინტერესოა სტატიაში მოცემული მიდგომა, უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე არ იზიარებს „დაცვით“ ელემენტებს, ისეთს, როგორც გვთავაზობს პირადი ცხოვრების უფლება და ამ კუთხით, მას ღია, მეტად საჯარო ხასიათი გააჩნია. მოცემული პუბლიკაციის ანალიზი სადისერტაციო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც ნაშრომის ერთ-ერთი საკითხი ეხება ამ ორი უფლების სეპარატიზაციის მართებულობას. ამასთან, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებისა, სტატიაში განხილულია მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებებიც, რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის დირექტივის (95/46/EC) გამოყენებას „შიდა ბაზრის“ გარეთ არსებულ ურთიერთობებზე. ამით ხაზგასმულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის, როგორც ძირითადი უფლების როლი ევროპული კავშირის წევრ ქვეყნებშიც.

ზოგადად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სტანდარტები განსხვავდება ამერიკული და ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. აღნიშნული განსხვავება თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოწვევაა პერსონალურ მონაცემთა საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფის კუთხით, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში. ამ საკითხს ეხება სტატია *Resolving Conflicting International Data Protection Rules in Cyberspace* (Reidenberg/რეიდენბერგი, 2000). პერსონალური ინფორმაციის საერთაშორისო გადადინება ინტერნეტის მეშვეობით წარმოშობს გამოწვევებს მათი დაცვის მიმართ და იწვევს განსხვავებული შიდასახელმწიფოებრივი წესებისა და პოლიტიკის დაპირისპირებას. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალური ინფორმაციის მიმართ არსებული სამართლიანი გამოყენების საკვანძო პრინციპები სხვადასხვა დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთმანეთის მსგავსია, პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებული უფლებები განსხვავდება შიდასახელმწიფოებრივი ნორმების შესაბამისად. ამდენად, ავტორი განიხილავს განსხვავებებს, რომელიც არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის

მიმართ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი მოწესრიგების საფუძველზე. მისი აზრით პირადი ცხოვრების დაცვის კონკრეტულ წესებს გააჩნია სახელმწიფოებრივი დატვირთვა. სტატიის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივი მიდგომები განსხვავდება დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული მეთოდური მიდგომების საფუძველზე, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოზე, ბაზარსა და ინდივიდზე: ერთ შემთხვევაში, აქცენტია ბაზარზე დაფუძნებულ მმართველობაზე, მეორე მხრივ, საქმე გვაქვს დამცავ, უფლებებზე ორიენტირებულ მმართველობაზე. შესაბამისად, არსობრივი განსხვავებები აუცილებელს ხდის საერთაშორისო თანამშრომლობას კიბერსივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეფექტურობის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, იგი გვთავაზობს კონცეპტუალურ მიდგომას ინფორმაციული დაცვის შესახებ, რომელიც თავიდან აიცილებს კონფონტაციას სახელისუფლო არჩევანთან მიმართებაში. მისი თეორია განიხილავს ინსტიტუციური მოთამაშეების, ტექნიკური წესების, პროცესში ჩართულ პირთა და შემდგომში ინფორმაციული დაცვის თაობაზე ძირითადი შეთანხმების მიღების საკითხს, ორმხრივად სასარგებლო და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მიღების მიზნით. სტატიაში მოცემულია ამ პროცესის განხორციელების სტრატეგიები, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო კოოპერაციისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფას მათი საერთაშორისო ტრანსფერისას (იქვე, გვ. 1315).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე ყურადღებას ამახვილებს პუბლიკაცია მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, იურისტების სამყარო, თარგმანი, 2015). იგი სისტემურად განიხილავს ევროპის ფარგლებში მოქმედ რეგულაციებს პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით. პუბლიკაციის მნიშვნელობა ვლინდება იმითაც, რომ მასში ასახულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეჟიმები, როგორც ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი სამართლებრივი აქტების, ისე ევროპულ კავშირში არსებული წესების მიხედვით. ამასთან, სახელმძღვანელოში მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები. პუბლიკაცია მეტწილად აქცენტირებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრაქტიკულ საკითხებზე, ვიდრე ამ უფლების თეორიულ ნაწილზე, თუმცა მისი მნიშვნელობა სადისერტაციო ნაშრომისთვის თვალნათელია, ვინაიდან კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს პერსონალურ მონაცემთა

დაცვის უფლების სეპარატიზაციის მიზანშეწონილობა. პუბლიკაცია მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომისთვის, რამდენადაც გაანალიზებულია შემდეგი საყურადღებო საკითხები: მისი პირველი თავი ეხება მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის კონტექსტსა და საფუძვლებს, სადაც განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების უზრუნველყოფი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ამ უფლების მიმართების საკითხი სხვა ძირითად უფლებებთან, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის მიღების უფლება; მეორე თავში განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვანძო ტერმინოლოგია და სასამართლოთა მიერ მათი ინტერპრეტაციის ფარგლები; მესამე თავი ყურადღებას ამახვილებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებზე, რომელიც თანაბრად გამოიყენება, როგორც ევროპული კავშირის, ისე ევროპის საბჭოს სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში; მეოთხე თავში საუბარია მონაცემთა დამუშავების საფუძვლებზე, რომელიც დიფერენცირებულია დასამუშავებელი მონაცემების კატეგორიების მიხედვით. მოცემულ თავში განხილულია დამუშავების საფუძვლები ორივე სამართლებრივი წესრიგის მიხედვით. დამუშავების საფუძვლებთან ერთად, ამ თავში განხილულია მონაცემთა უსაფრთხოების ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღების აუცილებლობის საკითხი, როგორც იმპერატიული მოთხოვნა დამუშავების ლეგიტიმურობისთვის; მეხუთე თავი ეხება მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. ამავდროულად, საყურადღებოა ის გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება მონაცემთა სუბიექტის მნიშვნელოვანი უფლების რეალიზაციის საკითხებს, კერძოდ, ინფორმაციის წაშლას, შეცვლასა და მოდიფიცირებას; მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის საკითხს პუბლიკაციაში მეექვსე თავი ეთმობა. ამ შემთხვევაში სამართლებრივი წესრიგი, რომელიც შემოთავაზებულია ევროდირექტივითა და ევროკონვენციით განსხვავებულია. მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის არსებობის გამო, ევროპული კავშირის ფარგლებს გარეთ მონაცემთა გადაცემა მეტად ექვემდებარება სამართლებრივ კონტროლსა და ლიმიტირებას. მიუხედავად ამისა, გარკვეულ შეზღუდვებს შეიცავს ევროკონვენციაც, რაც საბოლოოდ განხილულია სასამართლო გადაწყვეტილებათა კონტექსტშიც; პუბლიკაციის მეშვიდე თავი დამუშავების სპეციალურ წესებზე ამახვილებს ყურადღებას, აქ ძირითადად, საუბარია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კონტექსტში და კანონის აღსრულების მიზნით გამოყენებული საერთაშორისო აქტების ანალიზზე; ნაშრომის ბოლო, მერვე, თავში განხილულია დამუშავების სხვა სპეციფიკური შემთხვევები, რომელიც მოიცავს ევროპულ სივრცეში ელექტორნული კომუნიკაციების,

დასაქმების შესახებ არსებული მონაცემების, ჯანმრთელობის შესახებ არსებული სამედიცინო მონაცემების, სტატისტიკური ანალიზის წარმოების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ფინანსური მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თანამედროვე სტანდარტების განხილვისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ისეთ კონცეფციაზე, როგორცაა Privacy by Design. მის დანიშნულებას წარმოადგენს ორგანიზაციებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის იმგვარი წესების დადგენა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს, როგორც ინდივიდთა უფლებებზე, ასევე, დამმუშავებლის ინტერესებზე ამა თუ იმ პერსონალური მონაცემის გამოყენების შემთხვევაში. აღნიშნულ კონცეფციას ეხება პუბლიკაცია Privacy by Design კონცეფცია სამართალში, რეგულირებასა და პრაქტიკაში (ანა კავუკიანი, იურისტების სამყარო, თარგმანი, 2016). სახელმძღვანელოში ავტორი გვთავაზობს მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია შვიდ ძირითად პრინციპზე და განიხილავს მათ აუცილებელ კომპონენტად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ყოველმხრივ სასარგებლო მიდგომის უზრუნველსაყოფად. უფრო კონკრეტულად, ეს პრინციპებია:

1. პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართ პროაქტიული მიდგომა, რაც უზრუნველყოფს დაცვის შესაბამისი წესებისთვის პრევენციული ხასიათის მინიჭებას და არა რეაქტიული, მომხდარი ფაქტის შემდგომ ღონისძიებების გამოყენებას;
2. პრივატული სივრცის დაცვა, რომელიც უნდა გვევლინებოდეს თანდაყოლილ ფუნქციად ორგანიზაციის შიგნით არსებული ნებისმიერი საქმიანობისთვის, სადაც გამოიყენება პერსონალური მონაცემები
3. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხს და ამ დამუშავებისას შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარებას. აქცენტი, პირველ რიგში, კეთდება ტექნოლოგიური უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით მონაცემთა დამუშავების სიმარტივის გამო, შესაბამისი დამცავი ფუნქციების დანერგვა ორმაგად მნიშვნელოვანია;
4. ორმხრივად სასარგებლო მიდგომა ერთ-ერთი მთავარია აღნიშნულ პრინციპთაგან. ავტორის აზრით, მონაცემთა დაცვის წესების უზრუნველყოფა არ უნდა წარმოადგენდეს „ტვირთს“ ორგანიზაციებისთვის, შესაბამისად, მათი უზრუნველყოფა არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც მარტოოდენ სავალდებულო მოთხოვნა. ამ პრინციპის მიხედვით, შესაძლებელია მოიძებნოს ოპტიმალური ბალანსი ფიზიკური პირისა და ორგანიზაციის

ინტერესებს შორის, რაც შედეგად იწვევს ორივე მხარისთვის მომგებიანი გადაწყვეტილებების გამოტანის შესაძლებლობებს;

5. მონაცემთა სრული ციკლით დაცვა ეხება დამუშავების მთელ პროცესს და დამუშავების პროცესის ბოლოს უზრუნველყოფს უსარგებლო პერსონალური მონაცემების უსაფრთხო განადგურებას;

6. დამუშავების მთელი პროცესი ფიზიკური პირებისთვის უნდა იყოს ხილვადი.

აღნიშნულ პირობას უზრუნველყოფს გამჭვირვალობის პრინციპი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს თვალი ადევნონ მათი პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ წესებსა და ოპერაციებს;

7. სუბიექტზე ორიენტირება - ჩამოთვლილთაგან ბოლო პრინციპია, რომლის თანახმადაც პერსონალური მონაცემების დამუშავების წესების ნებისმიერი ცვლილება უნდა ახდენდეს ფიზიკური პირის ინტერესების გათვალისწინებასაც. შესაბამისად, სამომავლოდ, მომხმარებელზე ორიენტირებული წესების გატარება ახდენს უზრუნველყოფს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული გარკვეული წესები არ მიიღებოდეს მხოლოდ ერთი მხარის, ამ შემთხვევაში, დამმუშავებლის სასარგებლოდ.

შეჯამებისას, აღსანიშნავია, რომ ლიტერატურის მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, შესაბამისად, კვლევის ფარგლებში მიზანშეწონილია სხვა მნიშვნელოვანი და შესაბამისი ლიტერატურის გამოყენებაც.

საერთაშორისო აქტების მიმოხილვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიღებას, ძირითადად, ადგილი ჰქონდა მე-20 საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლების პერიოდში, როდესაც ინფორმაციული ტექნოლოგიები ინტენსიურ გამოყენებას დაექვემდებარა. ამ კუთხით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო აქტების ფორმირებამ დიდი წვლილი შეიტანა დღეს არსებული პრაქტიკისა და მიდგომების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომისთვის მიზანშეწონილია განვიხილოთ ამ სფეროში არსებული საკვანძო მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები.

პირველი საერთაშორისო აქტი, რომელიც ეხება პერსონალური მონაცემების დაცვას არის ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური

დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (ხშირად მას მოიხსენიებენ როგორც ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციას). იგი მიიღეს 1981 წლის 28 იანვარს, ხოლო საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიცირება მოახდინა 2005 წლის 28 ოქტომბერს. 108-ე კონვენცია არის ამ სფეროში ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის რატიფიცირებაც შეუძლია ევროპის საბჭოს არაწევრ ქვეყანასაც კი. მისი დანიშნულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროსთვის უდიდესია, ამ აქტში პირველად გაიწერა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვანძო წესები. მისი გავრცელების ფარგლები უწყებრივად არ არის შეზღუდული და ეხება, როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებების მიერ დამუშავებას. ამავდროულად, კონვენციამ განამტკიცა მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები, რომელიც შემდგომ განივრცო სხვა საერთაშორისო სამართლებრივი და შიდასახელმწიფოებრივი აქტებით. ეს პრინციპები ეხება მონაცემთა სამართლიან და კანონიერ შეგროვებას, შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არსებობის აუცილებლობას დამუშავების პროცესისთვის, პროპორციულობის პრინციპის დაცვას, რაც გულისხმობს მიზანთან თავსებადი და შესაბამისი მონაცემების გამოყენებას, გარდა ამისა, განამტკიცებს შესაბამისი ვადით დამუშავების პრინციპს, რომელიც ავალდებულებს დამუშავებლებს ინფორმაციის განადგურებას შენახვის მიზნის არარსებობის შემთხვევაში (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო & ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 20-23). აღნიშნულ კონვენციასთან ერთად, საქართველოს პარლამენტმა 2013 წელს, განახორციელა მისი დამატებითი ოქმის - ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით (2001) - რატიფიცირებაც. იგი ეხება პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის საკითხს ევროპის საბჭოს ფარგლებს გარეთ და საზედამხედველო ორგანოს სავალდებულო არსებობის საკითხს ხელმომწერ სახელმწიფოებში. აღნიშნული კონვენციის დებულებათა განხილვა აუცილებელია მოცემული დისერტაციის მიზნებისთვის, რამდენადაც:

1. ზემოხსენებული აქტი საქართველოს პარლამენტის მიერაა რატიფიცირებული და ნორმატიული აქტების იერარქიაში უპირატეს ადგილს იკავებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიმართ; და
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული მოდელი ეფუძნება იმ მიდგომებს, რომელიც შემოთავაზებულია ამ აქტით.

მორიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვას ეხება მიიღეს ევროპული კავშირის ფარგლებში 1995 წლის 24 ოქტომბერს.

ევროპული პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 95/46/EC პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემთა თავისუფალი გადაადგილებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ 108-ე კონვენციასთან შედარებით წარმოადგენს მეტად დეტალიზებულ დოკუმენტს და შეიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დაკონკრეტებულ დებულებებს. ზოგადად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის დირექტივის შექმნის მიზანი პირადი ცხოვრების დაცვის უფლების იმ პრინციპების გამყარება და განვრცობა იყო, რომელიც მოცემულია ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციით (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო & ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 24). მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ დირექტივას არ გააჩნია სავალდებულო ძალა ქართული კანონმდებლობის მიმართ, ევროპულ კავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მე-14 მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის იმგვარი შიდასახელმწიფოებრივი დონე და სტანდარტები, რაც მოცემულია 95/46/EC დირექტივით. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ დირექტივის თანახმად, ევროპული კავშირის ფარგლებში ფუნქციონირებს სამუშაო ჯგუფი (Article 29 Data Protection Working Party - მუხლი 29 მონაცემთა დაცვის სამუშაო ჯგუფი), რომელიც წარმოადგენს ძალზედ ავტორიტეტულ საკონსულტაციო ორგანოს და ახორციელებს არაერთ განმარტებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფარგლებში არსებულ საკვანძო საკითხებზე და ახორციელებს შესაბამისი რეკომენდაციების გამოცემას.

ევროპული კავშირის ფარგლებში მოქმედ მორიგ მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2002/58/EC დირექტივა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ (პირადი ცხოვრებისა და ელექტრონული კომუნიკაციების დირექტივა). აღნიშნული დოკუმენტი ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს ელექტრონულ სივრცეში, სატელეკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცედურებს. საყურადღებოა, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება უმეტესწილად ხდება ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად, ორმაგად მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინება. სწორედ ასეთ სტანდარტებს ამკვიდრებს მოცემული დირექტივა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით ელექტრონულ სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხი რეგულირდება

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით (აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით, თუმცა ზოგადი დებულებების შემცველია).

მონაცემთა დაცვის მოწინავე ინსტრუმენტებიდან ნაშრომში განხილული იქნება ევროპული კავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის (GDPR) დებულებებიც. ამ ეტაპზე, მისი საბოლოო ამოქმედება 2018 წლისთვის არის განსაზღვრული. ეს დოკუმენტი წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, რამდენადაც მას პირდაპირ მოქმედი ძალა ექნება წევრ სახელმწიფოებში, რაც ამ სფეროს მიმართ უზრუნველყოფს მეტად უნიფიცირებულ მიდგომას.

მიზანშეწონილია განვიხილოთ ის მიზეზები, თუ რატომ არის მოცემული რეგულაცია მნიშვნელოვანი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროსთვის. ეს რეგულაცია საშუალებას მისცემს ინდივიდებს უკეთ აკონტროლონ მათი პერსონალური მონაცემები. ამავდროულად, მოდერნიზებული და უნიფიცირებული ნორმები საშუალებას მისცემს კომერციულ სექტორს მოახდინოს შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება ერთიანი ციფრული ბაზრის ნაწილში. უფრო კონკრეტულად განახლებული წესები შეეხება:

1. გამარტივებულ წვდომას პერსონალურ მონაცემებთან, რაც გულისხმობს ინდივიდებისთვის გასაგები და ცხადი ფორმით მეტი ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, თუ როგორ არის მათი პერსონალური მონაცემები დამუშავებული;
2. მონაცემთა გადატანაუნარიანობას - მონაცემთა სუბიექტებს მარტივად შეეძლება განახორციელონ მონაცემების ტრანსფერი მომსახურების მომწოდებლებს (service provider) შორის;
3. უფლება იყო დავიწყებულის მკაფიოდ დეკლარირებას, რაც ეხება სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე კონკრეტულ დამმუშავებელთან პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტას;
4. უფლებას, რომლის თანახმად, სუბიექტს შეეძლება იცოდეს თუ როდის განხორციელდა მის პერსონალურ მონაცემებზე უკანონო წვდომა. ეს უზრუნველყოფილია დამმუშავებლების ვალდებულებით - მყისიერად აცნობონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მომხდარი დარღვევების ფაქტები.

გარდა ამისა, შესაბამისი სიახლეები შეეხება ბიზნეს სექტორსაც, სიახლეები მოიცავს შემდეგს:

1. ერთი კონტინენტი - ერთიანი კანონმდებლობა: რეგულაციის ამოქმედებით

განისაზღვრება ერთიანი ნორმატიული საფუძველი, რაც გაუმარტივებს ევროპული კავშირის ფარგლებში არსებულ კომპანიებს შესაბამის ბაზარზე ოპერირებას;

2. ერთი ფანჯრის პრინციპი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნაწილში კომპანიები დაექვემდებარებიან მხოლოდ ერთ საზედამხედველო ორგანოს;
3. არაევროპული კომპანიები ევროპაში ოპერირების შემთხვევაში ვალდებული იქნებიან დაემორჩილონ ევროპული კავშირის კანონმდებლობას;
4. Data Protection by Design კონცეფციის იმპლემენტირების სავალდებულო პირობა - მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა დანერგონ კონცეფციით გათვალისწინებული დებულებები.

ცვლილებები შეეხება სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობასაც, კერძოდ, ევროპული კავშირის ქვეყნებში პოლიციასა და სამართალდამცავ ორგანოებს მეტად ეფექტურად შეეძლება გაცვალონ გამოძიებისთვის აუცილებელი ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს მათ კოოპერაციას ტერორიზმისა და სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, უზრუნველყოფილია ინდივიდების პერსონალური მონაცემების უკეთესი დაცვა კანონის აღსრულებისა და დანაშაულის პრევენციის ნაწილში, რამდენადაც ევროპული კავშირის ფარგლებში ნებისმიერი ღონისძიება უნდა დაექვემდებაროს აუცილებლობის, პროპორციულობისა და კანონიერების პრინციპებს, უსაფრთხოების შესაბამისი ზომების გამოყენების პარალელურად. ამ პრცესზე ზედამხედველობა კი, მონაცემთა დაცვის შიდასახელმწიფოებრივ საზედამხედველო ორგანოებს დაეკისრებათ (European Commission, Press Release Database/ევროპული კომისია, პრეს რელიზის მონაცემთა ბაზა, 2015).

ევროპული რეგულაციის დებულებათა გამოყენება კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია, რამდენადაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართ რეგულაციაში წარმოდგენილი დეტალური დებულებები ცხადყოფს თუ რამდენად სფეციფიკური სფეროა იგი.

გარდა აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა ნაშრომში განიხილება ამ სფეროში მოქმედი სხვა მნიშვნელოვანი ანალოგიური შინაარსის მქონე აქტები.

სასამართლო გადაწყვეტილებები

საკვლევი თემატიკის არგუმენტირებისას ნაშრომში განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს

მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები პირადი ცხოვრების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ სასამართლოები მოქმედებენ სხვადასხვა სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში. შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პირადი ცხოვრების დაცვის საკითხის განხილვისას, გადაწყვეტილებებს აყრდნობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, კერძოდ, მის მე-8 მუხლს, მაშინ როდესაც, მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლო პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა დაცვის უფლებასთან მიმართებით გადაწყვეტილების გამოტანისას იყენებს ევროპული კავშირის შესახებ (TEU) და ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ (TFEU) არსებულ ხელშეკრულებებს, ასევე, ძირითად უფლებათა ქარტიის, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 95/46/EC და 2002/58/EC დირექტივების და ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 45/2001 რეგულაციის დებულებებს. მთლიანობაში, ორივე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროს ირგვლივ ქმნის საკმაოდ ნათელ წარმოდგენას ამ სფეროს შესახებ, რამდენადაც გადაწყვეტილებებში არაერთი მსჯელობაა მოცემული ამ უფლების რეალიზების, შეზღუდვებისა თუ ინტერპრეტირების გზების თაობაზე.

საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Axel Springer AG v. Germany* (07.02.2012) სადაც ინდივიდის შესახებ მედიასაშუალებაში ინფორმაციის გამოქვეყნების თაობაზე სასამართლომ განიხილა გამონატვის თავისუფლების ფარგლები პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების მიმართ.

გამონატვის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებათა ურთიერთმიმართების საკითხი, თუმცა ამჯერად, საჯარო პირების მიმართ გახდა განხილვის საგანი საქმეზე *Von Hannover v. Germany* (No. 2, 07.02.2012), საჯარო პირის შესახებ ინფორმაციის მედიით გამოქვეყნების ქრილში.

პირის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებას ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Biriuk v. Lithuania* (25.11.2008), რომელიც განიხილავს ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნების მართლობიერებას შესაბამისი დაწესებულებისა და პერსონალის მხრიდან.

მსგავსი შინაარსის საკითხი განხილულია იმავე სასამართლოს მიერ საქმეზე *I. v. Finland* (#20511/03, 17.07.2008), თუმცა იმ მცირედი განსხვავებით, რომ ყურადღება გამახვილებულია არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანიზაციულ ნაწილზე, არამედ

ტექნიკური უსაფრთხოების ასპექტზე. საინტერესოა ის სტანდარტი, რაც დაწესებულია ევროსასამართლოს მიერ, რამდენადაც უსაფრთხოების მოთხოვნა ცალსახად მიჩნეულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აუცილებელ კომპონენტად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *European Commission v. Bavarian Lager* (29.06.2010), სადაც საკითხი ეხებოდა დაინტერესებული პირის (კომპანიის) მოთხოვნას განეხორციელებინა წვდომა პერსონალური მონაცემების შემცველ დოკუმენტებზე. აღნიშნული საქმე საყურადღებოა, ვინაიდან სასამართლო მონაცემთა დამუშავების მართლზომიერების საკითხს განიხილავს დამუშავების პრინციპებსა და საფუძვლებთან მიმართებით.

მორიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს ფარგლებში გამოტანილია საქმეზე *Volker and Markus Schecke and Hartmut Eifert v. Land Hessen* (09.11.2010), სადაც სასამართლომ იმსჯელა ფინანსური სუბსიდიის შესახებ პერსონალური მონაცემის გამოქვეყნების მიზანშეწონილობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვანძო პრინციპების უზრუნველყოფას მათი დამუშავებისას და, შესაბამისად, წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს.

ინტერნეტსივრცეში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხს ეხება მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლო საქმეზე *Bodil Lindqvist* (06.11.2003), რომელიც განიხილავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების განმარტებას და ინტერნეტში მათი განთავსებისას წარმოშობილ თანმდევ შედეგებს. მოცემული გადაწყვეტილებით სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ცნება „დამუშავების“ საკანონმდებლო ფარგლებსა და მისი ინტერპრეტაციის გზებზე.

ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილება ყურადღებას ამახვილებს პერსონალურ მონაცემთა შენახვის წესებზე, რომელიც უნდა დაექვემდებაროს მიზნობრიობისა და პროპორციულობის პრინციპებს. მაგალითად, საქმეში *Rotaru v. Romania* (04.05.2000) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა განმცხადებლის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემის მართლზომიერად შენახვისა და მის თანაზომიერების საკითხზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით. აღნიშნული გადაწყვეტილება ყურადღებას ამახვილებს მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ შესაბამისი ვადით შენახვის პრინციპზე, როგორც იმპერატიულ მოთხოვნაზე დამუშავების ნებისმიერი პროცესისთვის.

კერძო პირის შესახებ ვიზუალური მონაცემების გავრცელების საკითხს ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *Peck v. United Kingdom* (20.01.2003), სადაც სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა სახელმწიფო დაწესებულების მიერ მედია საშუალებისთვის პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების ლეგიტიმურობის საკითხი. ამ შემთხვევაშიც, ყურადღება გამახვილებულია დამუშავების (გამჟღავნების) მართლზომიერებაზე და მის მიზანთან თავსებადობაზე. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესთა კატალოგი, გარდა ინფორმაციული ასპექტისა, მოიცავს პირის ვიზუალური და აუდიო ფორმით არსებული მონაცემების დაცვასაც, რაც ამ შემთხვევაში დაექვემდებარა განხილვას. ამ ფორმით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება რეგლამენტირებულია საქართველოს კანონმდებლობითაც, შესაბამისად, გადაწყვეტილება დაგვეხმარება განვსაზღვროთ თუ როგორ ვრცელდება ვიზუალური დამუშავების მეთოდებზე შესაბამისი პრინციპები და რა გავლენა გააჩნიათ მათ.

მონაცემთა დაცვის სიზუსტისა და ნამდვილობის პრინციპი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის მორიგ საგანს წარმოადგენდა საქმეში *Khelili v. Switzerland* (18.10.2011), სადაც ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირის შესახებ მონაცემის შენახვას, რომელიც არ იყო დაფუძნებული უტყუარ ინფორმაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება დაგვეხმარება განვსაზღვროთ თუ რა ფარგლებით უნდა რეალიზდეს მონაცემთა სიზუსტისა და ნამდვილობის პრინციპი, რაც, ასევე, უნდა განვიხილოთ მიზნობრიობის პრინციპთან ერთობლიობაში.

მსგავსი შინაარსის საკითხი იყო განხილული სასამართლოს მიერ საქმეში *Ciubotaru v. Moldova* (27.04.2010), სადაც განმცხადებლის მოთხოვნა პერსონალური მონაცემის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა. შედეგად, დაირღვა პერსონალურ მონაცემთა სიზუსტისა და ნამდვილობის პრინციპი.

მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Google Spain SL and Google Inc. v. Agencia Espanola de Protecction de Datos (AEPD) and Mario Costeja Gonzalez* (13.05.2014), სადაც სასამართლომ რამოდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელა, კერძოდ, განმარტა თუ როგორ უნდა გავიგოთ დამუშავებისა და დამმუშავებლის ცნებები, ამასთან, კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა პერსონალური მონაცემების შესაბამისი ვადით შენახვის პრინციპს. გადაწყვეტილება საინტერესოა, რამდენადაც ეხება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხს და შესაბამისი საძიებო საშუალებების ვალდებულებებს სუბიექტის უფლებების რეალიზების კუთხით.

არსებობს მრავალი სხვა გადაწყვეტილებაც, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა სხვადასხვა საქმეებზე. შესაძლებელია მათი თემატური ნიშნის მიხედვით დალაგება (როგორც მითითებულია წყაროში: ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 244-247): 1. პერსონალურ მონაცემებთან წვდომის საკითხი - *Gaskin v. the United Kingdom, Godelli v. Italy, K.H. and Others v. Slovakia, Leander v. Sweden, Odievre v. France*; 2. გამოწვევები ონლაინ სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვისთვის - *K.U. v. Finland*; 3. მიმოწერის საკითხი - *Amman v. Switzerland, Bernh Larsen Holding AS and Others v. Norway, Gemalettin Canli v. Turkey, Dalea v. France, Haralambie v. Romania, Malone v. the United Kingdom, McMichael v. the United Kingdom, M.G. v. the United Kingdom, S. and Marper v. the United Kingdom, Shimovolos v. Russia, Turek v. Slovakia*; 4. გლობალურ პოზიციურ სისტემასთან (GPS) დაკავშირებული პერსონალური მონაცემების საკითხი - *Uzun v. Germany*; 5. ჯანმრთელობის შესახებ არსებული მონაცემები - *L.L. v. France, M.S. v. Sweden, Szuluk v. the United Kingdom, Z. v. Finland*; 6. ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ - *Michaud v. France, Niemeitz v. Germany*; 7. „უფლება იყო დავიწყებული“ – *Segerstedt-Wiberg and Others v. Sweden*; 8. ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებული საკითხები - *Köpke v. Germany*.

გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებისა, საინტერესოა მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს პრაქტიკაც, რომელიც უკავშირდება პირადი ცხოვრების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს. ეს გადაწყვეტილებები, ძირითადად, ეყრდნობა 95/46/EC დირექტივას. ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილია მათი თემატური განხილვა (როგორც მითითებულია წყაროში: ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 249-250): 1. „ჟურნალისტური ქმედების“ ცნება მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-9 მუხლის მიხედვით - *Tietosuoja-vaalutettu v. Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy*; 2. ინტერნეტ პროვაიდერების ვალდებულება გასცენ KaZaA ფაილური გაცვლის პროგრამის მომხმარებელთა ვინაობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ასოციაციისთვის - *Productores de Música de España (Promusicae) v. Telefónica de España SAU*; 3. ევროპული კავშირის „პირველადი“ კანონმდებლობის დარღვევა 2252/2004 რეგულაციის მიერ, რის საფუძველზეც თითის ანაბეჭდები უნდა ყოფილიყო დატანილი პასპორტებში - *Michael Schwarz v. Stadt Bochum, Opinion of the Advocate General*; 4. ევროპული კავშირის

პირველადი კანონმდებლობის დარღვევა პერსონალურ მონაცემთა შენახვის დირექტივის (2006/24/EC) მიერ - Digital Rights Ireland and Others v. Ireland; 5. საჯარო სექტორის დაწესებულებებში დასაქმებულთა შემოსავლების შესახებ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების სამართლებრივი ვალდებულების პროპორციულობის საკითხი - Rechnungshof v. Österreichischer Rundfunk and Others and Neukomm and Lauer mann v. Österreichischer Rundfunk; 6. მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-7 მუხლის -f- ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრული „სხვათა ლეგიტიმური ინტერესები“-ს სწორი იმპლემენტაცია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში - Asociación Nacional de Establecimientos Financieros de Crédito (ASNEF) and Federación de Comercio Electrónico y Marketing Directo (FECEMD) v. Administración del Estado; 7. სტატისტიკურ რეესტრში უცხოელთა შესახებ მონაცემების ფლობის ლეგიტიმურობა - Huber v. Bundesrepublik Deutschland; 8. მონაცემთა სუბიექტის წვდომის უფლება - College van Burgemeester en Wethouders van Rotterdam v. M.E.E. Rijkeboer; 9. ევროპული კავშირის დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენება დასაქმების კონტექსტში - Dimitrios Pachtitis v. European Commission, V v. European Parliament.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ზემოაღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი ითვალისწინებს ამ სფეროში არსებული სხვა, მათ შორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ანალიზსაც.

გარდა ჩამოთვლილი მასალების, საყურადღებოა ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული რეკომენდაციები და ევროპული კავშირის ფარგლებში მოქმედი საკონსულტაციო ორგანოს (Article 29 Data Protection Working Party) მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ მრავალ საკვანძო საკითხზე.

ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის, როგორც ძირითადი უფლების სამართლებრივი ბუნების შესწავლა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისგან. ამასთან, ნაშრომი ითვალისწინებს თითოეული თავის ქვეთავებად დაყოფას, შესაბამისი საკითხების განხილვის მიზნით.

პირველ და მეორე თავში განიხილება პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობისა და ევოლუციის ეტაპები, მისი განვითარების საკითხები. გარდა ამისა, პირადი ცხოვრების

არსის კვლევიდან გამომდინარე, ცალკე იქნება განხილული ამ უფლებასთან მიმართებით არსებული კონცეპტუალური და თეორიული საკითხები, რომლებიც ახდენენ მოცემული სფეროს შესახებ წარმოდგენის ფორმირებას. აღნიშნული, მთლიანობაში მოგვცემს წარმოდგენას ამ უფლების სამართლებრივი და სოციალური ფარგლების შესახებ. ამასთან, მეორე თავში განიხილება ის სტანდარტები და მექანიზმები, რომელიც პირადი ცხოვრების დაცვის კუთხით მოქმედებს ანგლო-ამერიკულ და კონტინენტურ სამართლებრივ სისტემებში. გარდა საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის, პირველ მეორე საუბარი იქნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ქართულ სტანდარტზე და იმ მიდგომებზე, რომელიც ჩამოყალიბებულია საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამდენად, ნაშრომის ეს ნაწილი ითვალისწინებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, როგორც მოცემულობის, სოციალური დანიშნულებისა და სამართლებრივი სიკეთის განმარტებასა და მიმოხილვას, როგორც წმინდად ნორმატიულ, ასევე, სამართლის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ჭრილში.

ნაშრომის მესამე თავი ეთმობა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს, რომელიც აქტუალური მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვითარდება და იკრებს აქტუალობას. თავდაპირველად, როგორც პირადი ცხოვრების არსიდან წარმოშობილი უფლება, იგი მეტ და მეტ მნიშვნელობას იძენს ინდივიდისთვის მისი დანიშნულებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მესამე თავში ყურადღება გამახვილდება წინაპირობებზე, რამაც გამოიწვია პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების წინ წამოწევა და მათი დაცვის განვითარება. ამავდროულად, განსასაზღვრია ამ ორი უფლების განვითარების თავისებურებებიც ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლებრივი სისტემების მიხედვით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, პერსონალური მონაცემები სხვადასხვაგვარად არის დაცული ევროპულ და ამერიკულ სამართლებრივ მოდელში. ამ მიზნებისთვის, ნაშრომის ამ ნაწილში განიხილება უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა რაობა, მისი სამართლებრივი გააზრება და ნორმატიული მოწესრიგების საკითხი სხვადასხვა იურისდიქციებში. მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული მწირი პრაქტიკის მიუხედავად, მესამე თავში ყურადღება დაეთმობა ამ უფლების მიმართ არსებულ სტანდარტებს საქართველოში და განხორციელებულ მარეგულირებელ ღონისძიებებს.

დისერტაციის მესამე თავი, ასევე, ითვალისწინებს პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების სეპარატიზაციის, კერძოდ, ამ უკანასკნელის

ცალკე ძირითად უფლებად აღიარების მართებულობის კვლევას, თანაც იმგვარად, რომ აქცენტი გაკეთდეს მისი ცალკე აღიარების შინაარსობრივ მხარეებზე, იმ პრაქტიკულ შედეგებზე, რაც იქნება გამოწვეული პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ძირითად უფლებად გაწერით სახელმწიფოს უზენაეს კანონში. შესაბამისად, ნაშრომის ეს თავი წარმოადგენს შეჯამებას იმ მიდგომებისა, რაც არსებობს ამ უფლების სპეციფიკურობასთან მიმართებით და რიგ შემთხვევაში მას არ განიხილავს პირადი ცხოვრების უფლების შემადგენელ ნაწილად. გარდა ამისა, უფლების ცალკე აღიარების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად, მსჯელობა დაეთმობა საკითხს, თუ რატომ არის საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი, რიგ შემთხვევებში, არაეფექტური ამ უფლების დაცვისთვის. ამასთან, იერარქიულად ქვემდგომ აქტებთან მიმართებით, უმჯობესია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ხაზგასმით იყოს მოხსენიებული სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, კონსტიტუციით, რათა კოლიზიური აქტების შემთხვევაში, თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები.

ნაშრომის ბოლო ნაწილში - დასკვნის სახით, ფორმირდება ის პოსტულატები, რომელიც აჯამებს ნაშრომში განხილულ საკითხებს და მიზანშეწონილია გასათვალისწინებლად კანონმდებლის მიერ.

საკვლევი საკითხის შინაარსიდან გამომდინარე ნაშრომში გამოიყენება კვლევის ისეთი მეთოდები, რომელიც მეტად მოგვცემს საშუალებას მივაღწიოთ კვლევის მიზანს. ამ მხრივ, აღსანიშნავია დედუქციური მეთოდი, რომელიც გულისხმობს გარკვეული საკითხების ირგვლივ მსჯელობის შედეგად მეტად კონკრეტული დასკვნების გამოტანას. რიგი საკითხების ანალიზისთვის, ასევე, გამოსადეგია ინდუქციური მეთოდი, კონკრეტული მაგალითზე განზოგადებული დასკვნების წარმოების მიზნით. ამავდროულად, აუცილებელია კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებაც. ამასთან, უფლებათა ანალიზი წარმოუდგენელია იმ თავისებურებების გარეშე, რაც დამახასიათებელია ისტორიული კონტექსტისთვის, შესაბამისად, კვლევის ისტორიული მეთოდი აქტუალურია მოცემული ნაშრომისთვის. გარდა ამისა, ნაშრომში განხილული სამართლებრივი დებულებები დაექვემდებარება ნორმათა სისტემური, ლოგიკური და გრამატიკული ანალიზის მეთოდებს.

თავი I. პირადი ცხოვრების ძირითადი უფლების კონცეპტუალური საფუძვლები

1.1. პირადი ცხოვრების უფლების არსი

ცნება "privacy" (პრივატულობა, პირადი სივრცე) ხშირად გამოიყენება საუბარში, ასევე, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ დებატში, თუმცა მისი ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს. ამ ცნებას ფართო ისტორიული ფესვები გააჩნია სოციოლოგიურ და ანთროპოლოგიურ ჟრილში (Stanford Encyclopedia of Philosophy/სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედია). პირადი ცხოვრების უფლება ინდივიდებს იდეების ფორმულირების საშუალებას აძლევს საჯარო განხილვისგან დამოუკიდებლად; ასევე, საშუალებას აძლევს ადამიანებს მოიხსნან „საჯარო ნიღბები“ და კერძო სივრცეში განსხვავებულად მოიქცნენ; გარდა ამისა, იგი შესაძლებლობას ქმნის დამყარდეს ინტიმური ურთიერთობები, რაც მოიცავს არჩევანის თავისუფლებას თუ ვისთან აზიარებენ ისინი პირად შეხედულებებს. იგი ფესვგადგმულია ადამიანურ ღირსებასა და მის პატივისცემაში (გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი, Parliament of the United Kingdom) პრივატული სივრცის განმარტებები იცვლება მოცემულობისა და გარემოს გათვალისწინებით. ბევრ სახელმწიფოში ხდება ამ კონცეფციის მონაცემთა დაცვასთან აღრევა, შესაბამისად პრივატულობა განიმარტება, როგორც პერსონალური ინფორმაციის მართვა. მიუხედავად ამისა, იგი ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტია თანამედროვე ეპოქაში (მარშალი, 2009, გვ. 50). მიუხედავად ამისა, არ იქნება მართებული თუ პრივატულობას (პირის პირადი ცხოვრება) შემოვფარგლავთ მხოლოდ ინფორმაციული ასპექტით. მაგალითად, ურთიერთობა მშობელსა და შვილს შორის პირადი ცხოვრების ფარგლებში ექცევა, თუმცა მას ინფორმაციული კატეგორია არ გააჩნია.

ფიზიკური პირისთვის უფლება პირადი ცხოვრებაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და სხვა უფლებებთან ერთად ქმნის ინდივიდის ინტერესების განხორციელების ერთ-ერთ მტკიცე წინაპირობას. იმ შემთხვევაში თუ პირის პირადი სივრცე მუდმივ დარღვევას განიცდის, ინდივიდი ვერ ცხოვრობს მშვიდი და თავისუფალი ცხოვრებით. შესაბამისად, პირადი ცხოვრების დაცვა მნიშვნელოვანია ინდივიდის უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველსაყოფად (Benedek (ed.)/ბენედეკი (რედ.), 2012, გვ. 359).

პირადი ცხოვრების უფლების აღქმა სხვადასხვა კუთხიდან არის შესაძლებელი. მისი დოქტრინული ანალიზის განხორციელებამდე, უნდა აღინიშნოს, რომ მის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს ინდივიდის საზოგადოებაში ინტეგრირება, პიროვნების სურვილებისა და შეხედულებების შესაბამისად. ეს პროცესი ადამიანის მიერ საკუთარი

თავისა და სურვილების გააზრების შემდეგ იწყებს მოქმედებას, ვინაიდან პირადი ცხოვრების მეშვეობით სუბიექტი მისი შეხედულებების შესაბამისად ახდენს საკუთარი თავის დამკვიდრებას სოციალურ წრეებში. შინაარსობრივად, იგი დამცავი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს, პირველ რიგში, სახელმწიფოსგან და, ასევე, სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან დაცვას, ამასთანავე, იგი ერთიანდება „ნეგატიური სტატუსის“ მქონე უფლებათა კატეგორიაში, რომლის თანახმად სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს ამ სტატუსის ქვეშ მოცემულ უფლებებში ჩარევა განსაზღვრული აუცილებლობის გარეშე (კუბლაშვილი, 2008, გვ. 41-42; ასევე, სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედია).

პრივატულობა შეიძლება განიმარტოს, როგორც პიროვნების ინტერესი. ეს უფლება იცავს პიროვნების ხელშეუვალობას, მის დამოუკიდებლობას, ღირსებას და არსებობას. ამიტომ, ზოგჯერ, მათ ერთიანობას მოიხსენიებენ არა როგორც პირადი ცხოვრების უფლებას, არამედ, როგორც ავტონომიურობის, დამოუკიდებლობის უფლებას (მარშალი, 2009, გვ. 51).

პირადი ცხოვრების უფლება ფართო სფეროა, იგი მოიცავს აზრის ქონის თავისუფლებას, საკუთარ სხეულზე კონტროლის შესაძლებლობას, საცხოვრისში განმარტოების, საკუთარ ინფორმაციაზე კონტროლის შესაძლებლობას, თვალთვალისგან დაცვის მექანიზმებს, საკუთარი რეპუტაციის დაცვის შესაძლებლობას. პირადი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, მისი ამომწურავი დეფინიციის განსაზღვრა სირთულეს წარმოადგენს როგორც ფილოსოფოსი, ისე იურისტი მეცნიერების მიერ (სოლოვი, 2002, გვ. 1088). მეტი თვალსაჩინოებისთვის, პირად ცხოვრების უფლებაში შემავალი საკითხების აღქმის მიზნით აუცილებელია მოვიშველიოთ ავსტრიელი მეცნიერის - ლუდვიგ ვიტგენშტეინის მოსაზრება „ოჯახური მსგავსების“ თაობაზე. მაგალითად, ოჯახის წევრებს ახასიათებთ მეტ-ნაკლებად საერთო თვისებები და ნიშნები ერთმანეთის მიმართ, როგორიცაა აღნაგობა, ხასიათი, თვალის ფერი და ა.შ. ამავდროულად, ოჯახში თითოეულ ბავშვს გააჩნია მშობლის მსგავსი თვისებები, ასევე, ბავშვები იზიარებენ ერთმანეთის თვისებებსაც, თუმცა ისინი აბსოლუტურად მსგავსნი ვერ იქნებიან, თუმცა საერთო მახასიათებელი შტრიხები მაინც სახეზეა (იქვე, გვ. 1097-1098). სწორედ ამ მეთოდით აიხსნება პირადი ცხოვრების უფლების ცნების ქვეშ მოცემულ ელემენტთა განსხვავებული და, ამავდროულად, კავშირში მყოფი ნიშნები.

ეს უფლება პიროვნების თავისუფალი განვითარების შემადგენელ ნაწილად გვევლინება. მასში ერთიანდება ისეთი უფლებები, როგორიცაა თვითგამორკვევის, მათ

შორის, საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება, საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლება, ინფორმაციული თვითგამორკვევის, ასევე, თვითგამოსახვის უფლება, მათ შორის, უფლება საკუთარ სიტყვაზე, საკუთარ სურათზე, საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე, საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე (კუბლაშვილი 2008, გვ. 106-107, 117-123).

პირად ცხოვრების უფლებას სხვადასხვა სოციალურ წრეებში სხვადასხვა ფარგლები გააჩნია, ამდენად, იგი მეტ-ნაკლებად ცვალებადი შინაარსის მქონეა. ამასთან, იგი განიცდის ცვალებადობას სოციალური და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. პირადი ცხოვრების უფლების ფარგლების ცვალებადი ხასიათი, როგორც არამატერიალური კულტურის ნაწილი, რთულს ხდის მოხდეს მისი ერთიანი განმარტება (კასპერი, 2005, გვ. 69-70). ამავდროულად, პირადი ცხოვრების ხასიათიდან გამომდინარე, ამ უფლების ფარგლების მკაფიო დადგენა უკუშედეგის მომტანი იქნება მისი დაცვის მხრივ.

ჯეიმს ვიტმანის შეხედულებით, პრივატულობა საყოველთაო ადამიანური საჭიროებაა, რომელიც გვევლინება ძირითად უფლებად, თუმცა მას სხვადასხვაგვარი გამოვლინებები გააჩნია. მისი აზრით, პირადი სივრცის აპოლეგეტიკები განმარტებისას ეყრდნობიან ფილოსოფიურ ფარგლებს. ისინი განიხილავენ ამ უფლებას როგორც სწორსა და არასწორს შორის არსებულ არგუმენტთა ერთობლიობას, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი დაცვის ბაზისი და გვევლინება ადამიანის უფლებების ძირითად ნაწილად (Whitman/ვიტმანი, 2004, გვ. 1154). შესაბამისად, პირადი ცხოვრების უფლებისთვის ფუნდამენტური უფლების სტატუსის მინიჭების აუცილებლობა ზემოხსენებული მრავალმხრივი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს.

იმის გათვალისწინებით, რომ პირადი ცხოვრება ვერ იქნება თითოეული ინდივიდის მიერ იდენტურად აღქმული, შესაძლებელია გამოიყოს მისი გააზრების სუბიექტური და ობიექტური მეთოდი. სუბიექტური გააზრება აქცენტს აკეთებს საკითხზე, თუ რა არის პირადი ცხოვრება კონკრეტული პირისთვის, რა ელემენტებს შეიცავს იგი და რა მოლოდინი გააჩნია პიროვნებას საკუთარი პირადი ცხოვრების დაცვის მიმართ. ამ შემთხვევაში სამართლებრივ რეგულირებაზე საუბარი ნაკლებადაა შესაძლებელი, ვინაიდან ეს მიდგომა პიროვნების სუბიექტურ აღქმაზეა დამოკიდებული. ამის საპირისპიროდ, ობიექტური მიდგომის თანახმად, საკითხი დაიყვანება პირადი ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტის სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობამდე, კანონმდებლობის კონკრეტულ და აბსტრაქტულ დანაწესზე დაყრდნობით (შეად.

გვეისონი, 1980, გვ. 423; ასევე, ნისენბაუმი, 2010, გვ. 68, სადაც ავტორები განიხილავენ პირადი ცხოვრების ნეიტრალურ და ნორმატიულ კონცეფციებს). მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „ვიდეოთვათვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში.“ აღნიშნული ჩანაწერი კონკრეტულად ასახავს იმ ვითარებას, როდესაც თვალთვალის შესაბამისი სისტემის დაყენება დაუშვებელია. შესაბამისად, ეს ჩანაწერი აღარ საჭიროებს ინტერპრეტირებასა და სხვადასხვა მეთოდურ განმარტებას. მეორე შემთხვევაში, როდესაც ნორმა აბსტრაქტულია იგი უნდა განიმარტოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით. ასე მაგალითად, ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის გათვალისწინებით, რომელიც პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთ პრინციპს ეხება, „მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადც მუშავდება ისინი.“ ცხადია, კანონის ამ ჩანაწერის მიხედვით დამკვიდრებული პროპორციულობისა და ადეკვატურობის პრინციპის რეალიზების გზები ყველა შემთხვევაში ვერ იქნება იდენტურად განმარტებული, ვინაიდან იგი უნდა დაექვემდებაროს კონკრეტული, კონტექსტუალური მოცემულობიდან გამომდინარე ანალიზს. ამ მხრივ, იგი მიიჩნევა რეგულირების აბსტრაქტულ დებულებად. ამასთანავე, აუცილებელია მოხდეს პირადი ცხოვრების კონცეფციისა და პირადი ცხოვრების უფლების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რამდენადაც ინდივიდს შესაძლოა გააჩნია პირადი ცხოვრება თუმცა არ ჰქონდეს უფლება მასზე ან პირიქით - პირს შესაძლოა გააჩნდეს პირადი ცხოვრების უფლება, თუმცა იგი ფაქტობრივად არ იყოს დაცული (Corlett/კორლეტი, 2002, გვ. 329). მიუხედავად ამისა, ხშირად პირადი ცხოვრება და პირადი ცხოვრების უფლება ერთმანეთთან გაიგივებული მნიშვნელობით გამოიყენება. ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობით კი, ეს ცნება გამოიყენება როგორც საზოგადოებისგან განცალკევების შესაძლებლობის აღმნიშვნელი (მარშალი, 2009, გვ. 50), თუმცა მისი ამომწურავი განმარტება არ იძებნება. პირადი ცხოვრების ერთიანი განმარტების შეუძლებლობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ პრივატული სივრცის განმარტების უნიფიცირების შეუძლებლობას ადასტურებს საერთაშორისო სასამართლოებიც. ასე მაგალითად, საქმეში Costello-Roberts v. The United Kingdom (25.03.1993), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრება ფართო ცნებაა, იგი შეუძლებელია განიმარტოს ამომწურავად. ეს მეტად ფართო

ცნება ვიდრე პირადი ცხოვრების უფლება, რაც მოიცავს პირის შესაძლებლობას თავისუფლად განავითაროს საკუთარი თავი (Kilkelly/კილკელი, 2001, გვ. 11). პირადი ცხოვრების ფართო ფარგლებზე უთითებს მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლო საქმეში Volker and Markus Schecke and Hartmut Eifert v. Land Hessen (09.11.2010). სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრნობით აღნიშნა, რომ ცნება „პირადი ცხოვრება“ არ უნდა განიმარტოს ვიწროდ, ვინაიდან იგი მოიაზრებს პროფესიული საქმიანობის სფეროსაც, რაც ვერ იქნება განცალკევებული პირადი ცხოვრების ფარგლებისგან (ევროპის საბჭო, ძირითად უფლებათა ევროპული სააგენტო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2015, გვ. 55).

არანაკლებ საყურადღებოა პირადი ცხოვრების უფლების არსისა და თანმდევი რეგულირების განხილვა კულტურული კუთვნილებიდან გამომდინარე. პირადი ცხოვრების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მხარდაჭერილია პრივატულობის ლიბერალური, დასავლური ხედვა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პრივატულობა სხვადასხვა კულტურას შორის შეიძლება განსხვავებული ხარისხითა და ფარგლებით გამოირჩეოდეს, ხოლო ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ პირებს, პრივატულ და საჯარო სფეროსთან მიმართებით, განსხვავებული ხედვები ჰქონდეთ. პრივატულობის როგორც კულტურასთან ერთად ცვალებადი კონცეფციის მაგალითად შესაძლოა დავასახელოთ რუსეთი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სადაც წყობილება კომუნისტური რეჟიმიდან პოსტკომუნისტურისკენ შეიცვალა (კასპერი, 2005, გვ. 74). ამასთან, თუ პირად ცხოვრებას განვიხილავთ ტერიტორიულ და რიცხობრივ ჭრილში, ფაქტობრივად, სავსებით შესაძლებელია იგი, როგორც პირის ხელთ არსებული უხილავი „ფარი“, საზოგადოების წევრებისგან მეტად მარტივად „შესამჩნევი“ იყოს მეგაპოლისში, სადაც საზოგადოების წევრები ერთმანეთს ნაკლებად იცნობენ, ვიდრე პატარა სოფელში, სადაც მაცხოვრებლებს ერთმანეთთან მეტად მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ.

გარდა ამ ფაქტორებისა, პრივატულობას ახასიათებს დროსთან ერთად ცვალებადობის პროცესი. ამის ნათელი დადასტურებაა 1890 წელს უორენისა და ბრანდისის სტატია, სადაც საგაზეთო პუბლიკაციებში ფოტოსურათების გამოქვეყნება და, ზოგადად, ფოტოგრაფიაში არსებული ახალი ტექნოლოგიები საფრთხეს ქმნიდა რიგითი ინდივიდისთვის. ამ მიდგომის გამყარება სხვა მრავალი ფაქტობრივი მოვლენის მოშველიებით შეიძლება, მაგალითად, ტექნოლოგიური პროგრესისა და წლების

გასვლასთან ერთად, სამართლებრივ რეგულირებას დაექვემდებარა ჰაკერული თავდასხმა, რეგულირების ქვეშ მოექცა საგამომიებო მოქმედების - ფარული მიყურადების ჩატარების წესი მხრიდან და ა.შ.

პირველ პარაგრაფში მოცემული მსჯელობა ცხადყოფს, რომ პირადი ცხოვრების უფლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია ინდივიდისთვის, ხოლო მისი მრავალსპექტიანი ბუნების წარმოსაჩენად აუცილებელია მის შესახებ არსებული კონცეფციებისა და თეორიების განხილვა.

1.2. პირადი ცხოვრების უფლების შესახებ არსებული კონცეფციები და თეორიები

პრივატული სივრცის შესახებ არსებულმა მრავალფეროვანმა მიდგომებმა შედეგად მოიტანა ის, რომ პირადი ცხოვრების უფლების შესახებ წარმოიშვა არაერთი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური მიდგომა და თეორია, რომელიც დროთა განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს. მათი ფორმირების მიზანი პირადი ცხოვრების უფლების განმარტება იყო, თუმცა ყოველი ასეთი მცდელობა წარუმატებლობით სრულდებოდა, ვინაიდან შეუძლებელია ამ უფლებას მოეძებნოს კონკრეტული განმსაზღვრელი კრიტერიუმი და დეფინიცია. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია ქვემოლმოყვანილი კონცეფციებისა და თეორიების განხილვა, რათა წარმოდგენა შეგვექმნას ამ უფლების ფარგლების შესახებ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სადისერტაციო ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს მათი სრულყოფილი წარმოჩენა. ნაშრომის ეს ნაწილი მიზნად ისახავს ამ კონცეფციებისა და თეორიების ზოგად განმარტებას მკითხველის მიერ პირადი ცხოვრების უფლების გააზრების უზრუნველსაყოფად.

1.2.1. რედუქციონიზმი და ანტირედუქციონიზმი

პირადი ცხოვრების უფლებაზე მომუშავე არაერთი მეცნიერი, ძირითადად, აშშ-ში განიხილავს ამ სფეროს სხვადასხვაგვარად. ზოგი მათგანი პირად სივრცეს ფართოდ აღიქვამს, ხოლო ზოგიერთისთვის იგი შესაძლოა დავიწროვდეს და შეზღუდული მნიშვნელობა მიეცეს. ამის შესაბამისად, წარმოიშვა ორი თეორია - რედუქციონიზმი და ანტირედუქციონიზმი.

რედუქციონიზმის იდეის ერთ-ერთი მხარდამჭერი, მეცნიერი ჯუდიტ ტომპსონი მიიჩნევს, რომ პირადი ცხოვრება, როგორც ცალკე მდგომი უფლება არ არსებობს. მისი

აზრით, ის უფლებები, რომელიც გააჩნია პიროვნებას, მაგალითად, იმოქმედოს საკუთარი სურვილების შესაბამისად შეიძლება გაერთიანდეს საკუთრების უფლების ქვეშ. იგი საკუთრების უფლებას განიხილავს ფართოდ, მისი შეხედულებით გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ადამიანების მიერ საკუთარი თავის ან მათ ირგვლივ არსებულ საგნებსა თუ საკითხებზე, ერთიანდება საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში. ასე მაგალითად, თუ პიროვნება ფლობს ფოტოსურათს, მას უფლება აქვს გამოაქვეყნოს ეს ფოტოსურათი ან შეინახოს საიდუმლოდ. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნაკარნახევი იქნება იმ ფაქტიდან, რომ იგი ამ სურათის მესაკუთრეა და მასზე ახორციელებს კონტროლს. ამდენად, მისი არჩევანი საკუთრების უფლებისგან გამომდინარებს და არა ცალკე მდგომი პირადი ცხოვრების უფლებისგან (Thompson/თომპსონი, 1975). მეცნიერის შეხედულებები პირადი ცხოვრების უფლებასთან მიმართებით ცალსახად რედუქციონისტულია, რაც ნიშნავს იმას, რომ პირადი ცხოვრების ცალკე მდგომი უფლება ვერ გამოდგება იმ შესაძლებლობების მკაფიო დემინსტრირებისთვის, რაც გააჩნია პიროვნებას არჩევანის თავისუფლებიდან გამომდინარე. მისი მსჯელობა სამართლის ფილოსოფიის ჭრილშია მოცემული, იგი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ პირადი ცხოვრების უფლება განსხვავებული კუთხიდან, სხვა სიტყვებით, პირადი ცხოვრების უფლება, როგორც სხვა „უფრო მნიშვნელოვანი“ უფლებების „თანმხლები.“ ამ მიდგომის გასამყარებლად იგი აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების უფლება ესაა უფლებათა ერთიანობა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა, პიროვნულობიდან გამომდინარე, უფლებებს და არ არის რაიმე ცალკე მდგომი კატეგორია. მაგალითად, თუ რენტგენის ხელსაწყოს პიროვნების სახლში არსებული ნივთების გასაშუქებლად გამოვიყენებთ, სახეზე გვექნება უფლების შელახვა, რომელიც გულისხმობს უფლებათა იმ კრებულის დარღვევას, სადაც თავს იყრის პირადი ცხოვრების და საკუთრების უფლებაც (იქვე, გვ. 306). გარდა ამისა, მეცნიერი გვთავაზობს საინტერესო მიდგომას პირადი სივრცის დარღვევის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ მოცემული სივრცის დარღვევა სახეზეა მაშინ თუ, მაგალითად, პიროვნებას მივაპყრობთ მზერას ან უნებართვოდ მოვუსმენთ მას და არა მაშინ, როდესაც უბრალოდ რაიმე გვეცოდინება მის შესახებ (იქვე, გვ. 307). ამავე რედუქციონისტული მსჯელობის მიხედვით, პერსონალური ინფორმაციის მოპოვების მიზნით პიროვნების მიმართ განხორციელებული თვალთვალი წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას, ხოლო ზოგადი თვალთვალი არ იქნება მსგავსი შედეგის მომტანი; ასევე, პირის შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით მისი წამება და

ძალადობრივი მოპყრობა წარმოადგენს პირადი სივრცის დარღვევას, ხოლო თუ იგივე მოპყრობას არ გააჩნია მსგავსი მიზანი, ქმედება ვერ იქნება გაიგივებული პირადი ცხოვრების უფლების დარღვევასთან (იქვე, გვ. 308). პარალელები შესაძლებელია გაივლოს კონფიდენციალურობასთან მიმართებითაც, კერძოდ, თუ პირი გასცემს საიდუმლო ინფორმაციას სხვა ინდივიდზე, ხოლო ეს უკანასკნელი გასცემს მას მესამე პირზე, პირადი სივრცის დარღვევა სახეზე იქნება მაშინ თუ გაცემული ინფორმაცია პერსონალური ინფორმაციის შემცველია (იქვე, გვ. 309).

მეცნიერი ჩარლზ ფრიდი მიიჩნევს, რომ პირადი ცხოვრება უკავშირდება ზოგადი და საკუთარი თავის პატივისცემის, ასევე, სიყვარულის, მეგობრობისა და ნდობის ფაქტორებს. ამ ფაქტორების არსებობა წარმოუდგენელია თუ პირები არ უზიარებენ ერთმანეთს პირადი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს. ამით პირადი ცხოვრება უფრო მეტად აღიქმება საიდუმლოობასთან კავშირში, რაც სხვების მიერ პირის შესახებ ინფორმაციის ფლობას ზღუდავს. მისი აზრით პირადი ცხოვრების უფლების უზრუნველყოფა არ ნიშნავს მარტოდენ ინფორმაციის არარსებობას სხვა პირებთან, არამედ ესაა ჩვენს შესახებ არსებულ ინფორმაციაზე კონსტროლის შესაძლებლობა. მაგალითად, უსარგებლო იქნება საუბარი კუნძულზე მარტო დარჩენილი ადამიანის პირად ცხოვრებაზე, რამდენადაც იგი გულისხმობს სხვებისთვის პირთან წვდომის დაშვებას ან აკრძალვას. ამავდროულად, პრივატულობა მხოლოდ ინფორმაციის რაოდენობაზე კონტროლი არაა, არამედ ხდება ყურადღების გამახვილება ხარისხობრივ ფაქტორზეც. შესაძლოა ჩვენ არ გვქონდეს რეაქცია იმ ფაქტზე, რომ სხვა ადამიანს ზოგადი ინფორმაცია აქვს ჩვენს შესახებ, თუმცა გვქონდეს შეგრძნება, რომ ჩვენი პრივატული სივრცე დაირღვევა თუ მოხდება დეტალების გაგება (Fried/ფრიდი, 1968, გვ. 481-482).

არსებობს პირადი ცხოვრების უფლების სხვაგვარი ხედვაც, რომელიც შემოთავაზებულია რიჩარდ პოზნერის მიერ. მისი აზრით, ცნება „პრივატულობა,“ ძირითადად, სამი მნიშვნელობით გამოიყენება: პირველი - ინფორმაციის დასაიდუმლოების ჭრილში (რაც, ავტორის აზრით, ყველაზე გავრცელებული ხედვაა); მეორე - პიროვნების სიმშვიდისა და ფიზიკური სიმარტოვის კუთხით; მესამე - როგორც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სინონიმი (Posner/პოზნერი, 1980, გვ. 1). პრივატულობის პირველ მნიშვნელობასთან დაკავშირებით მეცნიერი ავითარებს პირადი ცხოვრების ეკონომიკურ თეორიას. მისი მიდგომის თანახმად, პირადი ცხოვრების უფლების ქვეშ დაცულ ინტერესში - ინფორმაცია იქნეს დასაიდუმლოებული მესამე პირებისთვის - ვლინდება ეკონომიკური ინტერესები. ამ მსჯელობის დემონსტრირების

მიზნით მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: დამსაქმებელი ახალი მუშაკის აყვანისას პიროვნებაში ეძებს გარკვეულ თვისებებს, კერძოდ, პატიოსნებას, გულისხმიერებას, ლოიალურობას, კარგ ფიზიკურ და მენტალურ მდგომარეობას. იმ შემთხვევაში თუ დასაქმების მსურველი პირი ვერ აკმაყოფილებს ერთ ან რამოდენიმე ზემოხსენებულ კრიტერიუმს, იგი შეეცდება დაფაროს თავისი „ნაკლოვანებები.“ შესაბამისად, იგი მოახდენს პირადი ცხოვრების უფლების დაცვის რეალიზაციას თუ დამსაქმებელი მონდომებს მეტის გაგებას პირის შესახებ, ხოლო ამ კონკრეტულ ვითარებაში, ინფორმაციის დამალვის შედეგად შრომითი ბაზარი „შემძენისთვის“ არაეფექტური გახდება (იქვე, გვ. 2). ავტორისეული პოზიცია, ფართო გაგებით, ეხება საზოგადოებისთვის პიროვნების წარმოჩენის საკითხს, სხვა სიტყვებით, საუბარია ადამიანის საზოგადოებაში ინტეგრირებაზე, რომელიც გულისხმობს ინდივიდის თავის დამკვიდრებას საზოგადოებაში მისი შეხედულებების შესაბამისად. პირადი ცხოვრების უფლება, როგორც საზოგადოებაში ინტეგრირების საშუალება, ასევე, მხარდაჭერილია დენიელ სოლოვის მიერ. მისი აზრით, ამ უფლების შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი საზოგადოებაში ინტეგრირების ელემენტია, იგი აყალიბებს ინდივიდისთვის ფარგლებს საზოგადოებაში (სოლოვი, 2014).

პირადი ცხოვრების უფლების მხარედი აქტუალობიდან გამომდინარე, მისი განხილვა არ უნდა მოხდეს ვიწროდ. პირადი ცხოვრების რედუქციონისტული ხედვები პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ცალკე ფუნდამენტურ უფლებად განმტკიცების მიზნით არ არის შედეგების მომტანი. ამ არგუმენტაციის მიხედვით, აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების გზით ადგილი ჰქონდეს სხვა რომელიმე „მეტად კონკრეტული“ ან „მეტად მნიშვნელოვანი“ უფლების ხელშეხებას, რათა დამატებით ვიმსჯელოთ პერსონალური მონაცემების გამოყენების მართლზომიერებაზე. ეს კი, წინააღმდეგობაში მოდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, რამდენადაც, მოცემული სამართლებრივი აქტები მონაცემთა დაცვას ცალკე უფლების სტატუსს ანიჭებენ, რა დროსაც არ არის აუცილებელი ზიანის დადგომა ან სხვა რაიმე თანმდევი ნეგატიური შედეგის არსებობა მისი დაცვისთვის.

რედუქციონიზმის პარალელურად განვითარდა ანტირედუქციონისტული ხედვებიც. ამ შეხედულების მხარდამჭერია მეცნიერი რუთ გევსონი. მისი ხედვა პირადი ცხოვრების უფლების ცალკე დაცვას უჭერს მხარს, სხვა უფლებებთან კავშირის გარეშე. რედუქციონისტების მიდგომა, რომელის თანახმად პირადი ცხოვრების უფლება

„შთანთქმულია“ სხვა „უპირატესი“ უფლებების მიერ ლოგიკურობას მოკლებულია. იმისათვის, რათა პირადი ცხოვრების უფლება ვალიაროთ დამოუკიდებელ კატეგორიად, პირველ რიგში, იგი უნდა განვიხილოთ ნეიტრალურ, ხოლო შემდგომ - ნორმატიულ ჭრილში. პირადი ცხოვრების ნეიტრალური ხედვა გულისხმობს იმ საკითხებისა თუ გარემოებების დასახელებას, რაც ერთიანდება პირადი ცხოვრების ცნების ქვეშ. ნორმატიული ხედვის თანახმად კი, უნდა მოხდეს იმ ვითარებების განხილვა, როდესაც სახეზეა პირადი სივრცის დარღვევა, რასაც თან სდევს სამართლებრივი რეაგირებაც. ეს მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ არის თუ არა დაცვადი პირადი ცხოვრების სფეროში განხორციელებული თითოეული ჩარევა სამართლებრივი ბერკეტებით (გევისონი, 1980, გვ. 422-423). პირადი ცხოვრების უფლების წარმოჩენის მიზნით მეცნიერი განიხილავს საკითხს ორ ნაწილად: პირველი - პრივატულობა, როგორც კონცეფცია და მეორე - როგორც ღირებულება (იქვე, გვ. 424). ნეიტრალური და ნორმატიული მიდგომების საფუძველზე მეცნიერი მიიჩნევს, რომ პირადი ცხოვრება ესაა სხვების მიერ პირზე წვდომის ლიმიტირება. პირი საუკეთესო ხარისხით პრივატულობას ფლობს მაშინ, როდესაც სრულიად მიუწვდომელია სხვებისთვის, რაც, თავის მხრივ, სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: პირველი, როდესაც პირის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება; მეორე, როდესაც პირს ყურადღებას არავინ აქცევს; მესამე, როდესაც პირის მიმართ ფიზიკური წვდომა არავის გააჩნია. რიგითობის მიხედვით, მოცემული კატეგორიები შესაძლოა გავაერთიანოთ ლაკონური ცნებების ქვეშ: საიდუმლოობა, ანონიმურობა და სიმარტოვე. ეს სამი ელემენტი დამოუკიდებელი შინაარსის მქონე, თუმცა, ამავდროულად, ურთიერთკავშირი მყოფია (იქვე, გვ. 428). პირის შესახებ ინფორმაციის ფლობასთან დაკავშირებით, გევისონის აზრით, აუცილებელი არ არის პირდაპირ იდენტიფიცირებადი ინფორმაციის მოპოვება, რათა ვისაუბროთ ამ სივრცეში შეჭრის შესახებ (ან პრივატულობის „დაკარგვაზე“). ასე მაგალითად, თუ გარკვეული თავყრილობისას მოძღვარი განაცხადებს, რომ მისმა პირველმა აღმსარებელმა მკვლელობა მოინანია, მისი ანონიმურობა შენარჩუნებული იქნება, თუმცა თუ იმავე სოციალურ წრეში აღმსარებელი განაცხადებს, რომ მას პატივი ხვდა წილად ყოფილიყო ზემოაღნიშნული მოძღვარის პირველი აღმსარებელი, ინფორმაციის მარტივი შეკავშირების საფუძველზე, მოცემული „ანონიმური“ პირი მარტივად ამოცნობადია (იქვე, გვ. 430-431).

ამ მაგალითზე დაყრდნობით შესაძლებელია სხვა, ისეთი შემთხვევის მოყვანაც, რომელიც ინფორმაციის შეკავშირების საფუძველზე პირის შესახებ დამატებითი მონაცემის მიღების საშუალებას ქმნის. მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ „პიროვნება X

მუშაობს კულტურის სამინისტროში მთავარ სპეციალისტად,“ გონივრული ვარაუდის საფუძველზე შესაძლებელია დამატებითი მონაცემის მიღებაც, კერძოდ: 1. ცნობილი ხდება პიროვნების სამუშაო ადგილის მისამართი (სადაც ტერიტორიულად მდებარეობს სამინისტრო); 2. ცნობილი ხდება პიროვნების სამსახურში ყოფნის დრო, რაც უმეტეს შემთხვევაში დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე განისაზღვრება; 3. ინფორმაცია, რომლის თანახმადაც პირი მუშაობს მთავარ სპეციალისტად, საშუალებას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, რამდენადაც საჯარო სამსახურის შემთხვევაში თანამდებობრივი სარგოს შესახებ ინფორმაცია საჯაროა (ნორმატიულადაა გაწერილი).

ზემოთმოყვანილი მაგალითები ეხება ფაქტებზე დაფუძნებულ ვარაუდის მაღალი დონის შემცველ მსჯელობას, სადაც ობიექტური რეალობაა აღწერილი. მეორე მხრივ, აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ თუ პირის შესახებ გავრცელებულია მცდარი ინფორმაცია, თუმცა საზოგადოებამ ის აღიქვა, როგორც უტყუარი მონაცემი, არ იქნება ლოგიკურობას მოკლებული ის აზრი, რომ შესაძლოა აქაც ადგილი ჰქონდეს პირადი სივრცის დარღვევას, ვინაიდან პირადი ცხოვრება, ასევე, მოიაზრებს სხვების მხრიდან პიროვნებაზე შექმნილი შთაბეჭდილებების ერთობას (იქვე, გვ. 431).

პრივატულობის მეორე კომპონენტთან მიმართებით - პირის მიმართ ყურადღების გამოხატვა - საყურადღებოა ის ფაქტორი, რომ პირისადმი განხორციელებული დაკვირვება, თვალთვალი, მიყურადება ან სხვა რაიმე მსგავსი ქმედება წარმოადგენს პირადი სივრცეში შეჭრას, ხოლო მართლოდენ ინდივიდზე ფიქრი ვერ იქნება ანალოგიური შედეგის მომტანი (იქვე, გვ. 432).

პრივატულობის ფიზიკურ კონდიციასთან მიმართებით, საყურადღებოა, რომ ეს სივრცე მაშინ ხდება დარღვეული თუ პირი ვერ ახდენს ფიზიკურ განმარტობას და ხელმისაწვდომია სხვებისთვის (ქუჩაში, ბაღში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ.) იქვე, გვ. 433).

მოცემულ სამ კომპონენტს შორის კავშირი თვალსაჩინოა. სამივე მათგანი წარმოადგენს პირადი ცხოვრების შემადგენელ კომპონენტს, თუმცა შესაძლებელია ჩარევა მოხდეს ერთ ან ორ კომპონენტში იმგვარად, რომ არ მოხდეს ჩარევა მესამე კომპონენტში. მაგალითად, პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მასზე დაკვირვებითა და ფიზიკური სიმარტოვის დარღვევით, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, პირის შესახებ ინფორმაცია შეიძლება ცნობილი გახდეს ისე, რომ არ მოხდეს ზემოაღნიშნულ ორ კომპონენტში ჩარევა (იქვე, გვ. 434). ეს მსჯელობა, მეცნიერის აზრით, პირადი ცხოვრების უფლებასთან მიმართ

არსებულ რედუქციონისტების ხედვას ეჭვქვეშ აყენებს. თუ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის დროს აუცილებლად სახეზე უნდა იყოს სხვა, რომელიმე უფრო „მნიშვნელოვანი“ უფლების დარღვევა, უფლება პრივატულობაზე „დანართის“ სახეს იძენს და მისი მნიშვნელობა კნინდება (იქვე, გვ. 463). ლოგიკურია, რომ ეს უფლება ნებისმიერ შემთხვევაში ცალკე დაცვადად უნდა იქნეს აღიარებული, რათა ვისაუბროთ მისგან გამომდინარე სხვა დაცულ ინტერესებზე, უპირველესად კი, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ანტირედუქციონისტული ბუნებისაა და პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში არსებული ინფორმაციული პრივატულობის ნაწილს დაცვადად აღიარებს.

1.2.2. პირადი ცხოვრების უფლების შესახებ არსებული თეორიები

პირადი ცხოვრების უფლების შესახებ არაერთი თეორია არსებობს, ეს თეორიები განსხვავდება პირადი ცხოვრების სფეროს სხვადასხვა ხედვიდან გამომდინარე.

ზოგადად, ხედვები პირადი სივრცის აღქმის თაობაზე ორი განსხვავებული შინაარსის მქონე მიმართულებად შეიძლება დაიყოს, პირველი, პრივატულობა, როგორც განმარტოება ან ინტიმურობა (რაც ცალ-ცალკე განიხილება) და მეორე, პრივატულობა, როგორც მოქმედების თავისუფლება, თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლება. უზოგადესი დანაწილების თანახმად, პირადი ცხოვრების ანგლო-ამერიკული და ევროპული მიდგომები განსხვავდება, სადაც პირველი მიდგომა გამოირჩევა ლიბერალური ხედვით, ხოლო მეორე ღირსების უფლებიდან გამომდინარე არგუმენტაციით (მარშალი, 2009, გვ. 52).

დენიელ სოლოვის აზრით პრივატულობა შეიცავს ექვს ძირითად ნაწილს, ესენია:

1. „უფლება იყო დავიწყებული,“ რაც სამუელ უორენისა და ლუი ბრანდისის ცნობილ პოსტულატს წარმოადგენს;
2. პირთან შეზღუდული წვდომა- პირის შესაძლებლობა მოახდინოს საკუთარი თავის დაცვა სხვების მიერ არასასურველი წვდომისგან;
3. საიდუმლოება - გარკვეული საკითხების დამალვა სხვებისგან;
4. პერსონალურ მონაცემებზე კონტროლი;
5. პიროვნულობის, ინდივიდუალურობისა და ღირსების დაცვა;
6. ინტიმურობა - პირის ცხოვრების ინტიმურ ასპექტებთან წვდომის შეზღუდვა.

ამასთან, მეცნიერის აზრით, ეს ელემენტები არ უნდა იქნეს განხილული დამოუკიდებლად, მეტიც, ისინი შესაძლოა ერთმანეთისგანაც კი გამომდიარეობდეს, მაგალითად, პერსონალურ ინფორმაციაზე კონტროლი შეიძლება დანახულ იქნეს, როგორც პირთან შეზღუდული წვდომის შესაძლებლობის ერთ-ერთ განშტოებად, რომელიც, თავის მხრივ, კავშირშია „უფლებასთან იყო დავიწყებული“ (სოლოვი, 2002, გვ. 1092).

მეტი თვალსაჩინოებისთვის მნიშვნელოვანია მათი ცალ-ცალკე განხილვა. პირადი ცხოვრების უფლება, როგორც „უფლება იყო დავიწყებული“ აქცენტს აკეთებს მისი სამართლებრივი მექანიზმებით დაცვაზე. უორენისა და ბრანდისის მიერ გამოყენებული ეს ფრაზა ემსახურებოდა მიზანს, რომელიც მათივე პუბლიკაციაშია მოცემული: დადგენილი ყოფილიყო პირადი ცხოვრების დამცავ ბერკეტთა რაოდენობა საერთო სამართლის სისტემაში (იქვე, გვ. 1100). მოგვიანებით, პირადი ცხოვრების უფლება გაიგივებულ იქნა „უფლებასთან იყო დავიწყებული“ და განიმარტა, როგორც პირის მიერ საკუთარი პირადი ცხოვრების წარმართვა ინდივიდუალური არჩევანის შესაბამისად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მხარეს დგას საზოგადოებრივი ინტერესი (Time, Inc. v. Hill, #385 U.S. 374, 1967). ეს უფლება გულისხმობს ინდივიდის პრივილეგიას დაგეგმოს საკუთარი საქმე დამოუკიდებლად (Doe v. Bolton, #410 U.S. 179, 1973). მიუხედავად ამისა, პირადი ცხოვრების გააზრება, როგორც „უფლება იყო დავიწყებული“ არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი ღირებულება აღვიქვათ სხვა ისეთ ინტერესებთან მიმართებით, როგორიცაა თავისუფალი სიტყვა, ეფექტური მართლმსაჯულება და სხვა. იყო განმარტოებული არ გვადლევს მინიშნებას იმის შესახებ თუ რა შემთხვევებში უნდა ვიყოთ განმარტოებულები (სოლოვი, 2002, გვ. 1101-1102). თუ განვიხილავთ განმარტობას, როგორც სახელმწიფოსგან ჩაურევლობას, იგი ვერ მოგვცემს საშუალებას გავაზროთ ის, რომ პირადი სივრცის დაცვის მოთხოვნა სრულებითაც არ ნიშნავს მოთხოვნას სახელმწიფოსგან, არამედ ესაა ჩაურევლობის მოთხოვნა სხვა პირებთან მიმართებით (იქვე, გვ. 1102; გევისონი, 1980, გვ. 438). განსხვავებული კრიტიკის თანახმად, თუ პირად ცხოვრებას დავინახავთ, როგორც მარტოდ ყოფნას, პირის მიმართ ნებისმიერი გამომწვევი ან ზიანის მიმყენებელი ქმედება ჩაითვლება პირადი ცხოვრების დარღვევად. სახეში ხელის გარტყმაც კი, შესაძლოა მივიჩნიოთ ამგვარ ჩარევად (Allen/ალენი, 1988, გვ. 7).

პირთან შეზღუდული წვდომის თეორია აღიარებს ინდივიდის სურვილს იყოს სხვებისგან დაფარული და განცალკევებული, თუმცა იგი არ უნდა აგვერიოს

განმარტოებაში, ვინაიდან ეს უფრო მეტია ვიდრე იყო სხვებისგან განცალკევებული. ამ კუთხით მას მჭიდრო კავშირი აქვს „უფლებასთან იყო დავიწყებული“ (სოლოვი, 2002, გვ. 1102-1103). აღსანიშნავია, რომ პირთან მიუწვდომლობის ხარისხის არსებობა პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს (ალენი, 1988, გვ. 10). შეზღუდული წვდომის თეორია კავშირშია საზოგადოების დანარჩენ წევრებთან, ვინაიდან პირი, რომელიც იმყოფება კუნძულზე მარტო განიცდის პირადი სივრცის სრულ დაცვას, თუმცა აქ უფრო გამოდგება სიტყვა იზოლაცია, ვიდრე პირთან შეზღუდული წვდომა. ამიტომაც, ამ თეორიის მიხედვით პრივატული სივრცის დაცვა გულისხმობს დაცვას სხვა პირებისგან (სოლოვი, 2002, გვ. 1104). პრივატულობის მოთხოვნილება, ესაა საზოგადოებრივი საჭიროება. საზოგადოების გარეშე არც პირადი სივრცის დაცვის მოთხოვნილება იარსებებს (Moore/მური, 1984, გვ. 73).

პირადი ცხოვრების აღქმა, როგორც საიდუმლოობისა ერთ-ერთი გავრცელებულია. ამ მიდგომის თანახმად პირადი სივრცე დარღვეულია დახურული ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად, შესაბამისად, ინფორმაციის დასადუმლობის უფლება ირღვევა მაშინ, როდესაც ხდება პერსონალური ინფორმაციის მოპოვება იმ პირის ნების გარეშე, ვისაც ეკუთვნის ეს მონაცემი (სოლოვი, 2002, გვ. 1105; პოზნერი, 1981, გვ. 272-273). პირადი ცხოვრების ხედვა, როგორც ინფორმაციის დასადუმლოების შესაძლებლობა თვალნათლივ წარმოაჩენს ამ უფლებას, როგორც გარანტიას ინფორმაციული პრივატულობის უზრუნველყოფისთვის (სოლოვი, 2002, გვ. 1107). მეორე მხრივ, თუ პრივატულობას საიდუმლოობასთან გავაიგივებთ, ეს ფორმულირება ვერ უზრუნველყოფს იმის წარმოჩენას, რომ ინდივიდებს სურთ საიდუმლოდ შეინახონ საკითხები პირთა გარკვეულ ჯგუფთან, ხოლო დანარჩენებთან - არა. მეტიც, პრივატულობა არამარტო გამჟღავნებისგან დაცვაა, არამედ ინდივიდის შესაძლებლობაც, რომ უზრუნველყოს პერსონალური ინფორმაციის მიზნობრივი გამოყენება საკუთარი შეხედულებების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საიდუმლოობა, როგორც პრივატულობის ცნების საერთო განმსაზღვრელი, ძალიან ვიწროა (იქვე, გვ. 1108). ამავდროულად, პირადი ცხოვრების უფლების გააზრება მარტოდენ როგორც საიდუმლოობისა ახდენს მის უკიდურეს ინდივიდუალიზაციას, სადაც თითოეული პირის შეხედულებას უნდა მიენიჭოს ყურადღება. გარდა ამისა, საიდუმლოობის კონდიცია ვერ იქნება სრულფასოვნად რეალიზებული სახელმწიფოს მიმართ, როდესაც, მაგალითად, მოქალაქეთა სარეგისტრაციო მონაცემებში არსებული ინფორმაცია კანონის თანახმად არის შენახული.

პირადი ცხოვრების უფლების მორიგი თეორია ყურადღებას ამახვილებს მის აღქმაზე პერსონალური ინფორმაციის კონტროლის ჭრილში. ალან ვესტინის აზრით პრივატულობა ესაა ინდივიდების, ჯგუფების ან ინსტიტუციების მოთხოვნა, რომ განსაზღვრონ თუ როდის, როგორ და რა ოდენობით ინფორმაციაა მათ შესახებ სხვებისთვის მიწოდებული (Westin/ვესტინი, 1967, გვ. 7; სოლოვი, 2002, გვ. 1110). გარდა ვესტინისა, კონტროლის თეორიას ბევრი მიმდევარი ჰყავს, რომლებიც აქცენტს აკეთებენ პირის შესახებ არსებული მონაცემების მართვაზე. მეორე მხრივ, ინფორმაციაზე კონტროლის თეორია ვიწრო სახის კონცეფციაა, იგი გამორიცხავს პრივატულობის იმ ნაწილს, რომელიც ინფორმაციული არაა, მაგალითად, უფლებას, რომ მიიღო გარკვეული გადაწყვეტილებები პირის სხეულის, რეპროდუქციისა და ბავშვის ჩასახვის შესახებ. ამავდროულად, შესაძლებელია თეორიის ფართოდ განხილვაც, ვინაიდან ვერ ხდება იმ ინფორმაციის განსაზღვრა, რომელზეც უნდა ჰქონდეს კონტროლის შესაძლებლობა ინდივიდს. გარდა ამისა, თუ განვიხილავთ, რომ კონტროლის თეორია აქცენტს აკეთებს იმ ინფორმაციაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირებადია, ეს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის მისი ფარგლების დადგენას. მაგალითად, თუ პირი ცნობილი პოლიტიკოსია, მისი საჯარო სტატუსი პირდაპირ ახდენს მის იდენტიფიცირებას, თუმცა არ წარმოადგენს პრივატულ ინფორმაციას. ამავე დროს, ცნება „კონტროლი,“ ასევე, საჭიროებს განმარტებას. ზოგიერთ შემთხვევაში კონტროლი პირდაპირ უკავშირდება საკუთრების ასპექტს პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით (სოლოვი, 2002, გვ. 1110-1112). კონტროლის თეორიის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ პიროვნებას საკუთარი მონაცემის მიმართ არ გააჩნია სრული კონტროლის შესაძლებლობა, კერძოდ, თუ სახელმწიფო მოისურვებს დააკანონოს გარკვეული ინფორმაციის სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის ფლობა, პირი იმთავითვე კარგავს უფლებას თავისუფლად განკარგოს საკუთარი პერსონალური მონაცემი, რამდენადაც ამგვარი ინფორმაცია საზოგადოებრივი საჭიროებების შესაბამისად, აუცილებელ დამუშავებას საჭიროებს (იქვე, გვ. 1115).

პირადი ცხოვრების მორიგი თეორია ერთმანეთთან აიგივებს პრივატულობისა და პიროვნულობის საკითხს. ამ მნიშვნელობით პრივატულობა გვევლინება ადამიანური ღირსებისა და თავისუფლების ანალოგად (იქვე, გვ. 1116-1117). ამ მნიშვნელობით პრივატულობა წინაპირობაა ღირსებისა და თავისუფლების უზრუნველყოფისთვის, რაც საბოლოოდ მისი ნების თავისუფალი გამოვლინებიდან გამომდინარეობს.

პრივატულობა, როგორც ინტიმურობა აქცენტს აკეთებს ადამიანურ ურთიერთობებსა და ამ ურთიერთობების შესაძლებლობებზე. მეცნიერები პრივატული სფეროს მნიშვნელოვან მონაპოვრად მიიჩნევენ ინტიმური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობას, ხოლო თუ რა არის ინტიმური, ამის პასუხად უთითებენ ფაქტობრივ ვითარებას, კერძოდ, ინტიმურია პირადი საკითხი მაშინ, როდესაც ის გაზიარებულია ძალზედ ვიწრო წრისთვის (იქვე, გვ. 1121-1122). ამასთან, პირადი ცხოვრების ინტიმური მხარე არ არის შემოფარგლული მხოლოდ ფაქტობრივი მოცემულობით, მაგალითად, კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პირის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ჭრილში მოიხსენიებს და ამ კუთხით ხაზს უსვამს ჩარევისგან მისი აბსოლუტური დაცვის აუცილებლობას.

მოცემული თეორიებიდან იურიდიულ ლიტერატურაში ყველაზე მეტად გავრცელებულია შეზღუდული წვდომის ან კონტროლის თეორია, რაც გამოიყენება პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პირად სივრცეში შეჭრა არ გულისხმობს პერსონალურ ინფორმაციასთან წვდომას. მაგალითად, თუ პირს უთვალთვალევენ სააბაზანოში, მიუხედავად იმისა, რომ არ ხდება ახალი ინფორმაციის მოპოვება, ეს მაინც წარმოადგენს პრივატული სივრცის დარღვევას (ნისენბაუმი, 2010, გვ. 70). ამ მსჯელობის ამოსავალი წერტილი ისაა, რომ პრივატული სივრცე, მეცნიერთა აზრით, მხოლოდ ინფორმაციულ კატეგორიამდე არ დაიყვანება, იგი მოიცავს სხვა ასპექტებსაც. თუმცა, არ იქნება უადგილო თუ ვიტყვით, რომ კონტროლის თეორია პრივატულობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამავდროულად, თანაბრად მნიშვნელოვანია იმ მიდგომის გათვალისწინებაც, რომელიც გულისხმობს წვდომის ხარისხს ინფორმაციასთან მიმართებით, კონტროლის მიუხედავად (იქვე, გვ. 71).

თეორიების განხილვის შედეგად ნათელია, დასკვნის სახით შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ შემდეგი მიდგომები:

1. პრივატულ სივრცეს გააჩნია სხვადასხვაგვარი აღქმა, რაც დამოკიდებულია მასში შემავალი მრავალი საკითხის არსებობაზე;
2. ყოველი ჩამოთვლილი თეორია თუ კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს იმ ასპექტებზე, რის გამოც პირადი სივრცე ღირებულია ადამიანისთვის;
3. თითოეული კონცეფციის მიღმა, საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, დაცვადად უნდა მოვიაზროთ პერსონალური მონაცემებიც, როგორც პრივატულობის ინფორმაციული ნაწილი;

4. აუცილებელია სამართლებრივი მექანიზმების არსებობა, რათა ეს ასპექტები დაცვადად იყოს აღიარებული.

თავი II. პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სფეროს სამართლებრივი ფარგლები ნორმატიული, ნეიტრალური, რედუქციონისტული და ანტირედუქციონისტული კონცეფციების, ასევე, სხვა თეორიების განხილვის შემდეგ, მიზანშეწონილია განვიხილოთ თუ როგორაა დაცვა ეს უფლება სამართლებრივად. გარდა დაცული სფეროს განსაზღვრისა, მოცემული ანალიზი გარდაუვლად გულისხმობს ამ უფლების განვითარებისა და ევოლუციის საკვანძო საკითხების განხილვასაც. ადამიანის უფლებათა განვითარება, დროთა განმავლობაში, ყველაზე მკაფიოდ ევროპულ და ამერიკულ კულტურებში ვლინდებოდა, ამიტომ ქვემოთმოყვანილი განხილვაც მოცემული ტერიტორიული ფარგლებით ვიწროვდება. თუმცა, პირველ რიგში, მიზანშეწონილია განვიხილოთ პირადი ცხოვრების უფლების ირგვლივ საქართველოში არსებული სამართლებრივი მოწესრიგება და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები.

ფართო მასშტაბით პირადი ცხოვრების ცნება, პირველ რიგში, სახელმწიფოსგან დამცავ ბერკეტად გვევლინება. გარდა ამისა, იგი შესაძლებელია განიმარტოს როგორც კერძო პირების მხრიდან არასასურველი და უნებართვო ჩარევის წინააღმდეგ მიმართული მექანიზმი. გარდა ზემოხსენებული ასპექტებისა, პირადი ცხოვრება მოიცავს პირის ფილოსოფიურ, რელიგიურ, მორალურ შეხედულებებს, ფსიქოლოგიურ საკითხებს და ა.შ. (EU Network of Independent Experts on Fundamental Rights/ფუნდამენტურ უფლებებზე მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტების ევროპული კავშირის ქსელი, 2006, გვ. 78-79).

საერთაშორისო მასშტაბით პირადი ცხოვრების უფლება პირველად გაიწერა 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც შემდეგი სახითაა ფორმულირებული:

„მუხლი 12. არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში. თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპოდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს ასეთი ჩარევისა და ხელყოფისგან.“

მსგავსი შინაარსის შემცველია 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლის მე-17 მუხლი შემდეგი სახით აყალიბებს ამ უფლებას:

„1. არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპოდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.“

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისგან.“

მეტი თვალაჩინოებისთვის მიზანშეწონილია დაცული სფეროს განხილვა სამი მიმართულებით:

1. საქართველოში არსებული მიდგომების მიხედვით;
2. პირადი ცხოვრების უფლების ევროპული და ამერიკული მოწესრიგების გათვალისწინებით;
3. საერთაშორისო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების თანახმად.

2.1. პირადი ცხოვრების უფლების სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოში
ტრადიციულად, უფლებათა კატალოგი სახელმწიფოს ძირითადი კანონით ან კონსტიტუციური შინაარსის აქტივითაა მოცემული. პირადი ცხოვრების უფლება ჯერ კიდევ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით იყო გაწერილი, რომელიც ორი მუხლის შინაარსში იყო განაწილებული, კერძოდ, მისი 28-ე მუხლის თანახმად: „ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში,“ ხოლო 29-ე მუხლით დაცული იყო პირადი მიმოწერა: „კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია: მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.“

დღეს, პირადი ცხოვრების დაცვის უფლება საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციითაა გარანტირებული. მისი მე-20 მუხლი ადგენს, რომ

„1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაივება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.“

გარდა აღნიშნული დაცვის გარანტიებისა, მე-20 მუხლი ცალკე ამახვილებს ყურადღებას ინდივიდის საცხოვრისის დაცვაზე. მეორე ნაწილის მიხედვით, რომელიც საპროცესო უფლებებთან კავშირშია, დადგენილია, რომ

„2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“

შესაბამისად, კონსტიტუციით ინდივიდის კერძო საცხოვრისისა და პირადი ცხოვრების დანარჩენი ასპექტების დაცვა გამიჯნულია.

აქცენტები პირადი ცხოვრების, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვაზე მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რამოდენიმე მუხლშიც, რომლებიც ძირითადად კოდექსის მესამე თავითაა მოცემული. გასათვალისწინებელია, რომ კოდექსის ნორმები მოქმედებს მხოლოდ საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალურ მონაცემთა გამოყენებასთან დაკავშირებულ მოქმედებებზე. ზოგად დაცვაზე ყურადღებას ამახვილებს მე-10 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით „ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.“ იმავე შინაარსის შემცველია კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი. ნორმის თანახმად „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.“ უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა საიდუმლოების შესახებ ჩანაწერი მოცემულია კოდექსის 44-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მიხედვით „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.“

მიუხედავად პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ არსებული ჩანაწერებისა, კოდექსის 82-ე მუხლი ადგენს, რომ „განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი, კომერციული საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა.“ ეს ჩანაწერი ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების თავშია მოცემული, რითაც განმცხადებელს ენიჭება შესაძლებლობა მოითხოვოს წარდგენილი ინფორმაციის დასაიდუმლოება. თუმცა, კოდექსის ეს ნორმა წინააღმდეგობაშია ამავე კოდექსის ზემოდმოყვანილ მუხლებთან, ვინაიდან, 44-ე მუხლი უკვე ადგენს პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობის ვალდებულებას, ხოლო მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ პუნქტის თანახმად საიდუმლო ინფორმაცია განიმარტება, როგორც „[...] საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული,

შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, [...]“ შესაბამისად, პერსონალური ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება საჯარო დაწესებულებებისთვის წინამდებარე მუხლებითაა დადგენილი. ამდენად, კოდექსის 82-ე მუხლით დადგენილი წესი შინაარსობრივად ახალს არაფერს აწესებს.

პირადი ცხოვრების დაცვა ჰორიზონტალურ სამართლებრივ ურთიერთობებში უზრუნველყოფილია. მხარეთა შორის თანასწორუფლებიან ურთიერთობაში არსებული დაცვის გარანტიების ორი მიმართულება შეიძლება გამოიყოს. პირველი, როდესაც პირადი ცხოვრების დაცვასა და მხარეთა შორის გაზიარებული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე მითითება მოცემულია ამავე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით და, მეორე, როდესაც მხარეებს არ დაუდიათ ხელშეკრულება, თუმცა მაინც მართებთ ერთმანეთის პირადი სივრცის პატივისცმა. ამ საკითხებზე ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და მე-18¹ მუხლები. მე-18 მუხლით დადგენილი უფლებები შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დაიყოს:

1. პირის მიერ მისი სახელის უნებართვოდ გამოყენების წინააღმდეგ მიმართული ზომები;
 2. სასამართლოს წესით პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, ხელშეუხებლობის ან რეპუტაციის დაცვა;
 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან სხვაგვარად დოკუმენტალურად მცდარი ინფორმაციის უარყოფის შესაძლებლობა;
 4. პირის უფლება საჯაროდ უარყოს მის წინააღმდეგ გამოქვეყნებული ინფორმაცია.
- მე-18¹ მუხლით დადგენილი უფლება კი, პირს საშუალებას აძლევს მიიღოს მის შესახებ არსებული ინფორმაცია სხვადასხვა პირებისგან და, ასევე, მოიპოვოს სხვა პირის შესახებ ინფორმაცია მისი თანხმობისა და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით.

პირადი ცხოვრების დაცვა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარდა, სისხლისსამართლებრივ დაცვასაც ექვემდებარება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დასჯადია ქმედება, რომელიც მოიცავს პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებას, შენახვას, გამოყენებას, გავრცელებას ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარ უზრუნველყოფას, თუ იგი მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევია, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უმართლოა ქმედება, რომელიც ეხება პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენებას ან/და გავრცელებას ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების,

ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, თუ იგი მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევია. ორივე შემთხვევაში, ზემოხსენებული ქმედებების დანაშაულის კატეგორიაში მოსაქცევად აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის პირობის არსებობა, რითაც იგი ხარისხობრივად განსხვავდება სამოქალაქოსამართლებრივი დელიქტისგან.

ამრიგად, სახელმწიფოს ძირითადი კანონით გაწერილი პირადი ცხოვრების უფლება გარანტირებულია სახელმწიფოს სხვა სამართლებრივი აქტებითაც. საჯარო ორგანოების მიერ დაცვის ვალდებულება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაა დადგენილი, სამოქალაქო ურთიერთობებში პირადი სივრცის დამცავი ნორმები სამოქალაქო კოდექსითაა რეგლამენტირებული, ხოლო პირადი ცხოვრების იმ კატეგორიის დაცვა, რომლის გამჟღავნებაც პირისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაწილს წარმოადგენს. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობაში სხვა სამართლებრივი აქტებიც მოიპოვება, რომელიც საკუთარი რეგულირების ფარგლებში ეხება პირადი ცხოვრების, საიდუმლოობის ან კონფიდენციალურობის დაცვას, მაგალითად, ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი, პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი და სხვა. მოცემული ნორმატიული აქტები, ძირითადად, წარმოადგენენ ე.წ. სექტორული კანონმდებლობის ნაწილს და შესაბამისად, კონფიდენციალურობის დათქმის ნაწილში, რეგულირების ვიწრო სფეროთი შემოიფარგლებიან.

2.2. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა პირადი ცხოვრების უფლების დაცული სფეროს შესახებ

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდგომ, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, ადამიანის სხვადასხვა უფლებების დაცვა დროთა განმავლობაში მეტ და მეტ ყურადღებას იპყრობს. არც პირადი ცხოვრების უფლებაა გამონაკლისი. ქართულ სამართლებრივ სივრცეში პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებული პრეცედენტები არ არის მრავალფეროვანი, თუმცა მიზანშეწონილია საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ციტირება და განხილვა სამართლებრივი მიდგომების ზოგადი ანალიზის მიზნით.

პირადი ცხოვრების უფლების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ძირითადად, უფლებათა დაცვის ევროპულ მოდელში არსებული სტანდარტების შემცველია. გადაწყვეტილებაში საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (26.12.2007), სასამართლო მიიჩნევს, რომ

„ზოგადად, პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე კი, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან. [...]. ნიშნადობლივია, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება.“

მეტიც, გადაწყვეტილებაში საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (24.10.2012), სასამართლომ აღნიშნა რომ „ეს უფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის.“

გარდა პირადი ცხოვრების არსის განხილვისა, სასამართლო არაერთგზის უსვამს ხაზს კონსტიტუციის მე-16 მუხლსა (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და მე-20 მუხლს შორის არსებულ შინაარსობრივ კავშირზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ ფორმალური თვალსაზრისით „პირადი ცხოვრების კონსტიტუციური დაცვის ფარგლების გააზრების კონტექსტში, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი შეიძლება ჩაითვალოს მე-16 მუხლით დაცული სფეროსათვის სპეციალურ ნორმად იმ გაგებით, რომ ის არეგულირებს პიროვნების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს.“

ამა თუ იმ სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-20 მუხლთან თავსებადობის ნაწილში, საკონსტიტუციო სასამართლო რიგ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს პირადი ცხოვრების უფლების შემზღვევით ნორმის ამ უფლებაში ჩარევის საფუძვლებთან (კონსტიტუციურ ზღვრებთან) თავსებადობის ნაწილზე, ხოლო სხვა შემთხვევაში ამ

უფლებებში ჩარევის პროპორციულობაზე (ზღვრის ზღვარი). მაგალითად, საქმეში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მოსარჩელეთა მიერ სადავოდ იყო მიჩნეული ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც „ისეთი ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინებების საიდუმლოებას, დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით, ან იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით.“ მოსარჩელეთა აზრით, ინტერპრეტირების დროს ნორმაში გამოყენებული კავშირი „ან“ გაუმართლებელი იყო, იგი ეწინააღმდეგებოდა პირადი ცხოვრების უფლებებში ჩარევის კონსტიტუციურ საფუძველებს. ნორმის გრამატიკული ანალიზის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ამგვარი ჩანაწერით სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტს, რის გამოც სიტყვების - „მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით“ - შემდეგი ნაწილი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, ხოლო 2014 წლის პირველი აგვისტოს საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად ეს პუნქტი კანონიდან ამოიღეს და სხვაგვარ მოწესრიგებას დაუქვემდებარეს. მოცემულ გადაწყვეტილებაში თვალნათელია, რომ ნორმის ინტერპრეტირების შესახებ სასამართლოს მსჯელობა უფლებებში ჩარევის საფუძველების კონტექსტში განიხილებოდა.

ჩარევის პროპორციულობასთან მიმართებით საინტერესოა გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (14.04.2016), სადაც გასაჩივრებული იყო პირადი ხასიათის ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის წესები. მოსარჩელებმა სადავოდ გახადეს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომელიც საგამომიებო მიზნებიდან გამომდინარე შესაბამის დაწესებულებას, სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, საშუალებას აძლევდა განეხორციელებინა შესაბამისი ქმედებები.

2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, შემდგომი ორი საგამომიებო მოქმედება - სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა ელექტრონული ტელეკომუნიკაციების საშუალებიდან - ახლებურ მოწესრიგებას დაექვემდებარა. სიახლე მდგომარეობდა იმაში, რომ ორივე მათგანზე ზედამხედველობის სპეციალური უფლებით აღიჭურვა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასთან მიმართებით ინსპექტორი ახორციელებდა რეალურ დროში თანხმობის გაცემას. ეს ნიშნავს იმას, რომ საგამომიებო ორგანოს მიერ ფარული მიყურადება ვერ განხორციელდებოდა თუ ინსპექტორი ამის ნებართვას არ გასცემდა. ინსპექტორის მიერ მეორე სახის საგამომიებო მოქმედების კონტროლი ხორციელდებოდა მოპოვებული ინფორმაციის კანონიერების შემოწმებით, რაც პირველისგან განსხვავებით შემდგომ კონტროლს წარმოადგენდა. ამავდროულად, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისთვის ტექნიკური საშუალებების დამონტაჟების ექსკლუზიური უფლებამოსილება საგამომიებო ორგანოს კომპეტენციად დარჩა, ხოლო ინფორმაციის მოპოვების ნაწილში ინსპექტორის მიერ ვერ ხდებოდა მთელი იმ ინფრასტრუქტურის შემოწმება, სადაც და რა მეთოდებითაც ხორციელდებოდა ინფორმაციის მოპოვება კავშირგაბმულობის არხებიდან და ტელეკომუნიკაციის საშუალებებიდან.

მოსარჩელეთა მტკიცებით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელების სისტემა არ იყო ეფექტური, ვინაიდან ტექნოლოგიური საშუალებების მონტაჟი საგამომიებო უწყების კომპეტენციას წარმოადგენდა. ეს ქმნიდა რისკებს იმგვარი ალტერნატიული საშუალებების მონტაჟისთვის და გამოყენებისთვის, რომლის კონტროლიც ინსპექტორის მიერ შეუძლებელი იყო. ამავდროულად, მოპოვებულ ინფორმაციაზე კონტროლის შესაძლებლობა მხოლოდ კანონიერების ნაწილის შემოწმებას გულისხმობდა, შესაბამისად, ვერ ხდებოდა მთელი იმ სისტემის კონტროლი, სადაც მონაცემთა მოპოვების მეთოდები და საშუალებები იყო განთავსებული. მესამე გარემოების თანახმად, ინფორმაცია, რომელიც მოიპოვებოდა კავშირგაბმულობის არხებიდან და ტელეკომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებიდან, კანონის თანახმად, უნდა ყოფილიყო შენახული ორი წლის ვადით. ეს კი, სასამართლოს მიერ არაპროპორციულად შეფასდა, ვინაიდან არ იყო დადგენილი დიფერენცირება და კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა მიზნებს ემსახურებოდა თითოეული მონაცემის ამ ვადით შენახვა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საგამომიებო მოქმედებები თანამედროვე სახელმწიფოში აუცილებელი მოვლენაა, თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ამ საგამომიებო მოქმედებათა შედეგად ადამიანის უფლებაში, კერძოდ, პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის პროპორციებს. სასამართლოს აზრით, უფლებაში ჩარევის მოცემული მოდელი არ იყო პროპორციული. არსებობდა მომეტებული რისკები ადამიანთა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კანონიერებაზე კონტროლის მიზნით პროცესში ჩართული იყო ინსპექტორი, რეგულირების არსებული მოდელი კვლავაც რისკების შემცველი იყო და ადგენდა უფლების დაცვის სუსტ გარანტიებს. ამდენად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

პირადი ცხოვრების უფლების დაცვის შესახებ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ვლინდება ადამიანის უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის გამოყენების შემთხვევები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.

პირველ რიგში, საინტერესოა სასამართლოთა განმარტება პირადი ცხოვრების უფლების შესახებ. მაგალითად, საკასაციო სასამართლოს თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით „აღიარებულია ადამიანის სულიერი ბუნების, მისი გრძნობებისა და ინტელექტის მნიშვნელობა,“ ამავდროულად პირი დაცულია რწმენაში, აზრებში, ინტიმურ გრძნობებში (ნაჭყებია, 2014, გვ. 24).

გარდა ამისა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, საქმეზე ნ.რ-ე, ზ.მ-ე და ე.ა-ე-ს წინააღმდეგ (04.05.2014), გარემოებათა გათვალისწინებით ეს უფლება განმარტა, როგორც კომუნიკაციის თავისუფლების გარანტი, სადაც იგი დაცულია გარეშე პირთა არასასურველი მონაწილეობისგან. შესაბამისად, კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს შესაძლებლობას აძლევს თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტიონიორი. მოცემული ინტერპრეტირება თავსებადია პირადი ცხოვრების უფლების დაცვის თანამედროვე კონცეფციასთან. ამავდროულად, სასამართლოს აზრით, პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევა, განსხვავებულია დაცვის ხარისხის მიხედვით, კერძოდ, ინტიმური სფერო აბსოლუტური დაცვით სარგებლობს, რაც არ არის ანალოგიური კერძო სფეროსთან მიმართებით. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევა დასაშვებია დასაცავი ობიექტის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში და გამართლებულია უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობითაც. მოცემულ საქმეში

განიხილებოდა პირის მიერ კერძო საუბრის ფარული ჩანაწერის მტკიცებულებად გამოყენების დასაშვებობის საკითხი, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის.“ სასამართლოს აზრით მსგავსი ფარული ჩანაწერი დასაშვები იქნებოდა თუ ეს ერთადერთი გზა იქნებოდა საკუთარი უფლების დასაცავად, „იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია.“

მორიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ეხება პირადი ხასიათის კომუნიკაციის სოციალური ქსელის მეშვეობით დამყარების საკითხს. საქმეში გ.კ-ი, ნ.ა-ი-ს წინააღმდეგ (09.01.2014), სასამართლომ განმარტა, რომ ნებისმიერი პირადი სახის კომენტარი, თუ იგი განხორციელებულია სოციალური პლატფორმის მეშვეობით, უნდა შეფასდეს, როგორც საჯარო ადგილას აზრის გამოხატვა. უფრო კონკრეტულად, სასამართლოს აზრით „გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისთვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს.“ მოცემულ საქმეში, გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ საჯარო წყაროდ ცნო. შესაბამისად, მიუხედავად პირადი კომუნიკაციების მიზნობრიობისა, კომენტარების ან საჯაროდ გამოცხადების სხვა ფორმები ვერ უზრუნველყოფს პირადი სივრცის დაცვას. ამ შემთხვევაში პიროვნება გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ახდენს პირადი შეხედულებების გასაჯაროებას. აქვე მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ მომხმარებლებს სრული თავისუფლება აქვთ განათავსონ მათ შესახებ არსებული ინფორმაცია თუ ფოტოსურათები საკუთარ პირად გვერდზე. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მეტი სიფრთხილეა საჭირო პირად პროფილზე სხვა პირის გამოსახულების განთავსებისას, რამდენადაც ამ ფაქტმა შესაძლოა გავლენა იქონიოს აღნიშნული პირის წარმოდგენაზე საზოგადოებაში (Berg et al./ბერგი და სხვები, 2011, გვ. 41).

პერსონალური ხასიათის ინფორმაციის გასაჯაროვებას ეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ანა შალამბერიძე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ, სადაც აპელანტი ადმინისტრაციული ორგანოსგან ითხოვდა 2008 წლის განმავლობაში თანამშრომელთა ვინაობებისა და მათ მიერ დაკავებული თანამდებობების, ასევე, ბიუჯეტიდან თითოეულ თანამშრომელზე გაცემული ხელფასის, პრემიისა და ჯილდოს ოდენობის შესახებ ინფორმაციას, თითოეულ პირზე ინდივიდუალური მითითებით, გარდა ამისა თითოეული თანამშრომლის სამივლინებო ხარჯებს 2008 წლის განმავლობაში, ასევე, ინდივიდუალური დიფერენციაციით. საჯარო რეესტრის სააგენტომ ამგვარი ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა, ასევე, ვერ დაკმაყოფილდა სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოშიც, სადაც მართლმსაჯულების ორგანომ განმარტა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა პირადი ხასიათის მონაცემებს, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ევქმდებარებოდა დაცვას, ამავდროულად, სუბიექტები ვის შესახებაც მოითხოვებოდა ინფორმაცია არ იყვნენ თანამდებობის პირები, შესაბამისად, მათზე ვერ გავრცელდებოდა ის წესი, რომლის თანახმადაც საჯარო პირების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამასთანავე, სასამართლოს აზრით აპელანტის ლეგიტიმური მიზანი დაკმაყოფილდა, ვინაიდან მას მიეწოდა ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია 2008 წლის განმავლობაში გაწეული საბიუჯეტო ხარჯების შესახებ, ეს კი მის ლეგიტიმურ მიზანს აკმაყოფილებდა (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2010, გვ. 146-149).

2.3. პირადი ცხოვრების უფლების დაცული სფერო ამერიკული პრეცედენტული

სამართლის მიხედვით

არ იქნება გასაკვირი თუ ვიტყვით, რომ პირადი სივრცის დაცვის მიმართ საზოგადოების ინტერესი უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში გამძაფრდა, რასაც საფუძლად ტექნოლოგიური პროგრესი დაედო. პირადი სივრცის დაცვის შესახებ ერთ-ერთ პირველ სამართლებრივ და საკმაოდ გავლენიან სტატიაში (უორენი & ბრანდისი, 1890) ავტორებმა პრივატულობა განსაზღვრეს როგორც „უფლება იყო დავიწყებული“ („უფლება იყო განმარტებული“). თავისი შინაარით ეს ფორმულირება ფართოა, ხოლო დროთა განმავლობაში შეიძინა განვითარების სხვადასხვა მიმართულებები. მოცემული სტატია ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში მონუმენტურ ნაშრომს წარმოადგენს და გარდამტეხი მნიშვნელობის მქონეა (Mathews (ed.)/მათეუსი (რედ.), 2006, გვ. 10). მთავარი საფრთხე,

ავტორების აზრით, იმ პერიოდში არსებული საგაზეთო პუბლიკაციების სიხშირითა და ფოტოგადაღებებით იყო გამოწვეული, რაც პირადი და კერძო ცხოვრების „წმინდა“ საზღვრებს ლახავდა (უორენი & ბრანდისი, 1890, გვ. 193, 195). შესაბამისად, ეს საფრთხეები საჭიროებდა რეაგირებას. სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ იმ მომენტისთვის ამერიკული კანონმდებლობა კონკრეტულად არ იცავდა უფლებას პირად ცხოვრებაზე. ცილისწამების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა პირს იცავდა მასზე მცდარი ინფორმაციის გავრცელებისგან. სახელშეკრულებო სამართალი პირს გარანტიებს ანიჭებდა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში მხარესთან დადებული შეთანხმებიდან გამომდინარე და არა მესამე, ხელშეკრულების გარეთ არსებული პირებისგან უზრუნველყოფდა დაცვას (მათეუსი (რედ), 2006, გვ. 11). მეტიც, პირის გამოსახულებით სარგებლობისას, ავტორები ვერც საკუთრების უფლებით სარგებლობაში ხედავდნენ გამოსავალს, რამდენადაც პირს გამოსახულების მიმართ ინტერესი გააჩნია არა იმიტომ, რომ მას აქვს გამოსახულების პუბლიკაციის შემთხვევაში შემოსავლის მიღების უფლება, არამედ მთავარია, რომ პირის სიმშვიდე არ დაირღვეს ან არსებობდეს შესაძლებლობა, რომ პირმა მოახდინოს ნებისმიერი გამოქვეყნების პრევენცია, აქედან გამომდინარე, რთულია ამ უფლების საკუთრების უფლების ქოლგის ქვეშ გაერთიანება (უორენი & ბრანდისი, 1890, გვ. 200). ამ პუბლიკაციამ მნიშვნელოვანი სათავე დაუდო აშშ-ში პირადი ცხოვრების უფლების კონსტიტუციურ აღიარებას.

ზოგადად, ნებისმიერი სამართლებრივი საკითხი, ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემის განსხვავებულობიდან გამომდინარე, ექვემდებარება ევოლუციურ განვითარებას, რიგ შემთხვევაში სასამართლო პრეცედენტების, ხოლო სხვა შემთხვევაში ამერიკელი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი მეცნიერების დოქტრინული შეხედულებების (Restatements) შესაბამისად (გამოიცემა ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ).

აშშ-ის კონსტიტუციის ტექსტი არ იცნობს სიტყვას „პრივატულობა“ (privacy), პირადი ცხოვრების დაცვის შინაარსთან ყველაზე ახლოს დგას აშშ-ის კონსტიტუციის მეოთხე შესწორება, რომლის ტექსტი შემდეგი ფორმულირებითაა მოცემული: „ადამიანების უფლება, რომ ისინი, მათი საცხოვრისები, ჩანაწერები და ქმედებები იქნეს დაცული დაუსაბუთებელი ჩარევისა და შეზღუდვისგან, არ უნდა იქნეს შელახული, გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რაც ნებადართულია ფიცით ან სანქციით, და აღწერილია ის ადგილი, რომელიც უნდა იქნეს გამოკვლეული და ის პირები ან ნივთები, რომელიც უნდა იქნეს დაკავებული.“ მოცემული კონსტიტუციური დანაწესი

არაერთხელ იქნა გამყარებული აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ. მაგალითად, სასამართლომ აღნიშნა, რომ „დამიანთა უფლების კონსტიტუციური გარანტია მათი ჩანაწერების დაცვის შესახებ დაუსაბუთებელი ამოღებისა და ჩამორთმევისგან ვრცელდება იმ ჩანაწერებზეც, რომელიც დახურულია შემოწმებისთვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი“ (Ex Parte Jackson, #98 U.S. 727, 1878). მეოთხე შესწორების მორიგი მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა საქმეში Boyd v. United States (#116 U.S. 616, 1886), სადაც სასამართლომ განმარტა კონსტიტუციური ჩანაწერი შემდეგი სახით: „უმართლო ქმედების არსი ვლინდება არა პირის კარის შემტვრევასა და მისი ქვითრების ჩხრეკაში, არამედ იმაში, რომ მოხდა მისი ხელშეუვალი უფლების - პირადი უსაფრთხოების - შელახვა [...] დოკუმენტების ან პირადი ჩანაწერების ნებისმიერი იძულებითი და სავალდებულო გამოთხოვა, რომელიც დანაშაულისთვის გამოიყენება მტკიცებულებად, დაკავებისთვის ან ნივთების კონფისკაციისთვის, წარმოადგენს განაჩენის შემადგენელ ნაწილს.“

პირადი ცხოვრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები აშშ-ის სასამართლო პრეცედენტების მიხედვით ჩამოყალიბდა, როგორც დელიქტური სამართლის (Tort Law) რეგულირების სფეროდ. საქმეში Pavesich v. New England Life Insurance Co. (#22 Ga. 190; 50 S.E. 68; 1905) ჯორჯიის შტატის უზენაესმა სასამართლომ პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა დელიქტური სამართლის რეგულირების საგნად მიიჩნია, სასამართლოს განმარტებით პირადი ცხოვრების აშკარად კერძო საკითხების დაცვის უფლება ბუნებითი სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. თუ პირი განიზრახავს, რომ იცხოვროს ნაწილობრივ განმარტოებით, მას აქვს უფლება აირჩიოს დრო, ადგილი და პირობები რა დროსაც იგი იქნება საზოგადოებისთვის გამომზეურებული, სხვა სიტყვებით, პირი არ უნდა იქნეს წარდგენილი საზოგადოებისთვის მისი თანხმობის გარეშე. შესაბამისად, პირადი ცხოვრების დარღვევა იმთავითვე გულისხმობს ინდივიდის კანონით განსაზღვრული უფლების დარღვევას.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკელმა მეცნიერმა უილიამ პროსერმა მოახდინა იქამდე არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი და განაზოგადა დელიქტური სამართლის ის ნაწილი, რომელიც პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას ეხება, როგორც დელიქტს (Prosser/პროსერი, 1960). მისი დასკვნით, პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს ოთხი განსხვავებული სახის ჩარევას, რომელიც მოსარჩელის სხვადასხვა ინტერესებს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაერთიანებულნი არიან ერთი, „ქოლგის“ ტიპის უფლების ქვეშ, მათ საერთო არაფერი გააჩნიათ გარდა იმისა, რომ

ყოველი მათგანი ეხება მოსარჩელის უფლებას „იყოს განმარტოებული.“ მოცემული ოთხი დელიქტი შესაძლებელია შემდეგი სახით დაჯგუფდეს:

1. მოსარჩელის სიმარტოვის, განცალკევების ან მის პირად საქმეებში ჩარევა;
2. მოსარჩელის შესახებ უხერხული პირადი ფაქტების გამოქვეყნება;
3. მოსარჩელის შესახებ იმგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც მცდარია;
4. მოპასუხის მიერ მოსარჩელის სახელით ან გამოსახულებით სარგებლობა (იქვე, გვ. 389).

Restatement (Second) of Tort-ის მიხედვით პირველი დელიქტის ფორმულირება შემდეგია: პირი, რომელიც ფიზიკურად ან სხვაგვარად განზრახ დაარღვევს სხვა პირის სიმარტოვს ან ჩაერევა მის პირადი საქმეებსა ან საკითხებში, პასუხისმგებელია მეორე პირის პირადი ცხოვრების დარღვევისთვის, თუ ჩარევა აშკარად შეურაცხყოფელია რიგითი ადამიანისთვის (The American Law Institute/ამერიკული სამართლის ინსტიტუტი, 1977). თუმცა ეს განმარტება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სამართლებრივი დაცვის გარანტიები მოსარჩელეს მხოლოდ კერძო საცხოვრისში გააჩნია, ვინაიდან ეს უფლება მას გააჩნია ყველა იმ შემთხვევაში სადაც არსებობს პირადი სივრცის დაცვის გონივრული მოლოდინი (მათეუსი 2006, გვ. 14).

მეორე დელიქტის დოქტრინული ფორმულირების მიხედვით თუ პირი გაასაჯაროებს სხვა პირის შესახებ არსებულ პირადი ცხოვრების საკითხებს, პასუხისმგებელია მისი დარღვევისთვის თუ გასაჯაროება ძალიან შეურაცხყოფელია რიგითი ადამიანისთვის და საზოგადოებას არ გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი ამ საკითხის მიმართ (ამერიკული სამართლის ინსტიტუტი, 1977). მოცემული განმარტება მედიისთვის ქმნის ერთგვარ გარანტიას, რომ მოპოვებული ინფორმაცია დაუბრკოლებლად გამოაქვეყნონ, მაგალითად, საქმეში Cox Broadcasting v. Cohn (#420 U.S. 469, 1975), აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ინფორმაცია განთავსებულია სასამართლოს საჯარო დოკუმენტთა სიებში, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, პრესას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მათი გამოქვეყნებისთვის, ხოლო საქმეში Smith v. Daily Mail (#443 U.S. 97, 1979), სასამართლოს განმარტებით თუ გაზეთი კანონიერად მოიპოვებს სწორ ინფორმაციას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხზე, მაშინ სახელმწიფოს კონსტიტუციურად არ აქვს უფლება დააწესოს პასუხისმგებლობა ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის.

მცდარი ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მესამე სახის დელიქტის შინაარსი შემდეგი სახისაა: თუ პირი ასაჯაროებს მეორე პირის შესახებ საკითხს, რომელიც მცდარია, იწვევს პასუხისმგებლობას მეორე პირის წინაშე პირადი ცხოვრების

დარღვევისთვის იმ შემთხვევაში, თუ ქმედება ძალიან შეურაცხმყოფელია რიგითი ადამიანისთვის და პირს გააზრებული ჰქონდა ან არ ჰქონდა შეცნობილი გასაჯაროებული საკითხის სინამდვილესთან შეუსაბამობა (ამერიკული სამართლის ინსტიტუტი, 1977). მაგალითად, შემდეგი საქმეები *Semler v. Ultem Publications* (1938), *Thompson v. Close-Up, Inc.* (1950); *Metzger v. Dell Pub. Co.* (1955); *Martin v. Johnson Pub. Co.* (1956) ხასიათდება იმით, რომ ყველა მათგანი ეხებოდა მოსარჩელის გამოსახულების გამოყენებას იმ სტატიების საილუსტრაციოდ, რომელთანაც მოსარჩელეს კავშირი არ ჰქონდა (პროსერი, 1960, გვ. 406).

პროსერის მიერ დასახელებული მეოთხე სახის დელიქტი შემდეგი ფორმულირების შემცველია: პირი, რომელიც გამოიყენებს სხვა პირის სახელს ან გამოსახულებას პირადი სარგებლობის მიზნით, პასუხისმგებელია ამ პირის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევისთვის (ამერიკული სამართლის ინსტიტუტი, 1977). საქმეში *Haelan Laboratories v. Topps Chewing Gum, Inc.* (202 F. 2d 866 (2d Cir. 1953)) აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირი უფლებამოსილია მიანიჭოს სხვას მისი გამოსახულების გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება. გარდა ამისა, ბოლო სახის დელიქტთან მიმართებით საყურადღებოა, რომ სოლოვის აზრით ეს დელიქტი დაცვის გარანტიებს ქმნის მხოლოდ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანებისთვის (სოლოვი, 2013, <https://www.youtube.com/watch?v=mlpZS5xfdk0>, 0:27).

აშშ-ის კონსტიტუციის მეოთხე შესწორების მიხედვით განმტკიცებული პირადი ცხოვრების უფლების აღიარებაში დიდი წვლილი მიუძღვის აშშ-ის სასამართლოებს, რამდენადაც პრეცედენტული სამართალი დიდ როლს თამაშობს ამერიკული კანონმდებლობის განვითარებაში. ამის ნათელი დადასტურებაა გადაწყვეტილება გამოტანილი საქმეში *Olmstead v. United States* (#277 U.S. 438, 1928). მოცემულ დავაში უზენაესმა სასამართლომ განიხილა საკითხი თუ რამდენად მოითხოვდა კონსტიტუციის მეოთხე შესწორება ნებართვას სანამ განხორციელდებოდა სატელეფონო მიყურადება, რაზედაც სასამართლომ დაადგინა, რომ მეთხე შესწორება არ ვრცელდებოდა მოსმენებზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ გულისხმობდა შეჭრას პირის საცხოვრისში (ასევე, მათეუსი (რედ.), 2006, გვ. 18). ამ გადაწყვეტილებაში განსხვავებული აზრი დააფიქსირა მოსამართლე ბრანდისმა. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მეტად დახვეწილი და განვითარებული საშუალებები პირად ცხოვრებაში ჩარევისთვის. გამოგონებებმა საშუალება მისცა ხელისუფლებას მოიპოვოს სახლში გამოთქმული ნებისმიერი რამ (იქვე). ამ მსჯელობის მთავარი არსი იყო ის, რომ კონსტიტუციის მეოთხე

შესწორება არ უნდა ყოფილიყო განმარტებული ხისტად და უნდა მომხდარიყო მისი ადაპტირება თანამედროვე გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების მიზნით (იქვე, 19). ეს მიდგომა სასამართლომ გაიზიარა საქმეში *Katz v. United States* (389 U.S. 347, 1967), სადაც აღნიშნა: რასაც პირი გააზრებულად ასაჯაროვებს, თუნდაც მის სახლში ან სამსახურში, არ ექვემდებარება მეოთხე შესწორების ქვეშ დაცვას. თუმცა, რის შენარჩუნებასაც ცდილობს საიდუმლოდ, თუნდაც საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას, შესაძლოა იქნეს კონსტიტუციურად დაცული. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა გონივრული მოლოდინის საკითხს, რაც პირს აქვს პირადი ცხოვრების მიმართ, კერძოდ, პირადი ცხოვრების სუბიექტურ აღქმას და საზოგადოების მხრიდან მზაობას, რომ გარკვეული საკითხები „გონივრულად“ ამ სფეროს მიეკუთვნოს (მათეუსი, (რედ), 2006, გვ. 22).

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, სასამართლოებმა მეოთხე შესწორება აღიარეს როგორც „ინფორმაციული პრივატულობის“ გარანტორი. მაგალითად, საქმეში *Whalen v. Roe* (#429 U.S. 589, 1977), აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „პრივატულობის“ ცნების ქვეშ დაცული ინტერესი მოიცავს შემთხვევებს, რომელიც ეხება პერსონალურ საკითხებს.

მიუხედავად მზარდი საფრთხეებისა აშშ-ის კანონმდებლობით, ფედერალურ დონეზე, დღემდე არ არსებობს ერთიანი მარეგულირებელი ნორმატიული აქტი, რომელიც მოაწესრიგებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან მიმართებით არც სასამართლო პრეცედენტები გამოირჩევა დაცვის მინიჭებისადმი სწრაფვით. საქმეში *United States v. Miller* (#425 U.S. 435, 1976) აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ფინანსური ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც ფლობენ მესამე პირები, არ ექვემდებარება მეოთხე შესწორების საფუძველზე დაცვას. მოცემულ საქმეში ფედერალურმა სააგენტომ გამოსცა სავალდებულოდ შესასრულებელი ბრძანებები ბანკების მიმართ ფინანსური ჩანაწერების შესახებ. მოპასუხის აზრით, მოცემული ბრძანება არ იყო საკმარისი და სააგენტოს ესაჭიროებოდა სასამართლოს ნებართვა ინფორმაციის მოპოვების მიზნით. თუმცა სასამართლოს მოსაზრებით მოპასუხეს არ გააჩნდა პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი ამ ჩანაწერებთან მიმართებით, რამდენადაც მეოთხე შესწორება არ კრძალავს ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც გაცემულია მესამე პირის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლებისთვის გადაცემის მიზნით (ასევე, მათეუსი (რედ.), 2006, გვ. 29). მსგავსი სახის ვიწრო განმარტებები გაკეთებულ იქნა სხვა სასამართლო საქმეებზეც,

მაგალითად, საქმეში *Smith v. Maryland* (#422 U.S. 735, 1979), უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მეოთხე შესწორება არ ვრცელდებოდა სატელეფონო ნომრების სიაზე, რომელიც აკრიფა პირმა და შემდგომ ჩაიწერა რეესტრში. ეს მსჯელობა გამყარებული იყო არგუმენტით, რომ ადამიანებმა იციან მათი ვალდებულება მიაწოდონ ინფორმაცია სატელეფონო კომპანიას, ხოლო ეს უკანასკნელი აფიქსირებს ამ მონაცემს საგადახდო მიზნებისთვის, შესაბამისად ადამიანებს ვერ ექნებათ რაიმე მოლოდინი იმისა, რომ მათ მიერ აკრეფილი ნომრები დარჩება საიდუმლო (ასევე, მათეუსი (რედ.), 2006, გვ. 31).

მეოთხე შესწორებასთან დაკავშირებული ანალიზი სასამართლოს წინაშე განხილვის საგანი გახდა საჯარო ინფორმაციის მოპოვებასთან მიმართებით. საქმეში *California v. Greenwood* (#486 U.S. 35, 1988), მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ერთგვარი „კონფლიქტი“ ინფორმაციის გასაჯაროებასა და მეოთხე შესწორებით დაცული პირადი ცხოვრების უფლებას შორის. უზენაესი სასამართლოს აზრით პოლიეთილენის ჩანთები, რომელიც დატოვებულია ქუჩაში, ხელმისაწვდომია ცხოველებისთვის, ბავშვებისთვის და საზოგადოების სხვა წევრებისთვის, მათ შორის, დასუფთავების სამსახურისთვის ან პოლიციისთვის. ამ გადაწყვეტილებიდან ნათელია, რომ აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის საჯაროობას შორის კონფლიქტისას მხარს ამ უკანასკნელს უჭერს. ამ შემთხვევაშიც, მსჯელობის ამოსავალი წერტილი იყო პირადი სივრცის დაცვის გონივრული მოლოდინის არსებობის საკითხი. შესაბამისად, ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური, რომელიც „მდებარეობს“ საჯარო სივრცეში ვერ სარგებლობს პირადი ცხოვრების დაცვის უფლებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ ამგვარი გასაჯაროება მოხდა თავად იმ პირის მიერ ვისაც ეკუთვნის ინფორმაცია.

ამგვარი მიდგომა არაა უცხო მონაცემთა დაცვის ევროპული მოდელისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დაცვის ამერიკული და ევროპული მიდგომები რადიკალურად განსხვავდება რეგულირებაში, არაერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისას უკანა პლანზე აყენებს პირადი სივრცის დაცვის საკითხს. მაგალითად, იტალიის მონაცემთა დაცვის კოდექსის თანახმად, მარკეტინგული შეტყობინებების გაგზავნა დასაშვებია იმ მონაცემთა (ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, ა.შ.) გამოყენებით, რომელიც მოპოვებულია საჯარო წყაროდან (Section 130.4, 24.1.c). მსგავსი შინაარსის რეგულირებაა მოცემული საქართველოს კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, კერძოდ, „პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება

დამუშავდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები“ (მუხლი 8, პ.1).

მიიჩნევა, რომ პერსონალური ინფორმაციის დაცვა დიდი ხნის პრობლემას წარმოადგენს აშშ-ში. ჯერ კიდევ 1977 წელს, აშშ-ის პირადი ცხოვრების დაცვის შემსწავლელმა კომისიამ დაასკვნა, რომ არც კანონმდებლობა და არც ტექნოლოგიები არ აძლევს ინდივიდს იმ ბერკეტებს რაც მას სჭირდება მისი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად ორგანიზაციებში არსებული მონაცემების მიმართ. მიუხედავად დიდი დროისა და მიღებული სექტორული კანონებისა ეს დასკვნა კვლავ მართებულია (Joel Reidenberg, E-Commerce and Trans-Atlantic Privacy, Fordham University School of Law (2001), 722). მეტიც, აშშ-ში არსებული სამართლებრივი მექანიზმები სათანადოდ ვერ პასუხობს მონაცემთა დაცვის გამოწვევებს და იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება პერსონალური ინფორმაციის უნებართვო გამოყენება. ამერიკული კანონმდებლობა მზადყოფნაში არაა დაიცვას პირადი ცხოვრება ტექნოლოგიური საშუალებებისგან და ონლაინ თვალთვალისგან. ისეთი კანონები, როგორცაა Electronic Communications Privacy Act of 1986, Telecommunications Act of 1996, Cable Communications Policy Act of 1984, Video Privacy Protection Act of 1988 შეიცავენ პირადი სივრცის დაცვის ვიწრო გარანტიებს, რაც სრულებით არ ვრცელდება ონლაინ აქტივობაზე (იქვე, 725-726). შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში პირადი ცხოვრების უფლების ფართო ინტერპრეტირება ან კანონით რეგლამენტირება იმგვარად, რომ დაცვა გავრცელდეს პერსონალურ მონაცემებზეც, არ ხდება. შესაბამისად, დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებული მოსაზრება, რომ ინფორმაციული პრივატულობა მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებისთვის, სრულყოფილად არ არის გაზიარებული აშშ-ში. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა „მინდობილია“ საბაზრო სექტორისთვის და არა კანონმდებლობისთვის (იქვე, 730-731).

პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც ფუნდამენტური უფლება აშშ-ის კანონმდებლობითა და სასამართლო პრეცედენტებით მკაფიოდ არ არის განმტკიცებული. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე, ამერიკელთა დებატის საგანს წარმოადგენს თვალთვალისა და მიკვლევადობის პროგრამების ლეგიტიმურობის საკითხი. ამასთან, სახელმწიფო უშიშროების სააგენტოს პროგრამა, რომელიც აგროვებდა ამერიკელთა სატელეფონო ჩანაწერებს უკანონოდ იქნა ცნობილი. საქმეში American Civil Liberties Union და სხვები სახელმწიფო დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროების, სახელმწიფო თავდაცვისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს წინააღმდეგ (Docket no. 14-42-cv, 07.05.2015), აშშ-ის

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადრე არსებული პირადი ჩანაწერების ამჟამინდელი სახელმწიფო საცავების განვითარება გამოიწვევს ყოველი ამერიკელის მოლოდინის შემცირებას პირადი ცხოვრების დაცვასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შეზღუდვა გამოწვეულია ეროვნული უშიშროების საჭიროებებიდან გამომდინარე, უმჯობესია ეს საჯარო განხილვის საგანს დაექვემდებაროს.

აქვე საყურადღებოა სოციოლოგიური კვლევის შედეგებიც პირადი ცხოვრების უფლების დაცვის თაობაზე. Pew Research Center-ის მიერ (2015) ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ამერიკელებისთვის პრივატულობა მნიშვნელოვანია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა მათ გააჩნიათ გამუდმებული შეგრძნება იმისა, რომ საჯარო ადგილებში იმყოფებიან თვალთვალის ქვეშ, ხოლო გამოკითხულთაგან მხოლოდ მცირედი ფიქრობს, რომ მათ აქვთ კონტროლის შესაძლებლობა მათ შესახებ არსებული და სხვების მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების მიმართ. პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით ზრდასრულთა 93% თვლის, რომ მნიშვნელოვანია იმის კონტროლი, თუ ვის შეუძლია შენს შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება, საიდანაც 74% თვლის, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანს წარმოადგენს. 90% თვლის, რომ იმის კონტროლი თუ რა სახის ინფორმაციის შეგროვება ხდება მათ შესახებ მნიშვნელოვანია, საიდანაც, 65%-ისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანს წარმოადგენს. გამოკითხულთა 88%-ის აზრით მნიშვნელოვანია, რომ მათ არ მოუსმინონ ან უთვალთვალონ ნებართვის გარეშე, საიდანაც 67%-ისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

2.4. პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ევროპული სტანდარტი

პირადი ცხოვრების დაცვის ევროპული სტანდარტი საგრძნობლად განსხვავდება ამერიკულისგან. უპირველესად, სხვაობა თვალსაჩინოა სამართლებრივი სისტემების თავისებურებებს შორის, სადაც ევროპულ მოდელში პოზიტიური კანონმდებლობა სამართლის ძირითად წყაროდ გვევლინება. მიუხედავად ამისა, პირადი ცხოვრების უფლების განმარტებაში დიდ როლს თამაშობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

პირადი ცხოვრების უფლებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, რომ განვაზოგადოთ წყაროები, რომელიც არეგულირებს პირადი ცხოვრების უფლებას, ესენია:

1. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა;

2. ევროპული საბჭოს კანონმდებლობა;
3. ევროპული კავშირის კანონმდებლობა.

მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ თუ როგორ განვითარდა ეს უფლება თითოეული მათგანის მიხედვით.

პოზიტიურ სამართალში დიდი მნიშვნელობის მქონე კონსტიტუციები და ამ დოკუმენტით გაწერილი უფლებები, ხოლო მათ შესაბამისად, ხდება დანარჩენი კანონმდებლობის მიღება.

ევროპული კონსტიტუციებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძველი, ნორვეგიის 1814 წლის კონსტიტუცია საკმაოდ ლაკონურ ჩანაწერებს შეიცავს პირად ცხოვრებასთან მიმართებით. პირველი მათგანი ეხება ინფორმაციის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების დაცვას შორის ბალანსს, კერძოდ, კონსტიტუციის მე-100 მუხლის თანახმად: „[...] ყველას აქვს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის დოკუმენტებთან წვდომის უფლება [...]. ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია დაწესდეს კანონით, რათა ინდივიდის პრივატულობა იყოს დაცული [...]“. ამავე კონსტიტუციის 102-ე მუხლი კი ადგენს შემდეგს: „არ უნდა მოხდეს კერძო საცხოვრისის ჩხრეკა, გამონაკლისია სისხლის სამართლის საქმეები.“ როგორც ჩანს ეს ჩანაწერიც არ ავრცობს პირადი ცხოვრების უფლებას და შემოიფარგლება ვიწრო ფორმულირებით. სავარაუდოდ, ამგვარი მიდგომა, კონსტიტუციის შექმნის პერიოდში არსებული რეალობითაა გამოწვეული, შესაძლოა, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში პირადი ცხოვრების უფლება არ წარმოადგენდა ყურადღების საგანს. თუმცა, როგორც სხვა სამართლებრივ სისტემებში, ნორვეგიაშიც პირადი ცხოვრების დაცვა რიგ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალით რეგულირებად საგანს წარმოადგენს, ხოლო სხვა შემთხვევებში სისხლის სამართალით დაცულ სიკეთეს.

გარდა ამ მექანიზმებისა, ნორვეგიულ კანონმდებლობაში გვხვდება პიროვნულობის ზოგადი დაცვა, რომელიც არსებობს დაწერილი სამართლისგან დამოუკიდებლად, წარმოადგენს ნორმატიული ჩანაწერების შინაარსის გავრცობას და ვითარდება სასამართლო გადაწყვეტილებათა მეშვეობით. საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილებათა მიზანია დაიცვას პირის ინტერესი პირადი ცხოვრების უფლების მხრივ. მაგალითად, ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ საქმეში, რომელიც მოიცავდა ფილმის დაანონსებულ საჯარო ჩვენებას ორი პიროვნების შესახებ, რომლებმაც წლების წინ ჩაიდინეს სასტიკი დანაშაული, დაადგინა, რომ მიუხედავად გასული დროისა აღნიშნული ფილმი საჯაროდ გავრცელების შემთხვევაში დაარღვევდა პირთა ზოგად უფლებას პიროვნულობაზე,

რომელიც კანონმდებლობით პირდაპირ გაწერილი არ იყო (Personvern Pa Nettet; ასევე, Bygrave & Aaro/ბიგრევი & აარო, 2001, გვ. 340-341).

განსხვავებული სახის ფორმულირებას შეიცავს ნიდერლანდების სამეფოს 1815 წლის კონსტიტუცია, რომელიც განსხვავებით ნორვეგიულისგან, უფრო ფართოდ ახდენს ამ უფლების დეკლარირებას. მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს მისი პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, გარდა შეზღუდვებისა, რომელიც შეიძლება დაწესდეს პარლამენტის აქტით.“ კონსტიტუციის მონაპოვარს წარმოადგენს ისიც, რომ დათქმა გაკეთებულია არა მხოლოდ პირადი ცხოვრების, არამედ პერსონალური მონაცემების დაცვაზეც. იმავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით „პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით პარლამენტის მიერ მიიღება წესები, რომელიც ეხება პერსონალური მონაცემების შენახვასა და გავრცელებას.“ მოცემული მუხლი ეხება მონაცემთა სუბიექტის უფლებებსაც, რამდენადაც იმავე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს: „წესები, რომელიც ეხება პირთა უფლებებს იყვნენ ინფორმირებულები მათ შესახებ მონაცემთა ჩაწერის, მათი გამოყენებისა ამ მონაცემთა შესწორების შესახებ განისაზღვრება პარლამენტის აქტით.“ მიუხედავად ამისა, პირადი ცხოვრების შესახებ პოლიტიკის ჩამოყალიბება მე-20 საუკუნის 60-იან წლებში შეიმჩნევა, როდესაც დღის წესრიგში მოქალაქეთა მონიტორინგის საკითხი დადგა. გარდა ამისა, პირადი ცხოვრების უფლების კონსტიტუციური განმტკიცება თავდაპირველ ეტაპზე არ მომხდარა, ვინაიდან იგი 1983 წლის შესწორებით გაიწერა (Bert-Jaap Koops/ბერტ-იააპ კუპსი, 2011, გვ. 166-167).

შედარებით ვიწრო ფორმულირება გააჩნია პირადი ცხოვრების უფლებას გერმანიის 1949 წლის ძირითადი კანონის მიხედვით, მისი მე-10 მუხლი ადგენს, რომ „(1) კორესპოდენციის, გზავნილებისა და ტელეკომუნიკაციის ხელშეუხებლობა დაცულია. (2) შეზღუდვები შესაძლებელია დაწესდეს მხოლოდ კანონის თანახმად, თუ იგი მიზნად ისახავს დაიცვას თავისუფალი ძირითადი დემოკრატიული წყობილება ან ფედერაციის ან ლანდის არსებობა ან უსაფრთხოება, კანონი შეიძლება ადგენდეს, რომ პირი არ იქნეს ინფორმირებული შეზღუდვის შესახებ [...]“ იმ პერიოდში, როდესაც აშშ-ში მიმდინარეობდა დისკუსია პირადი სივრცის დაცვის თაობაზე, რასაც დასაბამი უორენისა და ბრანდისის სტატამ მისცა, გერმანიაში მკვიდრდებოდა „პიროვნულობაზე უფლების“ კონცეფცია, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე არ გამოირჩეოდა წარმატებით (Krause/კრუზი, 1965, გვ. 485).

იმ პერიოდისთვის, პირადი სივრცის დაცვა სამოქალაქო სამართლით დაცვად საგანსაც წარმოადგენდა. ერთ-ერთი საქმეში მოცემული იყო მოსარჩელე, რომელიც 1907 წელს

დააკავეს დანაშაულისთვის. ეს ინფორმაცია 20 წლის შემდეგ ხელმისაწვდომი გახდა საგამოძიებო სააგენტოს მხრიდან მისი კლიენტებისთვის. კანონმდებლობით, ამ შემთხვევაში, დარღვევა სახეზე იქნებოდა მაშინ თუ გაცემული ინფორმაცია იქნებოდა იმ აუცილებლობის მიღმა განხორციელებული, რასაც ადგილი ჰქონდა გაცემის მომენტში (იქვე, გვ. 487-488). სასამართლოს აზრით, ამგვარი გაცემა ნებადართული იყო, რამდენადაც პირი თავისი ნებით ახორციელებდა არალეგიტიმურ ქმედებებს, ასევე, არ მოხდა დეტალების გაცემა მის დანაშაულთან მიმართებით (იქვე, fn. 28). მორიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო 1954 წელს გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ. საქმეში მოცემული გარემოებების მიხედვით, მოსარჩელემ, რომელიც იყო ადვოკატი, თავისი კლიენტის დავალებით ყოველკვირეულ გამოცემას გაუგზავნა მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სთხოვდა გამომცემლობას შეესწორებინა მისი კლიენტის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რაც გამომცემლობამ ნაწილობრივად შეასრულა. მოსარჩელის აზრით კი, მისი კლიენტი, ამგვარი, ნაწილობრივი, შესწორებით საზოგადოების წინაშე მცდარი სახით წარდგა. ამის შემდეგ, სასამართლოს დაევალა ინფორმაციის სრული სახით შესწორება (იქვე, გვ. 488). შეჯამებისას, საყურადღებოა, რომ პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარება მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან შეინიშნება. მიიჩნევა, რომ პრივატულობის დაცვა მჭიდრო კავშირშია „პიროვნულობის“ კონცეფციასთან, იგი განიმარტება, როგორც „პირადი სივრცე, რომელშიც ადამიანები თავისუფლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ავითარებენ თავიანთ პიროვნებებს.“ შესაბამისად, გერმანული ინტერპრეტაციის თანახმად პრივატულობა თვითრეალიზაციის ნაწილს წარმოადგენს (Ramage ed./რამაჯი (რედ.), 2007, გვ. 276).

პირადი ცხოვრების უფლებაზე უშუალო დათქმას არ აკეთებს საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუცია და არც 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. თუმცა საფრანგეთში პირადი ცხოვრების უფლების საინტერესო ევოლუციას ჰქონდა ადგილი. პირველი კანონი, რომელიც პირადი სივრცის დაცვასთან დაკავშირებულ დებულებებს შეიცავდა იყო 1881 წლის 29 ივლისის კანონი პრესის თავიუფლების შესახებ, რომელიც პირს დაცვის საშუალებას ანიჭებდა დეფამაციის წინააღმდეგ. მიიჩნევენ, რომ კანონის ამგვარი მიდგომა პირადი ცხოვრების დაცვას მხოლოდ ვიწრო შემთხვევებში, კერძოდ, დეფამაციის წინააღმდეგ უზრუნველყოფდა, ხოლო დროთა განმავლობაში, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სასამართლოებმა აღიარეს პიროვნების გამოსახულების დაცვაზე უფლება და გამოიტანეს შესაბამისი გადაწყვეტილებები, რა დროსაც სასამართლოები

მორალური ზიანის არსებობაზე მიუთითებდნენ და არა ქონებრივზე, რა პრაქტიკაც მკვიდრდებოდა აშშ-ში (Wagner/ვაგნერი, 1971, გვ. 49-50).

გარდა აღნიშნულისა, პირადი ცხოვრების უფლება შესაძლოა წინააღმდეგობაში იყოს სხვა უფლებებთანაც, მაგალითად, ხელოვნების თავისუფლებასთან, რასაც ადგილი ჰქონდა საქმეში *Hallez v. Montpezat*. მოპასუხეების მიერ გამოქვეყნდა ნოველა, სადაც მოსარჩელე შვიდი პირი მოთხრობის მოქმედი გმირები იყვნენ. ამავდროულად, გამოიყენეს ერთ-ერთი პირის ნამდვილი სახელი, ხოლო სხვების იდენტიფიცირება პიროვნებების ადგილმდებარეობის მიხედვით ხდებოდა. პერსონაჟები მოხსენიებულნი იყვნენ დამცინავი ფორმით, ხოლო ზოგი უპატივცემულოდ. სასამართლომ, ამ შემთხვევაშიც, მხარი დაუჭირა მორალური ზიანის იდეას და მოსარჩელეების სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რაც ცილისწამების აკრძალვას დაეფუძნა (იქვე, გვ. 52-53).

საფრანგეთში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და მეცნიერული შეხედულებების თანახმად ჩამოყალიბდა პირადი ცხოვრების აღქმის სხვადასხვა მიმართულება:

1. დაბადებასთან დაკავშირებული საკითხები (ადგილი, თარიღი, სამართლებრივი ბუნება), ქორწინება, განქორწინება, გარდაცვალება;
2. პროფესიული ცხოვრება;
3. დასვენება; მაშინაც კი, როდესაც აღნიშნულს საჯარო ადგილას აქვს ადგილი, საგაზეთო პუბლიკაციებს არ უნდა მიეცეთ ნება პირები მათი სახელების მიხედვით მოიხსენიონ;
4. გამოსახულება; რა დროსაც ავტორი ცდილობს განავითაროს იდეა, რომ ყველას გააჩნია საკუთრების უფლება მისი გამოსახულების მიმართ;
5. შემოსავალი, რომელსაც ინდივიდი იღებს მისი სამუშაოსგან ან საკუთრებისგან; თანხა, რასაც იგი უხდის სახელმწიფოს (იქვე, გვ. 58-59).

საყურადღებოა, რომ მე-3 პუნქტთან მიმართებით სამართლებრივი მიდგომა მოცემულ რეალობაში მსგავსი აღარაა, ივარაუდება, რომ თუ პირი გადაწყვეტს საჯარო სივრცეში საკუთარი თავის ინტერგრირებას, მას ვეღარ ექნება გონივრული მოლოდინი პირადი სივრცის დაცვასთან მიმართებით.

პირადი ცხოვრების უფლება ევოლუციურ თავისებურებებს შეიცავს. ზემოაღნიშნული სახელმწიფოების მაგალითები ცხადყოფს, რომ ამ უფლების დამკვიდრება და საბოლოო აღიარება არ მომხდარა დროის მოკლე პერიოდში. სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ეს უფლება მეტ-ნაკლები კონკრეტულობითაა გაწერილი, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი, სხვა

უფლებების განმარტების შედეგად იქცა დეკლარირებულ უფლებათა ნაწილად. ამ უფლებით სარგებლობის თავდაპირველი შემთხვევები სამოქალაქო დავებს უკავშირდება, ამ დროს, ძირითადად, სხვა პიროვნების შესახებ არსებული სხვადასხვა პირადი ასპექტების უნებართვო გამოყენებას აქვს ადგილი. პიროვნების სახელმწიფოსგან დაცვის იდეა ადამიანის უფლებების განმტკიცების უპირველესი წინაპირობაა, თუმცა ამ უფლებასთან მიმართებით, დავები, ძირითადად, ჰორიზონტალური ხასიათის იყო, კერძო პირებს შორის.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, საზოგადოების მხრიდან პირადი ცხოვრების უფლების მიმართ ინტერესი თვალსაჩინოა. მაგალითად, ევრობარომეტრის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი მასშტაბიანი კვლევის შედეგად შემდეგი მონაცემებია სახეზე:

1. ევროპელთა 74% პერსონალურ მონაცემთა გაცემას მიიჩნევს, როგორც თანამედროვე ცხოვრების შემადგენელ ნაწილს;
2. 53%-ის აზრით, ონლაინ სერვისის მიღების მიზნით მათ შესახებ იმაზე მეტი ინფორმაცია შეგროვდა ვიდრე საჭირო იყო;
3. გამოკითხულთა უმრავლესობა (54%, 38%-ის წინააღმდეგ) პრობლემატურად მიიჩნევს მათი ქცევითი მონაცემების შეგროვებას საგადახდო ბარათების, მობილური ტელეფონის (49%, 43%-ის წინააღმდეგ) ან მობილური ინტერნეტის (40%, 35%-ის წინააღმდეგ) მეშვეობით;
4. ყოველდღიურ ცხოვრებაში იდენტურობის დაცვის მიზნით მინიმალურ საჭირო ინფორმაციას ევროპელთა 62% გაცემს;
5. ევროპელთა 70%-ს მიაჩნია, რომ კომპანიების ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
6. გამოკითხულთა 75%-ს სურს წაშალოს პერსონალური ინფორმაცია ვებ-გვერდიდან მაშინ, როდესაც მათ ეს მოესურვებათ („უფლება იყო დავიწყებული“-ს რეალიზაცია) (European Union, Special Eurobarometer 359, 2011, გვ. 1-3)

2.4.1. პირადი ცხოვრების დაცული სფერო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიხედვით

ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან დოკუმენტად გვევლინება 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული

კონვენცია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უფლებათა განვითარებაში. ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული ეს დოკუმენტი ქმედითია მის ფარგლებში შექმნილი სასამართლოს მეშვეობით. 1959 წელს ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მართლმსაჯულების ის ორგანოა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას, ეს კი მისი გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულოობიდან არის გამოწვეული.

კონვენციის მე-8 მუხლი ორი ნაწილისგან შედგება, კერძოდ, პირველი ნაწილის თანახმად „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.“ მეორე ნაწილის მიხედვით კი

„დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

როგორც ჩანს, სამართლებრივად ეს უფლება კლასიკურად არის ფორმულირებული, კერძოდ, მოცმულია უფლების არსი და შემდგომ მასში ჩარევის საფუძვლები და ზღვრები. ბუნებრივია ისიც, რომ ეს ჩანაწერი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს. პირველი მათგანი ავალდებულებს სახელმწიფოს შექმნას ისეთი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლების, მათ შორის, პირადი ცხოვრების დაცვას, როგორც კანონის ფორმალური დანაწესით, ისე ქმედითი კუთხითაც, მისი ჯეროვანი რეალიზაციის მეშვეობით. სასამართლომ საქმეში *Van Kuck v. Germany* (12.06.2003) აღნიშნა, რომ ნეგატიურ მოვალეობებთან ერთად, არსებობს პოზიტიური ვალდებულებები, რომელიც აუცილებელია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემისთვის. ეს ვალდებულებები შესაძლებელია მოიცავდეს პირადი ცხოვრების დაცვისკენ მიმართულ ზომებს, მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება ინდივიდებს შორის არსებულ ურთიერთობათა სფეროს. ნეგატიური ვალდებულების თანახმად კი, სახელმწიფო თავად არ უნდა იყოს ამ უფლების დარღვევის ინიციატორი და რეალიზატორი. ამ ვალდებულებასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ამ მუხლის მეორე ნაწილის დათქმები. პირველ რიგში, ჩარევა უნდა იყოს კანონთან შესაბამისი, ჩარევის წინაპირობა უნდა იყოს დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი კანონით, რა დროსაც

დაცული უნდა იყოს კანონის უზენაესობა. გარდა ამისა, ზომა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოების, საჯარო უსაფრთხოების, ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და არეულობის ან დანაშაულის აღკვეთა, ასევე, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. მესამე კრიტერიუმის თანახმად კი, ზომა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც გულისმობს მომეტებული საზოგადოებრივი საჭიროების არსებობას ჩარევისთვის, ამის საფუძველზე კი შემდეგ დგინდება იყო თუ არა გამოყენებული ზომა პროპორციული. წევრ სახელმწიფოებს, ასევე გააჩნიათ, ერთგვარი დისკრეცია, როდესაც განსაზღვრავენ თუ რა არის აუცილებელი კონკრეტულ სახელმწიფოებში. მისი განსაზღვრა წინასწარ არ არის მარტივი დასადგენი (Moreham/მორეჰამი, 2008, გვ. 47). მოცემული დისკრეცია (Margin of Appreciation) განსხვავდება გარემოებების მიხედვით, განსახილველი საკითხის და მისი წინაპირობების გათვალისწინებით. კერძოდ, საყურადღებოა თუ რამდენად არსებობს საერთო საფუძველი ხელშემკვრელი მხარეების კანონებს შორის; იმ შემთხვევაში თუ საერთო პრაქტიკა თვალსაჩინოა, დისკრეციას ვიწრო ხასიათი ექნება, ხოლო მისგან გადახვევა რთულად გასამართლებელი; თუ პრაქტიკა იდენტური არაა, მაშინ სასამართლოს მიერ შემოთავაზებული დისკრეცია შესაძლოა საგრძნობი იყოს (კილკელი, 2001, გვ. 7).

სასამართლომ დაადასტურა სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება ჩარევისგან თავის შეკავების თაობაზე საქმეში Airey v. Ireland (# 6289/73, 09.10.1979), სადაც აღნიშნა, რომ მე-8 მუხლის მიზანია არსებითად დაიცვას ინდივიდი საჯარო პირების მიერ უსაფუძვლო ჩარევისგან. მაგალითად, კერძო პირებს გააჩნიათ ზოგადი უფლება მიიღონ პირადი ფოსტა, იცხოვრონ საჯაროობის გარეშე, დაამყარონ და განავითარონ ურთიერთობები სხვა პირებთან. შესაბამისად, ეს ორი ვალდებულება ის წინაპირობაა, რომლის გათვალისწინება ყოველთვის ხდება, როდესაც სასამართლოს წინაშე დასმულია ამ უფლების დარღვევის საკითხი. პირადი ცხოვრების დაცვის უფლების მუხლით გამოტანილი გადაწყვეტილებები თავისებურებებით ხასიათდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ამიტომ მნიშვნელოვანია ის პრაქტიკა რაც დამკვიდრებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (Icelandic Human Rights Centre/ისლანდიის ადამიანის უფლებათა ცენტრი).

მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეების გათვალისწინებით შესაძლებელია გამოიყოს პირადი ცხოვრების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებების 5 განშტოება:

1. ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სფეროში ჩარევისგან თავისუფლება;
2. ინფორმაციის შეგროვება და გამჟღავნება;
3. პირის საცხოვრებელი გარემოს დაცვა;
4. იდენტურობა
5. პირადი ავტონომია (მორეჰამი, 2008).

თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება არ მოიცავს მხოლოდ პირადი ცხოვრების მკაცრად განსაზღვრულ სფეროს და იგი პირის სხვა აქტივობებზეც ვრცელდება. ეს უფლება არ იცავს მხოლოდ პირის განმარტობას, სადაც მას შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედება, არამედ, იგი იცავს ადამიანთა შორის ურთიერთობას, როგორც კერძო, ისე საჯარო გარემოში. საქმეში *Niemeitz v. Germany* (16.12.1992), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ

„პირადი ცხოვრების ცნების დაყვანა მხოლოდ „შიდა წრემდე,“ სადაც ინდივიდი ცხოვრობს ისეთი პირადი ცხოვრებით, როგორსაც იგი ირჩევს და გარესამყაროს სრულად გამორიცხვა, ამ ცნების ვიწრო განმარტება იქნება. არ არსებობს მართლზომიერი საფუძველი, რათა პირადი ცხოვრების ცნებიდან გამოვრიცხოთ ქმედებები, რომელიც ეხება საქმიანობას ან პროფესიას, ვინაიდან პირები სამუშაო ვითარებაში ამყარებენ საგრძნობ კავშირს და გააჩნიათ გარესამყაროსთან ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა.“

შესაბამისად, სამუშაო ადგილზე ჩატარებული ჩხრეკა, რომელიც არ იყო შემოფარგლული მოსაპოვებელი ინფორმაციის ლიმიტირების პრინციპით, ჩაითვალა მე-8 მუხლის დარღვევად (პარაგ. 29, 30).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პირადი ცხოვრების თაობაზე განხილული საქმეები არაერთ სხვა უფლებასაც ეხება. მაგალითად, საქმეში *Axel Springer AG v. Germany* (07.02.2012), საკითხი ეხებოდა გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი სივრცის დაცვას. სასამართლოს აზრით, როდესაც საქმე ეხება პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ დეტალებს და მათი გასაჯაროების საკითხს, მნიშვნელოვანია მოხდეს შეპირისპირებულ ინტერესთა შედარება სამი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ, არის თუ არა სახეზე საზოგადოებრივი ინტერესი, იყო თუ არა პირი საჯარო ფიგურა, რომლის მიმართაც საზოგადოებას მომეტებული ინტერესი გააჩნია და რა გზით იყო პირის შესახებ ინფორმაცია მოპოვებული (ევროპის საბჭო, ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 33).

სასამართლოს აზრით, როდესაც საუბარია ფიზიკურ და საზოგადო პირებს შორის პირადი

ცხოვრების დაცვის უფლების რეალიზებაზე, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის გამო, საჯარო ფიგურები ვერ გაიზიარებენ უფლების დაცვის იმ დონეს, რითაც სარგებლობენ რიგითი ფიზიკური პირები (პარაგ. 91). იგივე შინაარსის საკითხი სასამართლომ განიხილა საქმეში Von Hannover v. Germany (No. 2, 07.02.2012). აქ ხაზი გაესვა საკითხს, რომ მომეტებული საჯარო ინტერესის გამო პირადი ცხოვრების გარკვეულ დონეზე დათმობა გამართლებულია (ევროპის საბჭო, ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 34). სასამართლომ ამ შემთხვევაშიც განმარტა, რომ კერძო და საჯარო პირები არ სარგებლობენ პირადი სივრცის თანაბარი დაცვით, რის გამოც მათ მიმართ მოპყრობა სახელმწიფოსგან არ უნდა იყოს იდენტური. საქმის გარემოებათა მიხედვით, არ არსებობდა რაიმე საფუძველი განმცხადებლის შესახებ არსებული ფოტოსურათების გამოქვეყნების აკრძალვის თაობაზე, რის გამოც სასამართლომ გამართლებულად ჩათვალა მედიის მიერ აპოლიტიკურ კონტექსტში საჯარო პირის შესახებ ინფორმაციის საჯარო გავრცელება (პარაგ. 110,123,124).

საპირისპირო გადაწყვეტილება გამოიტანა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ კერძო პირთან მიმართებაში. საქმეში Peck v. United Kingdom (20.01.2003), სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს გააჩნდა ვალდებულება ეზრუნა პირის პირადი ცხოვრების დაცვაზე, რათა მისი გამოსახულება არ ყოფილიყო გამოქვეყნებული საჯარო სივრცეში, კერძოდ, მედიაში, ვინაიდან არ არსებობდა შესაბამისი მიზანი (ევროპის საბჭო, ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 87) სასამართლომ ხაზი გაუსვა ვიდუროთვალთვალის სისტემის მნიშვნელობას დანაშაულებრივი ქმედებები პრევენციისთვის და ამ კუთხით მიზანშეწონილად მიიჩნია მისი პოპულარიზება, თუმცა საქმის გარემოებათა მიხედვით პიროვნების გამოსახულების გასაჯაროვება მისი წინასწარი თანხმობის ან გამოსახილების დაფარვის გარეშე არ იყო მიზანშეწონილი და თავსებადი კონვენციის მე-8 მუხლთან (პარაგ. 79, 85).

სასამართლომ პირადი ცხოვრება განიხილა პიროვნული განვითარების კონტექსტშიც. საქმეში Gaskin v. United Kingdom (#10454/83, 07.07.1989), განმცხადებლის მიერ მის ბავშვობაში არსებული მეურვეების შესახებ მოთხოვნილ ჩანაწერებზე წვდომა ჩაითვალა როგორც პიროვნული განვითარების რეალიზაციის ერთ-ერთი წინაპირობა. სასამართლოს აზრით, პირმა უნდა იცოდეს მისი წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია, რაც განაპირობებს მის ჩამოყალიბებას პიროვნებად და სამომავლო სრულფასოვან

განვითარებას (პარაგ. 49). მსგავსი შინაარსის საკითხი განიხილა სასამართლომ საქმეში *Godelli v. Italy* (#33783/09, 25.09.2012), სადაც მართლმსაჯულების ორგანომ მიუთითა, რომ ინდივიდის ინტერესი მისი გაშვილების შესახებ ინფორმაციის ფლობის თაობაზე, წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს პიროვნებისთვის. გადაწყვეტილების თანახმად, პირის მიერ ინფორმაციის მოპოვება მისი ბიოლოგიური მშობლების შესახებ ვერ გაუტოლდება ინფორმაციის მიღებას ბავშვობაში მზრუნველყოფისა და მეურვეობის თაობაზე. სასამართლოს აზრით, ფიზიკური პირის უფლება, იცოდეს თუ ვინ არის მისი ბიოლოგიური მშობელი არის უპირატესი, ხოლო სახელმწიფომ, ამ ვალდებულების შეუსრულებლობით დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პარაგ. 49, 58, 59).

საყურადღებოა, რომ პირადი ცხოვრების დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიხედვით შესაძლებელია გავრცელდეს იურიდიულ პირებზეც. მაგალითად, სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი, რომელიც ეხებოდა სამი ნორვეგიული კომპანიის მოთხოვნას მათი მონაცემთა ბაზების დაცვის შესახებ. საქმის გარემოებათა მიხედვით, განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ მათთან დაცული პერსონალური ინფორმაციის შემცველი კლიენტთა ბაზების გადაცემა საგადასახადო ორგანოსთვის კონცენციით გარანტირებული მიმოწერის დაცვის უფლების დარღვევას წარმოადგენდა. სასამართლოს მსჯელობის თანახმად, ამგვარი პრაქტიკა წინააღმდეგობაში იყო კონვენციის მე-8 მუხლთან, თუმცა დაცული იყო ყველა ზომა და წინაპირობები ამგვარი ჩარევის გასამართლებლად, კერძოდ, საგადასახადო ორგანოს მიერ დაცული იყო უსაფრთხოების ზომები, ასევე, ამ ინფორმაციის მიზნობრივი გამოყენების წესები. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხდებოდა ამ უფლების შეზღუდვა, თუმცა ეს გამართლებული იყო (ევროპის საბჭო, ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 49-50).

კონცენციით დადგენილი პირადი სივრცის დაცვის უფლება შესაძლოა გავრცელდეს არამართო კერძო სივრცეში, არამედ სამუშაო ადგილზეც, თუმცა დაცვის დონე აქ უფრო დაბალია. მაგალითად, საქმეში *Köpke v. Germany* (#420/07, 05.10.2010), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის სარჩელი მის სამუშაო ადგილზე ფარული ვიდეოთვალთვალის შესახებ დასაშვებად არ ცნო, ვინაიდან სასამართლოს აზრით, ყველა წინაპირობა იყო გათვალისწინებული, რათა დაცული ყოფილიყო სწორი ბალანსი პირადი ცხოვრების დაცვის უფლებასა და საკუთრების უფლებას შორის

(ევროპის საბჭო, ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 164). სასამართლოს თანახმად ფარული ვიდეოთვალთვალი სამუშაო ადგილზე განხორციელდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამსაქმებელმა განიცადა გარკვეული პროდუქციის დანაკლისი, გარდა ამისა, ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობდა მოკლე პერიოდში - ორი კვირის მანძილზე, დაკვირვება ხორციელდებოდა მხოლოდ იმ მონაკვეთზე სადაც განმცხადებელი ასრულებდა თავის მოვალეობებს, მათ შორის, სალარო აპარატთან, რის თანახმადაც ამგვარი თვალთვალი სასამართლომ პროპორციულად მიიჩნია.

არსებობს მოსაზრება, რომ კონვენციის მე-8 მუხლი შესაძლებელია გავრცელდეს გარემოსდაცვით საკითხებზე, თუმცა სასამართლოს აღნიშნული აქვს, რომ მე-8 მუხლი და არც სხვა რომელიმე ჩანაწერი კონვენციაში არ შეიცავს დებულებას გარემოს დაცვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვის მიმართ ყურადღება საჯარო ინტერესის საგანია, ხოლო ინდივიდუალურ ქრილში იგი პირის ინტერესსაც წარმოადგენს, ვინაიდან იგი აძლევს ბიძგს იმ საკითხებს, რომელიც მე-8 მუხლის დაცვის ქვეშ გვევლინება (Roagna/როანა, 2012, გვ. 78).

როგორც აღინიშნა, სუფთა და მშვიდი გარემოს უფლებაზე კონვენციაში ჩანაწერი არ მოიპოვება, თუმცა როდესაც ინდივიდზე ხდება პირდაპირი და არსებითი გავლენა ხმაურის ან სხვაგვარი დაბინძურების მეშვეობით, საკითხი შესაძლოა შეეხოს მე-8 მუხლს. ჩარევა აშკარად უნდა ხდებოდეს განმცხადებლის საცხოვრისში, ოჯახში ან პირად ცხოვრებაში. შესაბამისად, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები უნდა ახდენდეს იმის ცხადყოფას, რომ ხდება პირის პირად სფეროში ჩარევა და ეს ჩარევის დონე მაღალ ხარისხს აღწევს. საქმეში *Moreno Gomez v. Spain* (4143/02, 16.11.2004), განმცხადებლის მტკიცებით, საკითხი ეხებოდა მისი პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას, კერძოდ მის უფლებას ღამით ძილზე, რომელიც ვალენსიაში მუნიციპალური ხელისუფლების მიერ ირღვეოდა წლების განმავლობაში. სასამართლოს აზრით, ხმაური რომელიც გამოწვეული იყო ღამის განმავლობაში იწვევდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევას და, ამავდროულად განმცხადებლის პირადი ცხოვრების დარღვევას (იქვე, გვ. 79). საქმეში *Lopez Ostra v. Spain* (16798/90, 09.12.2004), სასამართლომ დაამკვიდრა მე-8 მუხლის სრული გავრცელება გარემოსგან გამომდინარე ზიანზე. აპლიკანტი უთითებდა სუნზე, ხმაურზე და დამაბინძურებელ ჰაერზე, რომელიც მომდინარეობდა ნაგავსაყრელიდან, ხოლო ეს უკანასკნელი განმცხადებლის სახლიდან რამოდენიმე მეტრის მოშორებით მდებარეობდა. სასამართლოს განმარტებით

სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სწორი ბალანსის მოძიება ქალაქის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და აპლიკანტის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვას შორის (კილკელი, 2001, გვ. 60).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება მე-8 მუხლს, შესაძლებელია მრავალი მიმართულების აღმოჩნდეს. მაგალითად, უკავშირდებოდეს პიროვნების ღირსეული ცხოვრების საკითხსა და პირადი ცხოვრების დაცვის საკითხს შორის „კონფლიქტს.“ საქმეში Haas v. Switzerland (31322/07, 20.01.2011), განმცხადებელი დაავადებული იყო სულიერი აშლილობით 20 წლის მანძილზე. თვითმკვლელობის ორი მცდელობის შემდეგ, მან გადაწყვიტა მოეპოვებინა სპეციალური მედიკამენტი, რისი მიღებაც საშუალებას მისცემდა ღირსეულად დაესრულებინა სიცოცხლე. რამდენადაც მედიკამენტი მხოლოდ დანიშნულების შესაბამისად გაიცემოდა, მან მიმართა რამოდენიმე ფსიქიატრს, თუმცა უშედეგოდ. შვეიცარიულმა ხელისუფლებამ და სასამართლომ არ დააკმაყოფილეს ამგვარი მოთხოვნა. საყურადღებოა, რომ არ არსებობს ერთიანი ევროპული კონსენსუსი იმის შესახებ, არსებობს თუ არა უფლება, რომ პირმა აირჩიოს თუ როდის დაასრულებს სიცოცხლეს. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ინდივიდის სიცოცხლის დაცვას, ვიდრე პირის უფლებას განკარგოს თავისი სიცოცხლე. სასამართლომ აღიარა, რომ ინდივიდის უფლება გადაწყვიტოს თუ როდის დაასრულოს სიცოცხლე, წარმოადგენს მისი პირადი ცხოვრების ერთ-ერთ ასპექტს. თუმცა მისი სარჩელი შეიცავდა სხვა საკითხსაც, კერძოდ, მისი ცხოვრების დასრულებას ტკივილისა და წვალების გარეშე, სადაც სახელმწიფოებს საკითხის დაბალანსებისას გააჩნიათ ფართო დისკრეცია. სასამართლომ არ დაადგინა უფლების დარღვევა (Arnaiz & Perez/არნაისი & პერესი, 2012, გვ. 68).

სასამართლოს, პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებული საქმეები, ასევე, განხილული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის ჭრილშიც. საქმეში Hajduova v. Slovakia (#2660/03, 30.11.2010), გარემოებათა მიხედვით, აპლიკანტზე განხორციელდა თავდასხმა მისი ყოფილი მეუღლის მიერ, როგორც ვერბალური ისე ფიზიკური. სასჯელის დაწესების ნაცვლად, სასამართლომ თავდამსმელს ფსიქიატრიული მკურნალობა დაუნიშნა. გამოშვების შემდეგ, მან ისევ განაგრძო აპლიკანტზე მუქარა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მუქარა არ მატერიალიზდა, თავდამსხმელის ფიზიკური მოპყრობისა და მუქარის შემთხვევების გათვალისწინებით, აპლიკანტი მოელოდა ამგვარი შედეგის დადგომას. ადგილობრივი ხელისუფლების პასიურობისა და შესაბამისი ფსიქიატრიული

მკურნალობის განუხორციელებლობის გამო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პოზიტიური ვალდებულების დაცვა მე-8 მუხლის ფარგლებში ფიზიკური ძალადობის წინააღმდეგ (იქვე, გვ. 77).

პირადი ცხოვრების დაცვის უფლება შესაძლებელია უკავშირდებოდეს დედის მიერ ფეხმძიმობის შეწყვეტის ან ბავშვის გაჩენის საკითხსაც. ნაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ცალსახად ექცევა ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში. საქმეში A, B და C v. Ireland (#25579/05, 16.12.2010), გარემოებების თანახმად, სამი სრულწლოვანი ქალბატონი, ირლანდიაში არსებული შეზღუდვების გამო აბორტის მიზნით გაემგზავრა გაერთიანებულ სამეფოში. ეს პროცედურა ირლანდიური კანონმდებლობით აკრძალული იყო. სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-8 მუხლი არ ეხება უშუალოდ აბორტს, თუმცა მისი აკრძალვა ეხება პირის უფლებას ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაცვაზე. ევროპის საბჭოს ფარგლებში სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეცია იმის დაწესებისას, თუ რას ნიშნავს სიცოცხლე და როგორია მისი წარმოშობისა და შეწყვეტის მომენტი, ამდენად სასამართლომ პირველ და მეორე განმცხადებელთან მიმართებით საკითხი სახელმწიფოს გადასაწყვეტი დატოვა, ხოლო მესამე განმცხადებელთან მიმართებით აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, ვინაიდან სახელმწიფომ არ მისცა განმცხადებელს ესარგებლა მისთვის (კანონით) მინიჭებული უფლებით - გაეკეთებინა აბორტი, რამდენადაც მას გააჩნდა იშვიათი სახის დაავადება, ხოლო ეს კი ფეხმძიმობის დროს დედისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი იყო (იქვე, გვ. 79).

2.4.2. მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს მიერ პირადი ცხოვრების უფლების ირგვლივ ჩამოყალიბებული პრაქტიკა

ევროპული კავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა კატალოგი მოცემულია ძირითად უფლებათა ევროპული ქარტიით. ამ დოკუმენტში აღწერილი უფლებები და თავისუფლებები ექვსი ძირითადი კატეგორიის მიხედვით იყოფა: ღირსება, თავისუფლებები, თანასწორობა, სოლიდარობა, მოქალაქეთა უფლებები და მართლმსაჯულება. 2000 წელს მიღებული დოკუმენტი, სამართლებრივად სავალდებულო ძალა ევროპული კავშირის ფარგლებში გახდა 2009 წლის დეკემბერში შეიძინა, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ. ეს დოკუმენტი სტილისტურად თანამედროვედ არის ფორმულირებული და შეიცავს ე.წ. „მესამე თაობის“ ძირითად

უფლებებს, როგორცაა მონაცემთა დაცვა; გარანტიები ბიოეთიკის შესახებ გამჭვირვალე ადმინისტრირება და სხვა (ევროპული კომისია). პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას ეხება ქარტიის მე-7 მუხლი, რომლის თანახმად „ყველას გააჩნია მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და კომუნიკაციის დაცვის უფლება.“ მე-7 მუხლით მოცემული უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილი უფლების შესატყვისია. ამავდროულად, ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით სიტყვა „კორესპოდენცია“ (მიმოწერა), რომელიც კონვენციის მე-8 მუხლით არის მოცემული, ქარტიის მე-7 მუხლში ჩანაცვლებულია სიტყვით „კომუნიკაცია“ (Peers, Harvey, Kenner, Ward eds./პირსი, ჰარვი, კენერი, ვარდი (რედ.), 2014, გვ. 153). განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფორმულირებისგან, ქარტიაში მოცემული უფლებების შეზღუდვის პირობები ცალკე, 52-ე მუხლით არის გაწერილი. იგი ეხება ქარტიაში მოცემულ ამ და სხვა უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობებს. 52-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „ამ ქარტით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს დადგენილი კანონით და პატივს სცემდეს ამ უფლებათა და თავისუფლებათა არსს. პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, შეზღუდვები უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ თუ ეს აუცილებელია და ჭეშმარიტად ემსახურება საერთო ინტერესის მიზნებს, რომელიც აღიარებულია კავშირის მიერ ან საჭიროა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხდება მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს მიერ ქარტიის მე-7 მუხლის გამოყენება, მიზანშეწონილია რამოდენიმე გადაწყვეტილების მოშველიება.

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლების ჭრილში, სასამართლომ საქმეში C-423/12 Reyes (07.03.2014), აღნიშნა, რომ ოჯახური გაერთიანების უფლება კმაყოფაზე მყოფ პირდაპირ შთამომავალთან, რომელიც 21 ან მეტი წლისაა, არაა დამოკიდებული შთამომავლის მიერ სამსახურის მოპოვებაზე, შემწეობის მიღებაზე მისი წარმომავლობის ქვეყნის ხელისუფლებისგან ან სხვაგვარ დახმარებაზე (ევროპული კომისია, 2015, გვ. 48). საქმეში A, B, C v. Staatssecretaris van Veiligheid en Justitie (C-148/13, C-149-13, C-150-13, 02.12.2014), საკითხი ეხებოდა ევროპული კავშირის დებულებათა განმარტებას თავმესაფრის თაობაზე, სექსუალური ორიენტაციის ჭრილში. განმცხადებელთა თანახმად, ისინი იდენტიფიცირდნენ მათ ქვეყნებში ჰომოსექსუალობის გამო. შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლომ მიმართა მართლმსაჯულების სასამართლოს

საკითხით, თუ რამდენად არსებობდა ევროპული კავშირის კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვა იმის შესახებ, რომ მოხდეს სექსუალური ორიენტაციის დაზუსტება თავშესაფრის მსურველი პირებისთვის. სასამართლოს აზრით, რამდენადაც წევრი ქვეყნებს აქვთ მინიჭებული უფლება შეაფასონ აპლიკანტთა განცხადებების ნამდვილობა, რომელიც ეხება მათ სექსუალურ ორიენტაციას, საამისოდ გამოყენებული მეთოდები უნდა იყოს იმგვარი, რომ არ არღვევდეს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას (იქვე, გვ. 49).

საქმეში *Iida v. Ulm* (C-40/11, 08.11.2012), მოცემული იყო საკითხი თუ რამდენად შეუძლია იაპონელი ეროვნების მქონე პირს დაეყრდნოს მისი ქალიშვილისა და მეუღლის წარმოშობის ქვეყნის მოქალაქეობას, ამ ქვეყანაში ბინადრობის უფლების მოპოვების მიზნით, თუ მისი ოჯახი ინაცვლებს სხვა წევრ სახელმწიფოში. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მისი უფლება ოჯახური უფლებების სრულ რეალიზაციაზე გამომდინარეობდა ქარტიის მე-7 მუხლიდან, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლის ანალოგიურია. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის ვითარება არაა კავშირში ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან. იგი ვერ მოითხოვდა რეზიდენციის უფლებას 2004/38/EC დირექტივაზე დაყრდნობით (დირექტივა კავშირის მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრების გადაადგილების თაობაზე), რამდენადაც არ დაუყენებია მოთხოვნა რეზიდენციის მიღებაზე 2003/109/EC დირექტივის კონტექსტში (გრძელვადიანი რეზიდენციის დირექტივა). შესაბამისად, სასამართლომ ცხადად განმარტა, რომ ეს შემთხვევა არ ექცევა ქარტიის გავრცელების ფარგლებში (*Koltermann/კოლტერმანი*, გვ. 2-3).

როგორც მოცემული გადაწყვეტილებებიდან ჩანს, ქარტიის მე-7 მუხლი წარმოადგენს საყრდენს მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოსთვის, როდესაც ეს უკანასკნელი განიხილავს სხვადასხვა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ საკითხს ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან თავსებადობის კუთხით.

მეორე თავში განხილული საკითხების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავაკონკრეტოთ პირადი ცხოვრების უფლების სამართლებრივი დაცვის მთავარი გარემოებები:

1. საქართველოში პირადი ცხოვრების უფლების დამცავი მექანიზმები სხვადასხვა დარგობრივი სამართლებრივი აქტივითაა მოწესრიგებული, ხოლო ამ უფლების ინტერპრეტირება საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ თანამედროვე სტანდარტის მიხედვით ხდება;

2. აშშ-ში პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ერთიანი მიდგომა არაა ჩამოყალიბებული და იგი პრეცედენტული სამართლის გავლენის შედეგად ყალიბდება;
3. პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ევროპული სტანდარტი მოიცავს ამ უფლების ევროპული სახელმწიფოების კონსტიტუციებში ასახვას მეტ-ნაკლები კონკრეტულობით;
4. პირადი ცხოვრების დაცვის სტანდარტის ჩამოყალიბებისას დიდ როლს თამაშობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

თავი III. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება (ცნება, სამართლებრივი რეგულირება და უფლების სპეციფიკური ხასიათი)

3.1. უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე და არსებული სამართლებრივი გარანტიები

პირადი ცხოვრების უფლების ფაქტობრივი და ნორმატიული ანალიზის შედეგად, არაერთხელ გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვასთან. არ იქნება გასაკვირი, თუ კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს პერსონალური ინფორმაციის გამუდმებულ გამოყენებას, განსაკუთრებით გამოკვეთს და განსხვავებულ რეგულაციებს დაქვემდებარებულს ხდის პირადი ცხოვრების უფლების ამ ნაწილს. აუცილებელია აქვე ავღნიშნოთ, რომ ამ თავის და, ზოგადად, არც სადისერტაციო ნაშრომის მიზანი არაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების განხილვა პირადი ცხოვრების უფლებისგან დამოუკიდებლად, მასთან კავშირის გარეშე. მთავარი მიზანი ისაა, რომ დავადგინოთ, თუ რამდენად აუცილებელია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაგწეროთ ეს ორი უფლება სამართლებრივად და განვმარტოთ თუ რა პრაქტიკული შედეგების მომტანია იგი. სამართლებრივ რეგლამენტირებაზე აქცენტირებისას, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა არამხოლოდ ცალკე საკანონმდებლო აქტით უნდა იყოს მოწესრიგებული, არამედ მხედველობაშია მისაღები ამ უფლების კონსტიტუციური, სახელმწიფოს ძირითადი კანონის დონეზე დეკლარირების აუცილებლობა, რაც საგრძნობი პრაქტიკული შედეგების მომტანი იქნება. ეს საკითხები მოცემული სადისერტაციო ნაშრომისთვის საკვანძო მნიშვნელობის მქონეა, თუმცა მათ განხილვამდე, უმჯობესია ყურადღება გავამახვილოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების არსისა და არსებული სამართლებრივი მოწესრიგების, ასევე, სასამართლოებისა და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თავისებურებებზე.

3.1.1. პერსონალურ მონაცემთა დამცავი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ინსტრუმენტები

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ, ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების პარალელურად იზრდება პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შემთხვევები, რაც შედეგად იწვევს მისი დაცვის ხარისხის გაზრდას. ითვლება, რომ გერმანიამ, საფრანგეთმა

და შვედეთმა პირველებმა მიიღეს საკანონმდებლო აქტები ევროპის ფარგლებში, რომელიც ეხებოდა ინდივიდების შესახებ არსებულ ინფორმაციას. ეს მიიჩნევა პირველი თაობის მარეგულირებელ მექანიზმებად, მათი შემუშავება 1970-იან წლებში დაიწყო და დასრულდა 1981 წელს ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის მიღებით (Fuster/ფუსტერი, 2014, გვ. 56).

უმუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე აქცენტირებული პირველი სამართლებრივი ინსტრუმენტი, 1970 წელს გერმანიის ფედერალურ ერთეულში - ჰესეში მიიღეს. მიზანს წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებებში ციფრული მასალის დაცვა საჯარო მოხელეების მიერ გამჟღავნებისგან, უნებართვოდ გამოყენებისგან, შეცვლისგან ან წაშლისგან. თუმცა იგი არ ეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ისეთ საკითხებს, როგორცაა მათი მოპოვება და შენახვა. მიუხედავად ამისა, თუ პერსონალური მონაცემი ოფიციალური დოკუმენტის ნაწილი ხდებოდა, ის უნდა ყოფილიყო სწორი, წინააღმდეგ შემთხვევაში სუბიექტს ჰქონდა მისი შეცვლის მოთხოვნის უფლება. კანონის მთავარ მიღწევად ითვლებოდა დამოუკიდებელი ინსტიტუტის - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შემოღება, იგი პასუხისმგებელი იყო მოქალაქეთა მონაცემების კონფიდენციალურობის კონტროლზე. გერმანიაში ფედერალურ დონეზე, პირველი მსგავსი შინაარსის შემცველი კანონი 1977 წელს მიიღეს, ხოლო შვედეთში - 4 წლით ადრე, 1973 წელს, საფრანგეთში კი - 1978 წელს (Rule & Greenleaf/რული და გრინლიფი, 2010, გვ. 83).

საერთაშორისო დონეზე პერსონალურ მონაცემთა მიმართ ყურადღების გამახატულების მაგალითია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ 1980 წელს შემუშავებული პირადი ცხოვრების დაცვისა და პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის თაობაზე მიღებული სარეკომენდაციო დებულებები (OECD Guidelines on the Protection of Privacy and Transborder Flows of Personal Data). მის უპირატეს მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ საერთაშორისო „კონსენსუსს“ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაბალანსდეს პირადი ცხოვრების დაცვა პერსონალური მონაცემების თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით. იგი, ასევე, გვთავაზობს რეგულირების მოქნილ მექანიზმს, რომელიც ერგება ყველა გარემოს, მათ შორის, გლობალურ ქსელებს და გამოიყენება არაერთ შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციურ მექანიზმებში, საჯარო და კერძო სექტორის მიერ.

რეკომენდაცია ამკვიდრებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის რვა პრინციპს, ესენია:

1. სამართლიანობა, კანონიერება და პერსონალურ მონაცემთა მოპოვება სუბიექტის თანხმობის ან მისი ინფორმირების საფუძველზე;
2. პერსონალურ მონაცემთა მიზნობრივი დამუშავების პრინციპი;
3. პერსონალურ მონაცემთა მიზნის პროპორციულად დამუშავების პრინციპი;
4. თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით დამუშავების დაუშვებლობა;
5. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოდ შენახვა;
6. ინდივიდის მონაწილეობა პროცესში, რაც გულისხმობს მისი უფლებების რეალიზაციას დამმუშავებლის წინაშე;
7. წესების საჯაროობა, რაც ეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების შესახებ;
8. ანგარიშვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს დამმუშავებლის მიერ ზემოხსენებული პრინციპების დაცვას (OECD Guidelines on the Protection of Privacy and Transborder Flows of Personal Data, 1980, ნაწილი II).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება 1981 წლის 28 იანვარს ევროპის საბჭოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე საერთაშორისო აქტის მიღება. ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ წარმოადგენს პირველ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს, სადაც გაწერილია უზოგადესი პრინციპები, რომელიც შემდგომ სახელმძღვანელო დოკუმენტი გახდა სხვა უფრო დეტალური რეგულაციებისთვის.

ზემოაღნიშნული კონვენცია, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც 108-ე კონვენციას, შეიცავს წესებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის საჯარო და კერძო ორგანიზაციების ფარგლებში, ასევე, იცავს ფიზიკურ პირებს უფლების დარღვევისგან, მაგალითად, უნებართვო შეგროვებისა და შემდგომი დამუშავებისგან, გარდა ამისა, მოიცავს ნორმებს საერთაშორისო გადაცემის შესახებ. მნიშვნელოვანია ის, რომ მასში განმტკიცებულია მონაცემთა დაცვის მთავარი პრინციპები, კერძოდ, სამართლიანობა, კანონიერება, მიზნობრიობა, პროპორციულობა და შესაბამისი ვადების დაცვა დამუშავებისას. 108-ე კონვენცია გამოირჩევა იმითაც, რომ იგი არის ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, რომელიც ღია რატიფიცირებისთვის არაევროპული სახელმწიფოებისთვისაც (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 21). კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 28 ოქტომბერს.

აქვე მიზანშეწონილია განვიხილოთ კონვენციით მოცემული მნიშვნელოვანი დებულებები. მისი მეორე მუხლი შეიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული ტერმინების დეფინიციებს, კერძოდ, მოცემულია პერსონალური მონაცემის, ავტომატური დამუშავებისა და მკონტროლებლის (დამმუშავებლის) ცნებები. ეს ტერმინები ამ სფეროში დღეს არსებული ტერმინებისგან მხოლოდ მცირე ნაწილს შეიცავს, თუმცა კონვენციით მოცემული ცნებები ფუძემდებლურია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლისთვის. გარდა ამისა, კონვენცია გვთავაზობს მონაცემთა ტრანსსაზღვრო გადაცემის სამართლებრივ მოწესრიგებას, თუმცა შემოიფარგლება წევრი ქვეყნების ფარგლებში განხორციელებული გადაცემის რეგლამენტირებით. პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემას ევროპის საბჭოს არაწევრ ქვეყნებში ეხება კონვენციის ერთადერთი დამატებითი ოქმი, რომელიც ევროპის საბჭოში 2001 წელს მიიღეს და, გარდა ზემოხსენებულისა, ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სახედამხედველო ორგანოს სავალდებულო არსებობის პირობას იმ წევრ ქვეყნებში, რომლებიც არიან დოკუმენტის ხელმომწერი მხარეები. მოცემული ოქმი საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 27 ივლისს არის რატიფიცირებული.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შემდგომ განვითარებას ევროპული კავშირის ფარგლებში ჰქონდა ადგილი, როდესაც 1995 წლის 24 ოქტომბერს მიღებულ იქნა 95/46/EC დირექტივა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემთა თავისუფალი გადადინებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ (Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the Protection of Individuals with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data). იგი, ასევე, იწოდება როგორც მონაცემთა დაცვის დირექტივა. თავისი შინაარსით, დირექტივა ამყარებს და განვრცობს 108-ე კონვენციით დადგენილ პრინციპებს. 1995 წელს ევროპული კავშირის თხუთმეტივე წევრი იმავდროულად 108-ე კონვენციის ხელმომწერი მხარე იყო, რაც სახელმწიფოში მის იმპლემენტირებას არ უქმნიდა სირთულეს. ამასთან, დირექტივის თანახმად შემოთავაზებული დამოუკიდებელი სახედამხედველო ორგანოს სავალდებულო არსებობის პირობა განისაზღვრა ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის 2001 წელს მიღებული დამატებითი ოქმითაც (იქვე, გვ. 24-25). დირექტივა პერსონალურ მონაცემთა დაცვის დღემდე მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც ვრცელდება ევროპული ეკონომიკური ზონის (EEA) წევრ

ქვეყნებზეც. 108-ე კონვენციისგან განსხვავებით, იგი დეტალურად ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ საკვანძო საკითხებს, როგორცაა ტერმინოლოგია. ასე მაგალითად, დირექტივით განისაზღვრა უფლებამოსილი პირის, მესამე პირის, მონაცემთა მიმღებისა და მონაცემთა სუბიექტის თანხმობის დეფინიციები. ამასთან, დირექტივას შემოაქვს დამუშავების საფუძველთა ჩამონათვალი, როგორც სენსიტიური ისე, არასენსიტიური კატეგორიის პერსონალური მონაცემებისთვის. ასევე, განსაზღვრულია იმ ინფორმაციის სახეობა, რაც უნდა მიეწოდოს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს თუ მუშავდება მის შესახებ არსებული ინფორმაცია. ამ ყველაფერთან ერთად, დირექტივა ახდენს მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დეკლარირებას და მისი რეალიზაციის საშუალებების განსაზღვრას. უსაფრთხოების ნაწილში, დოკუმენტი ავალდებულებს დამმუშავებლებს მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის, რომლის დამუშავებასაც ისინი ახდენენ, ძირითადად, საუბარია ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტებზე. სხვა მნიშვნელოვანი დებულებებიდან აღსანიშნავია ევროპული კავშირის არაწევრ ქვეყნებში პერსონალურ მონაცემთა გადაცემის რეგულირება და შიდასახელმწიფოებრივი საზედამხედველო ორგანოს სავალდებულო შექმნის პირობა წევრ ქვეყნებში. და ბოლოს, დირექტივით განისაზღვრა მონაცემთა დაცვის საკითხებთან მიმართებაში საერთოევროპული საკონსულტაციო ორგანოს (Article 29 Data Protection Working Party) დაფუძნების, უფლებამოსილებისა და ფუნქციონირების წესი. ეს ორგანიზაცია დიდ როლს თამაშობს ამ სფეროში მოქმედი წესების დახვეწის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წარმოადგენს ზემოხსენებული ევროდირექტივის საფუძველზე შემუშავებულ დოკუმენტს. კანონში ისეთი საკითხები, როგორცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული ტერმინოლოგია, დამუშავების პრინციპები და საფუძველები, მათ შორის, სენსიტიური და არასენსიტიური პერსონალური მონაცემებისთვის, დირექტივაში მოცემული შინაარსის მიხედვით არის მოწესრიგებული.

საქართველოში ევროპული კავშირის დირექტივა არ მოქმედებს, თუმცა ამ დოკუმენტით დამკვიდრებული სტანდარტი მაინც გასათვალისწინებელია ქართველი კანონმდებლის მიერ. 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის) მე-14 მუხლის მიხედვით,

საქართველო ვალდებულია დაამკვიდროს მონაცემთა დაცვის ევროპულ კავშირში მოქმედი სტანდარტები, ეს დაზუსტებულია შეთანხმების I დანართის მიხედვით, კერძოდ, მხარედ წოდებული საქართველოს სახელმწიფო „უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სამართლებრივ დონეს, რომელიც მინიმუმ შეესაბამება ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ასეთი ტიპის მონაცემთა თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით ინდივიდების დაცვის თაობაზე 95/46/EC დირექტივით გათვალისწინებულ დაცვის სტანდარტებს [...]. საჭიროებისამებრ, თითოეული მხარე გაითვალისწინებს 2008 წლის 27 ნოემბრის “სისხლის სამართლებრივ საკითხებზე პოლიციასა და სასამართლოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საბჭოს 2008/977/JHA, ჩარჩო გადაწყვეტილებას ასევე 1987 წლის 17 სექტემბრის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N R (87)15 რეკომენდაციას, რომელიც არეგულირებს პოლიციის სფეროში პერსონალურ მონაცემთა გამოყენებას.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ერთიანი სამართლებრივი აქტით მოწესრიგება - 2011 წლის 28 დეკემბრის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვრა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული მოდელი ევროპული ანალოგის მსგავსია, სადაც შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო რეგულაციები ითვალისწინებენ ე.წ. „ქოლგის“ ტიპის, ყველა სექტორზე გავრცელებად კანონთა ფუნქციონირებას. სწორედ ამით განსხვავდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული და ამერიკული მოწესრიგება, სადაც ეს უკანასკნელი არ იცნობს ერთიან აქტს და აღნიშნული სფერო სხვადასხვა სპეციალური კანონითაა დარეგულირებული.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ სფეროში დღეს არსებულ მიდგომებს და პერსონალური მონაცემების დაცვის მძლავრ სამართლებრივ ბაზისს ქმნის. თუმცა არსებულ მოწესრიგებამდე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული მოდელის გაზიარების მიუხედავად, პრაქტიკული ღონისძიებების გატარებისთვის ქმედითი ნაბიჯები გვიან გადაიდგა. ამის დამადასტურებელია ის, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი, გარდა იმ მუხლებისა, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების დარღვევისთვის, ამოქმედდა 2012 წლის 1 მაისს (56-ე მუხლი, პირველი ნაწილი), ხოლო 2013 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მუხლები,

რომელიც სამართალდარღვევისთვის ითვალისწინებს დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის დაჯარიმებას (იქვე, მე-2 პუნქტი). რაც ყველაზე მთავარია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2014 წლის 1 ნოემბრამდე, კერძო სექტორის მიმართ არ შეეძლო გამოეყენებინა საზედამხედველო ფუნქციები, კერძოდ, როგორცაა ფიზიკური პირის საჩივრის განხილვა კერძო სექტორის დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიმართ, ასევე, ინსპექტორის უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით განახორციელოს შემოწმება კერძო სექტორში და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენოს მის ხელთ არსებული მექანიზმები (იქვე, მე-3 პუნქტი).

გარდა ამისა, 2014 წლის 1 აგვისტოს ცვლილებების მიხედვით, იგი გარკვეულ ცვლილებებს დაექვემდებარა, როგორცაა მისი გავრცელება სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე (გარკვეული გამონაკლისების გარდა), დაზუსტდა მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებები, განისაზღვრა ფაილური სისტემის კატალოგის შექმნის ვალდებულება განურჩევლად დამმუშავებლის კატეგორიისა, ასევე, დაკორექტირდა ნორმები, რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს არჩევასთან და მის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რითაც იგი მეტად მოვიდა შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით გადადგმულია პოზიტიური ნაბიჯები, თუმცა არსებული ფაქტობრივი ვითარება და საკანონმდებლო მოწესრიგების თავისებურებები ადეკვატურად ვერ პასუხობს არსებულ რისკებს. შესაბამისად, იქმნება ამ სფეროს მეტად ეფექტური რეგულირების საჭიროება.

3.1.2. პერსონალური მონაცემის ცნება და დანიშნულება საზოგადოებრივ

ურთიერთობებში

პერსონალური მონაცემის ამომწურავი დეფინიცია ამ სფეროს მომწესრიგებელი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტებით არ არსებობს. მონაცემთა დაცვის ევროპული მოდელი ამკვიდრებს პერსონალური მონაცემის ფართო ცნებას, რომელიც 95/46/EC დირექტივითაა მოცემული. მისი მე-2(a) მუხლის თანახმად პერსონალური მონაცემი არის „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს (მონაცემთა სუბიექტი); ინდივიდი იდენტიფიცირებადია, რომლის ვინაობის დადგენა შესაძლებელია პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, საიდენტიფიკაციო ნომრით ან ერთი ან მეტი ნიშნით,

რომელიც ეხება მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, მენტალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ან სოციალურ მახასიათებელს.“ ამავე დირექტივის პრეამბულის 26-ე ნაწილი კი ახდენს ამ დეფინიციის შინაარსობრივ დაზუსტებას. მის თანახმად „დაცვის პრინციპები უნდა გავრცელდეს ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ინდივიდს; იდენტიფიცირების განსაზღვრისთვის გასათვალისწინებელია ყველა ის საშუალება, რომელიც გონივრულობის ფარგლებში გამოიყენება დამმუშავებლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ იდენტიფიცირებისთვის; დაცვის პრინციპები არ გავრცელდება ანონიმურ მონაცემებზე, რომლის თანახმად მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება ვერ ხდება; [...]“ საყურადღებოა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი დეფინიცია შეესატყვისება ევროდირექტივის ანალოგს. კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით პერსონალური მონაცემია „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.“ ამ განმარტებით დადგენილია, რომ პერსონალური მონაცემი ეხება ადამიანის პირადი ცხოვრების ინფორმაციულ ასპექტს, სხვა სიტყვებით, მის შესახებ არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას. საყურადღებოა, რომ საქართველოს კანონმდებლობით პერსონალური მონაცემი მხოლოდ ფიზიკური პირის შესახებ არსებულ ინფორმაციას წარმოადგენს და იურიდიული პირი არ გვევლინება მონაცემთა სუბიექტად. თუმცა, მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შვეიცარიის ფედერალური აქტით (მუხლი მე-3(b)) დადგენილია, რომ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი ფიზიკურ პირთან ერთად შეიძლება იურიდიული პირიც იყოს. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტად იურიდიული პირის მიჩნევა მისი განვრცობილი დეფინიციის მანიშნებელია. ამასთან, არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროდირექტივით და არც ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციით არ არის აკრძალული შიდასახელმწიფოებრივი აქტით განისაზღვროს სუბიექტის უფლებების გავრცელება მათზე. ნებისმიერ შემთხვევაში, იურიდიულ პირზე სუბიექტის უფლებების გავრცელება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, მაშინ, როდესაც იურიდიული პირის სახელწოდებით ხდება ფიზიკური პირის იდენტიფიცირება. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში იურიდიულ პირებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი

კანონმდებლობა ირიბი გზით ვრცელდება (Article 29 Data Protection Working Party, 2007, გვ. 23).

საქართველოში გაზიარებულია პერსონალურ მონაცემთა განმარტების საყოველთაოდ აღიარებული მიდგომა. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებაში საქმეზე აპელანტები ნ.გ. და ა.კ. მოწინააღმდეგე მხარის ო.ს. და ი.მ. წინააღმდეგ (26.04.2016), სასამართლო აღნიშნავს, რომ „პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას. [...] პერსონალური მონაცემი არის პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი საშუალება, პერსონალური მონაცემის დაცვაში საბოლოოდ პრიორიტეტი ენიჭება არა მგრძობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის კრიტერიუმს [...]“.

სხვა საკვანძო ტერმინებიდან, უნდა აღინიშნოს მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის სტატუსი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ისინი დამუშავების პროცესის მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებიან. დამუშავების კანონიერებასა და მთელი პროცესის მართვაზე, ძირითადად, პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებელი, რამდენადაც ზემოხსენებული კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად მონაცემთა დამმუშავებელი შეიძლება იყოს „[...] საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას,“ ხოლო კანონის თანახმად უფლებამოსილი პირი გვევლინება დამმუშავებლის ერთგვარ დამხმარედ, რომელიც კანონის ამავე მუხლის „კ“ პუნქტით შემდეგი სახით განიმარტება „[...] ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამუშავებს მონაცემებს მონაცემთა დამმუშავებლისთვის ან მისი სახელით.“ ამ ორ პირს შორის ურთიერთობისას, უფლებამოსილი პირი ყოველთვის დამმუშავებლისადმი დაქვემდებარებულად გვევლინება, რამდენადაც მას დამუშავების დამოუკიდებელი მიზანი არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, დაქვემდებარების საკითხი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს დამმუშავებლის მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების დარღვევაზე რეაგირება ღიად ტოვებს საკითხს უფლებამოსილი პირის

პასუხისმგებლობის თაობაზე. შესაძლებელია უფლებამოსილი პირის მონაწილეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება წარიმართოს ისე, რომ პროცესში საკმაოდ დამოუკიდებლობით სარგებლობდეს ეს უკანასკნელი. მაგალითად, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებლად გვევლინება უნივერსიტეტი, რომელიც საკუთარი სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს (შეფასებებს, დაგროვებული კრედიტების რაოდენობას, მათ მიერ დაწერილი განცხადებების ადრესატამდე გაგზავნას და სხვ.) უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კომპანიის მეშვეობით, რომელიც ორიენტირებულია IT მომსახურებაზე (ამგვარი პრაქტიკა უნივერსიტეტების მიერ ფართოდაა აპრობირებული). ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი უნდა მოქმედებდეს დამუშავებლის მიერ მინიჭებული მანდატის ფარგლებში და, მაგალითად, დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომელიც მოითხოვს დამუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომლისგან მონაცემთა საიდუმლოების დაცვას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში, მოცემული ტერმინები საკვანძო მნიშვნელობის მქონეა.

შინაარსობრივად პირადი ცხოვრების უფლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა ორი ერთმანეთთან დაკავშირებული უფლებაა. თუმცა, თუ ამ საკითხს მივუდგებით ინდივიდის დაცვის ინტერესების პერსპექტივიდან, მიიჩნევა, რომ ის კატეგორიები, რაც გვევლინება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ქვეშ არ უნდა განიხილებოდეს პირადი ცხოვრების უფლების ნაწილად, სხვა სიტყვებით, პრივატულობა (privacy) არის წმინდად „დაცვითი“ უფლება, რომელიც იცავს პირის პირად სფეროს ინტერვენციისგან. შესაბამისად, პირადი სივრცის დამცავი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ საშუალებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისთვის, ვინაიდან ამ უკანასკნელს უფრო ღია ხასიათი აქვს. ნაცვლად აკრძალვისა, იგი აწესებს გარკვეულ პირობებს პერსონალური მონაცემების გამოყენებისთვის (პურტოვა, 2010, გვ. 2). აქედან გამომდინარე, არ არსებობს შეჯერებული აზრი იმის შესახებ, თუ რა სახის ურთიერთმიმართება არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და პრივატულობას შორის (იქვე, გვ. 3).

ზოგადად, პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას განსხვავებული წინაპირობები და ტრადიციები გააჩნიათ. უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მეტად ახალია და დაკავშირებულია ტექნოლოგიურ პროგრესთან, რომლის შედეგადაც მათი შეგროვება, შენახვა და დამუშავება მეტად და მეტად მარტივი ხდება. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ორიენტირებულია უმეტესად ჰორიზონტალური ტიპის ურთიერთობებზე და

სუბიექტს იცავს ორგანიზაციებისგან, როგორცაა მაგალითად Google-ი და Facebook-ი. საყურადღებოა თავად ცნებაც, „პერსონალური მონაცემი“ არ არის პირადი ან სენსიტიური ინფორმაციის ანალოგი, არამედ ძალზედ ფართოა. იგი მოიცავს ჩვეულებრივ და მათ შორის საჯაროდ ცნობილ ინფორმაციასაც, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება (Sloot/სლოტი, 2015, გვ. 40). მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ იდენტიფიცირების მექანიზმების გამოყენება წახალისებულია საჯარო დაწესებულებების საქმიანობის კონტექსტში. ზოგადად, სახელმწიფო ძირითად როლს თამაშობს სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების გაცემის ნაწილში. ამ მიზნით, ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია განვითარებული ტექნოლოგიების დანერგვა, ხოლო ამ განვითარების პარალელურად ჩნდება ციფრული იდენტიფიცირების მართვის მოთხოვნა, რომელიც უნდა დაექვემდებაროს სამართლებრივ ჩარჩოებს და მომხმარებლის უფლებებზე იყოს ორიენტირებული (დე ჰერტი, 2008, გვ. 72).

პერსონალური მონაცემის ცნების საკითხს მჭიდროდ უკავშირდება იდენტიფიცირების საკითხი. მონაცემთა დაცვის ევროპული კანონმდებლობის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება მაღალი სიზუსტით აუცილებელი არაა. კანონის ნორმათა ამოქმედებისთვის საკმარისია პიროვნება იყოს იდენტიფიცირებადი, ხოლო ინდივიდი იდენტიფიცირებაუნარიანია თუ ინფორმაცია შეიცავს პირის ვინაობის დამდგენ ელემენტებს (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 52).

თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობების გათვალისწინებით, პერსონალური მონაცემი არა მხოლოდ ინფორმაციული კატეგორიის ჭრილში არსებულ საგნად გვევლინება, არამედ იგი სავაჭრო გარიგების ობიექტსაც კი წარმოადგენს. პერსონალური ინფორმაცია, როგორც ადამიანური არსების გარდაუვალი „პროდუქტი“ გამუდმებული დაკვირვების პირობებში ქმნის ინფორმაციის დიდ ერთობას, რომელიც შემდგომ ხელმისაწვდომია შეგროვებისთვის, შენახვისთვის, გამოყენებისა და გავრცელებისთვის, როგორც ღირებული საქონელი (ჰოლანდი, 2010, გვ. 895). პერსონალური მონაცემებით ვაჭრობა მრავალი კორპორაციისა და კომპანიის საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც პერსონალური მონაცემი ხდება ვაჭრობის ობიექტი, თავს იჩენს ისეთი საკითხი, როგორცაა მონაცემებით ვაჭრობის შეზღუდვა. ამ შემთხვევაში მეცნიერთა აზრი ორად იყოფა, რომელთაგან ზოგიერთი მსგავსი პრაქტიკის ჩამოყალიბების მომხრეა, ხოლო ზოგი, მიიჩნევს, რომ აუცილებელია დაწესდეს მკაცრი შეზღუდვები (შვარცი, 2004, გვ. 2057). საქართველოში პერსონალური მონაცემებით ვაჭრობა არ არის აქტიურ ფაზაში

გადასული. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული სტანდარტი არ უშვებს შესაძლებლობას, რომ პერსონალური ინფორმაცია დაექვემდებაროს „ყიდვა-გაყიდვას.“ მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად (პირველი და მე-3 პუნქტები), პირდაპირი მარკეტინგული შეტყობინებების განხორციელებისთვის, ტელეფონის ნომრის გამოყენებამდე, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ ეს ნომერი საჯარო წყაროდან იქნა მოპოვებული ან სუბიექტმა (ფიზიკურმა პირმა) განაცხადა თანხმობა მის გამოყენებაზე. არაა გამორიცხული, რომ ფიზიკურმა პირმა ნება მისცეს დამმუშავებელს, რომ ამ უკანასკნელმა მისი ტელეფონის ნომერი გაასხვისოს. თუმცა, სირთულე იჩენს თავს მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი გადაწყვეტს მისი პერსონალური მონაცემის გამოთხოვას ყველა იმ დამმუშავებლისგან, რომელიც იყენებს ამ ინფორმაციას (შეად. პურტოვა, 2010).

დამუშავების პროცესებისთვის დიდი მნიშვნელობის მქონეა პერსონალური მონაცემების შეგროვება ქსელური მეთოდების გამოყენებით, როგორცაა “spyware” და “adware.” ქსელში ჩართული კომპიუტერული კომუნიკაციის ფარგლებში, პროგრამებს მრავალ სხვა კომპიუტერთან შეუძლიათ დაკავშირება. მაგალითად “spyware” განმარტებულია, როგორც პროგრამა, რომელიც ინსტალირდება კომპიუტერული საშუალების მომხმარებლის ნების გარეშე და ერთვება მოქმედებაში, ასევე, უნებართვოდ. მისი ერთ-ერთი ფუნქციაა კომპიუტერული რესურსების გამოყენება სხვადასხვა მიზნებისთვის, მათ შორის, პერსონალური ინფორმაციის შეგროვებისთვის (ინტერნეტში მომხმარებლის პრეფერენციებისა და ინტერესთა სფეროს მიხედვით) და მის საფუძველზე სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნისა და მომხმარებლისთვის მიწოდების მიზნით (შვარცი, 2004, გვ, 2064-2065). “Spyware” ტექნოლოგიას შეუძლია მომხმარებლის ინფორმაციის მითვისება სისტემური და მომხმარებლის პირადი ფაილებიდან. მრავალი კომპანიის პირადი ცხოვრების დაცვის პოლიტიკა იუწყება, რომ მათ მიერ არ ხდება სენსიტიური ინფორმაციის შეგროვება, თუმცა სრულებით იმის დადგენა, აქვს თუ არა ადგილი მსგავს პრაქტიკას, შეუძლებელია (PC Tools).

განხილული პროცესის გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა სავაჭრო საქონლის კატეგორიაში მოქცევა რამოდენიმე ეტაპისგან შედგება:

1. პირთა სიის ფორმირება, რომლებიც თანხმობას გამოთქვამენ პერსონალური მონაცემების სავაჭრო საგნად ქცევაზე;
2. პირთა სიის ფორმირება, რომელთაც სურთ მიიღონ თავიანთი ინტერესის შესაბამისი სარეკლამო შეტყობინებები;

3. ონლაინ ტრანზაქციების ჩამონათვალი, როგორცაა შესყიდვები, რომელსაც შემდგომ თან მოსდევს ამ ინფორმაციის შენახვა სავაჭრო მიზნებისთვის;

4. მეტამონაცემთა ფორმირება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ინდივიდის პრეფერენციების შესახებ.

ჩამოთვლილთაგან მეტად საყურადღებოა მეტამონაცემი, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციას ინფორმაციის შესახებ, მაგალითად, იგი შეიცავს კომპიუტერული ფაილის ავტორის სახელსა და ინიციალებს, კომპანიისა და ორგანიზაციის დასახელებას, კომპიუტერის ან ქსელური სერვერის, ასევე, მყარი დისკის დასახელებებს, რომელიც შემდგომ გამოიყენება როგორც ვაჭრობის ობიექტი და წარმოშობს პირად სივრცეში ჩარევის რისკებს (შვარცი, 2004, გვ. 2070). ცხადია, თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სცენარი ზემოხსენებული პუნქტების შესაბამისად განვითარდა, რაც ნებისმიერ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის მაქსიმალურ ინფორმირებას გულისხმობს, პროცესი კანონიერებას დაექვემდებარება. თუმცა ამ დროს, მონაცემთა სიმრავლის გათვალისწინებით, მეტად საყურადღებოა ამ პროცესის კანონიერების ზედმიწევნითი უზრუნველყოფა.

გასათვალისწინებელია ის საკითხიც, რომ ინფორმაციული პრივატულობა წარმოშობს განსხვავებულ გამოწვევებს ფიზიკურ პრივატულობასთან შედარებით. ინფორმაციული პრივატულობის მთავარ საკითხებს შორისაა პერსონალურ მონაცემთა გამოყენება მესამე მხარეების მიერ და ამგვარი გამოყენების თანმდევი შედეგები, მაგალითად, ინდივიდთა კატეგორიზაცია მათი პერსონალური ინფორმაციის მიხედვით (იქვე, გვ. 2075). ამ პროცესმა შესაძლოა ბიძგი მისცეს მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციაში საკუთრების უფლების გაჩენას, რაც ზრდის ვაჭრობის დონეს და აქვეითებს პირადი ცხოვრების დაცვის ხარისხს (იქვე, გვ. 2077). საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების კლასიკური გაგების თანახმად, იგი მოიცავს ინდივიდუალურ შეთანხმებებს, რომელზეც მომხმარებელი გაცნობიერებულად და საკუთარი ნებით ახორციელებს თანხმობის გაცემას. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ პერსონალური მონაცემებით ონლაინ ვაჭრობისას, პირობები უკიდურესად სტანდარტიზებული და არამოლაპარაკებადია, შესაბამისად, გაცემული თანხმობა ვერ იქნება გააზრებული (ჰოლანდი, 2010, გვ. 908). მართლაც, გააზრებული თანხმობის, როგორც ნების თავისუფალი გამოვლენის შემთხვევა მნიშვნელოვნად წყვეტს სამართლებრივი ურთიერთობის კანონიერების საკითხს. ევროპული კანონმდებლობის მიხედვით არსებობს კანონიერი თანხმობის სამი ელემენტი, რომელიც კუმულაციურ დაცვას საჭიროებს პროცესის ლეგიტიმურობისთვის, კერძოდ, ესენია:

1. პირი არ უნდა იმყოფებოდეს ზეწოლის ქვეშ;
2. იგი უნდა იყოს ჯეროვნად ინფორმირებული მიზნისა და შედეგების თაობაზე;
3. იმ ურთიერთობის ფარგლები, რაზედაც გაიცემა თანხმობა, რაც შეიძლება მეტად კონკრეტული უნდა იყოს (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 75).

აღსანიშნავია, რომ თუ მონაცემთა სუბიექტებს პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით საკუთრების უფლების გარკვეული ელემენტებით აღვჭურავთ, შესაძლოა სახეზე იყოს რამოდენიმე უპირატესობა, კერძოდ:

1. მონაცემთა სუბიექტები მეტად დაინტერესდებიან თავიანთი ინფორმაციით ვაჭრობის შესახებ;
2. მათ მეტად მიეცემათ შესაძლებლობა გააკონტროლონ თავიანთი პერსონალური ინფორმაცია;
3. მათ მიეცემათ საშუალება მეტად უზრუნველყონ საკუთარი პირადი სივრცის დაცვა, სარგებლის მიღების პარალელურად (ჰოლანდი, 2010, გვ. 910-911).

მიუხედავად ამისა, პერსონალურ მონაცემებზე საკუთრების უფლების გარკვეული თავისებურებების გავრცელება არ უნდა აღიქმებოდეს ისე, თითქოს იგი კარგავს ყველა იმ მახასიათებელს, რითაც იგი გვევლინება პირადი სივრცის ნაწილად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით სარგებლობაზე უარის თქმის დაუშვებლობა ნიშნავს არა მისი მეშვეობით ნებაყოფლობითი ვაჭრობის აკრძალვას, არამედ, უპირველესად, გულისხმობს სუბიექტის მხრიდან თანხმობის უფლების ფარგლებში არსებულ შესაძლებლობათა დაკარგვის აკრძალვას. შესაბამისად, საკუთრების უფლების გავრცელების პარალელურად სრულებით არ უნდა შეიზღუდოს ის შესაძლებლობები, რაც ინდივიდს ანიჭებს უნარს მართოს საკუთარი პერსონალური მონაცემი (პურტოვა, 2010, გვ. 16).

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი მთელ რიგ წინაპირობებს შეიცავს მარკეტინგული მიზნებისთვის მონაცემთა გამოყენების თაობაზე, დამუშავების გაძლიერებული სისტემებისა და საზოგადოებაში ინფორმირებულობის სათანადო დონის არარსებობის გათვალისწინებით ეს პროცესი კანონიერი ჩარჩოებიდან მარტივად ექვემდებარება გამოსვლას. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ, მაგალითად, დამმუშავებლის მიერ პრივატულობის პოლიტიკის (privacy policy) დეკლარირება ინფორმაციის გამჟღავნების დონის გაზრდას იწვევს, მიუხედავად იმისა კითხულობს ან იგებს თუ არა ამ პოლიტიკის შინაარსს მომხმარებელი

(ჰოლანდი, 2010, გვ. 899). მიუხედავად ამისა, პრივატულობის პოლიტიკის შემუშავება და მისი საჯარო განთავსება არ არის მეორეხარისხოვანი დანიშნულების მქონე.

საზოგადოების წევრებისთვის ამ დოკუმენტის მეშვეობით ხდება იმ მიდგომებისა და წესების გაცნობა, რასაც ესა თუ ის დამმუშავებელი იყენებს საქმიანობის ფარგლებში, უფრო ზუსტად, აქ საუბარია იმ პროცედურის აღწერაზე, რომელსაც ადგილი აქვს დამუშავებისას. სასურველია, რომ იგი მაქსიმალურად ინფორმაციული იყოს დაინტერესებული პირებისთვის. ამასთან, პრივატულობის პოლიტიკა ახორციელებს საკანონმდებლო მოთხოვნათა ფორმულირების ადაპტაციას და საზოგადოებისთვის მიწოდებას ყველასთვის გასაგები ენით.

არსებობს სხვა სირთულეც, რაც უკავშირდება პრივატულობის „სავაჭრო ბაზარს.“ ე.წ. „ინფორმაციული ასიმეტრია“ შესაძლოა წარმოიშვას მონაცემთა შემგროვებლებსა და ინდივიდებს შორის. მონაცემთა შემგროვებლები რთული ენით ახდენენ იმ საკითხების ფორმულირებას, რომელიც მონაცემთა მოპოვებასა და გამოყენებას ეხება. მაგალითად, შეტყობინებები პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ, წოდებული როგორც კონფიდენციალურობის პოლიტიკა, ხშირად ვერ ახდენს ვებ-გვერდის მიერ დამუშავების არსებულ შესაძლებლობათა დემონსტრირებას. ამავდროულად, ვებ-გვერდები იტოვებენ უფლებას შეცვალონ მათი პირადი ცხოვრების პოლიტიკა, რაც ვიზიტორთათვის გულისხმობს ცვლილებათა მუდმივი შემოწმების აუცილებლობას (შვარცი, 2004, გვ. 2080). ეს მეტად თვალნათელია ონლაინ ტრანზაქციების კონტექსტში, როდესაც მონაცემთა სუბიექტს შესაძლოა არასრული ინფორმაცია გააჩნდეს გარკვეულ საკითხებზე, მაგალითად, პირად ცხოვრებაში ჩარევის ხარისხზე, რაც მეტადაა სახეზე იქ, სადაც მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებულ ინფორმაციას მონაცემთა შემგროვებელს აწვდის მესამე მხარე. მრავალი მსგავსი რისკი მატერიალიზების შემდგომ იჩენს თავს. შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტს შესაძლოა არ ჰქონდეს სრული ინფორმაცია დამცავი ტექნოლოგიებისა და მათი ხელმისაწვდომობის შესახებ (ჰოლანდი, 2010, გვ. 903).

3.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც ცალკე ფუნდამენტური უფლება

სულ უფრო თვალნათელი ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა ინდივიდისთვის მისი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისას. „მონაცემთა დაცვის უფლება წარმოშობილია პირადი ცხოვრების დაცვის უფლებიდან. პირადი ცხოვრების კონცეფცია უკავშირდება ადამიანებს. შესაბამისად, ფიზიკური პირები არიან

მონაცემთა დაცვის უპირველესი ბენეფიციარები“ (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 48). თუმცა, ჯერ კიდევ რთულია შეთანხმება იმის შესახებ, თუ რა სახის ურთიერთდამოკიდებულებაა პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და პრივატულობას შორის. ევროპულ სამართლებრივ სისტემაში მონაცემთა დაცვის წიაღში აღმოცენებული ინტერესები პირადი ცხოვრების მეტად ფართო უფლების ნაწილად მოიხსენიება, ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ცალსახად უნდა იზიარებდეს ძირითადი უფლების სრულფასოვან სტატუსს (პურტოვა, 2010, გვ. 3).

ამ ვითარებაში, განსაკუთრებული როლი ენიჭება ცალკეული სამართლებრივი ნორმების სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით ინტერპრეტირებასა და სუბიექტის უფლებების დაცვისკენ მიმართული პრაქტიკის ჩამოყალიბებას. მოცემული პრეცედენტების ფორმირება დიდწილად დამოკიდებულია ნორმატიულ ჩანაწერებზე. ქვემოდმოყვანილი მსჯელობა ეხება, პირველ რიგში, იმ პრაქტიკას, რაც ჩამოყალიბებულია სასამართლო გადაწყვეტილებების, ასევე, საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მიღებული რეკომენდაციების მეშვეობით. ამასთან, მოცემულია აქცენტები პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ცალკე აღნიშვნის შესახებ სახელმწიფოს უზენაეს კანონში.

3.2.1. საერთაშორისო სასამართლოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასთან მიმართებით ჩამოყალიბებული პრაქტიკა

ევროპის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამცავი ინსტრუმენტების განვითარებამ შედეგად გამოიწვია ის, რომ პირველად, საერთაშორისო დონეზე, ეს უფლება დამოუკიდებლად გაიწერა ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტილაში. მისი მე-8 მუხლი შემდეგი სახითაა ფორმულირებული:

- „1. ყველას გააჩნია საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება;
2. ამგვარი მონაცემი უნდა დამუშავდეს სამართლიანად კონკრეტული მიზნებისთვის და პირის თანხმობით ან სხვა კანონით დადგენილი საფუძვლით. ყველას გააჩნია საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლება, ასევე, მათი შესწორების უფლება.
3. ამ წესებთან შესაბამისობა ექვემდებარება დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობას.“

საყურადღებოა, რომ ქარტია არ იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიდგომას უფლებათა დეკლარირებისას, რამდენადაც ცალკე მუხლად აყალიბებს იმ პირობებს, რომელთა გათვალისწინებით შეიძლება შეიზღუდოს ძირითადი უფლებები. ქარტიის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

„1 ამ ქარტიით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს დადგენილი კანონით და არ არღვევდეს ამ უფლებათა და თავისუფლებათა არსს. პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ თუ იგი აუცილებელია და ემსახურება კავშირის მიერ აღიარებული საზოგადოებრივი ინტერესის მიზნებს ან საჭიროა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. [...]“

მოცემული მუხლები წარმოადგენს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ერთგვარ რეზიუმირებას. იგი ეხება სამ მნიშვნელოვან საკითხს:

1. განამტკიცებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას;
2. აწესებს უზოგადეს პრინციპებს დამუშავებისთვის;
3. მოითხოვს დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შექმნას. ამავდროულად, ცალკეა გაწერილი მისი შეზღუდვის სამართლებრივი გზები.

რამდენადაც ევროპული კავშირის სამართალი მეტად განვითარებულ დებულებებს შეიცავს მონაცემთა დაცვასთან მიმართებით, არაა გასაკვირი, რომ მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს პრაქტიკა მრავალფეროვანია. სასამართლომ არაერთხელ მიუთითა ამ უფლების ფუნდამენტურ ხასიათზე. საყურადღებოა ისიც, რომ გადაწყვეტილებებში მონაცემთა დაცვის უფლების განხილვა ხდება დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთის ჭრილში, მიუხედავად იმისა, რომ მას კავშირი აქვს ადამიანის პირად ცხოვრებასთან. გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად ახდენს მონაცემთა დაცვის სამართალში არსებულ ამა თუ იმ ტერმინის, ასევე, პრინციპებისა და წესების ინტერპრეტაციას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი მონაცემთა დაცვის ევროპული კავშირის მოდელს იზიარებს, შესაბამისად, მიზანშეწონილია სასამართლოს რამოდენიმე გადაწყვეტილების განხილვა.

ევროპული კავშირის ფარგლებში მონაცემთა დაცვის კანონით დამკვიდრებული ერთ-ერთი საკვანძო ცნება - „პერსონალური მონაცემი“ - არაერთხელ გახდა განმარტების საგანი. საქმეში *Vokler and Markus Scheke and Hartmut Eifert v. Land Hessen (C-92/09, C-93/09, 09.11.2010)* სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას და განმარტა, რომ პროფესიული სახის ქმედებათა შესახებ

ინფორმაცია კი ექცევა პირადი ცხოვრების დაცული სფეროს ფარგლებში იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია იდენტიფიცირებული ფორმითაა მოცემული (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 50, 55). ზოგადად, სამართლებრივი აქტები არ აკონკრეტებენ თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პერსონალურ მონაცემად, ისინი ადგენენ რეგულირების ზოგად წესს და პერსონალურ მონაცემს უწოდებენ პირის შესახებ არსებულ ინფორმაციას. ამავე მიდგომას ამკვიდრებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, მისი მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად პერსონალური მონაცემი არის: „[...] ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;“ როგორც ვხედავთ პერსონალური მონაცემი შესაძლოა ყველა ამ ნიშნით გამორჩეული ინფორმაცია აღმოჩნდეს, იმ პირობით, რომ მონაცემები იდენტიფიცირებაუნარიანობის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

იდენტიფიცირების საკითხი, მაგალითად, ვლინდება ისეთ მონაცემებთან მიმართებით როგორცაა ბიომეტრიული პერსონალური მონაცემი, კერძოდ, თითის ანაბეჭდი. თუ ფიზიკური პირი გარკვეულ ნივთთან შეხების შემთხვევაში დატოვებს თითის ანაბეჭდს და მესამე პირი მოინდომებს ამ მის მოპოვებას შესაბამისი საშუალებებით, ისე რომ არ იცოდეს თუ ვინ დატოვა კვალი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად საქმე გვაქვს პერსონალურ მონაცემთან. თუ მესამე პირი ფლობს პერსონალურ მონაცემთა ბაზას, სადაც შედარების საფუძველზე არსებობს ბიომეტრიული მონაცემის მფლობელი პირის ვინაობის დადგენის შესაძლებლობა, მაშინ ეს ინფორმაცია იქნის პერსონალური მონაცემის კატეგორიას, რამდენადაც სახეზეა იდენტიფიცირებადობის კრიტერიუმი. ამის მსგავსად, თუ, მაგალითად, პირადი მობილური ტელეფონით სარგებლობისას შექმნილი გვაქვს შესაბამისი ანგარიში (Google Account ან Apple ID) და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ვიყენებთ თითის ანაბეჭდით დაბლოკვის შესაძლებლობას, მაშინ საქმე აუცილებლად პერსონალურ მონაცემებთან გვაქვს, რამდენადაც სერვისის მომწოდებლის ხელში (Google ან Apple) თავს იყრის სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, ელ-ფოსტის მისამართი და სხვ.).

პერსონალური მონაცემის ზოგადი დეფინიციის გარდა, კანონი ადგენს მონაცემთა ისეთი კატეგორიების განმარტებას, როგორცაა ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემი.

ორივე მათგანი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება, თუმცა მეტად საყურადღებოა გენეტიკური მონაცემის ცნება და მისი ინტერპრეტირების გზები. კანონის მე-2 მუხლის „გ¹“ პუნქტის თანახმად გენეტიკური მონაცემი არის: „მონაცემთა სუბიექტის უნიკალური და მუდმივი მონაცემი გენეტიკური მემკვიდრეობის ან/და დნმ-ის კოდის შესახებ, რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება;“ მოცემული დეფინიცია თანხვედრაშია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციასთან წევრ ქვეყნებში სამედიცინო მონაცემების დაცვის შესახებ (Recommendation No. R (97) 5 on the Protection of Medical Data). გენეტიკური მონაცემის განმარტების თანახმად ასეთად მიიჩნევა ნებისმიერი მონაცემი, რომელიც ეხება ინივიდის მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ მახასიათებლებს ან ამგვარი მახასიათებლების ნაწილს ინდივიდთა მოცემულ გაერთიანებაში. არის მოსაზრება, რომ ეს რეკომენდაცია უნდა აღვიქვათ, როგორც პერსონალური გენეტიკური მონაცემის განმარტების გაფართოების მცდელობად, რომელიც ერთდროულად ერთზე მეტ ინდივიდს შეიძლება შეეხოს. ამავდროულად, ევროპული კავშირის 95/46/EC დირექტივა არ შეიცავს დამატებით მითითებას სამედიცინო მონაცემების განმარტების შესახებ, რის გამოც მისი ერთიანი დეფინიცია სამართლებრივი ნორმით არაა დადგენილი (გერტცი, 2004, გვ. 236).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არ წარმოადგენს აბსულუტურს, იგი შესაძლოა შეიზღუდოს სხვა ღირსი ინტერესისა თუ უფლების გათვალისწინებით, ხოლო რიგ შემთხვევებში იგი მეტ დაცვას საჭიროებს. ერთ-ერთი უფლება, რომელიც აუცილებელია დაბალანსდეს მონაცემთა დაცვის უფლებასთან, არის ინფორმაციის მიღების უფლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უფლებათა ბალანსის დროს არ შეიძლება მოვიძიოთ ყოველი შემთხვევისთვის შესაბამისი, ერთიანი მიდგომა. შეფასება ყოველ ჯერზე უნდა მოხდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტექსტუალური ანალიზის შესაბამისად. მაგალითად, საქმეში *European Commission v. Bavarian Lager* (29.06.2010), მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ხაზი გაუსვა პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისას თანხმობის მიღების აუცილებლობას, იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს სხვა ლეგიტიმური საფუძველი დამუშავებისთვის (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 37-38). ამ გადაწყვეტილების გამოტანით სასამართლომ აქცენტი გააკეთა მონაცემთა სუბიექტის ერთ-ერთ უპირველეს უფლებაზე - გაცეს თანხმობა საკუთარი მონაცემების გამოყენებისთვის. სასამართლოს აზრით, დახურული

პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებელია ცხადი და ლეგიტიმური საფუძვლის არსებობა, რათა ინტერესთა აწონ-დაწონვის საფუძველზე მოხდეს მათი გამჟღავნება ინფორმაციის მომთხოვნისთვის (პარაგ. 78). ამასთან, თანხმობა ჯეროვნადაა განხორციელებული მაშინ თუ სუბიექტი იაზრებს, რომ თანხმობა არის არჩევანი და მასზე უარის თქმა არ იწვევს სანქციებს (Gutwirth, Pouillet, Hert, Terwangne & Nouwt (eds.)/გუთვირტი, პულე, ჰერტი, ტერვანე & ნუვტი (რედ.), 2009, გვ. 101).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი აგებულია ხუთ ძირითად პრინციპზე. მათი მნიშვნელობა სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას დიდია. ეს დებულებები წარმოადგენს სახელმძღვანელო და უპირატეს ნორმებს სხვა, მაგალითად, მონაცემთა დამუშავების საფუძვლების შესახებ არსებულ ნორმებთან შედარებით. მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით (მე-4 მუხლი) ძირითადი პრინციპები შემდეგი სახითაა ფორმულირებული:

1. სამართლიანობა, კანონიერება და ღირსების დაცვა;
2. მიზნობრიობა;
3. პროპორციულობა;
4. სიზუსტე და უტყუარობა;
5. შესაბამისი ვადების დაცვა დამუშავებისას.

დამუშავების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების უზრუნველყოფა არაერთხელ გამხდარა სასამართლოს მსჯელობის საგანი. მაგალითად, საქმეში Huber v. Federal Republic of Germany (16.12.2008), სასამართლომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება განიხილა სამართლიანობის პრინციპის, კერძოდ, თანასწორი დამუშავების კონტექსტში. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, გერმანიაში მოქმედებდა ერთიანი რეესტრი, სადაც ფიქსირდებოდა ყველა იმ უცხოელი მოქალაქის შესახებ ინფორმაცია, რომელიც იმყოფებოდა გერმანიაში სამ თვეზე მეტი ვადით. მონაცემები, საბაზისო კატეგორიის გარდა, შეეხებოდა უცხოელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ არსებულ ინფორმაციას, რაც გამოიყენებოდა სხვადასხვა მიზნისთვის, კერძოდ, ბინადრობის საკითხის გადასაწყვეტად, სტატისტიკის წარმოებისთვის და ა.შ. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარკვეული ღირსი მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა შეგროვება დასაშვებია იყო, თუმცა ის ფაქტი, რომ ამგვარი რეესტრი მხოლოდ არაგერმანელი ფიზიკური პირებისთვის ფუნქციონირებდა ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-18 მუხლის თანახმად წარმოადგენდა უცხოელების მიმართ ეროვნების ნიადაგზე დისკრიმინაციულ მოპყრობას

(ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 110-111; ასევე, European Commission, Legal Service/ევროპული კომისია, იურიდიული სამსახური (2009). შესაბამისად, არათანაბარი მოპყრობა ეროვნების ნიადაგზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პერსონალურ მონაცემთა შემცველი ბაზა შეიცავს აუცილებელ ინფორმაციას და მისი ცენტრალიზებული ბუნება საშუალებას იძლევა მოხდეს მისი გამოყენება გაერთიანების წევრების მიმართ, რომლებიც არ არიან წევრი ქვეყნის მოქალაქეობის მქონენი (პარაგ. 82). აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადად სამართლიანობის პრინციპი ვერ იქნება განსაზღვრული კონკრეტულად. ამ პრინციპის იმპლემენტირებისას, აუცილებელია მოხდეს სხვა თანმდევი პრინციპების საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და დამმუშავებლის ინტერესების აწონ-დაწონვა.

მონაცემთა პროპორციული დამუშავების საკითხი სასამართლომ განიხილა, ასევე, საქმეში Volker and Markus Scheke and Hartmut Eifert v. Land Hessen (09.11.2010). სასამართლომ არამართლობიერად მიიჩნია განმცხადებლების ვინაობის გამოქვეყნება საჯაროდ (ონლაინ) იმ პერსონალურ მონაცემებთან ერთად, რომელიც ეხებოდა მათ მიერ სახელმწიფოსგან მიღებულ აგრარულ სუბსიდიებს. სასამართლოს აზრით, ფიზიკური პირების სახელებისა და მათ მიერ მიღებული ზუსტი თანხობრივი ოდენობების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით დაირღვა უფლებაში ჩარევის ის პროპორციულობა, რისი დაცვის ვალდებულებაზეც საუბარია ქარტიის 52-ე მუხლი პირველ პუნქტში (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 40-41). ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული შეზღუდვები უნდა დაექვემდებაროს აუცილებლობის პირობას და ამდენად, აუცილებელია მოვიძიოთ ისეთი გზები, რომელიც ნაკლებად მოახდენს გავლენას ფიზიკური პირების ძირითადი უფლების დაცვაზე (პარაგ. 86). ამ შემთხვევაში, ინფორმაციის მიღების მოტივით პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვა ვერ იქნებოდა მართლობიერი. საინვესტიციო ფონდიდან თანხების გამოყოფის დროს საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს არა ის თუ ვინ არიან კონკრეტული ბენეფიციარები, არამედ ის თუ როგორ გადანაწილდა ფონდში აკუმულირებული თანხები. აღნიშნული საქმე, ნათელი შემთხვევაა იმისა, თუ როგორ დგინდება ზღვარი ინფორმაციის თავისუფლებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის.

ტერმინოლოგიური კუთხით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა არაერთ საკვანძო ცნებას ამკვიდრებს, მათ შორისაა ცნება „დამუშავება.“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის (მე-2 მუხლი, „დ“ პუნქტი) თანახმად, დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება. დამუშავებასთან დაკავშირებით, სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე Bodil Lindqvist (06.11.2003), სადაც აღნიშნა, რომ პიროვნების შესახებ მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება წარმოადგენს სრულად ან ნაწილობრივ ავტომატური საშუალებებით დამუშავებას. საკითხზე, მიიჩნეოდა თუ არა ამგვარი გამოქვეყნება პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემად, სასამართლომ მიუთითა, რომ თუ ინფორმაციის ვებ-გვერდზე ჩატვირთვას მივიჩნევდით პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემად, ამ შემთხვევაში, ყველა იმ სახელმწიფოში, რომელიც ევროპული კომისიის მიერ აღიარებული იქნებოდა მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონის არმქონედ, ინფორმაციის გავრცელება არ უნდა მომხდარიყო. ეს კი იქნებოდა პირებისთვის ამკრძალავი მოთხოვნის შემცველი დანაწესი ინტერნეტში მონაცემთა გამჟღავნებისთვის (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 172-173). გარდა ამისა, სასამართლომ აქცენტი გააკეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ინფორმაციის თავისუფლების შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე 95/46/EC დირექტივის ჭრილში. სასამართლოს აზრით, დირექტივით მოცემული დებულებები არ არის წინააღმდეგობაში გამოხატვის თავისუფლების ძირითად პრინციპებთან. ამდენად, ევროპული კავშირის წევრი ქვეყნების ზომები, რომელიც მიიღება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით უნდა იყოს დაბალანსებული ამ ინფორმაციის გადაადგილების თავისუფლებასთან მიმართებით (პარაგ. 100).

ამ საკითხთან დაკავშირებით, სირთულეს წარმოადგენს საკითხი, რომელიც ეხება მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებული პერსონალური მონაცემების გასაჯაროვებას, როგორც ინტერნეტით, ისე სხვა საშუალებებით. მაგალითად, საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ადგენს, რომ კანონის თანახმად გასაჯაროვებული პერსონალური მონაცემების გამოყენება შესაძლებელია პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ნებართვის გარეშე (მე-5 მუხლი, „ე“ პუნქტი). შესაბამისად, ნებისმიერ პირი, რომელიც დააპირებს დაამუშავოს პერსონალური მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან, მოქმედებს იმ პრეზუმფციის ფარგლებში, რომ ესა თუ ის

ინფორმაცია კანონის მოთხოვნათა დაცვით არის გასაჯაროვებული. თუმცა, საკვებით შესაძლებელია ეს ასე არც იყოს, ხოლო ფიზიკურმა პირმა ვერ უზრუნველყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან (ძირითადად ინტერნეტიდან) ინფორმაციის სრულყოფილი წაშლა.

მორიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ეხება დამმუშავებლის ცნებასა და სუბიექტის უფლებას მოითხოვოს დამმუშავებლისგან საკუთარი მონაცემების წაშლა. უშუალოდ გადაწყვეტილების განხილვამდე აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით (მე-2 მუხლი, „ი“ პუნქტი) მონაცემთა დამმუშავებლად ცნობისთვის აუცილებელია ორი პირობის ერთდორულად დაკმაყოფილება, კერძოდ, დამმუშავებელი უნდა განსაზღვრავდეს დამმუშავების მიზნებსა და საამისო საშუალებებს, ხოლო ამავე კანონის 25-ე მუხლის თანახმად მონაცემთა სუბიექტისთვის უზრუნველყოფილია პერსონალურ მონაცემთა წაშლის მოთხოვნის უფლება ნებისმიერ დამმუშავებელთან (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს დამმუშავების აღმატებული ინტერესი, რისი საფუძვლებიც, ასევე, კანონითაა დადგენილი). საქმეში Google Spain SL and Google Inc. v. Agencia Espanola de Protecction de Datos (AEPD) and Mario Costeja Gonzalez (13.05.2014), სასამართლომ აღნიშნა, რომ Google-ის სუბსიდიარი კომპანია Google Spain, ევროპული კანონმდებლობის თანახმად მიიჩნეოდა მონაცემთა დამმუშავებლად, რამდენადაც ამ სამიეზო სისტემის მეშვეობით პიროვნების შესახებ ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა ინფორმაცია, ხოლო მონაცემთა სუბიექტს გააჩნდა ინფორმაციის წაშლის მოთხოვნის სრული ლეგიტიმური საფუძველი, ვინაიდან მონაცემები იყო მოძველებული და აღარ არსებობდა მონაცემთა დამმუშავების რაიმე საფუძველი. მოცემული გადაწყვეტილებით სასამართლომ ხაზი გაუსვა მონაცემთა სუბიექტის უფლებას „იყოს დავიწყებული,“ რაც გულისხმობს კონკრეტულ დამმუშავებელთან საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის წაშლას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ქართლის მე-7 და მე-8 მუხლებით სუბიექტისთვის მინიჭებული უფლება, საშუალებას აძლევს მას მოითხოვოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის წაშლა, რაც რიგ შემთხვევაში უპირატესია დამმუშაველის ეკონომიკურ ინტერესებსა და, ზოგადად, საჯარო ინტერესზე. ამავდროულად, სუბიექტის შესახებ ინფორმაციის მიღების საჯარო ინტერესი არსებობს ისეთ შემთხვევებში, როდესაც იგი საჯარო ფიგურაა, რა დროსაც საზოგადოებას აქვს უფლება ჰქონდეს მეტი წვდომა მის პერსონალურ მონაცემებზე (პარაგ. 100). უნდა აღინიშნოს, რომ უფლება „იყო დავიწყებული“ უმეტესწილად არ წარმოადგენს აბსოლუტურად რეალიზებადს. იგი უნდა იქნეს შეპირისპირებული სხვა

პირ(ებ)ის უფლებებთან. მაგალითად პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსის გათვალისწინებით, ფიზიკური პირის უფლება მოითხოვოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის განადგურება შესაძლოა შეიზღუდოს იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს, დანაშაულის გამოძიებას და სხვ. აღმატებული მიზნის არსებობისას ფიზიკური პირი ვერ ახდენს ამ უფლების რეალიზებას. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი თუ როდის არის ეს უფლება აბსოლუტურად განხორციელებადი ეხება პირდაპირ მარკეტინგს. მაგალითად, თუ კომპანია მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით აგზავნის სარეკლამო ხასიათის შეთავაზებას ფიზიკური პირის ტელეფონის ნომერზე, რომელიც მისივე თანხმობით მოიპოვა, ფიზიკურ პირს მაინც აქვს უფლება მოითხოვოს, როგორც სარეკლამო მიზნებისთვის დამუშავების შეწყვეტა, ისე კომპანიის მონაცემთა ბაზიდან ტელეფონის ნომრის წაშლა. ეს მოთხოვნა კი, სრულად უნდა რეალიზდეს დამმუშავებლის მიერ, ვინაიდან მარკეტინგული (სარეკლამო) მიზნები ვერ იქნება აღმატებული სუბიექტის უფლებაზე მართოს საკუთარი პერსონალური ინფორმაცია. გარდა ამისა, იგივე უფლება უნარჩუნდება სუბიექტს მაშინაც კი, თუ დამმუშავებელი ტელეფონის ნომერს მოიპოვებს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი არაერთხელ დადგა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დღის წესრიგში. საყურადღებოა, რომ მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოსგან განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს აფუძნებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე, რომელიც შემდეგი ფორმით არის ჩამოყალიბებული:

- „1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

როგორც ამონარიდიდან ჩანს, სიტყვები „პერსონალური მონაცემი“ არაა მოცემული. აქვე უნდა აღინიშნოს მე-8 მუხლის ძირითადი ნაკლოვანებები:

1. მას უშუალო მოქმედების ძალა არ გააჩნია კერძო სექტორის მიმართ;
2. პირად ცხოვრებაზე უფლება არ მოიცავს ყველა პერსონალურ მონაცემს, არამედ მხოლოდ მათ, რომელიც მიიჩნევა პირადად;
3. იგი არ შეიცავს მითითებას სუბიექტის წვდომის უფლების შესახებ (პურტოვა, 2010, გვ. 6).

მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით, პირადი ცხოვრების ის საკითხები, რომელიც პერსონალურ მონაცემთა მართლზომიერ დამუშავებას ეხება განხილულია მე-8 მუხლის ჭრილში. ამ მიმართულებით საყურადღებოა სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში არსებულ საკვანძო საკითხებს.

საქმეში *Axel Springer AG v. Germany* (07.02.2012), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებისა და მონაცემთა დაცვის ინტერესებს შორის უპირატესობის მინიჭებისას ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ პერსონალური მონაცემების შემცველი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენა, შესაძლებელია მედიასაშუალების მიერ გაშუქდეს (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 33). მსგავსი შინაარსის მქონეა გადაწყვეტილება საქმეზე *Von Hannover v. Germany* (No. 2, 07.02.2012), რომლის თანახმად, საჯარო პირებთან მიმართებით პირადი ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს პირის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ვერ იქნება დაცული იმგვარად, როგორც ეს ხდება რიგითი კერძო პირის მიმართ (იქვე, გვ. 34).

კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა სასამართლომ საქმეზე *Biriuk v. Lithuania* (25.11.2008), რის მიხედვითაც პაციენტის შესახებ გამოქვეყნდა ცნობები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, აივ-ვირუსით ინფიცირების შესახებ. გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხაზი გაუსვა ინდივიდისთვის პერსონალური მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვის აუცილებლობას (იქვე, გვ. 35) გადაწყვეტილებაში სასამართლო არ დაეთანხმა ლიტვის უზენაეს სასამართლოს იმ საკითხში, რომ საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვის მიზნით მიზანშეწონილი იყო განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცხოვრების წესის გასაჯაროება. ამავდროულად, სტრასბურგის სასამართლოს აზრით, სახელმწიფოში აუცილებელია არსებობდეს ეფექტური მექანიზმი

ჯანმრთელობის მდგომარეობის პრესით გამოქვეყნების შემთხვევაში მის აღსაკვეთად (პარაგ. 43). თითქმის იგივე შინაარსის საკითხი განიხილა სასამართლომ საქმეზე I. v. Finland (#20511/03, 17.07.2008). გარემოებათა მიხედვით, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ მოთხოვნას, რომ პერსონალურ მონაცემთა დასაცავად აუცილებელია დაინერგოს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომები, მონაცემთა უკანონო გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით. (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 122). აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის ვალდებულება დადგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით, რითაც იგი შესაბამისობაშია მონაცემთა დაცვის ევროპულ მოდელთან. მოცემული უსაფრთხოების ზომები აქცენტს აკეთებს ორგანიზაციაში ისეთი მეთოდების დანერგვაზე, როგორცაა პერსონალურ კომპიუტერებზე შესაბამისი პაროლების დაყენება, ანტივირუსული სისტემის ფუნქციონირება მთელს IT ინსფრასტრუქტურაზე, დაწესებულებაში მომუშავე პირთა რეგულარული გადამზადება პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხების შესახებ და სხვა. ინფორმაციული უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის ეფექტურ სახელმძღვანელო დებულებებს გვთავაზობს საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია (ISO). მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი ISO27001 განსაზღვრავს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რომელიც გამოსადეგია ნებისმიერი სახის ორგანიზაციისთვის. გარდა ამისა, ადგენს წესებს თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მათი მართვა. დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ იგი არ ეხება მხოლოდ პერსონალურ მონაცემებს და შეიცავს წესებს ნებისმიერი სახის ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (International Organization for Standardization).

პერსონალურ მონაცემთა შენახვის შესაბამისი ვადის გასვლის შემდგომ განადგურების აუცილებლობაზე მიუთითა სასამართლომ საქმეში Rotaru v. Romania (04.05.2000). სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევაში თუ კანონის ნორმა, რომელიც ეხება პერსონალური ინფორმაციის შენახვის წესებს, კერძოდ, შესაძლებელია ინფორმაციის სახეობებს, კატეგორიებს, მიზნებსა და ვადებს, არ იქნება საკმარისად განჭვრეტადი, ეს პირის პირადი სივრცის დარღვევის ტოლფას კატეგორიაშია. სასამართლოს აზრით, პერსონალური მონაცემების შენახვის შესახებ დაუზუსტებელი ან ბუნდოვანი ჩანაწერი წარმოადგენს პირადი სივრცის

შეზღუდვის არალეგიტიმურ საფუძველს (იქვე, გვ. 86) ამავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ფარული თვალთვალის სისტემების ფუნქციონირების კონვენციის მე-8 მუხლთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, უნდა არსებობდეს შესაბამისი დამცავი მექანიზმები, რომელიც გააკონტროლებს ამგვარი მეთოდების კანონიერებას. ეს მოთხოვნა კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რადროსაც ეფექტური კონტროლის მექანიზმის ბერკეტები სასამართლოს ხელში უნდა იყოს (პარაგ. 59). მსგავსი შინაარსის საკითხი განიხილეს საქმეზე *Khelili v. Switzerland* (18.10.2011), სადაც სასამართლომ ხაზი გაუსვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში დამკვიდრებულ შესაბამისი ვადების დაცვით შენახვის პრინციპს და აღნიშნა, რომ არასათანადო დასაბუთების საფუძველზე პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მისი შენახვა შესაბამის რეესტრში არღვევს კონვენციის მე-8 მუხლით მინიჭებულ უფლებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი (მცდარი) მონაცემის არსებობა ხელს უშლის პიროვნებას საკუთარი საქმიანობის რეალიზაციაში (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 87). მოცემულ საქმეში პოლიციის ორგანოების მხრიდან დაუზუსტებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიჩნიეს, რომ იგი იყო მეძავი. ეს ინფორმაცია მოგვიანებით, სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე გასწორდა, თუმცა უწყების ბაზაში არ მომხდარა მისი სრული წაშლა. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ინფორმაციის ამგვარი შენახვა არ იყო აუცილებელი და გამართლებული დემოკრატიულ საზოგადოებაში (ECtHR Press Release (195)/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეს რელიზი (195), 2011).

სახელმწიფო უწყების მიერ ვიდეოჩანაწერების გამჟღავნების მართლობიერების საკითხი დადგა დღის წესრიგში სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Peck v. United Kingdom* (20.01.2003). სახელმწიფო ორგანოს მიერ ვიდეოჩანაწერების გადაცემა უწყების გარეთ არსებული პირისთვის (ორგანიზაციისთვის), თუნდაც მედიასაშუალებისთვის, იყო არამიზნობრივი. იქიდან გამომდინარე, რომ ჩანაწერებში პიროვნება იდენტიფიცირებადი იყო, სასამართლომ ამგვარი გადაცემა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნების დარღვევად ჩათვალა (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 87).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში მნიშვნელოვანია სუბიექტის უფლებების რეალიზაციის საკითხიც. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტის

მოთხოვნა მისი მონაცემის მოდიფიცირების შესახებ არ აღემატება დამმუშავებლის უფლებას არ შეცვალოს მის შესახებ არსებული ინფორმაცია, სუბიექტის უფლება აუცილებელი წესით უნდა რეალიზდეს. საქმეში Ciubotaru v. Moldova (27.04.2010) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს უფლებას, რომ პირს ჰქონდეს თვითგამორკვევის შესაძლებლობა. საქმის გარემოებათა მიხედვით, სახელმწიფომ არ უზრუნველყო ობიექტურად დადასტურებადი ინფორმაციის საფუძველზე პირის შესახებ სახელმწიფო მონაცემთა ბაზაში ეთნიკური წარმოშობის შესახებ ინფორმაციის შეცვლა და მისი რეგისტრაცია, როგორც რუმინული ეთნიკური წარმომავლობის მქონე (პარაგ. 49, 59). ეს საკითხი დაკავშირებულია ინფორმაციული თვითგამორკვევის კონცეფციასთან, რომლის შესახებაც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1983 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება (BverfGE, vol. 65, 15.12.1983). სასამართლოს აზრით, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება ანიჭებს მას შესაძლებლობას გადაწყვიტოს თუ როდის და რა ფარგლებში იქნება მისი პირადი ცხოვრება გაზიარებული სხვებისთვის. გარდა ამისა, სასამართლომ ეს უფლება პიროვნების ღირსებას დაუკავშირა და აღნიშნა, რომ ეს უფლება ზოგადი პიროვნული უფლების შემადგენელი ნაწილია (გუთვირტი, პულე, ჰერტი, ტერვანე & ნუვტი (რედ.), 2009, გვ. 45-49).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სასამართლომ თვითგამორკვევის უფლების დარღვევის ჭრილში განიხილა საქმე Van Kuck v. Germany (#37968/97, 12.06.2003), სადაც აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების ცნება მოიცავს სქესის განსაზღვრის, ორიენტაციისა და სახელის არჩევის უფლებებს. გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფომ არ მისცა განმცხადებელს უფლება მოეთხოვა სუბიექტისთვის აუცილებელი წესით მოეთხოვა სამედიცინო დასკვნის წარდგენა სქესის შეცვლის ოპერაციის მიზნით, რითაც გაუმართლებლად ჩაერია მის თვითგამორკვევის უფლებაში, რომელიც უზრუნველყოფილია კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული დაცული სფეროს ფარგლებით (პარაგ. 69, 73, 82).

არის შემთხვევები, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ ადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. მაგალითად საქმეში Costello-Roberts v. The United Kingdom (25.03.1993), სასამართლომ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ფიზიკური დასჯის სისტემის მეშვეობით კი ხდება ადამიანის პირადი ცხოვრებაში შეჭრა სხეულზე ზემოქმედების კუთხით, რაც გაუმართლებელს ხდის ამგვარი მეთოდის გამოყენებას დისციპლინური ღონისძიებების პროცესში, თუმცა იგი არ

ექცევა აკრძალვის იმ ფარგლებში, რაც დადგენილია კონვენციის მე-8 მუხლით. სხვა სიტყვებით, ამგვარი შინაარსის დავები მეტად ექცევა დამამცირებელი მოპყრობის დაუშვებლობის ჭრილში (პარაგ. 36).

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, მე-8 მუხლი არა მხოლოდ იცავს ინდივიდს პერსონალურ მონაცემთა არამართლობიერი დამუშავებისგან, არამედ სახელმწიფოში ახდენს იმგვარი დამუშავების წესების დადგენას, რომელიც ბოჭავს საჯარო და კერძო პირებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან დარღვევა ვლინდება არა იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოში არსებულმა კერძო პირებმა დაარღვიეს კანონი, არამედ იმ მხრივ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კერძო პირებისთვის შესაბამისი მიმართულების მიცემა სამართლებრივი რეგულირების გათვალისწინებით (პურტოვა, 2010, გვ. 14).

შეჯამების სახით, აღსანიშნავია ის სხვაობა, რომელიც ვლინდება მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებათა გამოტანისას პირადი ცხოვრების, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. პირველ შემთხვევაში ევროპული კავშირის ფარგლებში მონაცემთა დაცვის ინსტრუმენტთა სიმრავლე უზრუნველყოფს მეტ დამცავ დებულებებს სუბიექტის უფლებების სასარგებლოდ. ამგვარ შესაძლებლობას მოკლებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელთა გადაწყვეტილებები ეყრდნობა მხოლოდ კონვენციის ჩანაწერს. პირველ რიგში, ეს გამოწვეულია იმით, რომ მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლო კლასიკური სახით არ გვევლინება, როგორც მხოლოდ უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ორგანო, ამავდროულად, მას გადაწყვეტილების გამოტანისას შეუძლია დაეყრდნოს ყველა იმ სამართლებრივ აქტს, რომელიც ეხება კონკრეტულ ურთიერთობას და მოიცავს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეორე შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ინტერპრეტაციის მეშვეობით უწევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე იმსჯელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე, რა ვითარებაც გართულებულია იმით, რომ ცალკე ჩანაწერი მონაცემთა დაცვასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში არ მოიპოვება.

3.2.2. საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მონაცემთა დაცვის უფლებასთან მიმართებით ჩამოყალიბებული პრაქტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს კონცეფცია ამ სფეროს მარეგულირებელი ევროპული მოდელისთვის არის დამახასიათებელი. იგი განიხილება როგორც ფუძემდებლური მნიშვნელობის ელემენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებისთვის დემოკრატიულ საზოგადოებაში (გუთვირტი, პულე, ჰერტი, ტერვანე & ნუვტი (რედ.), 2009, გვ. 133).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიღების (28.12.2011) შემდეგ, 2013 წლის ივნისიდან საქართველოში ამოქმედდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი. კანონის 27-ე მუხლის თანახმად:

- „1. საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერებას აკონტროლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი [...]. ინსპექტორის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
- ა) საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის, აგრეთვე ფიზიკური პირებისთვის მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;
 - ბ) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;
 - გ) საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება);
 - დ) საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.“

ამ დანაწესით კანონმდებელმა ინსპექტორს მიანიჭა ექსკლუზიური უფლებამოსილება განახორციელოს საზედამხედველო ღონისძიებები სახელმწიფოში მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ უფლებამოსილებათა ფარგლებში კანონის 38-ე მუხლის მიხედვით:

„1. ინსპექტორი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 1 მარტისა, წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. [...].“

თავისი საქმიანობის ფარგლებში ინსპექტორის მიერ გამოქვეყნდა სამი ანგარიში, სადაც ასახულია მისი საქმიანობის მთავარი მიმართულებები და განხორციელებული აქტივობები. ამ მიმართულებით საქართველოში სასამართლო პრაქტიკა იშვიათია,

ამიტომ მიზანშეწონილია მონაცემთა დაცვის საკითხის მოწესრიგების განხილვა ინსპექტორის საქმიანობის ჭრილშიც.

ინსპექტორის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით იკვეთება ისეთი სირთულეები, როგორცაა დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემების ფლობა, რაც მოიცავს წარსულში ნასამართლეობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების გამო დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებს. ამავდროულად, სირთულეები იკვეთება საჯარო უწყებებში, სადაც ხდება პერსონალურ მონაცემთა შემცველი ბაზების მრავალჯერ კოპირება აუცილებლობის გარეშე (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2015, გვ. 9-10).

კანონსაწინააღმდეგო დამუშავების შემთხვევები კერძო სექტორშიც გამოვლინდა. მაგალითად, ინსპექტორის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სს „კრედიტინფო საქართველო“-ს მონაცემთა ბაზაში (მოცემული ბაზა ახდენს საკრედიტო ისტორიის მქონე ფიზიკური პირების შესახებ მონაცემთა კონსოლიდირებას, ხოლო მასზე წვდომა ხორციელდება სუბიექტის წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის საფუძველზე) ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ განხორციელდა სუბიექტის პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მისი თანხმობის გარეშე, თანაც მას შემდეგ, რაც საფინანსო ორგანიზაციასა და ფიზიკურ პირს შორის სასესხო ურთიერთობა დასრულებული იყო (იქვე, გვ. 12).

მონაცემთა არამიზნობრივი გამოყენების ფაქტი გამოვლინდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ფარგლებში. გარემოებათა მიხედვით, უწყებიდან გარეშე პირისთვის კონკრეტული პირის ტელეფონის ნომერი გამჟღავნდა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა პირის ავტომობილის ნომრის მიხედვით. ამავდროულად, ვის მიმართაც მოხდა ტელეფონის ნომრის გამჟღავნება, იგი არ წარმოადგენდა უწყების თანამშრომელს. ამ რეაგირების ფარგლებში სამინისტროს დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, ხოლო სამინისტროს თანამშრომელს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა (იქვე, გვ. 16). სამინისტრო 2014 წელსაც დაჯარიმდა მონაცემთა უკანონო დამუშავების გამო. პერსონალური მონაცემების უკანონო გამჟღავნებას ადგილი ჰქონდა საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შიდაუწყებრივი ოქმიდან, რასაც წინ უძღოდა ფიზიკური პირის მიერ „112“-ის ცხელ ხაზზე შეტყობინების დატოვება. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით დადგინდა, რომ უწყების მიერ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდა კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძველების გარეშე, რის გამოც სამინისტროს დაეკისრა 500 ლარიანი

ადმინისტრაციული ჯარიმა (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2014, გვ. 9-10).

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მე-4 პრინციპის დარღვევა დაადგინა ინსპექტორმა, როდესაც საქმის გარემოებების მიხედვით გამოიკვეთა, რომ ფიზიკური პირი არასწორედ იმყოფებოდა ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბაზაში. საყურადღებოა, რომ მოცემულ ბაზაში პირის შესახებ ინფორმაცია შეიტანება მაშინ, თუ იგი ნარკომანიით დაავადებულია ან ნარკოტიკულ საშუალებებს უნებართვოდ მოიხმარს ამ შემთხვევაში კი, მოცემულ პირს ექიმის დანიშნულების საფუძველზე ჰქონდა მიღებული ნარკოტიკული საშუალების შემცველი მედიკამენტი, რის გამოც მის შესახებ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შენახვა არ იყო თანხვედრაში მონაცემთა სიზუსტისა და სისწორის პრინციპთან. მოცემულ საქმეში კიდევ ერთ დარღვევას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხდა იმ ინფორმაციის გაგზავნა ექსპერტიზის ბიუროსთვის, რომელიც მიიღეს ნარკოტესტის ჩატარების შემდეგ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2015, გვ. 18-20).

სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის საკითხი იქცა განხილვის საგანი ინსპექტორის მიერ. გარემოებათა მიხედვით ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პირის შესახებ სასამართლოდან გამოითხოვა განაჩენის ასლი (სახელის და გვარის მითითებით), რაც დაშტრიხული ფორმით მიეწოდა განმცხადებელს. ინსპექტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების ვინაობა არ იყო განაჩენში სრულად მითითებული, მისი ამოცნობა ინიციალების მეშვეობით შესაძლებელი იყო, რის გამოც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციის გამჟღავნებას კანონის წესების დარღვევით (იქვე, გვ. 26-27).

ცალკე განხილვის საგანია ინსპექტორის მიერ ჩატარებული შემოწმება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. როგორც ცნობილი გახდა სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე წვდომა 73 სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანოს გააჩნდა, თუმცა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, ბუნდოვანი იყო ის თუ რა მოვალეობების შესასრულებლად იყო გათვალისწინებული ამგვარი წვდომა. რეაგირების შედეგად არსებული ხელშეკრულებები შესწორებას დაექვემდებარა, ხოლო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიას და რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატს მოცემულ ბაზასთან წვდომა შეუწყდა (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2014, გვ. 16).

საქართველოში აქტუალურია ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხიც. ინსპექტორმა რამოდენიმე სააფთიაქო ქსელში არსებული ვიდეოკონტროლისა და აუდიოკონტროლის ერთობლივი სისტემა ქსელში მომსახურების დონის გაუჯობების მიზნით, უკანონოდ მიიჩნია, ვინაიდან კომუნიკაციის დროს ადგილი ჰქონდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რაც პირად ცხოვრებაში არაპროპორციული ჩარევის სახეობას წარმოადგენს. საკითხის შესწავლის შემდგომ ამგვარი ვიდეო და აუდიოთვალთვალის განმახორციელებელი სააფთიაქო დაწესებულებები დაჯარიმდნენ, ამასთან, მათ დაევალათ მოპოვებული მასალის სრულად განადგურება (იქვე, გვ. 22; ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პრეს რელიზი. გარდა ამისა, ვიდეოთვალთვალის სისტემა კანონთან შეუთავსებლად შეფასდა თბილისის მეტროსადგურებშიც, რამდენადაც მათი ვესტიბიულის, ბაქანისა და მიმდებარე ქუჩის ვიდეოტრანსილექტორების ხილვა ვებ-გვერდის საშუალებით ხდებოდა, ხოლო გამოსახულება ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. საკითხის შესწავლის შედეგად ინსპექტორმა დაადგინა მათი კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, რის გამოც მიმართა ვიდეოტრანსილექტორების განმახორციელებელ კომპანიებს რეკომენდაციით ამგვარი დამუშავების შეწყვეტის მიზნით (იქვე, გვ. 25).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ არსებული რეალობისთვის საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპული წესების დაცვის საკითხი პრობლემატურია. ზოგადად, ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა უფლების დაცვის შესაბამის ბაზისს ქმნის, თუმცა ფაქტობრივად, მათი რეალიზება სირთულეს წარმოადგენს. ეს კი, თავის მხრივ, ქმნის რეალობას, რომლის თანახმად საქართველოში არსებული დამმუშავებლები კანონის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში იმყოფებიან.

3.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციით დამოუკიდებლად მოწესრიგების მიზანშეწონილობა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მზარდი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამეცნიერო წრეებში დღის წესრიგში დგას პირადი ცხოვრების უფლებისა და პერსონალურ

მონაცემთა დაცვის უფლების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაწერის საკითხი (გუთვირტი, პულე, ჰერტი, ტერვანე & ნუვტი (რედ.), 2009). ზოგადად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ფუნდამენტურ ხასიათს არაერთხელ გაესვა ხაზი საერთაშორისო სასამართლოების მიერ, გარდა ამისა, მრავალ შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება მოიაზრება, როგორც პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია განვავითაროთ მსჯელობა იმის შესახებ თუ რა დანიშნულება და მიზნები გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების უფლების კონსტიტუციურად ცალკე გაწერას, მაშინ როდესაც პირადი ცხოვრების ქვეშ ეს უფლება დაცვადად არის აღიარებული.

ამ საკითხებზე მსჯელობა უპრიანია დავიწყოთ თავად ადამიანის უფლებების დანიშნულებიდან და არსიდან გამომდინარე. როგორც ცნობილია, სახელმწიფოთა უზენაესი კანონების მიერ დეკლარირებული ძირითადი უფლებები სხვადასხვა შინაარსისა და თავისებურებების მქონეა. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, უმეტესწილად, არ წარმოადგენს აბსოლუტურს, რის გამოც კონსტიტუციებში ან სხვა დამფუძნებელ აქტებში მითითებებია გაკეთებული მათი შეზღუდვის დასაშვებობის გზებზე, უფრო კონკრეტულად, სამართლებრივ წინაპირობებზე. რიგ შემთხვევებში უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლები პირდაპირ არ არის დადგენილი, თუმცა ისინი არ წარმოადგენენ აბსოლუტურ უფლებებს მათი შინაარსიდან გამომდინარე. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, „პიროვნებას გააჩნია თავისუფალი განვითარების უფლება,“ რისი შეზღუდვის საფუძველი მოცემულია არა ამ მუხლის ფარგლებში, არამედ, კონსტიტუციის 44-ე მუხლის მეორე პუნქტით, როდესაც უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციამ არ შეიძლება შეზღუდოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. შესაბამისად, თავისუფალი განვითარების უფლების ზღვარს წარმოადგენს მისი შიდაკონსტიტუციური დათქმა. მეორე მხრივ, არააბსოლუტური უფლების მაგალითს წარმოადგენს კონსტიტუციის მე-20 მუხლით აღიარებული პირადი ცხოვრების უფლება, რომლის შეზღუდვის საფუძვლები (ზღვრები) მოცემულია ამავე მუხლით:

„1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ტექნოკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაუშვებია სასამართლოს

გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“

ამ მუხლის მიზანი ორი მიმართულებითაა ჩამოყალიბებული: პირველი, დაიცვას პირის პირადი სივრცე კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფით; მეორე, დაიცვას პირის კერძო საკუთრება მასში უნებართვო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით. კონსტიტუციის მე-20 მუხლი არ შეიცავს სიტყვებს „პერსონალური მონაცემი,“ თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოცემული მუხლი არ იცავს ინდივიდის პირადი ცხოვრების ამ სფეროს. წინა პარაგრაფებში განხილული საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიხედვით აშკარაა, რომ პირადი ცხოვრების უფლების დაცვის პარალელურად, აქცენტები პერსონალურ მონაცემთა მიმართაც არის გაკეთებული. აქედან გამომდინარე, საინტერესოა რამდენად მიზანშეწონილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ცალკე კონსტიტუციურ უფლებად დეკლარირება მაშინ, როდესაც ეს უფლება უკვე მოიაზრება მე-20 მუხლის ფარგლებში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა გამოირჩევა მისთვის ფუძემდებლური მნიშვნელობის მქონე პრინციპებით, რომელზეც აგებულია დამუშავების მთელი პროცესი. ეს პრინციპებია: სამართლიანობა, კანონიერება, ღირსების შეუღაბაობა; მიზნობრიობა; პროპორციულობა; სიზუსტე და ნამდვილობა; შესაბამის ვადების მიხედვით დამუშავება. როგორც ცნობილია უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე არ არის აბსოლუტური და იგი ექვემდებარება შეზღუდვას. ამ შეზღუდვის წინაპირობები გარდაუვლად გულისხმობს დამუშავების პროცესის დაქვემდებარებას პრინციპებისადმი.

ზოგადად, ადამიანის უფლების შეზღუდვის საფუძველი სახელმწიფოს დამფუძნებელ აქტებშია მოცემული. ამ მხრივ, არც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლია გამონაკლისი, რომელიც აწესებს ამ უფლების შეზღუდვის წინაპირობებს. პირველ რიგში, ესაა უფლების შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად და მეორე, შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

საინტერესოა, რამდენად გამოსადეგია ჩარევის ეს საფუძველები პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებისთვის, კერძოდ, ხომ არ არის საჭირო მეტად განჭვრეტადი ან დეტალური

საფუძვლების დეკლარირება ჩარევისთვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ პირადი ცხოვრების უფლებას გააჩნია მეტად „დახურული“ ხასიათი, სხვა სიტყვებით, მისი მნიშვნელობა ინდივიდისთვის გამოიტახება იმ საკითხში, რომ მეტად იზრუნოს ფიზიკური პირის ხელშეუხებლობაზე, მაშინ როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება გამოირჩევა უფრო „ღია“ მიდგომით, რაც მას განასხვავებს პირადი ცხოვრების უფლებისგან. მისი „ღია“ გამოვლინება იმაში მდგომარეობს, რომ რამდენადაც ინდივიდი საკუთარი თავის ინტეგრაციას საზოგადოებაში ახდენს პერსონალური მონაცემების მეშვეობით, ეს უფლება იმთავითვე ვერ იქნება დაცვის იგივე სტანდარტების ფარგლებში აყვანილი, როგორცაა პირადი ცხოვრების უფლება. სხვა სიტყვებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესის საფუძველი არ უნდა ვეძიოთ პირადი ცხოვრების უფლებაში, რამდენადაც უფლება პირად ცხოვრებაზე წმინდად დამცავ მექანიზმად გვევლინება პირად სივრცეში გარეშე პირის ინტერვენციის საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, პირადი ცხოვრების დამცავ მექანიზმებს არ ძალუძთ „იზრუნონ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, რომელიც მოითხოვს მეტად „გახსნილ“ მიდგომას დამუშავების გზების დაწესების და არა მათი აკრძალვის შესახებ (პურტოვა, 2010, გვ. 2).

თუ ეს ორი უფლება სხვადასხვა შინაარსის მქონეა და სხვადასხვა დანიშნულება გააჩნიათ ინდივიდისთვის, ე.ი. მიზანშეწონილია მათი ცალკე გაწერა, რაც არ გულისხმობს იმას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება პირადი ცხოვრების უფლებისგან არ გამომდინარეობს. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ხასიათიდან და საზოგადოებისთვის მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ამ დაცვის უფლებაზე ცალკე მითითება და, ასევე, იმ საფუძვლების ცალკე გაწერა, რომლის თანახმად ხდება ამ უფლების შეზღუდვა. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ პირადი ცხოვრების დაცვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებათა გაწერა არ გამოირიცხავს ამ უკანასკნელის განმარტებას, როგორც პირადი ცხოვრების უფლების ნაწილად (იქვე, გვ. 6).

პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის ის საფუძვლები (კონსტიტუციური ზღვრები), რაც მოცემულია მე-20 მუხლით (სასამართლო წესით და კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას) ვერ იქნება მორგებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებაზე. ამის დასადასტურებლად, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება (ამ უფლებაში ჩარევა) მრავალ პირობას შეიძლება

ექვემდებარებოდეს, რაც მის კომპლექსურ ხასიათს განაპირობებს. მაგალითად, ზემოხსენებული კანონის მე-4 მუხლი ადგენს ამ სფეროში მოქმედ 5 ძირითად პრინციპს, ხოლო მე-5 და მე-6 მუხლებით კი, დადგენილია დამუშავების ცალკეული საფუძვლები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ დამუშავების პრინციპების დაცვას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება საფუძვლებთან მიმართებით, რათა საბოლოოდ დამუშავების პროცესი ლეგიტიმური იყოს, სხვა სიტყვებით, უპირველესად უნდა იყოს დაცული დამუშავების პრინციპები, ხოლო შემდგომ, დაკმაყოფილდეს შესაბამისი საფუძვლით დამუშავების პირობა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტიტუციით მიზანშეწონილია კონკრეტული, სპეციალური მარეგულირებელი ნორმის გაწერა, რომელიც შეეხება უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასთან მიმართებით, პირადი ცხოვრების უფლება და მისი ფორმულირება, რომელიც კონსტიტუციითაა დადგენილი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის რეგულაციას. პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების უფლებები კავშირში მყოფი კატეგორიებია, თუმცა განსხვავება მათ შინაარსობრივ მოწესრიგებაშია. ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოვიყვანოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი. მის თანახმად კანონის ის ნორმები, რომელიც ეხება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლებს, არ ვრცელდება „საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით.“ მაგალითად, საგამომიებო მოქმედებები როგორცაა ჩხრეკა, ამოღება და ფარული მიყურადება ახდენს პირის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას. აქ ნაკლებადაა შესაძლებელი ვისაუბროთ პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შეზღუდვაზე, რამდენადაც ინფორმაციული პრივატულობა არ განიცდის ზემოქმედებას და სახეზე გვაქვს პირად სივრცეში შეჭრა, რომელიც არ გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას. კანონის ზემოხსენებული ნორმა მიუთითებს, რომ საგამომიებო ურთიერთობა და ამ მიზნისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები ვერ დაექვემდებარება ზოგად რეგულირებას, ორი მიზეზის გამო:

1. საგამოძიებო ღონისძიებებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაც სპეციალური კანონით უნდა დარეგულირდეს;

2. დანაშაულის გამოძიება და თანმდევი მიზნები აღმატებულია სუბიექტის ზოგად უფლებაზე დაცული იყოს მისი პერსონალური მონაცემი.

ზემოხსენებული მაგალითის ანალოგიურად ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმები, რომელიც ეხება, მაგალითად, დაკავებული პირის კორესპოდენციის შეზღუდვას და ვიზუალურ კონტროლს, უმთავრესად ახდენს პირის პირად სივრცეში შეჭრას, რომელიც არ გულისხმობს პერსონალური მონაცემების მოპოვებას, შესაბამისად აქ საქმე ეხება პირადი ცხოვრების, როგორც ნეგატიური სტატუსის მქონე უფლების შეზღუდვას.

საინტერესოა, თუ როგორ არის მოწესრიგებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით. მაგალითად, ნიდერლანდების სამეფოს კონსტიტუციის მე-10 მუხლი პირადი ცხოვრების უფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების გაწერას ერთად ახდენს შემდეგი ფორმულირების სახით:

„1. ყველას გააჩნია პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, გარდა იმ შეზღუდვებისა, რაც დადგენილია ან მიღებულია პარლამენტის აქტით.

2. პირადი ცხოვრების დაცვის წესები დგინდება პარლამენტის აქტით, რომელიც შეეხება პერსონალური მონაცემების შენახვასა და ჩაწერას.

3. წესები, რომელიც შეეხება პირთა უფლებებს შენახული მონაცემების ინფორმირების, მათი გამოყენების და ამ მონაცემთა შესწორების შესახებ, დგინდება პარლამენტის აქტით.“

მოცემულ ჩანაწერში ნიდერლანდების სამეფოს კონსტიტუცია არ ახდენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებისა და პირობების ცალკე გაწერას. მისი ფორმულირების გათვალისწინებით ნათელია, რომ, პირველ რიგში, უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, ამ საკითხების მოწესრიგება დელეგირებულია წარმომადგენლობითი ხელისუფლებისთვის. ამრიგად, მოცემული კონსტიტუცია სიღრმისეული ფორმით არ ახდენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობათა დეკლარირებას.

საინტერესოა მიდგომით გამოირჩევა პორტუგალიის კონსტიტუცია, რომელიც პირადი ცხოვრების, პერსონალური მონაცემებისა და გენეტიკური მონაცემების დაცვას ეხება. მისი 26-ე მუხლის თანახმად:

- „1. ყველას გააჩნია [...] პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ დაცვის უფლება [...].
2. კანონით დადგენილია ეფექტური გარანტიები პირადი და ოჯახური პერსონალური ინფორმაციის მითვისებისა და უკანონო გამოყენების წინააღმდეგ, რომელიც წინააღმდეგობაშია ადამიანურ ღირსებასთან.
3. კანონით უზრუნველყოფილია პიროვნული ღირსება და გენეტიკური იდენტურობა, მათ შორის, ტექნოლოგიების შექმნისგან, განვითარების, გამოყენებისგან და სამეცნიერო ექსპერიმენტებისგან. [...].“

ამ ფორმით, პორტუგალიის კონსტიტუცია აქცენტირებულია გარკვეული სახის პერსონალური ინფორმაციისთვის კონსტიტუციური დაცვის მინიჭებისკენ. მიუხედავად ამისა, გენეტიკური პერსონალური მონაცემი წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის, თუმცა მონაცემის, მხოლოდ ერთ სახეობას. შესაბამისად, კონსტიტუცია ერთიანი სახის მითითებას აკეთებს ზოგადად პერსონალური მონაცემების მიმართ, მეორე მხრივ გენეტიკური კატეგორიის მონაცემს განსაკუთრებულად უსვამს ხაზს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე აკეთებს დათქმას შვედეთის 1974 წლის კონსტიტუციური კანონი, რომლის მეორე თავის მე-3 მუხლით მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:

„მოქალაქის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ არსებული ჩანაწერები ინახებოდეს საჯარო რეესტრში მისი თანხმობის გარეშე. ყველა მოქალაქე დაცულია იმ ფარგლებში, პიროვნულობის ნებისმიერი დარღვევის წინააღმდეგ, [...] რაც გამოიხატება პერსონალური ინფორმაციის რეგისტრაციით მონაცემთა დამუშავების ავტომატური საშუალებების გამოყენების მეშვეობით.“

თვალნათელია, რომ კონსტიტუციის მოცემული ჩანაწერი ყურადღებას ამახვილებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მეთოდებზე. თუმცა, მისი მიხედვით რთულია იმის შესახებ საუბარი, რომ დადგენილია კონკრეტული შეზღუდვები ინფორმაციის შესაბამისი წესების დაცვით გამოყენების შესახებ.

მონაცემთა დაცვის შესახებ ფორმალურ მითითებას შეიცავს ფინეთის კონსტიტუციაც, რომლის მე-10 მუხლის თანახმად:

„ყველას აქვს უზრუნველყოფილი პირადი ცხოვრების, პატივისცემისა და საცხოვრებლის ხელშეუვალობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მეტად დეტალური დებულებები დადგენილია კანონით.“

არც ამ შემთხვევაში ვხვდებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების სიღრმისეულ დაცვას. მითითება იმის შესახებ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება კანონით ახდენს ამ უფლების კონსტიტუციურ აღიარებას, თუმცა მეორე მხრივ მისი შეზღუდვის საფუძვლების გაწერის ვალდებულებას აკისრებს კანონმდებლობას.

საკმაოდ დახვეწილი მიდგომებით გამოირჩევა პოლონეთის კონსტიტუცია, მასში გაწერილია პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საკვანძო დებულებები. ამ დოკუმენტით აღიარებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნდამენტური ხასიათი და მისი შეზღუდვის უზოგადესი საფუძვლები. კონსტიტუციის 51-ე მუხლის თანახმად:

- „1. არავინ არაა ვალდებული მოახდინოს პირის შესახებ არსებული ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა კანონის საფუძველზე.
2. საჯარო პირები არ უნდა მოიპოვებდნენ, აგროვებდნენ ან ახორციელებდნენ წვდომას მოქალაქეთა ინფორმაციაზე, გარდა დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებული აუცილებლობისა, რაც დადგენილია კანონით.
3. ყველას გააჩნია საკუთარი თავის შესახებ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებთან და მონაცემთა კოლექციასთან წვდომის უფლება. შეზღუდვები ამ უფლებაზე შეიძლება დაწესდეს კანონით.
4. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს არასწორი, არასრული ან კანონის საწინააღმდეგო საშუალებებით მოპოვებული ინფორმაციის შესწორება ან წაშლა.
5. პრინციპები ინფორმაციის შეგროვებისა და წვდომისთვის განისაზღვრება კანონით.“

ტექსტის მიხედვით დადგენილია პერსონალური მონაცემის გამოყენების აუცილებლობის პირობა და სუბიექტის უფლება ჰქონდეს წვდომა საკუთარ პერსონალურ მონაცემზე. მიუხედავად ამისა, დამატებითი პირობები მონაცემთა გამოყენებისთვის, როგორცაა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები, კონსტიტუციით არაა მოცემული.

როგორც ჩანს ევროპული სახელმწიფოების კონსტიტუციები მეტ-ნაკლებად ახდენენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების დეკლარირებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს უფლება პირადი ცხოვრების უფლების მუხლშია მოხსენიებული, რაც მეტყველებს ამ ორი უფლების შინაარსობრივ ბმაზე. ამრიგად, ეს შედეგი მხოლოდ სამართლებრივი ტექნიკის გამოძახილს არ წარმოადგენს.

ევროპულ ანალოგებთან შედარებით, პირადი ცხოვრების უფლების შესახებ საქართველოს კონსტიტუციით მოცემული ჩანაწერი არ მოიხსენიებს მონაცემთა დაცვის უფლებას. ამის გათვალისწინებით კი, დასადგენია ორი რამ: პირველი, უნდა განისაზღვროს თუ რამდენად „ღირსია“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება იმის, რომ გაიწეროს კონსტიტუციის ტექსტში დამოუკიდებელ უფლებად; და მეორე, განისაზღვროს თუ რა პრაქტიკული შედეგების მომტანი იქნება ამ უფლების ხაზგასმით აღიარება.

პირველ დასმულ საკითხთან მიმართებით პასუხი შედარებით თვალნათელია, თუმცა საჭიროებს გარკვეულ მსჯელობას. კონსტიტუციის ტექსტში ამა თუ იმ ფუნდამენტური უფლების გაწერა დამოკიდებულია იმ რეალობით, რომ ადაიანური შესაძლებლობების რეალიზაციისთვის უფლება სარგებლობს განსაკუთრებული დატვირთვით. გარდა ამისა, სახელმწიფოს აკისრია პასუხისმგებლობა კონკრეტული უფლების უზრუნველყოფის მხრივ, რაც ვლინდება პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაში. აქედან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების მნიშვნელობისა და მათი მზარდი გამოყენების გამო, სახეზეა მისი ცალკე დეკლარირების აუცილებლობა. მეტი თვალსაზრისისთვის უმჯობესია განვიხილოთ პერსონალურ მონაცემთა გამოყენებისა და დამუშავების პრაქტიკული გამოვლინებები.

ქსელურ გარემოში, ინდივიდუალობა და თავისუფლება აუცილებელი წესით დაკავშირებულია პერსონალურ ინფორმაციასთან. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ირგვლივ არსებული კანონმდებლობები ცდილობენ სამართლიანი ბალანსის მოძიებას ფუნდამენტურ უფლებებსა და ინფორმაციის თავისუფალ მიმოსვლას შორის. ამა თუ იმ საზოგადოებაში, წესები, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას საჯარო და კერძო პირებისთვის განსხვავებულია (რეიდენბერგი, 2000, გვ. 1341-1342). მიუხედავად ამისა, რისკები რაც გამოწვეულია ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების სიმარტივითა და მოხერხებულობით, უკავშირდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველყოფასაც.

მას შემდეგ, რაც განვითარდა ინფორმაციული ტექნოლოგიები, განვითარდა ე.წ. ინფორმაციული პრივატულობის კონცეფცია. მის ძირითად დანიშნულებად გვევლინება პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც პირთან კავშირის მქონე კატეგორია (Vedder/ვედერი, 2000, გვ. 444-445). ამ მიდგომიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდენტიფიცირების საკითხს. იგი შესაძლებელია დამოკიდებული იყოს სხვადასხვა ვითარებასა და ინფორმაციაზე. მაგალითად, იდენტიფიცირების საკითხი

იმდენად ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რომ ისეთი ზოგადი ინფორმაციის წარმოთქმისას, როგორცაა საქართველოს პრეზიდენტი, მარტივად შესაძლებელია პირის ვინაობის დადგენა (შეად. ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 51).

მეორე მხრივ, დასადგენია, რამდენად უნდა იყოს პირის შესახებ არსებული ინფორმაცია მისი აღმწერი, რათა იგი ჩაითვალოს პერსონალურ მონაცემად. თუ განვიხილავთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლს, რომელიც პირდაპირ მარკეტინგთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს არეგულირებს, ვნახავთ, რომ იგი შეიცავს წესებს ფიზიკური პირის ტელეფონის ნომრის გამოყენების შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ ტელეფონის ნომრით პირის იდენტიფიცირება შეუძლებელია. მაშინ რატომ ექცევა იგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის რეგულირების ფარგლებში? მიუხედავად იმისა, რომ იდენტიფიცირება შეუძლებელია, მოცემული სამართლებრივი ურთიერთობების კანონით გაწერის საფუძველია ის საკითხი, რომ ადრესატი კონკრეტული ინდივიდია. შედეგად, პიროვნება კონკრეტული დამმუშავებლისთვის ხდება ხელმისაწვდომი. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ პირდაპირი მარკეტინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონითაა რეგლამენტირებული. შესაბამისად, იდენტიფიცირების პირობა არაა დამოკიდებული მხოლოდ ინფორმაციაზე, რომელიც პიროვნების დახასიათების საშუალებას იძლევა. ამ ლოგიკით, შესაძლებელია გამოვეყოთ პერსონალური მონაცემის სახეობა, რომელიც უკავშირდება პიროვნებას, თუმცა მას არ აღწერს (ვედერი, 2000, გვ. 443).

არსებობს მოსაზრება, რომ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით ერთი შეხედვით მარტივად დგას საკითხი იმ მონაცემებთან მიმართებით, რომელიც ეხება გეოგრაფიულ (გეოლოკაციურ) ინფორმაციას, ვინაიდან მიიჩნევა, რომ ისინი არ ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს. მიუხედავად ამისა, ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული სერვისების გამოყენებისას, სივრცით ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხდება ადგილმდებარეობის მონაცემებსა და პერსონალურ მონაცემებს შორის დაკავშირება. ეს ყველაფერი ექცევა პირადი ცხოვრების დაცვის კონტექსტში. თავის მხრივ, გეო-ლოკაციურ სერვისებთან მიმართებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს (Cuijpers/კუიპერსი, 2009, გვ. 40).

თუ გავაღრმავებთ ამ მსჯელობას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კანონმდებლობის მიდგომაზე ისეთი იდენტიფიკატორების შესახებ, როგორცაა გეოლოკაციის მონაცემები და ონლაინ იდენტიფიკატორები, კერძოდ, IP მისამართი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემის დეფინიციისას არ შეიცავს რაიმე მითითებას ისეთ ინფორმაციაზე, როგორცაა ონლაინ იდენტიფიკატორი. მეორე მხრივ, როგორც აღინიშნა, იდენტიფიცირების შესაძლებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ მონაცემებით, რომელიც აღწერს პიროვნებას. შესაბამისად, ონლაინ საშუალებების მზარდი გამოყენების გამო, აუცილებელია კანონის რეგულირებას დაუქვემდებაროთ მოცემული სახის ინფორმაციაც. ამგვარი იდენტიფიკატორების მნიშვნელობა ხაზგასმულია მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციაში (GDPR), რომელიც ამოქმედდება 2018 წელს ევროპული კავშირის მასშტბით და ჩაანაცვლებს დღეს მოქმედ 95/46/EC დირექტივას. აქვე აღინიშნავ, რომ ევროპული რეგულაცია, დირექტივისგან განსხვავებით, შინაარსობრივი დატვირთვის გარდა, ხასიათდება ფორმალური განსხვავებითაც. ეს ვლინდება მისი მოქმედების ნაწილში, კერძოდ, თუ დირექტივა საჭიროებს თითოეულ წევრ ქვეყანაში იმპლემენტირებას შიდასახელმწიფოებრივი კანონის მეშვეობით, რეგულაცია პირდაპირი და უშუალო მოქმედებით ხასიათდება. რეგულაციის პრეამბულის 30-ე ნაწილის მიხედვით, მიიჩნევა, რომ ზემოაღნიშნული იდენტიფიკატორების პერსონალურ მონაცემთა კატეგორიაში განხილვის განმაპირობებელი ფაქტორი არის ის, რომ ფიზიკური პირები შესაძლებელია დაკავშირდნენ მათი მოწყობილობების მიერ წარმოებულ ონლაინ იდენტიფიკატორებთან, აპლიკაციების, ხელსაწყოებისა და პროტოკოლების, როგორცაა ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართების, cookie-ს და სხვა სახის იდენტიფიკატორების, როგორცაა რადიო-სიხშირული საიდენტიფიკაციო საშუალებების გამოყენებით. მათ შესაძლოა დატოვონ კვალი, რომელიც სხვა ინფორმაციასთან და სერვერის მიერ მიღებულ უნიკალურ იდენტიფიკატორებთან ერთად, შესაძლოა გამოიყენებოდეს ფიზიკურ პირთა პროფილების შესაქმნელად და მათი იდენტიფიცირებისთვის. ამის გათვალისწინებით, რეგულაციის მე-4 მუხლით მოცემული პერსონალური მონაცემების ისეთი სახეობები, როგორცაა ადგილმდებარეობის მონაცემები და ონლაინ იდენტიფიკატორები კანონმდებლობითაა დარეგულირებული, ხოლო მოცემულ ვითარებას განაპირობებს არსებული ტექნოლოგიური პროგრესი.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, მუხლი 29 სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ პერსონალური მონაცემის დეფინიცია უნდა განიმარტოს პრაქტიკისგან განსხვავებულად,

რაც არ გამოორიცხავს მის ფართო განმარტებას და განსხვავდება 95/46/EC დირექტივით შემოთავაზებული პერსონალური მონაცემის ვიწრო ინტერპრეტაციისგან (მაგალითად, იმ ნაწილში, რომ დირექტივის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ცოცხალ ინდივიდებზე). აქედან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფი მხარს უჭერს პერსონალური მონაცემების განვრცობად დეფინიციას, სადაც ის პერსონალური მონაცემებიც მოიაზრება, რომლის მიხედვით იდენტიფიცირების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას (Cuijpers & Saygin/კუიპერსი & საიგინი, 2012, გვ. 5).

საკითხი აქტუალურია დინამიური IP მისამართების ჭრილშიც, კერძოდ, მათი მეშვეობით ხშირად შეუძლებელია მისი მომხმარებლების იდენტიფიცირება. მაგალითად, ინტერნეტ-კაფეში არსებული კომპიუტერის მომხმარებლის იდენტიფიცირება გონივრულ ფარგლებში შეუძლებელია, რის გამოც ეს მისამართი არ გვევლინება პერსონალურ მონაცემად, თუმცა ინტერნეტ სერვერის მომწოდებლებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რამდენად მხოლოდ IP მისამართის მეშვეობით იქნება შესაძლებელი იდენტიფიცირება. შესაბამისად, ისინი დაამუშავებენ ამ IP მისამართთან ასოცირებულ ინფორმაციას ისევე, როგორც იმ მომხმარებლების IP მისამართებს, რომლებიც არიან რეგისტრირებულნი. შესაბამისად, სანამ ინტერნეტ სერვისის მომწოდებელი არ იქნება დარწმუნებული, რომ მის მიერ დამუშავების პროცესში არსებული ინფორმაციის მეშვეობით იდენტიფიცირება შეუძლებელია, იგი ყველა IP მისამართს უნდა მოეპყროს როგორც პერსონალურ მონაცემს (Article 29 Data Protection Working Party, 2007, გვ. 17).

ამავე რეგულაციით იდენტიფიცირების საკითხი ფსევდონიმირებული პერსონალური მონაცემების მიმართაც რელევანტურია. პრეამბულის 26-ე მუხლის თანახმად „[...] პერსონალური მონაცემი, რომელიც დაეკავშირება ფსევდონიმირებას და შესაძლებელია მიეკუთვნოს პირს დამატებითი ინფორმაციის გამოყენების მეშვეობით, მიიჩნევა იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირზე არსებულ ინფორმაციად [...]“. ამ ჩანაწერით მოცემულია პერსონალური მონაცემის ფართო დეფინიცია. ფსევდონიმირებული მონაცემებიც კი, სავსებით თავისუფლად შეიძლება მოგვევლინოს პერსონალურ ინფორმაციად, ვინაიდან ფსევდონიმირება, თავისი არსით, წარმოადგენს მონაცემთა მოდიფიცირებას, რომელიც გულისხმობს მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაშტრიხვას ან იდენტიფიკატორების ჩანაცვლებას, სხვა, კოდური მონაცემებით. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა თუ რა მეთოდი გამოიყენება ამ მიზნისთვის (ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო, 2015, გვ. 59-60).

გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალურ მონაცემთა გამოყენებისა და გავრცელების მრავალფეროვნებაზე მეტყველებს მათი მართვის ისეთი მოქნილი მეთოდი, როგორცაა ე.წ. ღრუბლოვანი სისტემა (Cloud Computing). მისი მეშვეობით მონაცემთა დამუშავების აღწერამდე, მიზანშეწონილია განვიხილოთ თავად ღრუბლოვანი სისტემის ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ღრუბლოვანი სისტემა ესაა ტექნოლოგიური საშუალებებისა და მომსახურების ნაკრები, რომელიც აქცენტირებულია მომხმარებლისთვის IT აპლიკაციების, დამუშავების შესაძლებლობების, შენახვისა და მუხსიერების ადგილის ინტერნეტის მეშვეობით მიწოდებაზე. შესაბამისად, ვირტუალური სისტემა პერსონალურ კომპიუტერებზე ინსტალირების გზით უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის პროგრამების ხელმისაწვდომობას. მაგალითად, კალენდრების, ტექსტის რედაქტორებისა და სხვა ფაილების შენახვისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს ვირტუალური სივრცე (Article 29 Data Protection Working Party, 2012, გვ. 4). იგი ხასიათდება სამი სახეობით, რომელთაგან თითოეული განსხვავდება ფუნქციონალური მახასიათებლების მიხედვით. ესენია:

1. IAAS (Cloud Infrastructure as a Service) - ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა, როგორც მომსახურება. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ვირტუალური ინფრასტრუქტურა, რომელიც მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის სხვადასხვა სერვისების გამოყენებას, რითაც კორპორატიული IT სისტემები მარტივად ჩანაცვლებადია;
2. SAAS (Cloud Software as a Service) - ღრუბლოვანი პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც მომსახურება. ამ სერვისის შინაარსი გულისხმობს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის ინტერნეტის მეშვეობით მომხმარებლისთვის მიწოდებას. საუბარია საშუალებებზე, როგორცაა ტექსტისა და ცხრილების დამუშავების საშუალებები, საზიარო კალენდრები და ა.შ.;
3. PAAS (Cloud Platform as a Service) - ღრუბლოვანი პლატფორმა, როგორც მომსახურება. ამ დროს სისტემა გამოიყენება სხვადასხვა აპლიკაციების შექმნისა და ჰოსტინგისთვის. მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს დეველოპერული შესაძლებლობების (პროგრამების შექმნის) რეალიზაცია (იქვე, გვ. 26).

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ნათელია თუ რა შინაარსის შემცველია თანამედროვე IT სისტემები და შესაძლებლობათა რა არეალია სახეზე მონაცემთა დამუშავებისთვის. გარდა პერსონალური მონაცემების დამუშავების მრავალფეროვნებისა, ღრუბლოვანი სისტემა შეიცავს რისკებს, რომელიც დაკავშირებულია დამუშავების ექსტრატერიტორიულობასთანაც. ღრუბლოვანი სისტემის

მომწოდებელი შესაძლოა არ იყოს დაფუძნებული იმ სახელმწიფოში სადაც დაფუძნებულია მისი მომხმარებელი. მაგალითად წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში დარეგისტრირებული იურიდიული პირი (შპს) საკუთარი თანამშრომლების შესახებ არსებული ინფორმაციის მართვისთვის იყენებს Google-ის მიერ მოწოდებულ PAAS ტიპის ღრუბლოვან სისტემას. მისი მეშვეობით კომპანია პერსონალური მონაცემების მართვისთვის ელექტრონულად, ინტერნეტის მეშვეობით იყენებს ტექსტის რედაქტორს. თუ ამ საკითხს განვიხილავთ სამართლებრივ ჭრილში, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის პერსპექტივიდან, იგი ბადებს კითხვებს მის მართლზომიერებასთან მიმართებით. კანონის 41-ე მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა გადაცემა სხვა სახელმწიფოსთვის დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ არსებობს საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა გადაცემის პირობას;
2. თუ სხვა სახელმწიფოში არსებობს მონაცემთა დაცვის ადეკვატური გარანტიები. სხვა ნებისმიერი გადაცემა (რომლის საფუძველს არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულება ან სხვა სახელმწიფოში არსებული პერსონალური მონაცემების დაცვის ადეკვატური დონე) საჭიროებს ინსპექტორის წინასწარ თანხმობას. ამავე კანონის 42-ე მუხლის მიხედვით, სხვა სახელმწიფოში მონაცემთა დაცვის ადეკვატურობის გარანტიების ერთადერთი უფლებამოსილი შემფასებელი პირი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორია. მის მიერ 2014 წლის 16 სექტემბრის #1 ბრძანების თანახმად, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები მოხსენიებული არაა, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ადეკვატურობის მქონე სახელმწიფო. ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში კი Google-ის მიერ მოწოდებული აპლიკაციის გამოყენება და მისი მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შეიძლება შეფასდეს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემად, ვინაიდან ამ დროს გამოიყენება Google-ის სერვერული სისტემა. დროის სხვადასხვა მონაკვეთში პერსონალური მონაცემები (სერვერის მდებარეობის მიხედვით) შესაძლებელია განთავსებული იყოს აშშ-ში ან სხვა ისეთ სახელმწიფოში, რომელიც კანონმდებლობის თანახმად არ არის შეყვანილი მონაცემთა დაცვის ადეკვატურობის გარანტიების მქონე სახელმწიფოთა სიაში.

საქართველოში დამმუშავებელი ბოლომდე ვერ იქნება დარწმუნებული თუ რამდენად ამუშავებს Google კანონის წესების დაცვით პერსონალურ მონაცემებს. შედეგად, სახეზეა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს (Google) შორის უფლებამოსილებათა დისბალანსი, რომელიც ვლინდება (უფლებრივად) ძლიერ უფლებამოსილ პირისა და (უფლებრივად) სუსტ დამმუშავებელს შორის (Article 29 Data Protection Working Party,

2010). მთავარი სირთულე მდგომარეობს იმ საკითხში, რომ საერთაშორისო გადაცემისას დამუშავებას (გადაცემას) არ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი.

ექსტრატერიტორიულობასთან დაკავშირებული საკითხები შესამჩნევია ევროპული კავშირის რეგულირების გათვალისწინებით. როდესაც დამმუშავებელი დაფუძნებულია ევროპული კავშირის ფარგლებს გარეთ, სამართლებრივი ნორმების ამოქმედებისას, ადგილმდებარეობის მიხედვით კანონმდებლობის ამოქმედების წესი არაა გამოსადეგი, არამედ ყურადღება ექცევა დამმუშავების ფაქტობრივ ადგილს. თუ დამმუშავებელი დაფუძნებულია ევროპული კავშირის ფარგლებს გარეთ, მაგრამ იყენებს გაერთიანების ფარგლებში არსებული პერსონალური მონაცემებისთვის ამავე ტერიტორიაზე მოცემულ დამმუშავების საშუალებებს, გამოიყენება 95/46/EC დირექტივა და იმ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, რა ტერიტორიაზეც მიმდინარეობს პროცესი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ღრუბლოვანი სისტემაზე მომუშავე სხვადასხვა ვებ-გვერდები, როგორცაა Facebook და Google დაფუძნებულები არიან ევროპული კავშირის გარეთ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული კავშირის კანონმდებლობის ამოქმედება დამოკიდებულია ისეთ პირობებზე, როგორცაა დამმუშავებისთვის ევროპული კავშირის წევრ ქვეყანაში არსებული აღჭურვილობის გამოყენებაზე. თუ მომხმარებელი იყენებს ე.წ. „ბროუზერს“ მხოლოდ იმ ველების შესავსებად, რაც დადგენილია დამმუშავებლების მიერ, მაშინ ისინი არ იყენებენ ევროპული კავშირის წევრი ქვეყნის აღჭურვილობას (მომხმარებლის კომპიუტერს). შესაბამისად, იგი გამოიყენება მხოლოდ მონაცემთა გადაცემისთვის. თუმცა ეს მოცემულობა იცვლება მაშინ, როდესაც ღრუბლოვანი სისტემის მომწოდებლები იყენებენ, მაგალითად, cookie-ს. ამ შემთხვევაში, თუ დამმუშავებელი ონლაინ აქტივობის აღწერის მიზნით მომხმარებლის კომპიუტერზე ათავსებს cookie-ს, იგი აღიქმება, როგორც ევროპული კავშირის ტერიტორიაზე განთავსებულ მოწყობილობად, რომელსაც იყენებს მის ფარგლებს გარეთ დაფუძნებული დამმუშავებელი და შესაბამისად, იგი გვევლინება ევროპული კავშირის კანონმდებლობას დაქვემდებარებულ პირად (ლინსი, 2010, გვ. 6).

პერსონალურ მონაცემთა ელექტრონული საშუალებებით დამმუშავების საშუალებათა განვითარების პარალელურად იზრდება დამმუშავებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები. პერსონალურ მონაცემთა დამმუშავება ინტერნეტის გამოყენებით აკისრებს მთელ რიგ ვალდებულებებს პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებლებს. ამ ვალდებულებათა ხასიათი აღწერილია „ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებისა და პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ“ 2002/58/EC დირექტივის პრეამბულის მე-20 პუნქტში, რის თანახმადაც სერვისის

მომწოდებლები (პროვაიდერები) ოპერირებისას ვალდებულნი არიან მიიღონ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, საჭიროების შემთხვევაში, ინტერნეტის მომწოდებელთან (პროვაიდერთან) შეთანხმებით. ამავდროულად, ანგარიშვალდებულების პრინციპის გათვალისწინებით, ქსელის უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში, შეატყობინონ სერვისით მოსარგებლებს. დირექტივა აქვე აღნიშნავს, რომ დამუშავებისთვის მომეტებული რისკის შემცველ პლატფორმებად გვევლინება ინტერნეტისა და მობილური ტელეფონით დამყარებული ელექტრონული კომუნიკაციები.

ზოგადად, 2002/58/EC დირექტივა არ შეიცავს თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვისთვის ხელისშემშლელ დებულებებს. მისი მთავარი მიზანია მოახდინოს ამ საშუალებათა რეგულირების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა. ამის დამადასტურებელია პრეამბულის 25-ე პუნქტი. მის თანახმად, საშუალებები, როგორცაა cookie, შესაძლებელია სასარგებლო აღმოჩნდეს ვებ-გვერდზე რეკლამების განთავსებისთვის, მისი მუშაობის ეფექტურობის დასადგენად, ასევე, ონლაინ ტრანზაქციებში მონაწილე მომხმარებელთა ვინაობის განსაზღვრის მიზნით. ამგვარი მეთოდების გამოყენება გამართლებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი კანონიერ მიზანს ემსახურება და მომხმარებლები მკაფიოდ და ნათლად არიან ინფორმირებულები ამგვარი საშუალებების გამოყენების მიზნების შესახებ. ამავდროულად, მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება უარი განაცხადონ ამგვარი მეთოდების გამოყენებაზე.

პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით ელექტრონული უსაფრთხოების საკითხები მეტ ყურადღებას საჭიროებს. იმის გათვალისწინებით, რომ, მაგალითად, სრულად შევსებული Facebook-ის მომხმარებლის გვერდი შეიცავს დაახლოებით 40 სახეობის პერსონალურ მონაცემს, მათ შორის, სახელს, დაბადების თარიღს, პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს, ონლაინ და ქსელს გარეთ არსებული კონტაქტების შესახებ ინფორმაციას, სქესსა და პირადი ურთიერთობის სტატუსს, მას მოქმედებაში მოყავს სხვადასხვა საშუალებები პოტენციური კონტაქტების მოძებნისა და დამატებისთვის. ამის გარდა, ხდება მომხმარებლის აქტივობის კონტროლი, შენახვა და ანალიზი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის გათვალისწინებით, ამგვარი ინფორმაცია დამუშავების სპეციალურ, სენსიტიური მონაცემების დამუშავებისთვის დადგენილ წესებს უნდა ექვემდებარებოდეს (Van den Berg et al./ვან დენ ბერგი და სხვები, 2011, გვ. 38).

ტექნოლოგიური შესაძლებლობების რეალიზაციიდან გამოწვეული რისკები შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული იმ შემთხვევაში თუ დამმუშავებლები

მიმართავენ პერსონალური მონაცემების დამუშავების დამცავი მექანიზმების პროაქტიულ მეთოდებს. არსებობს მოსაზრება, რომ კომპანიებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი ნორმების ზედმიწევნით შესრულებამ შესაძლებელია დააქვეითოს ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობის დონე, რაც გამოიხატება ნაკლები მოგების მიღებაში, მომსახურების გაწევის გრძელ ვადებში და ა.შ. (კავუციანი, 2016, გვ. 59). თუ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებთან შესაბამისობის დაცვას შევხედავთ, როგორც კომპანიის მონაპოვარს და მის საზოგადოებრივ იმიჯზე დადებითი გავლენის მქონედ, იგი სასურველ ბერკეტად მოგვევლინება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებლებისთვის. იმისთვის, რათა დამუშავების პროცესში, საწყის ეტაპზე დაინერგოს პირადი ცხოვრების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დამცავი მიდგომები, აუცილებელია მომდევნო 7 ძირითადი პრინციპის დაცვა, კერძოდ:

1. ნებისმიერი დამუშავებელი უნდა იყოს ორიენტირებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესთა დარღვევის თავიდან აცილებაზე. აქ ძირითადი აქცენტი კეთდება პროაქტიული დაცვის აუცილებლობაზე, რაც იწვევს თანმდევი რისკების მინიმუმამდე დაყვანას;
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა სისტემურ დონეზე, ყურადღებას ამახვილებს დამცავი მექანიზმების ინტეგრაციაზე დანდაყოლილი სახით. როგორც ავტომატური, ისე არაავტომატური (ან ნახევრადავტომატური) დამუშავების პროცესი უნდა დაექვემდებაროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანდაყოლილ პირობებს;
3. შესაბამისად, დამუშავების წესებთან თავსებადობა, უნდა განვიხილოთ ნებისმიერი საქმიანობის არქიტექტურისა და თავისებურებების შემადგენელ ნაწილად;
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების დანერგვა უნდა იწვევდეს მომხმარებლის და კომპანიის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას ისე, რომ არ დაზიანდეს, რომელიმე მათგანის ინტერესი მეორის ხარჯზე;
5. ამავდროულად, დამუშავების პროცესის კანონიერება და წესებთან თავსებადობა უნდა მოიცავდეს მის სრულ ციკლს, დაწყებული პერსონალური მონაცემების მოპოვებიდან - დამთავრებული მის საბოლოო განადგურებამდე;
6. თუ ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე დამუშავების პროცესი არ იქნება გამჭვირვალე, ვერც მისი სათანადო ანალიზი მოხდება მომხმარებლის ან სხვა დაინტერესებული პირის მიერ. შესაბამისად, იგი გამოიწვევს გამჭვირვალობის არარსებობას, რაც ანგარიშვალდებულების პრინციპის გათვალისწინებით არის დაუშვებელი. შესაბამისად,

სუბიექტის მიმართ დამუშავების წესებზე სრული წვდომა ამ პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის;

7. ორგანიზაციულად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ცალკეული შემთხვევები შესაძლებელია ცვლილებებს დაექვემდებაროს. დამუშავების წესები იმ შემთხვევაში დარჩება სუბიექტების ინტერესებზე მორგებული, თუ მოხდება მათი შეხედულებებისა და მოლოდინების ასახვა და ზოგადად მათი ინტერესები იქნება გათვალისწინებული ნებისმიერი ახალი წესის შემუშავებისას (იქვე, გვ. 86-89).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზემოაღნიშნული პრინციპები ზოგადი დებულებების შემცველია. ეს იმითაა გამოწვეული, რომ დამუშავების საშუალებები და კონტექსტი უამრავი შეიძლება იყოს, შესაბამისად, აუცილებელია ამ პრინციპების კონკრეტულ შემთხვევებზე მორგება და მისი ამ გზით ინტეგრირება.

ამდენად, პერსონალურ მონაცემთა მრავალფეროვნების, დამუშავების შესაძლებლობათა კომპლექსურობისა და ინფორმაციის გამოყენების სიხშირის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ამ უფლების კონსტიტუციური განმტკიცება, რათა იგი არ იყოს სხვა, მასთან შინაარსობრივ კავშირში მყოფი უფლების ფარგლებში მოქცეული. მეტიც მიიჩნევა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ევროპული კონსტიტუციის (ევროპული კავშირის დამფუძნებელი აქტების) ნაწილია და მან დამოუკიდებელი ფუდამენტური უფლების სტატუსი მოიპოვა პირადი ცხოვრების უფლების გვერდით (ჰერტი & გუთვირთი, 2009, გვ. 7). გარდა ამისა, პირადი ცხოვრების უფლება მეტად გამოკვეთს ინდივიდუალურ კომპონენტს და პირს ანიჭებს შესაძლებლობას აღკვეთოს მესამე პირთა ჩარევა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, შესაბამისად, იგი ნეგატიური კატეგორიის უფლებად გვევლინება. ამის საპირისპიროდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება განსაზღვრავს წესებს, მეთოდებს მათი დამუშავებისთვის და დინამიურ დაცვას ადგენს სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით (გუთვირტი, პულე, ჰერტი, ტერვანე & ნუვტი (რედ.), 2009, გვ. 79-80). საყურადღებოა ისიც, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა არეგულირებს ინფორმაციული დისტრიბუციის საკითხებს ფიზიკურ პირებსა და სახელმწიფოს შორის, მომხმარებლებსა და სერვისის/პროდუქციის მომწოდებლებს შორის. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვა შესაძლებელია აღვიქვათ, როგორც ინფორმაციული დისტრიბუციის დაცვად (იქვე, 340).

ახლა კი, დავუბრუნდეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციის ტექსტში განმტკიცების საკითხს. აქ შეგვიძლია დავსვათ შემდეგი შეკითხვა: რა

ხელშესახები და პრაქტიკული შედეგი ექნება ამ უფლების კონსტიტუციურ დეკლარირებას? ამ შეკითხვაზე პასუხი მსჯელობას საჭიროებს, ხოლო უშუალოდ პასუხის გაცემამდე, მიზანშეწონილია გამოვყოთ გარკვეული საყურადღებო პირობები, რომლებსაც გააჩნიათ გავლენა ზემოაღნიშნულ საკითხზე:

1. საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს ჩანაწერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შესახებ;
2. შესაბამისად, როდესაც საუბარია მონაცემთა დაცვის უფლებაში ჩარევაზე, იგი ყოველთვის უნდა განვიხილოთ პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ან, მეტად ზოგადი, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ფარგლებში;
3. თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას მოვიაზრებთ პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ფარგლებში, მაშინ, ამ უფლების შეზღუდვისთვის უნდა გამოვიყენოთ ის საფუძვლები (ზღვრები), რომელიც დადგენილია პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევისთვის, კერძოდ, შეზღუდვა უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას;
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი, განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციისგან, იცნობს ამ უფლებაში ჩარევის სხვა საფუძვლებსაც, თანაც, ეს საფუძვლები დიფერენცირებულია დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორიების მიხედვით. დამუშავების საფუძვლები, რომელიც მოცემულია კანონით, თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამ უფლების შეზღუდვად. კანონი განასხვავებს დამუშავების საფუძვლებს არასენსიტიური და განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციისთვის. არასენსიტიური პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია:
 - 4.1. ფიზიკური პირის თანხმობის შემთხვევაში;
 - 4.2. თუ დამუშავება დადგენილია კანონით;
 - 4.3. თუ დამუშავებელმა უნდა შეასრულოს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობები;
 - 4.4. ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
 - 4.5. თუ სახეზეა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესები, რაც აღმატებულია ფიზიკური პირის ინტერესებზე;
 - 4.6. როდესაც პერსონალური მონაცემები გასაჯაროვებულია ან ფიზიკურმა პირმა გახადა იგი საჯარო;
 - 4.7. თუ აუცილებელია კანონის შესაბამისი მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვა;

4.8. როდესაც განსახილველია ფიზიკური პირის განცხადება (მომსახურების გაწევის მიზნით).

სენსიტიური (განსაკუთრებული) პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის კანონი საფუძვლებს ამკაცრებს. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სენსიტიური პერსონალური მონაცემი შესაძლებელია დამუშავდეს შემდეგ შემთხვევებში:

- 4.9. არსებობს ფიზიკური პირის წერილობითი თანხმობა;
- 4.10. შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დამუშავდეს ნასამართლობასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- 4.11. დასაცავია ფიზიკური პირის ან მესამე პირის სასიცოცხლო უნტერესები, თუ თავად ეს ფიზიკური პირი არაა უნარიანი თანხმობა განაცხადოს დამუშავებაზე;
- 4.12. პერსონალური ინფორმაცია მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების, ასეთი დაწესებულების მუშაკის მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ასევე ჯანდაცვის სისტემის მართვისა და ფუნქციონირებისთვის;
- 4.13. ფიზიკური პირი თავად ასაჯაროებს მის შესახებ არსებულ ინფორმაციას ისე, რომ არ გამოთქვამს აკრძალვას მათ სამომავლო გამოყენებაზე;
- 4.14. დამუშავება ხორციელდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელების მიზნით;
- 4.15. დამუშავება ხდება სასჯელაღსრულების სისტემაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პირადი საქმეების წარების მიზნით, ასევე იმ სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით, რომელიც გათვალისწინებულია არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით;
- 4.16. მონაცემები მუშავდება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში.

საყურადღებოა ისიც, რომ განსაკუთრებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული საფუძვლებით დამუშავებისას, მათი გასაჯაროება და მესამე პირებისთვის გადაცემა დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.

5. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ აკონკრეტებს კონსტიტუციით დადგენილ საფუძვლებს პირადი ცხოვრების ამ სფეროში ჩარევისთვის, თუმცა, სამართლებრივად, კონსტიტუციით დადგენილი კანონით გადაუდებელი აუცილებლობის ჩარევის ზღვარი ვერ გამოდგება იმ ჩარევის

განსახორციელებლად, რაც დადგენილია კანონით. სხვა სიტყვებით, როდესაც დამუშავების საფუძვლად გათვალისწინებულია მხოლოდ ფიზიკური პირის თანხმობა, აშკარაა, რომ მის სამართლებრივ ანალოგად ვერ გამოდგება კონსტიტუციით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობის პირობა. ამ უკანასკნელში, მეტწილად, შეიძლება ვიგულისხმოთ შემთხვევები, რომელიც ეხება დანაშაულის გამოძიებას, ტერორიზმის აღკვეთას, სხვათა სასიცოცხლო ინტერესების დაცვას და ა.შ. ასევე, გადაუდებელი აუცილებლობა გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც საჯარო ინტერესის მიღწევის მიზნით აუცილებელია კერძო ინტერესის შეზღუდვა. სიტყვა „გადაუდებელი“ დროის სიმცირის მანიშნებელია, რის გამოც საჭიროა მყისიერი მოქმედება. სასურველია თუ ნორმათა ინტერპრეტაციისას გადაუდებელი აუცილებლობის პირობა მხოლოდ შინაარსის ანალიზის საფუძველზე არ იქნება აღქმადი, არამედ იგი მეტად მკაფიო გაწერას საჭიროებს, არასწორი ინპეტრპრეტაციისა და სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლების შეზღუდვისას თვითნებობის აღსაკვეთად (მაია კოპალეიშვილი (რედ.), 2013, გვ. 200-201). შესაბამისად, როდესაც დამუშავების საფუძვლად გვევლინება, მაგალითად, სუბიექტის თანხმობა, იგი ვერ იქნება დანახული გადაუდებელი აუცილებლობის ჭრილში;

6. თვალნათელია, რომ ამ არგუმენტაციით, კონსტიტუციის მე-20 მუხლი, ჩარევის საფუძვლების ნაწილში მოკლებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის დადგენილ საფუძვლებთან ფორმალურ და მატერიალურ კავშირს. ამდენად, კონსტიტუციური ნორმა ადეკვატურად ვერ პასუხობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

ახლა კი, განვიხილოთ თუ როგორ რეალიზდება ზემოხსენებული დებულებები პრაქტიკაში. ყველაზე მკაფიოდ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების რობლემატიკა ვლინდება ისეთ შემთხვევებში, როგორცაა მათი დამუშავება კანონის თანახმად. როგორც აღინიშნა, არასენსიტიურ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტით. შესაბამისად, საკმარისია სამართლებრივად დადგინდეს ნორმა, რაც საშუალებას მოგვცემს დავიწყოთ დამუშავების პროცესი. პრაქტიკაში არსებული მიდგომის თანახმად, მონაცემთა კანონისმიერი დამუშავების საფუძვლის ინტერპრეტირება ძალზედ ფართოდ ხდება. დემონსტრირებისთვის მიზანშეწონილია განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

მაგალითი #1

საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.“ ეს ჩანაწერი წარმოადგენს დამუშავების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს. საჯარო რეესტრის საქმიანობის ფარგლებში დამუშავების ამგვარი საფუძველის ინერპრეტირებას ფართო ხასიათი გააჩნია, საინტერესოა, რა საკითხში ვლინდება ეს? მაგალითად, საჯარო რეესტრში იურიდიული პირის (შპს, ა(ა)იპ და სხვა) რეგისტრაციისას ხდება ისეთი სარეგისტრაციო დოკუმენტების გასაჯაროვება, როგორცაა იურიდიული პირის დამფუძნებლის ვინაობა (სახელი, გვარი), პირადი ნომერი, მისი პირადობის მოწმობის ელექტრონული ასლი, წესდება და დამფუძნებლის წესდებაზე თანდართული ხელმოწერა. ინფორმაციის ამგვარი გასაჯაროვება წარმოშობს კითხვებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით, უფრო ზუსტად, იბადება კითხვა, ხომ არ არის მონაცემთა ამგვარი გასაჯაროვება არაპროპორციული და ზედმეტი? საჯარო რეესტრის ფუნქციონირების არსი ერთიანი და მოქნილი სისტემის შექმნა და დაინტერესებული პირებისთვის მომსახურების გაწევაა. პერსონალური მონაცემები, რომელიც თავს იყრის რეესტრის დოკუმენტაციაში, შესაძლოა ეხებოდეს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე ბიზნესის რეესტრთან არსებულ ინფორმაციას და სხვა. ერთი შეხედვით, ამ ვითარებაში აშკარაა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხი, უფრო კონკრეტულად, მონაცემთა ამგვარი გასაჯაროვება ხელს უწყობს უძრავი ქონების მესაკუთრის მოძიებას, ასევე, იურიდიული პირის დამფუძნებლის ვინაობის გაგებას, რათა მიღებული ამონაწერების მეშვეობით სამართლებრივი ურთიერთობების დამყარება თაღლითობისა და სხვა რაიმე რისკ-ფაქტორების არსებობის გარეშე განხორციელდეს.

მეორე მხრივ, მიუხედავად მოცემული მიზნებისა, ბალანსი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მონაცემთა დაცვას შორის აშკარად არაა სამართლიანი. მაგალითად, უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის (ამონაწერის) შემთხვევაში, კითხვას ბადებს ფიზიკური პირის პირადი, უნიკალური ნომრის მითითების საკითხი. დამმუშავებლის მიერ არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ უნიკალური იდენტიფიკატორის საჯაროდ მითითება საშუალებას იძლევა მოხდეს მისი მოძიება სხვა საინფორმაციო, საჯარო წყაროებშიც. ამასთან, ამონაწერში პირადი ნომერი მითითებულია სხვა ინფორმაციასთან ერთად, როგორცაა

სახელი, გვარი, უძრავი ქონების ზუსტი მისამართი, რაც პიროვნების იდენტიფიცირებას ხდის ძალიან მარტივს.

იურიდიული პირის რეგისტრაციის შემდგომ განთავსებული მონაცემები განსხვავებით უძრავი ქონების ამონაწერისა, მეტად თვალსაჩინოდ წარმოაჩენს არაპროპორციულობის საკითხს. როგორც აღინიშნა, იურიდიული პირის რეგისტრაციისას, სხვა მონაცემებთან ერთად, საჯარო ხდება დამფუძნებლის პირადობის მოწმობის ელექტრონული ასლი და მისი ხელმოწერა, რომელიც ახლავს წესდებას. პერსონალური მონაცემების გადამეტებით დამუშავება სახეზეა, რამდენადაც, არ არსებობს რაიმე საფუძველი (აქ არ უნდა ვიგულისხმობთ კანონით დადგენილი დამუშავების ზოგადი საფუძველი), რომელიც აუცილებელს გახდის მონაცემთა ამგვარი მოცულობით გასაჯაროვებას. იურიდიული პირის ავთენტურობის დასადასტურებლად, სრულებით არაა საჭირო ამგვარი ინფორმაციის საჯარო განთავსება, რადგან საჯარო რეესტრში არსებული ამონაწესების მიმართ მოქმედებს პრეზუმფცია, რის მიხედვითაც გარკვეული ქონების ან იურიდიული პირის რეგისტრაციისას მოქმედებს მისი ნამდვილობის პირობა. უფრო კონკრეტულად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მიხედვით „საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია [...]“ შესაბამისად, სარეგისტრაციო მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება საჯარო რეესტრის მიერ ამ და ზემოხსენებული დამუშავების ნაწილში არღვევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით დადგენილ პროპორციულობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც „მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.“ გასათვალისწინებელია ისიც, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის დადგენილი პრინციპები ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ, კერძოდ, დამუშავების პირველი პრინციპის მიხედვით (მე-4 მუხლი, „ა“ პუნქტი) პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს „სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა ღირსების შეუღახავად.“ ნორმის გრამატიკული განმარტების თანახმად, სამართლიანობის, კანონიერებისა და ღირსების შეუღახავობის კრეიტერიუმები კუმულაციურად უნდა დაკმაყოფილდეს. საჯარო რეესტრის მიერ დანერგილი პრაქტიკა კი, წინააღმდეგობაშია, სულ მცირე, სამართლიანობის პრინციპთან მიმართებით, რის გამოც სახეზეა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა.

ზოგადი შეფასებით, შესაძლებელია ვთქვათ, რომ მოცემულ სამართლებრივ აქტებში, ფართო გაგებით, დარღვეულია ნორმის განსაზღვრულობის პრინციპიც. როდესაც ნორმატიულ აქტებში დაშვებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვა (იმ გაგებით, რომ მათი დამუშავება ამ უფლების შეზღუდვას ნიშნავს), არაა დადგენილი თუ რა ოდენობით, რა პროპორციების დაცვითაა იგი დასაშვები. შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს განჭვრეტადი და მკაფიო მარეგულირებელი აქტები, რომელიც კანონის განსაზღვრულობის კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ამის შემდეგ, მათი შემოწმება კონსტიტუციურობის კუთხით მარტივია, თავის მხრივ, ნორმის განსაზღვრულობა სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფოს განმაპირობებელი ფაქტორია (ანა ფირცხალაშვილი, 2016, გვ. 26-27).

მაგალითი #2

დამუშავების პროპორციულობის პრინციპთან შეუთავსებლობის პრობლემატიკა მეტად აშკარადაა სახეზე საარჩევნო სიების საჯაროდ გამოქვეყნების ნაწილში. ამომრჩეველთა სიაში საკუთარი თავის გადამოწმების მიზნით საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე შექმნილია პერსონალურ მონაცემთა ელექტრონული საჯარო ბაზა (voters.cec.gov.ge), სადაც აქტიური საარჩევნო ხმის უფლების მქონე სუბიექტებს გვარისა და პირადი ნომრის ჩაწერის მეშვეობით შეუძლიათ შეიტყონ არიან თუ არა შეყვანილნი ამომრჩეველთა ერთიან სიაში და გაიგონ თუ რომელ საარჩევნო უბანზე არიან რეგისტრირებულნი. ამ ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც მოქმედებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, კერძოდ, „ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის, მისი კომპიუტერულად დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის (გვარი, სახელი; ფოტოსურათი; დაბადების თარიღი; მისამართი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირისთვის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი პირისთვის

და პირისთვის, რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით; ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველის რეგისტრაციის თარიღი) ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებისთვის.“ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პიროვნების სახელისა და გვარის, ასევე, მისი პირადი ნომრის მოპოვება სხვა საჯარო ბაზების მეშვეობითაც შესაძლებელია, მაგალითად, როგორცაა საჯარო რეესტრის ბაზა, სავსებით დასაშვებია, რომ ამ წყაროს გამოყენებით მოპოვებული ინფორმაციის მეშვეობით ამომრჩეველთა ვებ-გვერდზე მოხდეს პიროვნების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება. ეს მონაცემები საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე არაა მოცემული. შედეგად, ვიღებთ მოცემულობას, რომლის თანახმად ორი სხვადასხვა წყაროს გამოყენებით ერთი და იმავე პირის შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაცია ხდება ხელმისაწვდომი.

აქვე საარჩევნო სიებთან მიმართებით გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობის მთავარ მოქმედ სამართლებრივ აქტად საარჩევნო კოდექსი გვევლინება, რომელიც ორგანული კანონის ფორმითაა მიღებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის ნორმები ვერ იქნება ქმედუნარიანი ვებ-გვერდზე მონაცემთა გამოქვეყნების პროპორციების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან საარჩევნო კოდექსი იერარქიულად მაღლა მდგომ სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. შესაბამისად, ორგანულ კანონში მოცემული ზოგადი ჩანაწერი პერსონალურ მონაცემთა გამოქვეყნების შესახებ დამმუშავებელს საშუალებას აძლევს გამოაქვეყნოს ინფორმაცია ამ აქტით დადგენილი წესის თანახმად, ისე, რომ არ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით დადგენილი პრინციპები. წონად კონტრარგუმენტად ვერც ის მსჯელობა გამოდგება, რომლის მიხედვით დამმუშავებელს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დადგენილი პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის წესები ბოჭავს, ვინაიდან „კანონით გადაუდებელი აუცილებლობის“ პირობა ინტერპრეტაციის ფართო დიაპაზონის შემცველია, ხოლო საარჩევნო პროცესის დროს ამ საკითხებთან დაკავშირებული ინტერპრეტაციის გზები თავად დამმუშავებლის, კერძოდ, ცესკოს-ს, როგორც ამ სფეროს ექსკლუზიური მარეგულირებლის ხელშია.

ამ სიტუაციიდან გამოსავალი შესაძლოა საერთაშორისო აქტებში, როგორც იერარქიულად მაღლა მდგომ სამართლებრივ დოკუმენტებში ვეძიოთ. როგორც ცნობილია საქართველოს რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამმუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის

შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „[...] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.“ 108-ე კონვენცია შეიცავს ნორმებს, რომელიც შინაარსობრივად უნარიანია იმოქმედოს უშუალოდ და დაარეგულიროს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები. დამუშავების პროპორციულობის პრინციპი ამ დოკუმენტითაც გაწერილია, კერძოდ, კონვენციის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით ავტომატურ დამუშავებას დაქვემდებარებული პერსონალური მონაცემები „უნდა იყოს ადეკვატური და არ უნდა აღემატებოდეს იმ მიზნებს, რომლებისთვისაც ისინი ინახება.“ გარდა ამისა, ცესკო-ს მიერ ამომრჩეველთა სიების ხელმისაწვდომობის საკითხში დამუშავების პროპორციულობის პირობა ირღვევა იმითაც, რომ ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია არამარტო წინასაარჩევნო პერიოდში და მისი მიმდინარეობისას, არამედ მუდმივად. კონვენციის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით პერსონალური მონაცემები „დაცული უნდა იყოს იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები.“ ცესკო-ს შემთხვევაში კი, პერსონალური მონაცემების საჯაროდ განთავსება (დამუშავება) ხორციელდება არასაარჩევნო პერიოდშიც, რითაც იგი არღვევს შესაბამისი ვადებით დამუშავებისა და პროპორციულობის პრინციპს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევაში დამუშავებელი ინფორმაციის გამოქვეყნებისას არ იყენებს 108-ე კონვენციით დადგენილ დამუშავების პრინციპებს. მათი დაცვის ვალდებულება მას ზემდგომი აქტით - საერთაშორისო ხელშეკრულებით აკისრია.

მოცემული მაგალითები ცხადყოფს, რომ პერსონალურ მონაცემთა ორი უდიდესი დამუშავებლის მიერ არ ხდება კანონით დადგენილი პრინციპების დაცვა მათი საქმიანობის პროცესში. პირველ შემთხვევაში უგულებელყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის ნორმები. მოცემულობას ამწვავებს ის,

რომ პრაქტიკაში არსებული მიდგომის თანახმად, თუ დამუშავების საფუძველს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული საფუძველი, თავად დამუშავების მართლზომიერების შემოწმება პროპორციების ჭრილში აღარ ხდება. მეორე შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო აქტი იერარქიულად ზემდგომ აქტს წარმოადგენს ორგანულ კანონთან მიმართებით, ყურადღება მაინც არ ექცევა მასში მოცემულ უშუალოდ მოქმედ დებულებებს.

ცესკო-სთან მიმართებით მოყვანილი მსჯელობა ანალოგიურია შრომის კოდექსთან მიმართებითაც, პერსონალურ მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების ნაწილში. როგორც ცნობილია ეს დოკუმენტიც ორგანული კანონის ფორმითაა მიღებული, მისი მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად,“ ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „დამსაქმებელს უფლება აქვს შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.“ ორივე შემთხვევაში დამსაქმებელი არაა შეზღუდული პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მითითებული ფუნდამენტური პრინციპებით, შესაბამისად ერთადერთ გამოსავლად რჩება ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის ნორმების გამოყენება. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს შეხედულებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება აუცილებელია პირის პირადი ცხოვრების უფლების რეალიზაციისას, ვინაიდან ეს უფლება უფრო მეტია ვიდრე მხოლოდ ტექნიკური რეგულაცია. არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შინაარსის თანახმად, სასურველია 108-ე კონვენციით დადგენილი ზოგადი პრინციპების პრაქტიკაში აპრობირება, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციასთან მიმართებაშიც (დე ჰერტი/გუთვირთი, 2009, გვ. 17).

მიუხედავად ამისა, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, 108-ე კონვენცია არაეფექტურ მექანიზმად გვევლინება, რის გამოც უმჯობესია პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების ფუძემდებლური დებულებები გაიწეროს სახელმწიფოს უზენაეს კანონში.

ამდენად, სიტუაციიდან ქმედით გამოსავალს წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებისა და მისი შეზღუდვის საფუძველების კონსტიტუციური დეკლარირება. ამასთან, მოცემული გაწერა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ უფლების დეკლარირებით, არამედ აუცილებელია გაიწეროს მონაცემთა დამუშავების ფარგლებიც,

პრინციპების სახით და ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლებიც. საორიენტაციოდ შესაძლებელია აღებულ იქნეს ძირითად უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლი, რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას. ამ მუხლის თანახმად:

- „1. ყველას გააჩნია საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება;
2. ამგვარი მონაცემი უნდა დამუშავდეს სამართლიანად კონკრეტული მიზნებისთვის და პირის თანხმობით ან სხვა კანონით დადგენილი საფუძვლით. ყველას გააჩნია საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლება, ასევე, მათი შესწორების უფლება.
3. ამ წესებთან შესაბამისობა ექვემდებარება დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობას.“

მასში მოცემული პრინციპები და შეზღუდვის გზები ის მინიმალური ფორმაა, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს ამ უფლების დეკლარირება.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხილული საკითხები, ძირითადად, ემსახურებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი დანიშნულების გამოკვეთას.

ნაშრომის პირველი ნაწილიდან გამოიკვეთა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისგან შედგება. მაგალითად, ცნებები „პირადი ცხოვრება“ და „პირადი ცხოვრების უფლება“ ორი განსხვავებული შინაარსის მქონე მოცემულობებია. პირველი მათგანი მეტად ფართო შინაარსის მქონეა და აქცენტს აკეთებს სუბიექტის ინდივიდუალურ შეხედულებებზე, ხოლო მეორე - პირად ცხოვრებას ნორმატიულ ფარგლებში აქცევს და მას ძირითადი უფლებით დაცული ფარგლებით ზღუდავს.

პირადი ცხოვრების უფლების მკვლევარი მეცნიერები თანხმდებიან, რომ ეს უფლება ის კატეგორიაა, რომელსაც ვერ მოეძებნება ერთიანი განმარტება. მიუხედავად ამისა, არაერთი მეცნიერი გვთავაზობს ამ უფლების მისეულ ხედვას. პირადი ცხოვრების უფლების არსისა და მისი განმარტების საკითხი დიდწილად დაკავშირებულია სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე. მაგალითად, ისეთი თეორიები, როგორცაა ნორმატიული და ნეიტრალური, ასევე, რედუქციონისტული და ანტირედუქციონისტული კონცეფციები, ამერიკული სამართლებრივი სისტემის პირმშოს წარმოადგენს. ამ მიდგომების წარმოშობა და განვითარება ამერიკული, პრეცედენტული სამართლით არის ნაკარნახევი. მათი როლი ამ უფლების ინტერპრეტირებაში არავითარ შემთხვევაში არაა მეორეხარისხოვანი, პირიქით, იგი გვხმარება სიღრმისეულად ჩაწვდეთ პირადი ცხოვრების უფლების არსსა და მის ასპექტებს. კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაში პირადი ცხოვრების უფლება სხვაგვარი მიდგომებით გამოირჩევა. თავისებურება ვლინდება დაწერილი კანონმდებლობის, როგორც სამართლის უმთავრესი წყაროს არსებობით. თუმცა, ორივე სამართლებრივი სისტემის საერთო მახასიათებელ შტრიხებს წარმოადგენს ის, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ამ უფლებას საფუძველი ჩაეყარა, როგორც სხვა პირებისგან ინდივიდის დაცვის მექანიზმს. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, ეს უფლება სახელმწიფოს წინაშე მიმართული ერთ-ერთი მთავარი დამცავი მექანიზმია. საერთო მახასიათებელ ფაქტორს დამატებით, წარმოადგენს ისიც, რომ ამ უფლების განვითარების პროცესში ყოველი მცდელობა იმისა, რომ მომხდარიყო მისი ერთიანი ცნების ჩამოყალიბება - მთავრდებოდა

უშედეგოდ. ეს მიდგომა, ასევე, მხარდაჭერილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს მიერ.

გამომდინარე იქიდან, რომ სადისერტაციო ნაშრომი ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციურ განმტკიცებას, აუცილებელი იყო მასთან ყველაზე ახლოს მდგომი - პირადი ცხოვრების უფლების განხილვა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ფარგლები მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება კარგად აღქმადი, თუ ჩვენ კარგად გავიაზრებთ პირადი ცხოვრების უფლების არსს და სოციალურ როლს.

არ იქნება გასაკვირი თუ ვიტყვით, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალობით დღეს - ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე გამოირჩევა. სადისერტაციო თემის ერთ-ერთ მთავარ აქცენტს წარმოადგენს საკითხი, რომ ამა თუ იმ უფლების დაცვა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, თუ იგი მოცემული კონტექსტის პირობებში გამოირჩევა ღირებულებით.

პერსონალურ მონაცემებზე, როგორც თანამედროვეობის მატერიალურ და არამატერიალურ ღირებულებებზე ნაშრომში არაერთხელ გაკეთდა მითითება. პერსონალური მონაცემების სავაჭრო საგნად ქცევა სახელმწიფოში საფრთხეს უქმნის ინდივიდის დაცვას და საფრთხეს უქმნის მის ნებას, რომ მის შესახებ ინფორმაცია არ იქცეს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. ეს მოცემულობა პერსონალური მონაცემების ახლებური აღქმის განმაპირობებელია, თანამედროვე ციფრულ სამყაროში პირის შესახებ არსებული მონაცემების გახშირებული გამოყენების გამო დამკვიდრდა ინფორმაციული პრივატულობის ცნება. ამრიგად, მისი ადგილი პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში მეტად თვალსაჩინოა და განსაკუთრებული. ეჭვგარეშეა, რომ პირის პერსონალური მონაცემების ფლობით შესაძლებელია მის პირად სივრცეში შეჭრა იმგვარად, რომ მან ამის შესახებ ვერაფერი გაიგოს. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა ბაზების ფორმირება და მათი შენახვა თანამედროვე სამართლის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ღირსია, რომ იყოს განმტკიცებული და გაწერილი დამოუკიდებლად სახელმწიფოს უზენაეს კანონში.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციურ განმტკიცებას მეტად დიდი დატვირთვა აქვს ვიდრე მართოდენ ფორმალური მხარე, ვლინდება მის პრაქტიკულ დანიშნულებაში. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი, კერძოდ, მისი მე-20 მუხლი სათანადოდ ვერ პასუხობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების გარანტიებს, რაც ჩარევის საფუძვლების არასათანადო ფორმულირებაში გამოიხატება. ასევე, სახეზეა სხვა

გამოწვევებიც, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი სამართლებრივი აქტების იერარქიაში საკანონმდებლო აქტებს შორის ყველაზე დაბალ საფეხურზეა, რი გამოც თუ მასზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტით დადგინდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცედურა, ზემოაღნიშნული კანონი ვერ მოვა მოქმედებაში. საკითხს ართულებს ის ფაქტორიც, რომ პრაქტიკაში არ ხდება საერთაშორისო აქტების დებულებათა გათვალისწინება, მაშინაც კი, თუ მათი ნორმები უნარიანია პირდაპირ და უშუალოდ დაარეგულიროს საკითხი. არც დამუშავების პროცესის ფარგლებთან, პროპორციებთან დაკავშირებული სირთულეები არის უმნიშვნელო. პრაქტიკის მიხედვით, თუ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება კანონის საფუძველზე, დამუშავების პროპორციებს ნაკლებად ექცევა ყურადღება.

სწორედ ამ გამოწვევებზე საპასუხოდ მიზანშეწონილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციის ტექსტში ასახვა, რაც არ წარმოადგენს მხოლოდ სამართლებრივი ტექნიკის ნაწილს. სახელმწიფოს უზენაეს კანონში მისი ფორმულირება სხვადასხვა სახითაა შესაძლებელი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაიწეროს პრაქტიკული შედეგის მომტანი დებულებები. მთავარი გასათვალისწინებელი საკითხები შესაძლებელია შემდეგი სახით დაჯგუფდეს:

1. განისაზღვროს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებათაგანი. თავდაპირველად მიზანშეწონილია დადგინდეს მისი დაცვის ზოგადი არსი და დაცული სფერო;
2. შემდგომ, სასურველია მოხდეს ამ უფლებაში ჩარევის (შეზღუდვის) საფუძვლების ფორმულირება. აქ არაა საუბარი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში არსებული დამუშავების საფუძვლების პერეფრაზზე, ვინაიდან ისინი შესაძლოა დროთა განმავლობაში დაზუსტდეს, დავიწროვდეს ან განივრცოს. მთავარია, კონსტიტუციის ტექსტში ნათლად ფორმულირდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები შემდეგ პირობათა გათვალისწინებით:
 - 2.1. დამუშავება ნებისმიერი საფუძვლით, უნდა იყოს სამართლიანი და არ უნდა ლახავდეს სხვა ძირითად უფლებებს;
 - 2.2. აუცილებელია დამუშავების მიზანი განისაზღვროს პროცესის დაწყებამდე და იყოს კანონიერი;
 - 2.3. არ უნდა მოხდეს მიზანთან შეუთავსებელი, არაპროპორციული პერსონალური მონაცემების დამუშავება;

2.4. დაცული უნდა იყოს დამუშავებული პერსონალური მონაცემების უტყუარობა და ნამდვილობა;

2.5. მიზნის მიღწევის შემდგომ, აუცილებელია პერსონალური მონაცემების წაშლა ან/და განადგურება, შესაბამისი მეთოდების გათვალისწინებით.

ყველა ჩამოთვლილი პრინციპი ნორმატიულად განმტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით. ახლა, მთავარია მოხდეს მათი ფორმულირება კონსტიტუციის სიტყვათაწყობისა და გათვალისწინებით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონსტიტუციის განმტკიცების შემდგომ, ქართველი კანონმდებელი უდიდეს ნაბიჯს გადადგამს სახელმწიფოში ამ უფლების განვითარების მხრივ, ამავდროულად, სახელმწიფოს მეტად იქნება ვალდებული შეასრულოს მისი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები ამ უფლებასთან მიმართებაში. მთლიანობაში, იგი თანამედროვე გამოწვევებზე ჯეროვანი პასუხის მექანიზმად მოგვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

სამეცნიერო ლიტერატურა

კავუკიანი, ა., (2016). *Privacy by Design კონცეფცია სამართალში, რეგულირებასა და პრაქტიკაში (თარგმანი)*. თბილისი: იურისტების სამყარო.

კუბლაშვილი კ., (2008). *ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო*. თბილისი: ჯისიაი.

ნაჭყებია ა., (2014). *სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში - 2000-2013 წლები*. თბილისი: GIZ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., (2010). *ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში*. თბილისი: საია.

ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.; კოპალეიშვილი მ. (რედ.), (2013). *ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა*. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ფირცხალაშვილი ა., (2016). *კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში*. თბილისი: იურისტების სამყარო.

ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო. (2015). *მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო (თარგმანი)*. თბილისი: იურისტების სამყარო.

Allen A.L., (1988). *Uneasy Access: Privacy for Women in a Free Society*. Rowman & Littlefield Publishers.

Arnaiz A. & Perez A.T., (2012). *Main Trends in the Recent Case Law of the EU Court of Justice and the European Court of Human Rights in the Field of Fundamental Rights*. Brussels: European Parliament.

Benedek W. (ed.), (2012). *Understanding Human Rights, Manual on Human Rights Education*. European Training and Research Centre for Human Rights and Democracy (ETC). Wien – Graz: NWV Neuer Wissenschaftlicher Verlag.

Berg B.V., Potzsch S., Leenes R., Borcea-Pfitzmann K., Beato F., (2011). *Privacy in Social Software. Privacy and Identity Management for Life*. Springer.

Bygrave L.A. & Aaro H.A., (2001). *Privacy, Personality and Publicity – An Overview of Norwegian Law*. International Privacy, Pulicity and Personality Laws. Butterworths.

- Corlett A.J., (2002). *The Nature and Value of the Moral Right to Privacy*. Public Affairs Quarterly (Vol. 16, No. 4). University of Illinois Press.
- Cuijpers C. & Saygin Y., (2012). *The Rise of Identifiability*. APC Conference, Unknown Publisher.
- Cuijpers C., (2009). *The Legal Angle of Geo-Info*. GIS Development: The Global Geospatial Magazine (13 (8)).
- EU Network of Independent Experts on Fundamental Rights. (2006). *Commentary of the Charter of Fundamental Rights of the European Union*. Unknown Publisher.
- Frantziou E., (2014). *The Margin of Appreciation Doctrine in European Human Rights Law*. UCL Policy Briefing. London's Global University.
- Fried C., (1968). *Privacy*. The Yale Law Journal (Vol. 77, No. 3).
- Fuster G.G., (2014). *The Emergence of Personal Data Protection as a Fundamental Right of The EU*. Springer.
- Gavison R., (1980). *Privacy and the Limits of Law*. The Yale Law Journal (Vol. 89, No. 3).
- Gertz R., (2004). *Is it 'Me' or 'We'? Genetic relations and the Meaning of 'Personal Data' under the Data Protection Directive*. European Journal of Health Law, Martinus Nijhoff Publishers.
- Gutwirth S., Pouillet Y., Hert, P.D., Terwangne C., Nouwt S. (2009). *Reinventing Data Protection?* Springer
- Hert P. D. & Gutwirth S., (2009). *Data Protection in the Case Law of Strasbourg and Luxemburg: Constitutionalisation in Action*. Springer Science.
- Hert P.D., (2008). *Identity Management of e-ID, Privacy and Security in Europe. A Human Rights View*. Information Security Technical Report 13, Elsevier.
- Holland B., (2010). *Privacy Paradox 2.0*. Weidener Law Journal (Vol. 19).
- Kilkelly U., (2001). *The Right to Respect for Private and Family Life*. Council of Europe.
- Koops B. J., (2011). *The Evolution of Privacy Law and Policy in the Netherlands*. Journal of Comparative Policy Analysis (Vol. 13, No. 2).
- Krause H.D., (1965). *The Right to Privacy in Germany: Pointers for American Legislation?* Duke Law Journal (No. 3).
- Leenes R., (2010). *Who Controls the Cloud?* IDP: Internet, Law and Politics E-Journal Conference.

- Marshall J., (2009). *Personal Freedom through Human Rights Law?* Martinus Nijhoff Publishers.
- Mathews K.J. (ed), (2006). *Proskauer on Privacy: A Guide to Privacy and Data Security Law in the Information Age, A Brief History of Information Privacy Law*. The Privacy and Data Security Practice Group at Proskauer Rose LLP.
- Moore B., (1984). *Privacy: Studies in Social and Cultural History*. Routledge.
- Moreham N.A., (2008). *The Right to Respect for Private Life in the European Convention on Human Rights: A Re-examination*. European Human Rights Law Review, Sweet and Maxwell.
- Nissenbaum H., (2010). *Privacy in Context*. Stanford University Press.
- Peers S., Harvey T., Kenner J., Wards A. (eds.), (2014). *The EU Charter of Fundamental Rights, A Commentary*. Hart Publishing.
- Posner R. A., (1981). *The Economics of Justice*. Harvard University Press.
- Prosser W., (1960). *Privacy*. California Law Review (Vol. 43, No. 3).
- Purtova N., (2010). *Private Law Solutions in European Data Protection: Relationship to Privacy, and Waiver of Data Protection Rights*. Netherland Quarterly of Human Rights (Vol. 28, No. 2).
- Ramage S. (ed.), (2007). *Privacy – Law of Civil Liberties*. iUniverse.
- Reidenberg J.R., (2001). *E-Commerce and Trans-Atlantic Privacy*. Fordham University School of Law.
- Reidenberg J.R., (2000). *Resolving Conflicting International Data Protection Rules in Cyberspace*. Stanford Law Review (Vol. 52, No. 5).
- Roagna I., (2012). *Protecting the right to respect for private and family life under the European Convention on Human Rights*. Strasburg: Council of Europe Human Rights Handbooks, Council of Europe.
- Rule J.B. & Greenleaf G., (2010). *Global Privacy Protection*. Edward Elgar Publishing.
- Samuelson P., (2000). *Privacy as Intellectual Property?* Stanford Law Review (Vol. 52, No. 5, Symposium: Cyberspace and Privacy: A New Legal Paradigm?).
- Schwartz P.M., (2004). *Property, Privacy, and Personal Data*. Harvard Law Review.
- Sloot B.V.D., (2015). *Privacy as Personality Right: Why the ECtHR's Focus on Ulterior Interests Might Prove Indispensable in the Age of "Big Data"*. Utrecht Journal of International and European Law (31 (80)).
- Solove D. J., (2002). *Conceptualizing Privacy*. California Law Review (Vol. 90, Issue 4).

- Spielmann D., (2014). *Whither the Margin of Appreciation*. Oxford Academic.
- The American Law Institute. (1977). *Restatement (Second) of the Law, Torts*.
 მოძიებულია https://cyber.harvard.edu/privacy/Privacy_R2d_Torts_Sections.htm.
- Thompson J.J., (1975). *A Right to Privacy*. Philosophy and Public Affairs, Princeton University Press (Vol. 4, No.4).
- Vedder A., (2000). *Medical Data, New Information Technologies and the Need for Normative Principles other than Privacy Rules*. Law and Medicine (vol. 3).
- Victor J.M., (2013). *The EU General Data Protection Regulation: Toward a Property Regime for Protecting Data Privacy*. The Yale Law Journal.
- Wagner W.J., (1971). *The Development of the Theory of the Right to Privacy in France*. Washington University Law Review (Issue 1).
- Warren S. D. & Brandeis L., (1890). *The Right to Privacy*. Harvard Law Review (Vol. 4, No. 5).
- Westin A.F., (1967). *Privacy and Freedom*. Athentium.
- Whitman J.Q., (2004). *The Two Western Cultures of Privacy: Dignity versus Liberty*. The Yale Law Journal (Vol. 113, No. 6).

რეკომენდაციები და ანგარიშები

ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ. (2015). პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში. (2014).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.

Recommendation No. R (97) 5 on the Protection of Medical Data. (1997). Council of Europe.

A French Woman Classified as a "prostitute" for fifteen years in Geneva Police Database Violated Her Right to Respect for Private Life. (2011). ECtHR Press Release (195), European Court on Human Rights Registrar.

Attitudes on Data Protection and Electronic Identity in the European Union. (2011). Eurobarometer, European Commission.

Summaries of Important Judgements. (2009). European Commission, Legal Service. EC.

2014 Report on the Application of the EU Charter of Fundamental Rights. (2015).

European Commission. Luxemburg: European union.

Guidelines on the Protection of Privacy and Transborder Flows of Personal Data (II ნაწილი). (1980). Organization for Economic Co-operation and Development.

Opinion 4/2007 on the Concept of Personal Data. (2007). Article 29 Data Protection Working Party.

Opinion 1/2010 on the Concepts of "Controller" and "Processor". (2010). Article 29 Data Protection Working Party.

Opinion 05/2012 on Cloud Computing. (2012). Article 29 Data Protection Working Party.

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (26.12.2007, #1/3/407)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (24.10.2012, 31/2/519).

საქართველოს სახალხო დამცველი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (14.04.2016, 1/1/625, 640).

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ნ.რ-ე, ზ.მ-ე და ე.ა-ე-ს წინააღმდეგ (#ას-1155-1101-2014, 04.05.2015).

გ.კ-ი, ნ.ა-ი-ს წინააღმდეგ (#ას-1559-1462-2012, 09.01.2014).

თბილისის სააპელაციო სასამართლო

ნ.გ. და ა.კ., ო.ს. და ი.მ.-ს წინააღმდეგ (#3ბ/1059-15, 26.04.2016).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

Axel Springer AG v. Germany (ECtHR, App. #39954/08, 07.02.2012). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-109034\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Biriuk v. Lithuania (ECtHR, App. #23373/03, 25.11.2008). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-89827\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Ciubotaru v. Moldova (ECtHR, App. #27138/04, 27.04.2010). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-98445\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Costello-Roberts v. The United Kingdom (ECtHR, App. #13134/87, 25.03.1993). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-57804\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Gaskin v. United Kingdom (ECtHR, App. #10454/83, 07.07.1989). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-57491\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Köpke v. Germany (ECtHR, App. #420/07, 05.10.2010). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-101536\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Niemietz v. Germany (ECtHR, App. #13710/88, 16.12.1992). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-57887\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Peck v. United Kingdom (ECtHR, App. #44647/98, 28.01.2003). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-60898\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Rotaru v. Romania (ECtHR, App. #28341/95, 04.05.2000). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-58586\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

Von Hannover v. Germany (No. 2, ECtHR App. #40660/08 and 60641/08, 07.02.2012). მოძიებულია [http://hudoc.echr.coe.int/eng#{\"itemid\":\[\"001-109029\"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{\).

მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლო

Bodil Lindqvist (CJEU, Case C-101/01, 06.11.2003). მოძიებულია <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?docid=48382&doclang=en>.

European Commission v. Bavarian Lager (CJEU, Case C-28/08 P, 29.06.2010). მოძიებულია <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62008CJ0028>.

Google Spain SL and Google Inc. v. Agencia Espanola de Proteccion de Datos (AEPD) and Mario Costeja Gonzalez (CJEU, Case C-131/12, 13.04.2013). მოძიებულია http://curia.europa.eu/juris/document/document_print.jsf?doclang=EN&docid=152065.

Huber v. Federal Republic of Germany (CJEU, Case C-524-06, 16.12.2008). მოძიებულია <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62006CJ0524>.

Volker and Markus Schecke and Hartmut Eifert v. Land Hessen (CJEU, Case C-92/09 & C-93/09, 09.11.2010). მოძიებულია <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62009CJ0092>.

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასამართლოები

Boyd v. United States (116 U.S. 616, 1886). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/116/616/case.html>.

California v. Greenwood (486 U.S. 35, 1988). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/486/35/case.html>

Case #12-42-cv, US Court of Appeals, Second Circuit, მოძიებულია

http://pdfserver.amlaw.com/nlj/NSA_ca2_20150507.pdf;

Cox Broad. v. Cohn (420 U.S. 469, 1975). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/420/469/case.html>.

Doe v. Bolton (410 U.S. 179, 1973). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/410/179/case.html>

Ex Parte Jackson (96 U.S. 727, 1877). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/96/727>.

Haelan Labs. v. Topps Chewing Gum, Inc. (202 F.2d 866, 2d Cir., 1953). მოძიებულია

<http://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/202/866/216744>.

Katz v. United States (389 U.S. 347, 1967). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/389/347/case.html>

Olmstead v. United States (277 U.S. 438, 1928); მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/277/438/case.html>

Pavesich v. New England Life Ins. Co. (50 S.E. 68, 1905). მოძიებულია

http://faculty.uml.edu/sgallagher/pavesich_v.htm.

Smith v. Daily Mail (443 U.S. 97, 1979). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/443/97/case.html>.

Smith v. Maryland (442 U.S. 735, 1979). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/442/735/case.html>.

Time, Inc. v. Hill (385 U.S. 374, 1967). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/385/374/case.html>

United States v. Miller (425 U.S. 435, 1976). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/425/435>.

Whalen v. Roe (429 U.S. 589, 1977). მოძიებულია

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/429/589/case.html>.

ვებ-გვერდები:

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის პრეს რელიზი. „პე-ეს-პე“-ს ავთიაქებში აუდიოჩაწერის სისტემა გაუქმდება. (2016).

მომიებულია 2016 წლის 30 ოქტომბერს, <https://personaldata.ge/ge/psp-aftiaqebshi-audio-chatseris-sistemebi-gauqmdeba/476>.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. *ამომრჩეველთა ერთიანი სია*. მომიებულია voters.cec.gov.ge.

Icelandic Human Rights Centre. *Interference with the Right to Privacy*. (უთარილო). მომიებულია 2016 წლის 23 ოქტომბერს <http://www.humanrights.is/en/human-rights-education-project/comparative-analysis-of-selected-case-law-achpr-iachr-echr-hrc/the-right-to-respect-for-private-and-family-life/interference-with-the-right-to-privacy>.

International Organization for Standardization (ISO). 2016. ISO/IEC 27001:2013. მომიებულია 2016 წლის 18 მაისს, <https://www.iso.org/obp/ui/#iso:std:iso-iec:27001:ed-2:v1:en>.

Parliament of the UK. *Privacy and Injunctions*. (2013). მომიებულია 2016 წლის 20 იანვარს, <http://www.publications.parliament.uk/pa/jt201012/jtselect/jtprivinj/273/27305.htm>.

PC Tools. *What is Adware and Spyware*. (უთარილო). მომიებულია 2016 წლის 10 მაისს, <http://www.pctools.com/security-news/what-is-adware-and-spyware/>.

Personvern Pa Nettet. *Two Suspicious Individuals (RT. 1952 P. 1217)*. (უთარილო). მომიებულია 2016 წლის 6 ივნისს <http://personvern.info/rettskilder/avgjorelser/to-mistenkelige-personer-rt-1952-s-1217/>.

Pew Research Centre. *Americans' Attitudes About Privacy, Security and Surveillance*. (2015). მომიებულია 2016 წლის 18 თებერვალს, <http://www.pewinternet.org/2015/05/20/americans-attitudes-about-privacy-security-and-surveillance/>.

Press Release Database. *Agreement on Commission's EU Data Protection Reform will Boost Digital Single Market*. (2015). European Commission. მომიებულია 2016 წლის 15 მაისს, http://europa.eu/rapid/press-release_IP-15-6321_en.htm.

Solove D., *10 Reasons Why Privacy Matters*. (2014). Linked In. მომიებულია 2015 წლის 8 ოქტომბერს, <https://www.linkedin.com/pulse/20140113044954-2259773-10-reasons-why-privacy-matters>.

Solove D., *Privacy Law in 60 Seconds*. (2013). You Tube. მომიებულია 2016 წლის 15 აპრილს, <https://www.youtube.com/watch?v=mlpZS5xfdk0,0:27>.

Stanford Encyclopedia of Philosophy. *Privacy*. (2013). მოძიებულია 2015 წლის 17 დეკემბერს, <http://plato.stanford.edu/entries/privacy/>.

The Charter of Fundamental Rights of the EU in Practice, ERA. Koltermann, B., & O'Brien, K. (უთარილო). მოძიებულია 2015 წლის 25 სექტემბერს, http://www.era-comm.eu/charter_of_fundamental_rights/kiosk/pdf/The_Charter.pdf.

სამართლებრივი აქტები

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია. 2013 წლის 4 ოქტომბრის მდგომარეობით.

საქართველოს 1997 წლის 26 ივნისის კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2016 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოს 1999 წლის 15 ივნისის კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. 2016 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოს 1999 წლის 27 ივლისის კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2016 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი საჯარო რეესტრის შესახებ. 2016 წლის 24 ივნისის მდგომარეობით.

საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი. 2016 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. 2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შეთანხმება (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის).

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის 16 სექტემბრის ბრძანება #1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე, ამავე თარიღის მდგომარეობით. მოძიებულია <https://personaldata.ge/manage/res/docs/Brzanebulebebi/Tetri%20Sia.pdf>.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მოძიებულია 2016 წლის 19 ნოემბერს, <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მოძიებულია 2016 წლის 20 მაისს, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi2.pdf>.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1949 წლის 8 მაისის ძირითადი კანონი, 2012 წლის 11 ივლისის მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 5 ივნისს, https://www.bundestag.de/blob/284870/ce0d03414872b427e57fccb703634dcd/basic_law-data.pdf.

ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის 2001 წლის 8 ნოემბრის დამატებითი ოქმი ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით. მოძიებულია 2016 წლის 31 მაისს, <https://personaldata.ge/manage/res/docs/saertashoriso%20aqtebi/Additional%20Protocol%20To%20The%20Convention.pdf>.

ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. მოძიებულია 2015 წლის 10 სექტემბერს, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi5.pdf>.

ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (108-ე კონვენცია). მოძიებულია 2016 წლის 4 მარტს, <https://personaldata.ge/manage/res/docs/convention%20108.pdf>.

ევროპული კავშირის 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემთა თავისუფალი გადაადგილებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ. მოძიებულია 2015 წლის 20 იანვარს, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>.

ევროპული კავშირის 2000 წლის 2 ოქტომბრის ძირითად უფლებათა ქარტია. მოძიებულია 2015 წლის 5 ნოემბერს, http://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf.

ევროპული კავშირის 2002 წლის 12 ივლისის 2002/58/EC დირექტივა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ. მოძიებულია 2015 წლის 20 ივნისს <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32002L0058:en:HTML>.

ევროპული კავშირის 2016 წლის 27 აპრილის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია EU 2016/679. მოძიებულია 2016 წლის 6 ივნისს, <http://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj>.

იტალიის რესპუბლიკის 2003 წლის 30 ივნისის #196 კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოდექსი, 2008 წლის 30 მაისის მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 30 აგვისტოს <http://www.garantepriacy.it/web/guest/home/docweb/-/docweb-display/docweb/4814258>

ნიდერლანდების სამეფოს 1815 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, 2002 წლის 7 ივლისის მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 2 სექტემბერს, <https://www.government.nl/documents/regulations/2012/10/18/the-constitution-of-the-kingdom-of-the-netherlands-2008>.

ნორვეგიის სამეფოს 1812 წლის 17 მაისის კონსტიტუცია, 2014 წლის 13 მაისის მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 4 სექტემბერს, <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32002L0058:en:HTML>.

პოლონეთის რესპუბლიკის 1997 წლის 2 აპრილის კონსტიტუცია, 2009 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 7 სექტემბერს, <http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm>.

პორტუგალიის რესპუბლიკის 1976 წლის 2 აპრილის კონსტიტუცია, 2005 წლის 12 აგვისტოს მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 10 სექტემბერს, <http://www.en.parlamento.pt/Legislation/CRP/Constitution7th.pdf>.

საფრანგეთის რესპუბლიკის 1881 წლის 29 ივლისის კანონი პრესის თავიუფლების შესახებ, 2016 წლის 14 აგვისტოს მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 6 აგვისტოს, <https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=LEGITEXT000006070722&dateTexte=20160814>.

ფინეთის 1999 წლის 11 ივნისის კონსტიტუცია, 2007 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 15 სექტემბერს, <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1999/en19990731.pdf>.

შვედეთის სამეფოს 1974 წლის კონსტიტუციური კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, 2014 წლის მდგომარეობით. მოძიებულია 2016 წლის 5 ივნისს, <http://www.riksdagen.se/en/SysSiteAssets/07.-dokument--lagar/the-constitution-of-sweden-160628.pdf/>.

შვეიცარიის კონფედერაციის 1992 წლის 19 ივნისის ფედერალური აქტი მონაცემთა დაცვის შესახებ, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მოძიებულია 2015 წლის 3 დეკემბერს, <https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19920153/index.html>.